

საქართველო



8

1976



# ენათობი

საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 52-ე

№ 8

აგვისტო, 1976 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## უიწინარსი

1424  
N

თანამედროვე მხარი კოეზია . . . . .	8
ნიკო აფსიმელი — კიდევაც დანიზრდებიან... მოთხრობა . . . . .	15
კოლაუ ნადირაძე — ლექსები . . . . .	31
თეიმურაზ ჯანუღლაშვილი — ლექსები . . . . .	33
ბაბუ მახუარიშვილი — ლექსები . . . . .	38
ნიკოლოზ გაბაშვილი — ანიმაციური ქალაქი. რომანი. ვაგრაქელეზა . . . . .	40
სულხან მთებელი — მოთხრობები. მოთხრობა . . . . .	97
ურდიაშვილი — ბრძოლის და კრძალვა. პიესა. ვაგრაქელეზა. თარგმანი ინგლისურიდან გივი ვაჩეჩილაძემ . . . . .	126

### პრიტიკა და კუბლიცისტობა

ზალვა გოჭალაშვილი — „დოდა ენა“ და მისი ავტორი . . . . .	143
ელადიშვილი მამუკაშვილი — კუბლიცისტის ჩანაწერი . . . . .	152
მანის მითინი — მომავლის ქარი . . . . .	158
ვილუბა ცინკარაძე — კაცი და „სისხლის წიგნი“ . . . . .	161
ჯანუღლაშვილი — მოთხრობები, კუბლიცისტი, რედაქტორი . . . . .	167
კონსტანტინე ზვიგინაძე — დიდი მომავალი . . . . .	174

### წიგნების მიმოხილვა

ბ. ჩიბაური — წიგნი დიდი მდინარე . . . . .	185
პრ. მარტიროსოვი — გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის“ თვის და ბუნების კრიტიკის საკითხების შესახებ . . . . .	187



**შთავარი რედაქტორი. ბიორგანი ნატროზშილ**

**საკრედიტო კოლეგია:**

0. აბაშიძე, კ. აბაშვილი (პ/მე მდივანი), ხ. ბერუაშვილი, ო. გიგინეიშვილი, ზ. ლახანიძე, ლ. მგელაშვილი, ზ. ძღვინი, ა. სულაბერი, ა. ქუთათელი, ს. ზანდიაშვილი, დ. შანგილაძე, ნ. წულუბსარი, ვ. წულუაბი, ო. ფილაძე, ზ. ხარაძე, კ. ჯანაშია, ბ. ჯიბლაძე.

**რედაქტორი რ. ნაპინძე**

**რედაქციის მხამართი:**

თბილისი, რუსთაველის ქროსვეტი № 18.

**ტელეფონები:** რედაქტორის — 98-55-11.  
პ/მე მდივანის — 98-55-18, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

ვადაცა ასაწყობად 23/VI-76 წ. ხელმოწერილია დსაბეკდად 15/VI-11-76 წ. ასაწყობის ზომა  $71\frac{1}{4} \times 12$ , ქაღალდის ფორმატი  $70 \times 108\frac{1}{16}$  ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12 პარობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, საიდ-სიგომოცემლო თაბები 16,58

უე 00167. ტირაჟი 14.650. შეფ. № 2217. საქ. კვ ცვ-ის გამოცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

## ჯამთაი გიოს სოფალგი

თოვს,  
მთები თოვლს დაუტანია,  
მთებს შორის აულია ჩამქდარი.  
იჩგვლივ ისეთი სითეთრე და შუქი დამდგარა,  
რომ მთების ჩრდილიც კი არსადა ჩანს;  
მათი სიმაღლე, ფერდობები და ნაპირები  
გამქრალი არის, ერთიანად გადალესილი.  
მხოლოდ სახლების თავყრილობებს თუ გამოარჩევ,  
რომელთა თავზე შეურხველად ზეაღერილი  
ნაცრისფერი ბოლის სვეტები  
მოწმეა იმის, რომ ამ მთებს შორის —  
ამ დამუნჯებულ გოლიათებში,  
მძლავრად სცემს ისევ სიცოცხლის მჯაა.  
ხალხი ჩაფლულა  
ჯამთრისთვის ჩვეულ საქმეში:  
უფლის საქონელს  
და სახლის წინ თოვლსა ხვეტავენ.  
თმაწვერჭალარა, ჯამთარივით თეთრი მოხუცი  
თბება ბუხართან,  
ღეცხლს უფიცებს თავის ბებერ ძვლებს  
და ოცნებებს: — სტუმარი მაინც მოიყვანაო!  
მაგრამ ციდან თუ მოუდგება სოფელს სტუმარი,  
თორემ სხვა გზები სწყყაროსთან გადაჭრილია.  
ძაღვები გაბმით წკაფწკაფებენ  
დაყრუვებულნი  
თეთრი სამეფოს  
უნაპირო, ვრცელი სიჩუმით.  
ბაღვლები ციგებს დააგვლევენ



და თოვლის კოშკებს აშენებენ...  
 სოფლის კაცები  
 უღელტეხილის გზას დაადგნენ გამთენიისას,  
 რომ ჩამოზიდონ თივის ძნები საქონლისათვის.  
 ხოლო ამ მთების და ამ სოფლის ნორჩი მემკვიდრე  
 წამოიჭრება მარჯვედ მერჩიდან  
 და გრძნობით იტყვის:  
 „ჰა, ჩვენც გვეწვია უკვე ზამთარი“\*...  
 ფანჯრის მინებზე  
 ლექსის ბგერები  
 მზის თბილ სხივებად ეწვეთებიან...  
 მთებში მჯდარ სოფელს მტკიცედ უპყრია  
 საჭე ბედისა,  
 თითქოს ვრცელი ოკეანის თეთრქაფა ტალღებს  
 მარტოხელა გემი მიაპობს.

თარგმანი ბ. ხარანაულაძე



\* დასაწყისი სტრიქონი კოსტა ხეთაგუროვის  
 პოეზიურული ლექსისა „ლარიზის ფიქრები“.

## მ ა გ ღ ა ლ ი ნ ა

ნეტავი არც დამაძინა  
და სულ შენზე მალოცაო,  
მაგდა, მაგდა, მაგდალინა,  
სანუკვარო, საოცარო!

სიყვარული თუ გამღერებს,  
დაქჭრი როგორც მოჩვენება,  
ამ მდებლოებს, ამ მთა-სერებს  
აღარ აძლევ მოსვენებას.

უთენია იწყებ თრთოლას,  
როგორც სიმი მანდოლინის.  
ფრთხილად, ფრთხილად, ფრთხილად  
თორემ

გამაგიჟებ, მაგდალინა!

და მარტო მე? — თავბრუს ახვევ  
სლაგკას, ოლესს, გენჩოს, ვანოს,  
მათი გულის ტახტზე ახვეულ,  
ანდა ვინ არ გეთაყვანოს...

შენ კი ვითომ ვერც კი ამჩნევ  
რა ხანძარიც დაგინთია,  
ჩვენ გვაადრებ დღეში ცხრაჯერ,  
შენთვის მუდამ ამინდია.

თვითვე ხედავ — შენით ხელი  
ვცოცხლობ რითაც, ვიწვი რათაც,  
მაგრამ ჩემი სიტყვა წრფელი  
არა გყოფნის სიცილადაც.

მე კი ლამის გადამრივ,  
რა ყოფილხარ შე უწყალო,

მაგდა, მაგდა, მაგდალინა,  
ბულგარელო ტურფა ქალო...

შემომაწავა გულზე ნისლად  
სიყვარული უსაშველო,  
შემომეჭრა მკერდში ისრად  
უვიზოდ და უსაშვებოდ.

არც საზღვარი იცის იმან,  
არც მანძილი — ცხრა ზღვა, ცხრა მთა,  
მოდის სხივად, მოდის წვიმად,  
უწყალოდ გვწვავს ზაფხულ-ზამთარ.

ხან მღერის და ხანაც გმინავს  
ჩემი გული — ცხელი თონე,  
მაგდა, მაგდა, მაგდალინა,  
ფრთხილად, ფრთხილად, ფრთხილად  
თორემ, --

გავგიჟდები, გაგიტაცებ,  
მომეცემა დევის ძალა  
დედაჩემს და სახლიკაცებს  
ჩემს ოსეთში მიგვერი რძალად.

მაგრამ ვაი... მტკივა მკერდი,  
განშორების დროა ოდეს...  
გელოდება ბულგარეთი,  
ველარ გნახავ ვერასოდეს.

თვალი ჩამჭრალ კოცონს მიგავს,  
სულშიც ისევ ავდარია,  
შენ თან ჩემი გული მიგაჭებს  
მაგდა, მაგდა, მაგდალინა...

## წიგნიერების კავშირის

როგორ დაგვრია სიბერემ ხელი,  
უკვე ახლოა გზის დასასრული,  
შენ მოგვითანე საკუთარ მხრებით  
თავისუფლება და გაზაფხული.

გრძელ საუკუნეს მშვიდად შევბი,  
დალოღობნარ, მაგრამ შევბაც ხომ არი...  
ხსოვნას გიწუწავს სიყრმის დღეები,  
დრო, მხოლოდ ოხვრით მოსაგონარი.

შევა, — ბავშვობის წლებში გამქრალი —  
ახლა სიბერემ მოგვცა სამყოფი.  
ჩამაქრებულა შენი ბაღნარი,  
დღეს უნდა დატკბე რთველის ნაყოფით.

თოვლივით გიჩანს თეთრი თმა-წვერი,  
შუბლზე ნაოჭი — ფიჭრის დამრთველი.  
გულს არ გიდაღავს აღარაფერი,  
გულში სხივივით გიდგას ნათელი.

გამოაღწიე ვეება ზამთარს,  
შეუცდომელი, საღი საზრისით.  
დღეს შეილთა შენთა ღიმოღმით ჩანხარ,  
ვით წარუვალი და შარადისი!

თარგმანი მ. ბაქოშვილი

## ბ რ ი გ ა ლ ი

### I

იყავ ფიჭვების ჩემის სათავე,  
ფრთები შეისხი, შლეგო გრიგალი,  
წარტაცე ამ წყნარ დღეებს სადავე,  
შენ, სიმშვიდესთან შეურიგალო!  
როგორც სიცოცხლე, როგორც გამთასვლა,  
შენ ხარ მარადი, უკვდავი სული  
და სხვა სულებში იცი გადასვლა,  
რათა არ იყოს ლტოლვის სასრული.  
მიზანი შენი — სწრაფვა მარადი,  
შეტვეა — რაც გწამს, ერთადერთია,  
მიწის პირიდან ზეცის კარამდის  
ბოროტი ბევრჯერ გაგიკვეთია.  
ხელთ გამარჯვება გეჭნება მალე —  
ამაზე ფიჭვი შენს სწრაფვას შვენის,  
წამით არ შედგე შენ გენაცვალე,  
რომ არ დაგვარგოთ სახელი შენი.

### II

ბავშვი ვიყავი სულ ერთი ციდა,  
როცა მოასკდი შენ ჩვენს ფანჯარას,  
პირველად გნახე და იმავ დღიდან  
გულმა სიმშვიდის კარი დაჯარა.  
ხეებს ლაწა-ლუწს აუტყუავდი  
და მე საბანში ჩამჭვრალს მესმოდა —  
შენ რომ ქარით თუ ქვიშით ხეხავდი,  
მიწა რომაა, მიწაც კვნესოდა.  
გისმენდი ხარბად და არ ვიყოდი,  
რა შიტაცებდა შენს კვეთებაში,

ან ცეცხლის ალზე რატომ ვიწვოდი  
მე, გულუბრყვილო და თოთო ბავშვი,  
შენ ღრიალებდი, მიწას არყევდი,  
ალარ დამიდგა პატარას გული  
და შენს სიმღერას ისე აყვავი,  
თითქოს მჭონოდა ათასჯერ თქმული.

### III

როგორც კაცურ კაცს, ისე გაფასებ,  
მიტაცებ, როგორც სატრფოს იერი,  
როს იწერები ზეცის დაფაზე,  
აი, მაშინ ვარ მე ბედნიერი.  
როცა სიბნელე სჩაგრავეს ბუნებას,  
არყის ხე მიყავს მაშინ ზმანებებს,  
ყვავილს ცრემლითლა ესალბუნება  
დარდი, რომელიც თავს არ ანებებს.  
მაშინ იფეთქებ, მაშინ დაჩნდები,  
გულს გაუხარებ სიბნელით მაშვრალს,  
ნისლებიც, მუდამ ასე ლაჩრები,  
თან გაკყვებიან ღრუბლების ლაშქარს.  
მზე გადმოდგება, როგორც ოცნება,  
კველა სულდგმულის თუ უსულოსი,  
როგორც სიცოცხლის გასხვივისება,  
უნაპიროსი, უსასრულოსი...

### IV

შენ წუნს ვინ დაგდებს შეშლილის მეტა,  
სიცოცხლეს შენი სული გვინათებს  
შენ ხარ უტყუბი, როგორც იმედი

და უღმობელი, როგორც სიმართლე.  
 შენ ბებერ მუხას შუა გააპობ,  
 რომ ცა გაიხსნას ახალ თაობის,  
 შენ გაყურებულ ზღვას ცეცხლით ათრიბ,  
 რომ არ მოედოს მის ტალღებს ობი.  
 შენ ყველაფერი გვადვილება  
 და გულწმინდა ხარ მუდამ ბავშვივით,  
 მოძრაობა ხარ შენ და ცვლილება,  
 დგახარ ოთხივე მხრივ მკლავებგაშლილი.  
 არ ეწეზობდა სიცოცხლეს ფასი,  
 რომ არა შენი მარადი სწრაფვა,  
 დაედებოდა სიცოცხლეს ხაფისი,  
 ემგვანებოდა ეს მიწა საფლავს.

## V


იყავ ჩემს ლექსში დავანებული,  
 როგორც ქარქაში ფხაბასრი ხმალი,  
 რომ ამოფრინდე მუდამ ქებული  
 და აუხილო ქვეყანას თვალი.  
 მე შენს ქებაში როდი დავშვრები,  
 შენს სიცოცხლეში მე ჩემსას ვებედავ,  
 ქუჩაში გხვდები, გეთამაშები  
 და გაჯობრებას შენთანა ვებედავ.  
 მხვდები ქუჩაში, მეხლები მკერდზე,  
 ორივე ხარ ერთ დროს — მზეც და ნამქერიც  
 და მე ამ ქვეყნად რასაც კი ვეძებ,  
 სულ შენში არის ის ყველაფერი.  
 მივდივარ, შენებარ არ მაქვს სიმშვიდე,  
 ყურში ჩამისმის ფლოქვთა თქერანი,

მოვიდეს, ფაფარს ჩემთან იშლიდეს,  
 და მომაფრენდეს შენსკენ მერანნი.

VI  
ნიკოლოზიძე

როგორც ცერექის<sup>1</sup> ჯაჭვის აბჯარი  
 მანთებს, მალეძებს შენი ძახილი,  
 შენ ჩემს სულში ხარ ისე ჩამჯდარი,  
 როგორც ბუდეში არის მახვილი.  
 და თუ სინათლე შევა ალებმა  
 ჩამიჭრეს,  
 თქვენთან ვეღარ მოვედი,  
 ო, გრიგალებო. თქვენ გვევალებათ,  
 რომ დაიტვირთ თქვენი პოეტი.  
 ფერფლად აქციეთ ჩემი სხეული,  
 რადგან მასშია ალბეჭდილები  
 და ვით ხალთაში გამოხვეული,  
 სხვა გრიგალები, ქარტეხილები,  
 სამყაროს შემართეთ, ნუ მკერძალებით,  
 დე ვიტრიალო სხვა ცთომილებით,  
 რომ მიყურებდეს ბავშვის თვალები  
 და სურდეს ჩემთან დამშობილება;  
 რომ უსასრულო სივრცეში ვჭროდე,  
 რომ მარადისად ვიცვლიდე სახეს,  
 ხან ნისლი ვიყო და ხანაც მჭონდეს  
 ყვაფილის ნიჭი — თვალებს როს ახელს;  
 ხან ნამად-ვკართოდე ბალახზე, მზეში,  
 ხან წვიმის მარცვლის ვიყო ციმციმი,  
 რომ შეიგროვოს გოგონამ პეშვით  
 და გამაბნოს შემდეგ სიცილით.

თარგმნა ზ. ხარანაულიძე




<sup>1</sup> ცერექის აბჯარი — ჯაჭვის პერანგი ნართების ეპოსში, ბრძოლის დაწყებისას, ალბეჭ-  
 ბელი და კეცხლად ანთებული, შებრძოლს თავისათ მიაფრინდება ხოლმე.

## ბ ე ღ ი

შევესისხლზორცეთ ერთმანეთს  
ბავშვობიდანვე კარგად,  
ეს სიყვარული, ღმერთმანი,  
ჩვენ საუკუნოდ გვწამდა.  
თუ შევბაროდით გაზაფხულს,  
გზებმა გაგვყარა უცებ,  
ირმის რქებივით დახლართულ  
გზებს ავი ზრახვა უღვევთ.  
ჩვენ ხსვადასხვა გზით წავედით,  
თითქოს გაგვეყვითა ხმალმა,  
ან ღამის სიმწუხარეში  
ჩაგვრუმქრა ქარიშხალმა.  
უცნაურია, ვერავის  
ვეღარ დავედევით ბრალი.  
ჩვენ ჩვენი ბედი მდევარი

აგვეკვიტა მთვრალი.  
გულში ძახილი შოისმის,  
ცოცხლობს იმედის ძალა,  
რომ ჩვენი გზები ოდესმე  
ერთი იქნება მარად.  
და ამ იმედით ვცოცხლობთ ჩვენ  
და გზას გვინათებს შუქი,  
ძალა არ მყოფნის, როგორც შენ  
არ გყოფნის სიჩაუქე.  
შევესისხლზორცეთ ქარ-წვიმას,  
ეს არის ჩვენი ბედი...  
მაშ მონავარდუ არწივმა  
როგორ დაკეცოს ფრთები?!

თარგმანი იოსებ ჯაბახაძის





ნ ყ ა რ ო

შენ, იმ გარდასულ დღეთა წყაროვ,  
ო, არ მიწყინო,  
რომ კვლავ შენს  
ლაქვარდს ვეწაფები, ჩემს წყურვილს  
შველი.

სრულიად სხვა ხარ,  
წყაროვ ჩემო, ჩემთვის,  
მიწყვიტაც  
ყურს ეამების წკრიალი შენი.  
სად არ ვიარე,  
თავანს ვტრეტდი მთებზე შემდგარი,  
შემისვამს წყალიც,  
მომიღლია ცურვით მხარ-მკლავიც —  
მაგრამ მე არსად შემხვედრია,  
წყაროვ,  
შენდარი  
წყალი გემოთი და სიკამკამით.  
შეხვედები წყაროს.  
გადაგაგდებს სადაც გზა-კვალი,  
ყველგან —  
წკრიალებს, მოჩუბჩუბებს, მოიტბორება...  
ყოველ სოფელთან,  
ყოველ ხესთან წყარო ანკარა,  
ყოველ ბილიკთან და მთა-გორებთან.  
წყაროვ,  
ყველაზე უკეთესად მიჩანხარ ქვეყნად,  
ვით შენი წყალი,  
ჩემი ფიქრიც არ აიმღვრევა,  
მსურს გიგალობო საგალობელი,  
უნდა გიმღერო,  
წყაროვ ჩემო, ქების სიმღერა!  
შენ ბებერი ხარ,  
ჭაბუკურად შენ ხარ მარები;  
სვე-ბედი შენი შეზარავდა

ხორციელს დღესაც.  
ვით ძე კაცისა,  
შენი დღენიც იყვნენ მწარენი.  
და გაისმოდა მაშინ შენი  
მწუხარე კენესა.  
ხან დაშრებოდი, ურვილი და  
დანაოკები,  
ცრემლად ეონავდა შენი წყალი,  
ცრემლნიც გტოვებდნენ.  
მაგრამ ჩვენ მაინც მოვდიოდით  
შენთან კოკებით,  
იშედს მოვყავდით შენსკენ ყოველდღე-  
ასე ბრუნავდა დრო-ჭამი...  
და ისევ მორბოდი,  
მოჩუბჩუბები და ვერაფერს  
გაკლებდა სიცხე.  
და ტიტინები კვალად ამოდ  
და ხმაკეთილად,  
ვითარცა ბავშვი,  
პირველად რომ საუბარს იწყებს.  
სიჭაბუკისა ჩემის წყაროვ,  
ტრფობის ანკესი  
შენსკენ მეწევა  
და შენი ხმა ბურანში მახვევს,  
მაგ მოკამკამე წყალში ვხედავ,  
როგორც სარკეში,  
ჩემს გამზდარ სახეს და ბებერ სახეს.  
გსვამ, კვლავ მწყურია შენი წყალი,  
ასე უღვევად  
მსურს მოდიოდე,  
სურნელით და სიწმინდით სავსე.  
არა, შენდარი წყარო ქვეყნად  
არ მგვეულება.  
ო, კარგად ვიცი, არაა არსად!

## ხალხია ჩემი ბედნიერება

ვზივარ მინდორში, ტყის ნაპირას, და გულს გუნება  
გამიხალისებს ოცნებებით ნაირ-ნაირით;  
ესაღბუნება მზერა ჩემი ლამაზ ბუნებას  
და მკერდს მიგრძობს წყაროსავით სუფთა ჰაერი,

გული კი... გული მარტოობით ახლა ისეა,  
თითქო უემური შემფოთება აღარ გაუვლის...  
დიდ არს ბუნება! მაგრამ აბა რის მაქნისია,  
თუკი ჩემამდე ვეღარ აღწევს ხალხის ხმაური,

და გული იქით მეძალდება, სად ჩემი სოფლის  
მწყემსები ფარებს აძოვებენ... სტვირით, ლეჭებით...  
მე მათთან ერთად საუბარიც კი ღებინად მყოფნის,  
აგერ, გახედე! — ქულს მიქნევენ უკვე მწყემსები.

„აქეთ! აქ აქეთ“ — მწყემსთა ხმა თუ ცხვართა ბლავილი  
მოსწვდება ჩემს ყურს: „აქეთ! აქეთ!“ — ისმის ხმაური;  
სადაც სიცოცხლის ტრიალია წყაროს თვალღვით,  
სწორედ იქ მინდა მე ცხოვრებაც და სიხარულიც!

წარტოს, ამ ნათელ ქვეყანაში, თავში სახალად  
ნაქცევა ოქროც, არც რა მინდა ამ ბრწყინვალეების  
მე ყველა კაცის გამოჩენა დასტურ მახარებს,  
ბედნიერება მე მიღიმის კაცის თვალებით.

ალ. ფუხაივი

## ნ ა კ ა დ უ რ ი

ნაკადული ვარ მთებისა,  
დღედაღამ დაუძინარი,  
კლდეებზე ფრენით მოვდივარ  
და ვუერთდები მდინარეს.

ვმღერი, მოვცეკვავ, მოვლეღვ  
და მთების ამბავს გიამბობთ,  
ასი ლამაზი ვარსკვლავი  
ამ ჩემს ტალღებში კიაფობს.

ძველი გზის დასასრული ვარ  
და დასაწყისი მდინარის,

ღამით მთვარე მყავს მეგზურ,  
დღისით მზე-სხივთა მფინარი.

ზეცამ მიბოძა სილურჯე,  
მთებმა სიმღერად იფეთქეს  
და მიინდა გზაზე დაერიგდე  
მხოლოდ ლოცვად და სიკეთე.

ნაკადული ვარ მთებისა,  
დღედაღამ დაუძინარი,  
კლდეებზე ფრენით მოვდივარ  
და ვუერთდები მდინარეს.

თარგმნა მანუა შაველაშვილი

## ღელის სიმღერა

სდუმს არე-მარე, ვარსკვლავთა დასი  
ცას მოჰფენია — ცა ას თვალს ახელს,  
და საესე მთვარით — ყვითელი საცრით  
ეს მშვიდი ღამე ფქვილს აყრის სახლებს.

ვიღაც აკვანზე ღუღუნებს „ნანას“  
და ეფინება ღამეს იები,  
შორს, წითლად შვიდნი მთიებიანი ჩანან  
და სიხარულით თრთიან მთიებიც.

და ამბობს სარკმელს მომდგარი სხივი:  
— რისთვის მოსულხარ გვიანო მგზავრო?  
მაგ სახლში ახლა ასი მზე ღვივის,  
შენ მაინც ოდნავ ნაღვლობ და სჯავრობ...

ციდან ჩამოდის ეს ტკბილი „ნანა“,  
თუ სკვდავების წყალი შრიალუბს...  
მთვარე — საცერი ყვითელ ფქვილს ფანტაჟს  
და ჩემი გული ცაში ფრიალუბს.

აბა, რა იცის იმ ქალმა ახლა,  
რომ ვაყურადებ, მისი ხმით ვტკებები,

რომ ის სიმღერა შიმაფრენს მაღლა  
და სადღაც ქვევით რჩებიან მთები.

აბა, რა იცის იმ ქალმა ახლა,  
რომ ის სიმღერა მზესავეთ მათბობს,  
რომ ის სიმღერა ჩემს თვლებს დაღაცს  
და გუერთდები საესე ცის ტატნობს.

ო, დედაე — ჩემო ავისილო მთვარეე,  
მე ველარ ვუძლებ ამ ღამაზე სევდას,  
გამოიხედე ღრიტოდან გარეთ,  
დედა ხარ ჩემი — ნათელი დედა!

მე ყველგან გეძებ, დაგეძებ ოდით,  
ნეტავი ერთხელ მაინც მენახე,  
მეც მინდა შენი ალერსი, მოდი,  
თვალი მომაპყარ, ხელი შემეხე.

აბა, სიმღერამ ჩაკრიფა ფრთები,  
ჩაქრა სინათლე ჩათვლიმა ბავშვმა,  
ჩანან სამშობლოს მთები, ამ მთებზე  
მე მიმაჯაჭვა „ნანინას“ ჯატვმა.

მთარაზი მუხარაზი

## ზ ი ა რ ი

მკაცრი ნაოჭი ჩემს დაღლილ შუბლზე  
არის ზიარი ცხოვრების დაღი.  
ოცნება ჩემი, მძიმე თუ ლაღი  
დიოდა შენთვის, შენს გამო, შენით —  
შენთან მიდიან სიცოცხლის დღენი.

შენს გამო არის მხურვალე ღვარი, —  
ოღეს ლაწვებზე ცრემლი ცრემლს ერთვის.  
ქვეყნად ყველაზე მშვენიერ ყვავილს  
ძვირფასო, ისევ დაგეძებ შენთვის,  
რომ შეგბა გულის გარგუნო ამით...

ზიარი ტრფობის ნეკტარით და შხამით,  
ზიარად ვკრიფეთ ზიარი ბაღი...  
ხანამ აპრილის ბიბინა მინდვრებს  
მზე მთებზე მწვანე დროშებად ჰკიდებს, —  
დამშვიდდი, მანამ ჩივილი არ ღირს!

თარგმანი თ. ბაქიშვილი

# კიდევაც ღაიზრღებიან...

მოთხრობა

## ბაი ყმა

ღღეს დავაარგავ, ხელ ვაპოვი,  
ჩვენი ბელი ასე სჭრისა.  
ხალხური

ჭერ კარგად არ იყო ნარიერაქევი,  
როცა თბილისის ერთ-ერთ სახლის წინ  
მანქანის ირგვლივ რამდენიმე ვაჟაკი  
ტრიალებდა.

მათი საუბრისთვის რომ ყური მი-  
გვდოთ, უეჭველად იცნობდით ჩვენს  
ძველ მეგობრებს.

— მოიტა, ეგეც მოიტა, დარში ნა-  
ბაღს ნუ დააგდებ, ავღარში ქალამან-  
საო.

— ეგ მართალია, მაგრამ ისიც ხომ  
იცი, აქლემს საცერი დაადეს, დაწვაო,  
აიღეს და ადგაო. ზედმეტი ბარგი ხელს  
შეგვიშლის.

— მიინც ამ შუა ზაფხულში რად  
გვინდა ამდენი თბილუული.

— ბზეს დრონი ვაპყიდიანო, აღდგო-  
მა და ხეალაო.

— თქვენ რამდენიც გინდა იბურ-  
ტყუნეთ.

— ვახტანგ, შენ ნუ უშლი ხელს,  
მინდაიმ იცის, რაც უნდა, გზა რამ მო-  
ლალა და ბერიკაცმაო.

— არა უშავსრა, ერეკლე, ხომ იცი,  
გოგი მოზვერი კაი ხარი დადგება, —

გაეღიმა მინდიას და ხილით სავსე კა-  
ლათა მიაწოდა.

— გოგო, ლელა, სადა ხარ? — გაქ-  
დახა ერეკლემ.

— ახლავე, ხაჯაპურებს ვაცხობ.

— სადაა მერე აქამდე? დედაბერი  
ბუქნას უვლიდა, არც მთა უმადლოდა  
და არცა ბარიო.

— ეგ მაგაზეა ნათქვამი: ენამ მოქა-  
მა სოფელი, არც ეგრე ხმალმა ამოღე-  
ბულმაო, — ჩამოსდახა კიბის თავიდან  
ლელამ, — პირზე მომდგარსა სიტყვისა  
განა სუყველას თქმა უნდა. — იწყინა  
„დედაბერი“, როგორც ჩანდა, ლელამ;  
შალვა კი უკვე მანქანაში იჯდა, თავის  
საქმე მოეთავებინა.

— რა ვქნა! თქვენ მოდიხართ თუ  
ლექსაობთ?

— შალვა, თავის ადგილას ლექსიც  
კარგია, — შეეხმაურა მინდია.

— დროზე უნდა ავიდეთ, დმანისში  
ხომ გიორგი გვიცდის.

— გიორგიმ იცის თავის ბოკვერების  
ამბავი, რომ ყოველ ნანგრევს შემოუღე-  
ლიან და დაგვიანება არ გაუკვირდება.

— მაგრამ, ისიც ხომ იცით, გზა კი-  
ვის წარმავალისაო.

ჩაერია გივი, რომელიც მათი მგზავ-  
რობის განუყრელი წევრი იყო.

უკვე ჩაბარებული იყვნენ, როდეს-

ხაც მახათის მთის წვერის გადაღმიდან ცაში სხივები აიჭრენ.

— მზეო ამოდი, ამოდი, — მთელი გულით წამოიძახა ერეკლემ.

— ნამდვილი მზის შვილია.

— უფრო მზის ნატეხია, — წაიღუღუნა შალვამ.

მანჭანა გასცდა ვანჯის კარს, აი, იმ ადგილს, სადაც ახლა სამასი არაგველის ობელისკი დგას, და კრწანისში გავიდა, თუმცა უფრო სწორი იქნებოდა ორთაქალაში; დღეს ორთაქალის ბაღების ნაშთი-ლა არსებობს; მათ მაგივრად ახალი, ათსართულიანი სახლები და ქარხნებია. კრწანისის ზემო ნაწილში ბაღები კიდევ არის, მაგრამ ის ბაღება აღარ არის თბილისს რომ მწვანელითა და ახალი ხილით აღამაზებდა.

ვახტანგი რის ვახტანგი იქნებოდა, რომ ლადო ასათიანი არ მოეგონებინა.

პეი, თქვენ, არაგველებო,  
გაუმამლარო ოპითა,  
თქვენ საფლავებთან მოსვლა და  
მუხლის მოღრუკა მომინდა.

— დავიკადოთ, სწორედ აქ მინდა ერთი წერილი მოვიგონოთ, რომელიც ამას წინათ დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. მას „უქანასკნელი არაგველის სადღეგრძელო“ ეწოდება. მხოლოდ ცოტას შევამეორებ და ერთ ორ ფრაზას დავუმატებ, — თქვა ვახტანგმა, — თანახმა ხართ?

— იყვეს ნება შენი.

— მაშ მიგდეთ ყური, — და დაიწყო:

„ამბობენ, არაგვის ხეობაში პირველად უქანასკნელი არაგველის სადღეგრძელოს დალევენ და შემდეგ სამასი არაგველისას და ყველა იმათი, ვინც სამშობლოს დიდებას თავი შესწირა. პირველად ეს რომ გავიგე, მეწყინა. განა ყველამ თავი არ დადო სამშობლოს დიდებისათვის? ვფიქრობდი, მაგრამ დავუკვირდი და დავრწმუნდი, რომ უქანასკნელი არაგველი ღირსია, რომ მისი სადღეგრძელო განსაკუთრებით დაილოს.

მართლაც, წარმოიდგინეთ ვახტანგებუ-

ლი, სისხლისმღვრელი ოპი, ირგვლივ ყველა შემოვიხოცეს და მარტო დარჩი. კრილობანი შენც გამჩნევია, შტაბლს სისხლი ჩამოვდის, მაგრამ ნაბიჯს უკან არ სდგამ, შენი ხმალი კვლავ წივის, ხედავ მარტო ხარ, მაინც იბრძვი...

ალბათ აქ დაიბადა, ან ასეთი ბრძოლების შედეგად:

მაღალი მთისა ვაჟაიცი  
ვეხელ ქორიეთ ჭიოღა,  
ასი ნახმლევი შეტლა აჩნდა,  
მკერდს სისხლი ჩამოსდიოდა,  
ორსზე მეტა მოეცლა,  
უვაჟაიციბას სიოღა.

რა ძალა იყო ის ძალა, რომელიც უქანასკნელ არაგველს უკან არ ახევი-ნებდა, ან რა ძალა იყო ის, რაც კამეჩის მეხრეს დიდად არაფრად მიაჩნდა, რომ ასზე მეტი ბტერი მოეცლა და ჯერ არსად ეთქვა?

რა და თავმდაბლობა, სამშობლოს სიყვარული; ის თავის შრომას არავის აყვედრიდა, თავს ვალდებულად სთვლიდა ქვეყნისათვის სარგებლობა მოეტანა.

„კამეჩის მეხრე“ შემთხვევითი ლექსი არაა. იგი ხალხის მსოფლმხედველობის გამოხატველია თავის მოვალეობაზე.

არც ჩვენი ქალები ჩამორჩებოდნენ ვაჟაიციებს:

თუშის ქალმა თქვა: შევირთავ  
ბასრის ზღის ამომღებელსა,  
სულ უწინ ოპში ჩამსვლელსა,  
სახელს შინ მომღებელსა.

სწორედ ამიტომია, რომ ჩვენმა ხალხმა გულში ჩამწვდომი ლექსი უძღვნა ასეთ ქალებს:

თამარსა ვიშლოვანელსა  
ვაში უღვია თავსაო,  
რიგი მწიფს, რიგი ყვავილობს  
იმის საფლავის კარსაო.

კაი ყმა ყოველთვის იდეალი იყო ჩვენი ხალხისა.

სოფელს სტირიან ქალები,  
სოფელს კაი ყმა კედებაო,  
ღმერთო, ნუ მოკლავ კაი ყმას,  
სოფელი წაგვიხდებაო.



კაი ყმას

ომში წინ წასვლა უყვარდა,  
ხელთ დაბლუქული ხმალი,  
არას დასდევდა სიკვდილსა,  
ოღონდ არ შერცხვეს ჭარია.

აი სწორედ ეს იყო ძირითადი და მთავარი: „არას დასდევდა სიკვდილსა, ოღონდ არ შერცხვეს ჭარია“. ის საქვეყნო საქმეზე, სამშობლოზე ფიქრობდა, იგი ეხატა გულზედა.

საქმე ის არის, რომ ქართველი კაცი, კაი ყმობას მარტო ომში კი არ აფასებდა. კაი ყმა ყოველთვის და ყველგან კაი ყმა უნდა ყოფილიყო — კარშიც და სახლშიც. გამრჯე, ფაქიზი, თავზიანი... ყველგან კაი ყმობის კვალი უნდა დაეტოვებინა. სულ ერთია, დიდი იყო იგი საქმე, — თუ პატარა, დაუფლებელი არ რჩებოდა.

კაი ყმის ნაბინავარში  
ღერწანი დარჩებიანო,  
ცუდაის ნაბინავარში  
ქარნი ნაცარსა ჰყრიანო.

ამავე დროს ჩვენი ხალხი ცხოვრებას დიდ პრეტენზიას არ უყენებდა.

ქართველი კაცის ცხოვრებას  
ბევრი არ უნდა ხრილი,  
ულელი ხარი ეყოფა,  
ორიოდ პროხა რქიანი,

.....  
ცილი შეირთოს მშრომელა,  
პატოისანი, ზნიანი.  
თვითონაც იყოს მუშაკი,  
ცილშილ-მოყვარე, ჰკვიანი,  
მეზობელ-ნათესავებთან  
ხათრიან-თავიზიან..

აქ ხალხური ლექსების განხილვას და შეფასებას არ ვაპირებთ. იგი, ასე ვთქვათ, მოწმედ გამოვიყენეთ; არც ერთ ისტორიულ ძეგლში, თუ დაწერილ მატრიანეში, ისე ნათლად არ ჩანს ხალხის მრწამსი, იდეალი, როგორც ხალხური შემოქმედების ნიმუშებში. ხალხურა ლექსი, თუ თქმულება საუკუნეთა მანძილზე იხვეწებოდა, ყოველივე ზედმეტ სცილდებოდა, რჩებოდა ხალხის და

სწორედ ამ ლექსებში ჩანს, თუ რა მიზნად ჩვენს ხალხს კაცობისა და ადამიანობის იდეალად; ეს იყო კაცი თავდადებული მებრძოლი თავის ერის გადასარჩენად, მის საყეთილდღეოდ.

და როდესაც მტერი გვეხვია ირგვლივ, ყველაზე დიდი მოვალეობა იყო სწორედ ბრძოლა ხალხის გადასარჩენად, მისი დიდების შესანარჩუნებლად.

თქვენი ჭერია ახლებო,  
ხელს დაღება ხმალზედა,  
ყორნები დასუქებულან  
მაშების ნაოშარზედა.

დღეს, მშვიდობიანი მშენებლობის დროს, კაი ყმას სხვა მოთხოვნილებას ვუყენებთ, თუმც სამამულო ომმა გვიჩვენა რომ ძველებურ კაი ყმობას თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. მრავალმა ქართველმა ვაჟკაცმა ოქროს ასოებით ჩაწერა თავისი სახელი სამშალოს სადიდებელ მატრიანეში; ამ ვაჟკაცებიდან ომიდან ვინც ცოცხალი დაბრუნდა, მათ სიცოცხლეს რომ თვალი გადავავლოთ, დავრწმუნდებით, მშვიდობიან ცხოვრებაშიც მთელი მათი სიცოცხლე მხოლოდ კაი ყმობაა, შემოქმედებითი შრომა საკუთარი ხალხის საყეთილდღეოდ; ზოგი მათგანი უკვე პროფესორია, მეცნიერების დოქტორი, ყოველთვის იბრძვის სიკეთისათვის, სადაც საჭიროა და სადაც ხმა მიუწვდება, თუმც შეიძლება ეს ბრძოლა „პროფესორის კოდექსში“ არც ეწეროს. ბევრი მათგანი იცავს ჩვენი ერის დიდ მემკვიდრეობას, კულტურის ძეგლებს, სიტყვით და საქმით მონაწილეობას იღებს კულტურის ახალი ძეგლების შექმნაში.

დღეს ხომ ერეკლეს დრო არ არის, ან დიდი თურქობა, რომ ყოველ დღე ხმალი ამოღებული გვეჭიროს. ომი უკვე ოცდაათი წელია მოთავდა, მაგრამ ასეთი ომი რომ აღარ მოხდეს, სწორედ იმიტომ გვჭირია კაი ყმობა; და ყველაზე მეტად ჩვენ, ქართველებს, გვჭირია, ჩვენ ხომ ცოტანი ვართ და მარტო ქერჩის ტრაგედია გაიხსენეთ, რა ზღვა სისხლი დაგვიჭდა ჩვენ!



თანამედროვე კაი ყმა უნდა იყოს მშრომელი, ალაღმართალი, პირდაპირი (თუმცა «ვატკაცი წყნარი სჯობიან, რო გაჭირდება, მკვებარი»), არ უნდა შეუწინდეს სოფლის ავყიანობას. ძველადაც იყო კაი ყმის აუგად ხსენება. ახლანდელი მოგონილი როდია!

კარგ ყმისა მშრომს სოფელი,  
იტყვიან კარგი რად არის?  
საქმე რა გაუჭირდებათ,  
ჯველა იბარებს საღ არი?

აი, ესაა გამარჯვება ადამიანისა, როცა გაუჭირდათ მოიკითხეს, ასეთი გამარჯვებისათვის კაცი არ უნდა დაერიდოს არც შრომას, არც ღილის დათენებას შრომით შემოქმედებაში.

ბევრი გვყავს კაი ყმა, მაგრამ გული კაცისა მაინც ხარბია კაი კაცობაშიც. და ამიტომ მინდა, რომ ჩვენ ქვეყანას ასეთნი უფრო ბევრი ჰყავდეს.

დღეს ცხოვრება ფრიად მრავალფეროვანია, ყველგან ვერ მოასწრებს კაცი, მაგრამ ყველასათვის ერთი ადამიანური თვისება მაინც სავალდებულოა. ესაა ადამიანის გულის სიკეთე, გულისხმიერება. თუ კაცს უჭირს, მყისვე მის გვერდით უნდა გაჩნდეს, მხარში ამოუდგეს; თუ საქმით არა, ტკბილი სიტყვით გული უნდა გაუმხნევოს. ღობე ქაცვითა; კაცი კაცითაო, — იტყოდნენ ჩვენი ძველები და ეს არც დღეს უნდა დავივიწყოთ. დღეს რაღაც უცნაურობა დაგჭრებდა: გულისხმიერება სააუგოდ მიგვანინა, ვაი თუ ვინმემ ცუდად გაიგოსო ერთმანეთის მოკითხვა, თუნდაც რაიმე პატარა ნობათით. რა არის აქ სააუგო? ძველად მეგობარი რომ მეგობართან წავიდოდა, ან ნათესავე ნათესავთან, უმკველად გაიყოლებდა რამე ნუგბარს — მეგობრის საყვარელ ნივთს, ვთქვათ ქისას, რაიმე ბილს (ახლად შემოსულს ბალს, ყურძენს), ერთ ხელადა განსაკუთრებულად დაყენებულ ღვინოს, ტკბილს და სხვა. ეს ჩვეულებრივი ყოფა იყო ჩვენი ხალხისა და ჩვენი ცხოვრებისა. დამხდურებიც სამაგიეროთი უპასუხებდნენ, იყო

ტკბილი, მეგობრული, სიხარულით სავსე საუბარი. აი ეს გულისხმიერება, ურთიერთის სიყვარული დღესაც გვჭირია.

დაფიქრებით უნდა აირჩიო დარგი, მაგრამ რა დარგსაც აირჩევ, იქ უნდა იყო პირველი, სხვებისათვის მაგალითის მიმცემი. მართალია, მკობნს მკობნი არ დაეღუვა, მაგრამ, მაინც უნდა ეცადო დღეს პირველი იყო შენს საქმეში, ზვალ სხვა იქნება. და არ უნდა გეწყინოს, რადგან მისი პირველობა შენი პირველობის განვითარებაა და რაც მთავარია, ქვეყნისათვის გამოსადეგი.

არც ერთი კარგი საქმე უბრალოდ და ადვილად არ მოდის, ყოველ პროფესიას სჭირია შრომა, არა მარტო დიდი შრომა, არამედ გონიერი, ყოველმხრივ გეგმაშეწონილი, გაანგარიშებული.

ყველას გვახარებს თუნდაც რომელიმე ჩვენი სპორტსმენის გამარჯვება.

ყოველი მათი გამარჯვება მრავალათას ადამიანს სიხარულსა და სიამოვნებას ჰგვრის. ეს კი უდიდესი დამსახურებაა ერის წინაშე, რადგან ყოველი სიხარული თავდება სიცოცხლის რაღაცა ნაწილის გაგრძელებისა. მოზიბლეს მსოფლიო ჩვენმა მუსიკოსმა ქალებმა. მოქიდავეებმა, ახალგაზრდა მეცნიერებმა, კოლმეურნეობის მუშაკებმა, მეფოლადეებმა და შეიძლება ასობით გვარი ჩამოვწერო და ცნობარში არც ჩავიხედო. ეს იმას ნიშნავს, რომ კაი ყმობა დღესაც დამახასიათებელია ჩვენი ცხოვრებისათვის.

და როდესაც მათ სახელებს ვწერ, არც ცნობარში ვიყურები, არც უბის წიგნაკში, თავისთავად მოდის, კალამით ვწერს. ესაა სიცოცხლე ერისა, ესაა უკვდავება ხალხისა, ესაა დღევანდელი სამშობლო და როდესაც ამ ახალგაზრდებს ვიმოწმებ, მე მინდა, რომ ჩვენი ახალგაზრდობა, ყველა თუ არა, დიდი უმეტესობა, ასეთი იყოს.

ხალხის ვარეშე არც სამშობლო არსებობს.

სამშობლო კი ყოველმხრივ დამშვე-

ნებული უნდა იყოს, პირველ რიგში, ხალხით; ყველა დანარჩენს თვით ხალხი მისცემს თავის სამშობლოს, საჭირო იერსა და პეწს მიანიჭებს.

ქართველები ვამყობთ პეტრე იბერის, გიორგი მთაწმინდელის, პეტრიწის, რუსთაველის, გურამიშვილის, საბას, ვახუშტის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა ფშაველას, დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალის და სხვათა სახელებით; ამა წარმოიდგინეთ რა უიქნებოდით, ან რა იქნებოდა ჩვენი წარსული, იმ დიდ გზას, რომელიც გამოვიარეთ, მათი სახელები რომ ამ ამშვენებდეს, რომ არ ბრწყინავდნენ ისინი, როგორც ჩაუქრობელი სანთლები. იქნებოდა ჩვენი ისტორია? შეიძლება უოფილიყო, მაგრამ ფრიად უფერული, ფრიად უხალისო.

მე ვერ მივიღებ იმ ახალგაზრდას სადღეგრძელოს სამშობლოზე, რომელსაც ჯერ არაფერი გაუკეთებია; თქვენ იტყვით დაგვაცადეთ, ჯერ ახალგაზრდები ვართ. ჯერ ერთი, ამ ბოლო დროს, ზოგიერთი წინდაუხედავი მშობლის წყალობით, ცნება „ახალგაზრდობის პერიოდი“ ფრიად გახანგრძლივდა და ნებას არ აძლევს „ახალგაზრდას“ დამოუკიდებელი ცხოვრებისას; ეს გამოწინააღმდეგობაა, ჯერ დაგვაცადეთო, მაგრამ მე ვერ დავაცდი, რადგან აღამიანის მოვალეობა სკოლის მერხიდანვე უნდა დაიწყოს. მოწაფე ხარ? ბრწყინვალე მოწაფე უნდა იყო, შრომით მიაღწევ ამას. სტუდენტი ხარ? უნდა იყო ბრწყინვალე სტუდენტი. ეს ბრწყინვალეობა არ მიმანია ისეთად, რომ ციდან ვარსკვლავებს კრფდეს, არა. საკმარისია შენი მოვალეობა წმინდად, ზუსტად და კარგად შეასრულო, განა ამას დავა უნდა? დღეს შენ ეს გვეალება და ეს უნდა გააკეთო. თუ გინდა კარგი შენობა ააგო, კარგი საძირკველი უნდა ჩაყარო. სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი ისაა, სადაც შენ კაცობას მაგარი საძირკველი უნდა ჩაყარო.

განა ამას უნდა თმაში ქალარა? არა, არ სჭირია, არ უნდა. ამას უნდა გავე-

ბა, რომ შენ გამგრძელებელი ხარ დიდი ტრადიციისა, მამულის დიდი სიყვარულისა, ჩვენმა ძველებმა ჩვენნი ქვეყანა დღემდე მოიტანეს და ჩვენც იგი, უფრო ბრწყინვალე, მომავალ თაობებს უნდა გადავცეთ.

სამასი არაგველი რომ კრწანისის ველზე იბრძოდა და უთანასწორო ბრძოლაში იხოცებოდა, ისინი სწორედ თავის ქვეყნის ჩაუქრობელ კერაზე ფიქრობდნენ.

ამ გმირ სამას არაგველში ხომ ერთი მათგანი ყველაზე ბოლოს დავცა ბრძოლის ველზე. მარტო დარჩა და ფეხი მაინც წინ წადგა, მრავალჯერ დაქრილმა, სისხლით დაცლილმა, მაინც ხმალი მოიქნია. აი რისთვის სვამენ პირველ რიგში უკანასკნელი არაგველის სადღეგრძელოს!

— ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ ხომ არ გავიწყდებათ, რომ ოთხმოცი წლის სარდალი აქ, არაგველების მხარდამხარ იბრძოდა, მას ამ დროს გარს ეხვია შვილები და შვილიშვილები. მტერგარშემორტყმული მოხუცი პაპა ორმა შვილიშვილმა გამოიხსნა, ერთმა მარცხენა ხელით მისი ბედაურის აღვირი ჩაბლუჯა და მარჯვენით კი ხმალს იქნევდა, მეორე შვილიშვილმა კი არა ერთი ყიზილბაშის თავი კიდევ გააწითლა...

— ევალეობოდათ.  
— რამდენს ევალეობა, მაგრამ არ აკეთებს.

— ასეთნი არავის ახსოვს.  
— დობროლუბოვი ოცდასამი წლის იყო, რომ მოკვდა და დიდი მემკვიდრეობა დატოვა.

— ცხრამეტი-ოცი წლის იყო ნიკოლოზ ბარათაშვილი, როდესაც „ბედი ქართლისა“ დაწერა.

და რა იხილეს გაჭირდა საქმე, მყის აიკეცეს ჩოხები თურმე, ხელი ხმალს იერეს მამაშურად და დიუროვნენ თავისებურად —

მოიგონა ერთი ტაეპი ვახტანგმა —  
— რაღა „აიკეცეს ჩოხები?“ — განა

„ჩაიკეცეს ქულები“ არ არის?

— ყოჩაღ ლელა, ნიკოლოზ ბარათაშვილს „შეუსწორე“...

მინდია მისარგებლა, რომ ბარათაშვილზე ჩამოეარდა ლაპარაკი და მონდომა საუბარი ახალ არხში გადაეგდო.

— თქვენ იცით, რომ მელიტონ ბარათაშვილის სახლი შინდისში იყო, აი ამ კრწანისის თავზე?

### რამდენი მარაბდა ღაპიბირი?

შესაშინებლად იხილ ვყოფით,  
ერთხელ ხმამალა რომ ვთქვით მარაბდა.  
ღ. აბათიანი

ფონიჭალამდე ჯერ არ იყვნენ მისული, რომ მანქანა კვლავ გააჩერეს.

„ფონიჭალა“ ხმარებაში უკანასკნელ წლებში გაჩნდა სოღანლუღის ნაცვლად. ძველ წყაროებში ამ ადგილს ყურყუთა და საყალტუთნი ეწოდებოდა (ვახუშტი), ხოლო ჩვენი მეცხვარენი ამ ადგილს ფონიჭალას ეძახდნენ. მართლაც, მტკვარი აქ დაშლილია ტოტებად და ადვილად გადსასვლელია; თრიალეთიდან დაბრუნებული მეცხვარეები, მტკვარი თუ აღიდებული არ იყო, აქ გადიოდნენ, მით უმეტეს ამ ადგილთან საკმაოდ მარჯვეა ჭეირანჭალა, სამგორი, გარეჯის უდაბნო.

მინდია თავის მგზავრები მტკვრის კბოღზე გადაახედა.

— თი ამ საქაჩავ სადგურს წყალი თელეთ-კუმისის მინდვრებში გადაპყავს, — უკან მიიხედეს და თელეთის ქედის ზურგზე სამი უზარმაზარი მილი აზიდულიყო.

— თამარ დედოფლის დიდ ღვაწლად ხალხმა ლექსში მოიხსენია: „უწყალოს წყალი აღინაო“; განა ეს მეტი არაა. ალბათ ჩვენს დროზე რომ „წყალი მთებს გადაატარაო“...

— კარგია! სწორედ აგრეთა, — მოუწონა მინდიამ.

— ამ წყალმა გააცოცხლა დიდი მინდორი მტკვრის წყალი ზამთარში კუ-

მისის ტბაში გროვდება. ამგვარად იქმნება საკმაოდ დიდი მარჯვი, რომელიც ზაფხულში იხარჯება მინდვრების მოსარწყავად. კუმისი, მოგეხსენებათ, მლაშე ტბა იყო, მტკვრის წყალმა გაამტნარა და ამან კიდევ გააადვილა თევზის მოშენებაც, მაგრამ ამაზე შემდეგ.

აქ მტკვარი რამდენიმე ტოტადაა დაშლილი და კუნძულები გაუჩენია. ოთხი-ხუთი პატარა კუნძული დაფარულია ვერხვის ნორჩი ამონაყარით, დიდ კუნძულზე კი კარგი ვერხვარა ჩანს.

— აბა რამდენი წლის იქნება? — იკითხა შალვამ.

გივიმ ვახედა კუნძულის ხეებს.

— არაგვის ქალის კვალობაზე თუ ვილაპარაკებთ, ორმოცი-ორმოცდახუთი წლის უნდა იყოს.

— მართალია, ჩემო გივი, ეს კუნძული ასეთივე ვერხვარით იყო დაფარული, მაგრამ სწორედ ორმოცდახუთი წლის წინანდელმა წყალდიდობამ წალეკა, მოგლეჯილი ხეები წაიღო და წითელი ხიდის მიდამოებში გარიყა, ზოგი ყაზახში ჩაიტანა, აქაური ვერხვების ნარჩით გაავსო რიყე და ნაპირი. ნაწილი ქალის ხეებზე იყო შეგდებული, ზოგი აყარაებული იყო. შემდეგ ამ ადგილას ისევ მორიყა ქვიშა და ლამი, ღორღი და ქვა. დღეს კი ისევ ვერხვიანი გვაქვს, მხოლოდ წინათ თუ თეთრი ვერხვი ჭარბობდა, დღეს აქ გაბატონდა ოფი, შავ ვერხვს რომ უწოდებენ.

— რახან თქმაა, ესეც ითქვას: თელეთის ქედზე ცხრაასიან წლებში პირველად დაიწყეს ცდები ჩვენი მთების გატყეებაზე. ამ საქმეს ვაშინ სათავეში ედგა მეტყვევ ივანე როშჩინი, შემდეგში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი ბოლოს — ამ საქმეს ხელი მოჰკიდა მეტყვევ გერმოგენ ბრეგაძემ.

— ელდარის ფიჭვი ასეთ ხრიოკ ადგილთა გასამწვანებლად პირველად როშჩინმა გამოიყენა.

— თი მამადავითის ქელი ამ ოთხმოც წლის წინათ, — გადაუშალა უკვე

მანქანაში ერთი წიგნი, — ეს სურათი გადილო ცნობილმა ფოტოგრაფმა ერმაკოვმა და ხედავთ სად გამოგვადგა!

— როგორ, მაშინ სულ მოტიტვლებული იყო?

— როგორც ხედავთ.

სანამ ფონიჭალაში მივიდოდნენ, მკობირი დახვდათ. ერთი გზა სამხრეთით მიდიოდა, რუსთავისაკენ. ფონიჭალიდან (სოღანლულიდან) რუსთავისაკენ თითქმის თხუთმეტი კილომეტრი ლარივით იყო გაკეცილი. ლომთავორის ჩრდილო-აღმოსავლეთის ფერდას ძირში გრძელი გზა პირდაპირ მტკვრისკენ ეშვებოდა და რუსთავში შედიოდა, მეორე კი აზერბაიჯანისაკენ მიდიოდა, რომელიც გადაკვეთავდა ქციაზე წითელ ხიდს ანუ გატეხილ ხიდს<sup>1</sup> და გადავიდოდა აზერბაიჯანში, ყაზახში.

— დღეს ვერ მოვასწრებთ, მაგრამ, როდესაც შემოვბრუნდებით გატეხილ ხიდისკენაც წავიდეთ.

ფონიჭალას გასცდები თუ არა, გზა ეგრეთწოდებულ „შორეულ მიწებზე“ გადის; როგორც ჩანს, იგი მტკვრის ერთ-ერთი ტერასა უნდა იყოს. ეს ადგილი მეცხრამეტე საუკუნეში იმდენად დაჭაობებული ყოფილა, რომ 1828 წელს თბილისიდან გასულს რუსის ჯარის კავალერიის ერთ პოლკს, იგი ვერ გადაულახავს, ამის შესახებ ცნობა შემოგვინახა ბურნაშოვმა. „შორეული“ იმ მიწდერის, უფრო სწორად, ვაის სახელწოდებაა, რომელიც ლომთავორის და მტკვრის ქალებს შორის მდებარეობს. ამ მიწდორში კრწანისის საბჭოთა მეურნეობის ფერმები და სათბურებია. სათბურების აშენების დროს აჩქარებულან და დაუმუშავებელ მიწაზე აუ-

შენებით. ეს ადგილი მლაშნარია, სათბურის აშენებამდე მიწიდან მარბლები უნდა ჩაერეცხათ, ასე ვთქვათ; ნიადაგი „გამეტყნარებინათ“, ახლა ეს სამუშაო სათბურის შიგნით ჩატარდება. ცოტა გაძნელება, მაგრამ მეტი ჯანი არაა.

ზოგი და ზოგი ახლა „კრწანისს“ ამ ადგილს უწოდებს. საერთოდ, სახელწოდებათა გადანაცვლებას ცოტა უდიერად ვეკიდებით. ამ უდიერობს ბრალია, რომ, მაგალითად, თბილისის მიდამოებში ტოპონიმმა „დილოძმა“ გორაკებიდან მტკვრის პირას ჩამოვიდა, „სამგორმა“ ოცი კილომეტრით გაღმონაცვლა და სხვ. საქართველოში ლამაზ სიტყვას რა დაღვეს, თუ მაინცდამაინც მოსანათლია ახალი, უსახელო ადგილი, გამოინახე შესაფერი ლამაზი სიტყვა და ის დაარქვი.

თემურმა გეზი სამხრეთისაკენ აიღო, შვენაბადას კუღზე გაჭრილ გზას დაადგა.

ეს აღმართი სწორედ ის ადგილი იყო, სადაც 1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, ერეკლეს რაზმს სახუნდარები ჰქონდა გამართული; კარგად იბრძოდნენ, აღა-მაჰმად-ხანი რომ დარწმუნდა ამ ადგილს ვერ აიღებდა, მტკვარს გაღმა გავიდა. რა იხილეს სახუნდარს მნიშვნელობა დაეკარგა, ჩვენებმაც თაბორის მთაზე გადმოინაცვლეს.

მანქანამ აირბინა თუ არა პატარა აღმართი, თელეთის მიწდორზე გაივია, შვენაბადას ქედს აღმოსავლეთ-სამხრეთით მოექცა. შუა ქედზე გუმბათივით იყო ამომართული მწვერვალი, რომელიც მიწის გულიდან ამონთხეულ გულკანურ ქანებისგან შედგება. შორს, ასეთივე ქანებზე ნაგები, ახეულა ანუ კოჭრის ციხე ჩანდა.

მხარმარცხნივ ლომთავორა მოჩანდა. დღეს სოღანლულს, როგორც ვთქვამ, ფონიჭალას უწოდებენ; სოღანლულა თურქულად „ხახვიანს“ ნიშნავს ისე, როგორც ნავთლულ—ნავთიანს. დღევანდელ აზერბაიჯანელებში ახლაც გავრცელებულია ხახვის ჯიში „სოლა“ და

<sup>1</sup> იალღუი — თურქულია, ერბოიანს ნიშნავს. იალ — ერბო, ლუჯ-ლუჯ — იანი.

<sup>2</sup> წითელი ხიდი აშენებულია მდინარე ქციაზე, თბილისიდან 57 კილომეტრზე, რისტომ გვეხს მიერ მე-17 საუკუნის შუა წლებში; წითელი ეწოდება იმიტომ, რომ აშენებულია წითელი კვადრატული ქართული აგურით. „გატეხილი“ დარქვა იმის გამო, რომ შუა ადგილიდან ხიდი ოდნავ გახრილია აღმოსავლეთისაკენ.

ისედაც იგი ხაზესა ნიშნავს. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ იგი ერთი ფრინველის სონდულის სახელისაგან არის ნაწარმოები. მაგრამ ეს მოსაზრება სწორი არ უნდა იყოს. მაშინ ან სონდულისი იქნებოდა (საორბისი), ან სასონდულე (საშვეარდნე). შვენაბადას სამხრეთისაკენ მიქცეულ ფერდობზე შეფენილი იყო ქვემო თელეთი, ახალწყარო, ზემო თელეთი, მუხრან თელეთი, წალასყური და ჩადაბლებებზე — დიდი სოფელი კუმისი.

გზა აღმართიდან ამოვიდა თუ არა, ახალწყაროსთან ახლად ნაკეთებ შარას დაადგა; სანამ ცივიზივის ხიდს გადაკვეთდნენ (ცივი ხევიც ხევხმელია)<sup>1</sup> მინდია მხარმარჯვნივ ხრიოკებზე მიუთითა, ეს „საჯაგევიზია“. საჯაგეებს აქაურები ძეძვიანს უწოდებენ, ნაწარმოებია ჯაგიდან (დაბალი ბუჩქი), სადაც ჯალჯის ღობისათვის ძეძვს ჩეხავდნენ, აფავდნენ.

თითქმის ახალწყაროსა და ქვემო თელეთის პირდაპირ, მინდვრებზე, ვგრეთწოდებულ „ნადელების“ ალაგზე და „ქოროლის წილში“, ამ უკანასკნელ ხანში დაარსდა მერქვეეობის შესანიშნავად მოწყობილი ფერმა.

თუ ამ 10-15 წლის წინათ ამ მინდვრებზე ზაფხულში ყველაფერი ამომხმარი იყო, დღეს მწვანედ გააქვს ღალანი; ახალი ფერმის მინდვრები მხოლოდ მოწვიმებით ირწყვის.

— რამდენადაც მახსოვს ერთხელ აგვიხსენი, რით იყვნენ ეს სოფლები სახელმწიფევილი, — კუმისი — ლელვით, წალასყური — ტარხენით.

— თელეთში კი დღეობა იცოდა, თელეთობა, აურ-ზაურიათი, მთელი მილეთის ხალხი ირეოდა თურმე.

— ალბათ ამიტომაც ნათქვამი — „თელეთობა ხომ არ არისო“, როცა უთავბოლო აურ-ზაურია.

— სწორედ ესეა, — დაუდასტურა მინდია, — იყო გამოთქმა „თელეთის

გლახაც“, რადგან აქ, ამ დღეს, თავს იყრიდნენ გლახები.

— ლუარსაბ თათქაჩიძეც აქ მოვიდა სალოცავად, ეგებ შვილი გამიჩინდესო. აგერ ახლა თელეთის წმინდა გიორგის ქვემოთ საშუალო სკოლის კოხტა შენობა დგას.

— ეს დაახლოებით ასი წლის წინათ იყო, აი ახლა მტკვრის წყალმა მიღებით გადმოიარა შვენაბადას (თელეთის) ქელი, გაზარდა კუმისის ტბა, გაამტკნარა, შიგ თევზი მოაშენეს და ირწყვის ეს უზარმაზარი მინდორი.

— კუმისის ტბა ერთი დიდი ტბის ნაშთად ჩანს. მლაშე იყო, მაგრამ შიგ წყლის აუარებელი კუ ცხოვრობდა. 1941-45 წელს ვიდაც საქმოსნებმა გახსნეს სასაუზმე, სადაც მუშტარს კუს ხორცსა და კუს წვეს სთავაზობდნენ. გამიჩინდნენ თბილისში ამ კერძის მოყვარულნიც, ორ წელიწადში წყლის კუ ტბიდან მთლიანად ამოიწმინეს და ამოწყდა კიდეც.

— გარდა ამისა, — განაგრძო მინდია, — ტბის ტალახი არჩენდა ქარებს, აგრეთვე აქ იყო თავისებური შავი ტალახი, რომელსაც „ტაროს“ უწოდებდნენ, აბანოში ხმარობდნენ, ტანზე წაისვამდნენ და ბალანს აყრევიებდა მთლიანად...

— ესეც თქვენი კუმისი! — თქვა თემურმა და მანქანა ხევის პირას გააჩერა.

— ეს ხევიც ხევხმელია, სამების ხევსაც ეძახიან. ძირს, მინდორზე კი, ნაგუბის წყალი ჰქვია. წყალი წვიმის დროს და თოვლის დნობის დროს მოწანწყარებს ხოლმე. კუმისს ზურგიდან უცბად ჩამოყვეთილი და ჩამოხრიოკებული თელეთის ქედის გვერდის ძირი აქვს მიდგმული.

ეს გვერდის ძირი სამხრეთისაკენ არის მიქცეული და ზაფხულის თვეებში მეტისმეტად ხურდება; საერთოდ, ამავე მიზეზით, აქ ზამთარიც საკმაო თბილი იცის. აქაური შავი ლეღვი, თბილისში „კუმური ლეღვის“ სახელით ცნობილი, საკმაოდ სახელრეანი იყო.

<sup>1</sup> ხევხმელი — ისეთი ხევი, რომელშიც წყალი მხოლოდ ნაწვიმარზე იცის, შემდეგ შრება.

ზედ დატანებაზე ორღობიდან რამდენიმე ბიჭი გამოვარდა და ჭამებით გულალეღვი მოარბენინეს.

კუმისში თავის სიცოცხლის დაისის დროს ხშირად ცხოვრობდა ჩვენი პოეტი გრიგოლ ორბელიანი, ხან ტაბახშელაში და ხან კუმისში იყო. აგერ, სოფლის თავზე, ხრიოკებ შორის მწვანიახნი ჩანს, იქ პატარა ტაძარია, „წმინდა სამება“, ორბელიანთა საძვალე, იქ უკანასკნელი ორბელიანებიც ასაფლავია.

— ქაშუეთი მაგათი საძვალე, ბეთანიაც, ფიტარეთიც! — გაიკვირვა ლელამ.

— რას იზამ, თავის დროზე დიდი ფეოდალები იყვნენ, ბევრნიც იყვნენ.

— ცოტა შევიცადოთ, — სთხოვა ეპიტაგმა, — პროფ. აკაკი ვაწერელიამ გამოსცა გრიგოლ ორბელიანის წერილები. ერთი წერილი ამ მხარეს შეეხება წაგვიკითხავთ. — და აღარ დაიკალა თხოვნა, ამოაძვრინა ჩანთიდან წერილების ტომი და დაიწყო კითხვა.

### წერილი გრიგოლ ორბელიანისა საფლან ორბელიანისადმი

ჩემო ბატონო, ძმაო ყაფლანი!

მერე: გუშინ ჩემი მოურავი გეუბნებოდა ჩემს სანახავად და აი ჩვენი ლაპარაკი, შენ გაიგე და გავგასამართლე:

— ყაფლანი როგორ ბრძანდება?

— კარგად არის, მაგრამ მე კი არ მინახავს, მიპასუხა გეუბნ.

მერე ვკითხე, ვალეწე ბიჭო?

— ჯერ მარტო ქერი გავლეწე, შენი კირიმე.

— დიახ, კარგი! რამდენი გამოვიდა კოდი?

— ორმოცი კოდი გამოვიდა, მეტი არ გამოვიდა, თქვენი რისხვა არა მქონდეს.

— კარგი! მაგრამ ექვს დღეში, რომელშიც დაითესა თორმეტი კოდი, მხოლოდ ორმოცი კოდი უნდა გამოვიდეს? და რაღა სწორედ ორმოცია, რომ

არც დააკლდა ერთი ლიტრა ორმოცისა და არცა გადაამეტა?

— რა ვქნა, ბატონო, ახლა მგაგა მოვიდა და რა უყო?

— მაშ ბიჭო, როგორ დავიჯერო, რომ ერთმა კოდმა დათესილმა მხოლოდ სამი კოდის მეტი არ მოიყვანოს?

— ბატონო, ღმერთმან იცის, და კაცმა იცის, რომ მე არ მომიპარავს და რა უყო, შე დალოცვილო, რომ მაგაზე მეტი არ გამოვიდა?

მახლახ, ბევრი ვიჩხავლე, მაგრამ მაინც ჩვენს ქერს არა მოემატა რა ამით.

ახლა ჩემო ბატონო ყაფლანი, შენ გეხვეწები, ერთი შემიტყო, ერთის დღეში რამდენი გამოდის ქერი კოდს ანუ კუმისს? — ვაჟო, ქვეყანა იძახდა, რომ კუმისში გრიგოლ ყაფლანის შვილის ყანები სწორედ ზღვა არის! და აბა სადაური ზღვა არის, როდესაც თორმეტმა კოდმა მომცა მხოლოდ ორმოცი, ესე იგი მხოლოდ ერთი სამად და არა ათად, ანუ ოცად?

შენ თვითონ დაელაპარაკე ამ გეუბს და შეაგონე, რომ ეს ვინა მპარავს ამდენს გამოსავალსა, რომ ეგებ ყური უგდოს და იპოვოს ქურდი!

მე მივდივარ ხუთშაბათს; ღმერთი იყოს შენი მფარველი, ძალუა სიყვარულით მომიკითხე, აგრეთვე დედოფალი ბაბალე და ალექსანდრე.

აბა მაგათაც კითხე, რამდენი გამოვიდა ქერი ან პური.

შენი გრიგოლ ორბელიანი.

27 ივლისი 1859.

თბილისი“.

— აი ეს წერილი ამტკიცებს, ჯერ ერთი, გრიგოლის გულუბრყვილობას. გეუბს ავალუბს — ქურდი იპოვეო, მეორე კი, გვისასიათებს იმ მხარის ბუნებრივ პირობებს.

ურწყავში ერთ დღეში ქერი ათი კოდი მაინც უნდა გამოსულიყო, ე. ი. ექვს დღეშიდან 60 კოდი; ეს, რასაკვირველია, მცირეა; ისე რომ, გეუბს გრიგოლისათვის არც თუ ისე ბევრი



მოუპარავს, — დაასკვნა მინდიამ და ყველამ გულთანად გაიცინა.

ამ საუბარში მანქანამ აღმართი აიარა და სოფელ კოდას ხეივანს გააყვია.

— სანამ იკითხავდე, მინდია ბატონო, გეტყვი: კოდელია ვასილ ბარნოვი, იმ მხარ მარცხნივ მისი ძეგლია, მართლა კარგი ბიუსტია; გარდა ამისა, ამ ცოტა ხნის წინათ სახელგანთქმული ყოფილა კოდელი ნინო-მკითხავი, — გაიღიმა ერეკლემ.

— კიდევ, კიდევ?

კოდა მეზობირცაა, აქედან ერთი გზა თეთრწყაროსაკენ მიდის, გაივლის მუხათს და მხარ მარცხნივ კოჯრის მთებს, ეგრეთწოდებულ დიდი ქედის ბოლოებზე შეფენილ სოფლებს — ბორბალოსა, ლოუბანსა, ერტისსა და ვაშლოვანს მხარ მარჯვნივ იტოვებს. რასაკვირველია, გახედეს თუ არა ვაშლოვანს თამარის ლექსი წაიღიღინეს ერეკლემ და ვახტანგმა.

— აგერაა ქედზე ვაშლოვანი, მის გადაღმა ტაბახმელა, წავეყისი და შინდისია, მოშორებით წყნეთია. აქაური ქალები ხმალაძობლებული ებრძოდნენ ბატონსა და მტერს.

მანქანამ გეზი მარნეულისაკენ აიღო.

— აქ სადღაც მარაბდაა? — თითქოს იკითხოა, ისე სთქვა ლელამ.

— მაშ, თემურ, გადაუხეიე ამ მინდერის გზას და ავალთ მარაბდაში.

ვახტანგმა ჩანთის აბჯიდან პატარა წიგნი ამოიღო, მონიშნულზე გადაშალა და ჩუმად კითხულობდა.

— ამოიღე ხმა.

— არა, ცხრა საფლავთან რომ მივალთ, მაშინ

გაიარეს ახალი მარაბდა და ძველი მარაბდის განაპირა, ეკლესიის ახლო დადგნენ. რვა საფლავის ქვა ჩანდა ერთად, ისინიც თითქმის მიწის პირად, ნახევრად კორდით იყო დაფარული.

— მეცხრე? — წამოიძახა ლელამ.

— ისიც მანდ არის, ბალახმა გადაუარა, — შეეხმაურა ბავშვი.

— აქ ვახტანგმა ვერ მოითმინა და

წაიკითხა ლადო ასათიანის „ცხრა ქმა ხერხეულიძე“.

ეს გაფრენილი ფაფარი, თუ შშობლური ნისლი,

ვისია ცხრა ზედაური,

ცხრა დარაბტული ვისია...

ფოლადის ბეგთარიანებს

ბნელში ამოდ დაეძებო,

ისინი მამულისათვის

მარაბდის ველზე დაეცნენ.

— განა ამათ არ უნდა ობელისკი?

— უეჭველად გააქეთებენ.

ნამდვილად ეს ამბავი ასე ყოფილა მარტყოფის ომის შემდეგ შაჰ-აბასმა ყორჩიბაშის მეთაურობით დიდი ჯარი გამოგზავნა, უბრძანა ქართლ-კახეთი ძირფესვიანად მოთხარეო. ყორჩიბაშის გარდა, შაჰ-აბასის მითითებით, საქართველოსკენ დაიძრნენ შირვანის, ყაზახის, ერევნის და აზერბაიჯანის მმართველი ხანები. მტრის ჯარი 1625 წლის ივნისის ბოლოს მოადგა სოფელ მარაბდის მინდორს და დაბანაკდა.

ქართველთა ჯარი კოჯორსა და ტაბახმელაზე იდგა. აქ იყო თეიმურაზ პირველი, ქართლ-კახეთის მეფე, თითქმის ყველა დიდი ფეოდალი და ეპისკოპოსნი. სამხედრო თათბირზე გადაწყდა ომი დილით დაეწყოთ. ქართველთა ჯარი ჩასულიყო ძირს და მიხდომოდა ირანელთა ბანაკს. ასეთი ომის დიდი წინააღმდეგი იყო სააკაძე — ძირს ქართველებს გაუჭირდებათ ბრძოლა, დიდი სიციხეებია, დიდ სიციხეში კი ირანელები უკეთ იბრძობლებენო. გარდა ამისა, მაღლობი უკეთესა პოზიციიაა, ხეცუბუცებში ირანელები ვერ გაიშლებიან და ადვილად დაეამარცხებოთ. მოგვხსენებათ, თავადთა უმრავლესობა გიორგის აშჯარად თუ ფარულად მტრობდა. ამ გეგმის წინააღმდეგ წავიდნენ და თეიმურაზი დაარწმუნეს ძირს ჩასულიყვნენ. ბრძოლა დაიწყო პირველ ივლისს. ირანელები კარგად იყვნენ შეიარაღებულნი თოფ-ზარბაზნით. მარტო მეთოფური თორმეტი ათასადღე ჰყავდათ. ირანის ბანაკი წინა დღეებშივე შეწუხებული ჰყავდათ ქართველ

გმირებს; დავით ჯანდიერსა და ალათანგ ხერხეულიძის პარტიზანულ რაზმებს. დავითიცა და ალათანგიც გმირულად დაეცნენ ამ უთანასწორო ბრძოლაში, განსოვით:

მიანც ეს ერთი თეთრონი  
რა გულსაქლავად ჭიჭინებს,  
ბედშეყო, ვისაც ეძახი,  
ვაი რომ ვეღარ იხილე.  
.....  
ალარ გყავს შენი პატრონი,  
ხერხეულიძე ალათანგ.

იერიშზე მისულ ქართველ ჯარს თორმეტი ათასი თოფისა და ზარბაზნის ბათქი დაახვედრეს, მაგრამ ამან ვერ შეანელა იერიში. ქართველთა ცხენოსნები შეიჭრნენ ირანელთა რაზმში, პირველ რიგში მეთოფენი მიუტყეს და გაფანტეს, ყველა ერთგულად იბრძოდა, თეიმურაზიც მათ შორის, ყველა ეპისკოპოსი და სხვა სასულიერო პირი. გიორგი სააკაძე გამძვინვარებულ ლომს გაედა თურმე, სადაც მივიარდა, მტერი ირგვლივ შემოიფანტა, ამ ბრძოლაში თოფით ცხენი მოუკლეს. ეს დაინახა ლომი ჩრდილელმა და სწრაფად თავის ცხენი მიართვა. გიორგი დაედევნა მეთოფურს, აკუნა და მისი ცხენი ჩრდილულს გადასცა.

იმ დროს, როდესაც გამარჯვება ახლო იყო, მოეარდა აზერბაიჯანის ხანი თავისი ჯარით. ამ დროისათვის ქართველთა რაზმი შესუსტებული იყო იმიტაც, რომ მათი ორი რაზმი: ავთანდილ სააკაძის და დავით ერისთავის მეთაურობით, ირანელთა ლტოლვილ რაზმებს დაედევნენ და ბრძოლის ველზე არ იყვნენ. მათ ეგონათ, რომ უკვე გამარჯვებს და გაქცეულებს დაედევნენ.

ამ დროისათვის ჩამოცხა კიდევ, ქართველთა ჯარი დაიქანცა, განსაკუთრებით ქვეითნი, და დამარცხდა, უკან დაიხია, ამ ბრძოლაში ქართველებმა ათი ათასი კაცი დაკარგეს, ყიზილბაშებმა — თოთხმეტი ათასი.

მტერი შიდა ქართლში ლამობდა შეჭრას, მაგრამ გიორგი სააკაძემ პატარა პატარა რაზმები შექმნა და მტერს მოს-

ვენებას არ აძლევდა. შიდა ქართლში არ შეუშვა. ყორჩიბაშმა თორმეტი ათასი მეომარი გამოყო არ შინ ციხიდან (ხევი) თავის სიძის, ანდუყაფარ ამილახერისა და შვილის გამოსახსნელად.

ზურაბი, არაგვის ერისთავი, გაუდგა სააკაძეს, ყორჩიბაშს გზა მისცა; გიორგი სააკაძე წიწამურში დახვდა, დიდად აზარალა, მიუხედავად ამისა, ირანელთა ჯარი გადავიდა ხევში და გაანთავისუფლა ამილახერა; უკან ქსნის ხეობით ბრუნდებოდა და სწორედ აქ დახვდა გიორგი სააკაძე თავის მომხრეებით. ირანელთა ჯარი მთლიანად გაანადგურეს, სარდლები აკაფეს, გარდა ხოსრო მირზასი, რომელიც მცირე რაზმით და ამილახერით დაბრუნდა თბილისში.

ქართლი და კახეთი გადარჩა მთლიან განადგურებას.

— მარაბდის ბრძოლაში ბევრი გმირი დაიღუპა. ცხრა მძა ხერხეულიძის გარდა, ამბობენ ცხრა მძა მაჩაბლის, შვიდი მძა ჩოლოყაშვილის გმირულად დაეცმას. ორი ეპისკოპოსიც ხმლით ხელში გმირულად დაეცა, რუსთაველი და ხარქვაშელი, ალათანგ ხერხეულიძე, დავით ჯანდიერი, ბაადურ ციციშვილი და ვინ იცის კიდევ რამდენი. აი ეს ბალახიც მათ სისხლზეა ამოსული. — დაამთავრა ვახტანგმა, — ამიტომ გაუფრთხილდით ხესაც და ბალახსაც.

— მიანც მარჯაფა ჯარი არ გამოიყვანა თეიმურაზმაო, რადა?

ხმა აღარ ამოუღლიათ ამაზე.

— არსენაც აქაურია, მარაბდელი...

— ეს მხარე არსენებით არის განთქმული, აგერ ამ ქედების ვადალმა, სოფელი ჯორჯიაშვილია; ეგ იმ არსენას სახელობის სოფელია, რომელმაც ყუმბარა ესროლა მეფის სატრაპს გრიზნოსს.

— მე მაგ არსენას შესახებ ერთი ლეგენდა მაქვს გაგონილი: ყუმბარა მაგას, ჯორჯიაშვილს, არ უსერია, იგი იქ შესწრებია და ნამდვილი მსროლელი რომ გადაერჩინა, თავისთავზე დაუბრალებია, მე ვესროლეო.

— ვითომ რადაო?



- ის რომ გადაერჩინა!
- თითონ ხომ იღუპებოდა?
- ლეგენდის სილამაზეც სწორედ მაგაშია.
- ვითომ ეგრე იყო?
- მე ხომ ვთქვი ლეგენდა-მეთქი, ხალხს უყვარს კეთილშობილება.
- უპ, აზრულავ და კოჭრისა ციხევი! — გაიხედა ვახტანგმა დიდი ქედისკენ — ბევრი გინახავთ, ბევრი გავიგონიათ, მაგრამ ხარტ უტყვნი, — და გამოსწიეს თავის გზაზე.

### ბოლნისის ნათელი

ერთხელ კი ზენცა ვყოფილვართ, კაცი და გულნიც ვვლდებო, ღირსეულ შეილთა უთელავთ სამშობლოს მინდორ-მთებია.

ვაჟა.

— ესეც ნახილური. ვახუშტი ხომ ამბობს, „ქცია ეძანს დახრამდებისო“... „ხოლო ნახილურს ქვევით დის ქცია გაშლით მინდორსა ზედა“. სწორედ ეს ადგილია.

— აი ხედავთ, ქვევით დაცემული მინდორია.

მდინარე ქცია ეძანიდან ყველგან ვიწრო ხრამს კი არ ჰქმნის, ზოგან ხეობის მაგვარად ცოტაოდნავ გაშლილია. ამ ადგილისათვის იგივე ვახუშტი ფრიად საინტერესო ცნობას გვაწვდის. „ხოლო სამშვილდეს ქვევით ქციის ხრამი ნახილურამდე უმეტეს განიერი, აქ ნაყოფიერებს სხვა ადგილთაგან მეტად ბროწეული, ლეღვი, ზეთისხილი და სხვანი ხილნი... ზამთარი არს თბილი და ზაფხული ფრიად ცხელი, რამე თუ ზამთარს შეშა არა უხმს“...

— ამ ადგილებს ცოტა ხანში უფრო ახლო ვნახავთ, — დაჰპირდა თანამგზავრებს მინდია.

— ზეთის ხილი ახლა არის?

— ამჟამად ამ ხეობაში არც ზეთის ხილია, არც ბროწეულის ბაღები, — ორი რამ შეიძლება იყოს ამის მიზეზი. იყო ოდესმე ალბათ ფრიად მკაცრი ზამთარი, გაყინა და მერე აღარ გაავრცელეს, აღარ დარგეს. მეორე მთავარი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ მეთვრამეტე საუკუნეში თურქთა და ლეკთა თარეშმა ხალხი ამოწყვიტა, გაპარტახდა მხარე. მართალია, ერთგან ელვები დასახლდნენ, მაგრამ ელვები უფრო მომთაბარე ხალხი იყო, მესაქონლე, ჩვენი ტრადიციებისა მათ არა გაეგებოდათ რა, ხეხილზე მაინცა და მაინც გული არ მისდიოდათ. ეს მხარე ვენახებით ძველთაგანვე იყო ცნობილი, სოფელს „რატევიანი“ ტყუილად ხომ არ ქვიან, აქაური ვაზი განსაკუთრებით მსხვილმარცვლიან დიდ მტევნებს ისხამს, „რატევიანი“ უთუოდ ამიტომ დაერქვა სოფელს. ღვინოც კარგი იცის, კარგი დგება აქაური ღვინის სპირტის კონიაცი.

ძველი სიგელ-გუჯრები, წიგნები და სხვა დოკუმენტები, რომ გადაათვალიეროს კაცმა, ძალიან მალე აღდგება სიამოვნება იმ კულტურულ მცენარეებისა, რომლებიც ქვემო ქართლში ჩვეულებრივი იყო.

ეს გახლავთ მშრალი სუბტროპიკული მცენარეების მხარე. აქ მოჰყავდათ, ამჟინებდნენ და ბაღებში იყო ზეთისხილი, ბროწეული, ლეღვი, ფსტა, ნუში, ვარგარი, ყაისი, ქერამი, ალიბუხარი, ქლაკვი ყოველგვარი ბალი, ალუბალი, ზღმარტლი, ატამი, ვაშლატამი, ვაშლი, ხომანდული, მსხალი, კომში, ყურძენი მრავალნაირი. მინდორში ითესებოდა ბრინჯი, ბამბა, ხორბლებიდან უმეტესად თავთუბი, შავფხა, წითელი დოლი, თეთრი დოლი; მთისკენ — ქერა, დიკა, ასლი, ორმარცვალა ასლი, შერია, ფეტვი, ქადი. გარდა ამისა აქაურ კაცს მოჰყავდა ოსპი, მუხუდო, ბარდა, ცულისპირა, ცერცვი, უგრეხელი, ლობიო; ბოსტანში — ხახვი, ნიორი, პრასკო კომბოსტო, კეყერა, ისპანახი, ქარხალი, თვის ბოლოკი, წლის ბოლოკი; თალგამში, ქინძი, კამა, ოხრაბუში, ნიახური,

1 ბევრნაირად ხსნიან ამ სახელწოდებას. ეს კია სვანურად „კოჯო“ ქვას ნიშნავს, „კოჯორი“ — ქვიანს. აღმოსავლეთ საქართველოში არა ერთი ტოპონიმიცა სვანური და ზანურა ძირისა.

ქონდარი, რეპანი, ტარხუნა; ქალებში, ეგრეთწოდებულ ბალებში, ეთესა ნესვ-საზამთრო, გოგრა; მეთვრამეტე საუკუნედან სიმინდი, პომიდორი, ბადრიჯანი, ღობეებზე აშვებული იყო აყირო; ბოსტანში ნახავდით ინას, ხაშხაშს, ზაფრანას, წიწკას; სამშვილდე და მისი მოდგმა სოფლები სახელგანთქმულნი არიან წიწკაით, შემოდგომის პირს სოფელში რომ ჩაივლი, აიენები წითლად და აყვავებული, გეგონებთ წითელი დროშები გადმოუყიდიყო... ვენახი ხომ დიდი განძი იყო ქართველ კაცი-სათვის, ამის შესახებ არა ერთხელ გვი-თქვამს.

ამ ბოლო დროს ბალები კვლავ აღდგენ, მაგრამ ლედვის, ზეთის ხილისა და ბროწეულის ბალები ჯერ არ ჩანან. არ ჩანს ფსტაც; გარდა ამისა, ძველად ფართოდ იყო გამოყენებული, ველური ბუნებრივი ხილეულ-მცენარეულობა. ს.ს. ორბელიანის ძმის, ვახუშტის (სპარსეთში გარდაიცვალა 1711 წელს) წერილი არსებობს, რომელშიც აღწერს, რომ მის ქარავანს, რომელსაც სპარსეთში ენდრო მიჰქონდა, მეკობრეები დაეცნენ და გაძარცვეს. მაშასადამე, ენდრო საექსპორტო ნედლეული უოფილა. ველურად ამ მხარეში ბევრი იზრდება, განსაკუთრებით იქ, სადაც ძეძვია გავრცელებული. ძეძვიანებში დიდი რაოდენობით კრეფდნენ წითელ სატაკურს, ქალებში — თეთრს ანუ ლამურ სატაკურს. სატაკური ითვლებოდა ძალიან ღირსეულ მხალად. ლამური სატაკური, ზოგან ბალებში, ნესვ-საზამთროს მინდორში, მოშინაურების გზასაც კი ადგა.

ველური ხილეულიც ბევრგან გვხვდება; მთის ფერდობთა ტყეებში ცოტა არაა მაქალი, პანტა, ტყემალი, ზღმარტლი, კვინჩხი; გარდა ამისა, ქალებში ბევრია ქაცვი.

ქაცვი ჩვეულებრივად გამოყენებულ იყო ქალჯის ღობედ „კაცი კაცი-თა, ღობე ქაცვითა“. ქაცვი ეკალსაც ნიშნავს. გარდა ამისა, ქაცვს იყენებენ ცოცხალ ღობედაც; უკანასკნელ ხანში

უურადლება მიეჭვა მის ნაყოფსაც იგი დიდი რაოდენობით შეიცავს სხვადასხვა ვიტამინს, წნევის დამწვევებს, აკეთებენ წველებს, მურაბებს, შორს არ არის ის დრო, როდესაც ქალებში, რიყეებზე გავაშენებთ ქაცვის ბალებს.

შენიღისაგან კეთდება მურაბა, წვენი, კერკი, ჩურჩა.

ვაკის ტყეები აღარ არის, მათ ნაცვლად ბალ-ვენახია, სახნავ-სათესი; ფოლადურის, ალგეთის, ქციის ნაპირებზე ქალის ტყე ახლაცაა, მაგრამ ფრიად შემცირებული (გრძელყუნწა მუხა, ხვალა, ოფი, ტირიფი), მთის ფერდობზე კი — ქართული მუხა, რცხილა და ზევით, მთაში — წიფელი; ამ ტყეებში შერეულია იფანი, ცაცხვი, თელაღუმა, თამელი და მისთანანი. ხრიოკებზე და ცხელ ადგილებში კი შირაქის ნათელი ტყეების წარმომადგენლებია: საკმლის ხე, ქართული ნეკერჩხალი, აკაკი, ბროწეული, ლედვი...

— რაკი აქა ვართ, ორი რამეც უნდა ვთქვათ, — გააგრძელა მინდიამ, — თი, ხედავთ, ნახიდურის ზევით, ქციის მარცხენა ნაპირიდან ვახტანგ მეექვსემ გამოიყვანა დიდი არხი ქვემო ქართლის მინდვრების მოსარწყავად; ეს არხი წითელ ხიდამდე ჩადის, წინათ მას ქართველების არხი ერქვა, ელებმა „გიაურ არხი“ — „ურჯულოების არხი“ უწოდეს, დღეს შეიძლება ვახტანგის არხა ეწოდოს.

მინდიამ მანქანა უკან შემოაბრუნა და ქციის მარცხენა ნაპირით, იქვე, უზარმაზარ ციხე-გალავანთან დააყენა.

— ეს ციხე-გალავანი ბევრითაა საინტერესო, თუნდაც იმით, რომ დარეჯან დედოფლის, ერეკლე II-ის მეუღლის აშენებულია 1788-1798 წლებში. ეს ციხე-გალავანი უმთავრესად მოსახლეობის თავშესაფარია, მარბიელი ჯარის გამოჩენის დროს. მას რამდენიმე პეტტარი ფართობი უჭირავს. აქ შეიძლება შემორეკილიყო „ხვასტაგი, არვე და რემა“. ციხის გალავანი ორ სა-

ფეხურიანია. პირველი საფეხური სქელია, ზედ აშენებულია მეორე საფეხური, სათვალთვალეებით და ქონგურებით, მის წინ პირველი საფეხურის კედელი იმდენად განიერია, რომ ზედ ურემიც გაივლის; იგი ნავარაუდევია ზარბაზანისთვის, და სწორედ ამიტომ საზარბაზნე ქონგურებიც არის დატანებული; აქეთიქით კუთხის კოშკებია. კედლებში კი ამოყვანილია კედლის მრგვალი კოშკები (სამხრეთით და ჩრდილოეთით — ხუთ-ხუთია, აღმოსავლეთით და დასავლეთით ოთხ-ოთხი).

ეს ციხე-გალავანი, მართალია, დარჩენილია ააშენებინა, მაგრამ ადგილი შეფის რჩევით უნდა იყვეს არჩეული, რადგან იგი გზას უღობავს სამხრეთიდან წამოსულ მტერს. ასე ფიქრობენ ჩვენი ისტორიკოსები, ერეკლე სამხრეთს მაინც უყურადღებოდ არ სტოვებდაო.

წყალი ქციისაკენ გაყვანილი გვირახებით შეჰქონდათ ალბათ, ციხე შემთხვევით როდია აგებული მდინარის პირას. გარდა ამისა, ციხეში ვახობილ ჭაშვიც წყალი უკლებლივ იქნებოდა.

— საერთოდ, — განაგრძო მინდია, — ქცია ბევრი რამით იყო სასარგებლო ძველადაცა და ახლაც: უპირველეს ყოვლისა, იგი მდიდარი იყო თევზით: ლურჯა, ფიჩხული, ხრამული, მურწა, ციმორი, ჭანარი, ჭაშაყი, სათავეებში კალმახი, უღვეველი იყო ტოფობის დროს ორაგულიც ამოდიოდა კასპიის ზღვიდან. ქცია მტკვარს წითელი ხიდის ქვევით უერთდება, აქ იგი საზღვარია აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის (ყაზახი, ძველად ცნობილი თარაქამული საქონლით, აქ იწყება).

მარნეულის ქვევით ბაიდარია. სადაც ერეკლე მეორე, შვილების დახმარებით, ცდილობდა არხი გაეყვანა, შემდეგ გიორგი მეთორმეტემ გააგრძელა. იულონ ბატონიშვილი, ერთ-ერთი შვილი ირაკლისა, გიორგი მეთორმეტის მე-

ფობის უკანასკნელ წელს სწერს იოსებ მიშკარბაშს<sup>1</sup>:

„ამ ბაიდარელებს ვის აწყურალებ, რომ ერთხელ იქ არ გაივლი და იქურობაზეც თვალი არ გიკვირამს? თუ ჩვენ გვამწყურალებ, რათ გვამწყურალებ? ახლა შენ ბაიდარში უნდა ჩახვიდე და არხი ააშუშავებინო. ჩვენც ბატონის მეფისთვის წიგნი მიგვიწერია და მაგ არხზე სამუშაოდ გატეხილ ხიდის ზევით მუშა ვთხოვეთ, ღვთით იმედოცა ვკავებს, რომ გვიბოძებს და ჩვენის ძმის აღუქსანდრესთვის წიგნი მოგვიწერია, რომ შულავერიდან მუშას მოგვახმარებს. ახლა, როგორითაც შენის ერთგულებისაგან ვიცოდეთ, ისე ბეჯითად უნდა მოიქცე და ეგ არხი გამოატანინო. ჩვენც აქ ცოტა რამ სამუშაო საქმეები გვაქვს და ამას რომ მოვრჩებით, ღვთის მოწყალებით, ჩვენც მაინთ წამოვალთ.

შენ ჩვენს ჩამოსვლას ნუ მოუცდი, რაც შეიძლო, არხი აშუშავებინე, დააშურე დროზედა“.

ძნელბედობის დროსაც კი არხზე ზრუნავდნენ.

გატეხილი ხიდი შესანიშნავია იმრთაც, რომ საზღვარი აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის მასზე გადის. გატეხილ ხიდთან, მეორე ტერასაზე, იზრდება ქართული ზამბახი. საქართველოში დღეს ამ მცენარის ყველაზე მდიდარი ადგილსამყოფელი ესაა. თბილისის მიდამონიც მდიდარი იყო, მაგრამ აქ თითო-ოროვალა დარჩა. ქციის მარჯვენა ნაპირზე ზამბახი მრავალნაირი ვარიაციით გვხვდება.

გაერთო მინდია თავის საყვარელ მცენარეზე საუბრით. თემურს კი გეზი ბოლნისისაკენ ჰქონდა აღებული და ეს ამბები აქამდე ეყო კიდევ.

ბოლნისი კარგად მოწყობილი რაიონის ცენტრია, ადმინისტრაციულ სახლის წინ სულხან-საბა ორბელიანის ძეგლი დგას. ბიჭებს ესიამოვნათ. ლელაა

<sup>1</sup> მიშკარბაში — მონაღირეთ-უხუცესი, ბოლოს, კარის მინისტრის ფუნქციების მქონე ჩანს.

ნახილდურამდე მოკრეფილი ყვავილების თაიგული ეჭირა, აათვალ-ჩათვალაღერა, გადმოხტა მანქანიდან და ძეგლს ფერხთით დაუღო.

მთავარი ქუჩის ნახევარი რომ გაიარეს, მხარმარცხნივ ჩაუხვიეს. გავიდნენ მაშავერის ქალაზე და მდინარე ხილით გადაჭრეს. გზა პატარ-პატარა გორაკებსა და მთის კალთებს შორის მიდიოდა, რომელიც ძეძვით იყო დაფარული, ზოგ გორაკზე კოშკიც იყო ამართული.

აქაც იღვროდა სისხლი მრავალი...

— ბიჭო, მეწინავე დროშა ტყუილად იყო!

მანქანა მალე ქვემო ბოლნისში შევიდა და გაჩერდა უზარმაზარ ბაზილიკის გალავანთან. მანქანიდან საჩქაროდ გადმოვიდნენ.

აღფრთოვანებით შესცქეროდნენ უზარმაზარ შენობას, აოცებდათ კედლები, ლაქვარდოვან-ზურმუხტის ფერი, თანაბარი, ლამაზი, თვალს რომ არ ღლის და მოუწოდებს მნახველს ღრმად ჩაშხედე, ჩემი სილამაზე სიღრმეშიაო.

ბოლნისის სიონი სამნავიანი ბაზილიკაა.

საერთოდ შენობა უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს თავის გრანდიოზულობით. იგი ოც წელს უშენებიათ, 478 წლიდან 498 წლამდე.

ეს ძეგლი ჩვენთვის საინტერესოა იმიტომ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე უძველესი წარწერა აქვს შემორჩენილი, მრგლოვანი ასომთავრულით ნაწერი. ამ ოციოდე წლის წინათ პირველობა მას წაართვა იერუსალიმის ტაძრის ნანგრევებში იატაკზე აღმოჩენილმა მოზაიკურმა წარწერამ. რომელმაც რამდენიმე ათეული წლით გაუსწრო ბოლნისის წარწერას.

— მაშ მშთოციის თეორია იერუსალიმში დაამარცხა?

— რასაკვირველია, როცა იერუსალიმის წარწერა იწერებოდა, მშთოცი სულ ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო.

— მერე და ასეთ თვითმყოფად შრიფტებს, როგორიც ქართული და

სომხური შრიფტია, ერთი ხელის დაკვრით ერთი კაცი ვერ შექმნის. ასეთი შრიფტი მრავალ საუკუნეთა მანძილზე უკლებლობა და იქმნება.

— მოდიოთ აქ, მოდიოთ, ნახეთ, აი ლომებს მოუწმყვედევიათ ჯიხვი, მემრეკი მოუკლავთ, — ერეკლე მიუთითებდა ერთ ნაქანდაკეზე, რომელიც სვეტის თავზე იყო ამოკვეთილი.

— ბოლნისია ის ტაძარი, სადაც პირველადაა გამოყენებული კედლის სამკაულები. აქაური ჯვარი ისეთი ორიგინალური და თავისებურია, რომ მას „ბოლნისური“ ეწოდება.

ერეკლემ ახედა ტაძარს და მიუბრუნდა ამხანაგებს.

— იცით, აი ესლა რა მეზმანა?

— ?!

— ბნელი, ბნელი ღამე და ამ ბნელ ღამეში, თხუთმეტი საუკუნის მიღმა იდგა ეს ტაძარი და ანათებდა ბღღვრიალანათელი სხივებით...

— ასეა ჩვენი ისტორია. ჩვენს გრძელ გზაზე ხან ბოლნისი ანათებს, ხან ჯვარი, ხან დავითი, ხან რუსთაველი და საბა, ხან კიდევ ვაჟა და...

— ძნელი და მძიმე იყო ამ მხარის ისტორია, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნეში ამ მხარემაც მოგვცა ადამიანი, რომელიც საბასავით ბრწყინავს.

— განა ვინ? — იკითხა ერეკლემ.

— ნიკოლოზ ბარათაშვილი, ბიჭო...

— რა ვიცი, ის თბილისელი მგონია.

— აქაურ ორბელიანთა შტოა ბარათაშვილისა.

— გარდა ამისა, აქაც ხომ იბადებოდნენ არსენები?

— ჯორჯიაშვილი?

— რაღა მარტო ის, მისი წინამორბედი არსენა ოქელაშვილი? ტყუილად არავის უმღერებს ხალხი: „აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“.

ამ საუბრით და დანაწებით მოსცილდნენ ბოლნისის ეზო-ყურეს. რასაკვირველია, ამ მხარიდან ისე ვერ წავიდოდნენ, რომ წულღულაშენის ეკლესია არ

ენახათ. მდინარის მარჯვენა ნაპირას, მთის ფერდობზე ყელმოღერებულმა ეკლესიამ ალტაცებაში მოიყვანა ახალგაზრდები.

— ხუროთმოძღვარს გრძელკისერა ქალი ჰყვარებია, — თქვა ვახტანგმა.

— ??

— ვერა ხედავთ, გუმბათს ყელი როგორ წაგრძელებია, გეგონებათ ცაში უნდოდა მისი ატყორცნა.

— მართლაცდა, ასეთი გრძელყელიანი გუმბათი, ისნის საყდრის გარდა, არ მახსოვს, — დაეთანხმა ერეკლე.

— ფიტარეთსა და ბეთანიასა ჰგავს.

— მათზე ცოტა პატარაა, — შეეშველა მინდია.

ეწყინათ, რომ გზის მშენებლებს ანგარიში არ გაუწყვიათ ამ ძეგლისთვის და კლდის ანაფეთქის ლოდები ეზომიც კი ეყარა. არც ძეგლთა დაცვის წარწერა ჩანდა სადმე.

მგზავრები აღაფრთოვანა ტაძრის გარეგანმა მორთულობამ, ჩუქურთმამ.

დასავლეთის ფასადს ორი სარკმელი ამშვენებს, რომელთაც ორბაზოვანი დეკორაციული თალი აქვს გადავლებული და მთლიანად მოჩუქურთმებულია; ჩუქურთმის ხვეულები ერთმანეთისგან განსხვავდება. ეს შინაგანი ასიმეტრია გარეგან სიმეტრიულობას მაინც ჰქმნის. ორი სარკმლის შუა აღმართულია გრძელი, ჩუქურთმად ქცეული ჭვარი, რომელსაც კედლის სიმაღლის ნახევარზე მეტი უჭირავს. ფიტარეთის და ბეთანიის მაგვარად, ესეც მეცამეტე საკუნით თარიღდება.

ტაძარს სჭირია შეკეთება, კედლის ბზარები ბევრგან ემჩნევა.

— ეჰ, ჩემო ვახტანგ, რომელი არ არის შესაკეთებელი, მაგრამ ჯერ ყველგან ხელი არ მიგვიწვდება.

— არა, ჯერ მაინც ვერ ვიყენებთ ყველაფერს.

ცოტა არ იყოს დაღონებულებმა ამოსკრეს მდინარის ნაპირიდან მთავარი გზისკენ და მინდიამ აქაც გადაუხედა გზიდან.

□ ბაზრძელუბა იმნება □

## ზღაპარი იყო

კატარა ბალადა

ზღაპარი იყო, ზღაპარი იყო,  
ქალის ხიტი ნამკვდარიყო,  
დიდ ქვაბში არ ეტყობა,  
პატარაში არ ეჩივიყო.

სიღბურია

ზღაპარი იყო, შენ რომ გნახე,  
ზღაპარი იყო შენი ხმა,  
ზღაპარი იყო შენი სახე,  
კულულებად შლილი თმა.  
ზღაპარი იყო ერთწამისად  
შენი ჯადო-თილისმა,  
შენი წელი ლერწამისა,  
შენი ელვა თვალთამზისა,  
ჩემი სუნთქვა, ჩემი წვა!  
ზღაპარი იყო ლურჯი ცისა  
ჩაბუდება სულშიაც,  
ელვარება ცისფერ დღისა,  
და მოქცევა მარადისა  
ერთ წუთში და წამშიაც.

ზღაპარი იყო ახლად შობა  
ალმასების ცაზედა,  
გულის ისევ ცეცხლში წრთობა,  
ისევ ცეცხლში გადადნობა,  
და ცრემლები თვალზედაც!  
ზღაპარი იყო, სულ პატარავ,  
თვალთუთუნა ასულო!  
ეს რა დიდი დრო გასულა,

დრო ვინ გამიადარა?!  
ამ ტიალმა გულის დარდმა,  
უნაზრესმა ტრფობის ვარდმა  
ცხრა მთა გადამატარა!  
ზღაპარი იყო, შორს — შორეთში  
გულმა რაც იავდარა,  
რაც მაწამა, რაც მატარა,  
სიკვდილს რაც დამადარა!  
ეს, რა დიდი დრო გასულა,  
გიშერთვალა პატარავ!  
ზღაპარი იყო შენი სახე,  
ლიმილი და შენი ხმა,  
ზღაპარი იყო შენ რომ გნახე  
ჩემი სუნთქვა, ჩემი წვა!  
ესლა სად ხარ, სად ხარ ნეტავ?  
რომელ ბაღში ყვავილობ?  
ედემში თუ ციურ ბაღში  
ციურ ვარდად ყვავილობ...  
ალარ ვიცი, ველარ გხედავ,  
ალარ ვიცი სადა ხარ?  
მოფრენილი შენს ჭალაში  
მე ჩამკვდარი ჩიტი ვარ —  
დიდ ქვაბში რომ ვერ ვეტიე,  
პატარაშიც ალარ ვარ!

## მართალი შინაბა



მე არ მენაბა და ახლა ვნახე  
ეს საოცარი გასხვივოსნება!  
ღვთაებრივ ხელით შექმნილი სახე,  
და ხორცშესხმული ჩემი ოცნება!

ვინ ხარ არ ვიცი, ან რად ვიცოდე,  
რომელ ანგელოზს გამსგავსა ღმერთმა?  
მე მსურს ამ ცეცხლით მხოლოდ ვიწოდე,  
ამ ცეცხლით დამწვას, დამდაგოს ბედმა!

ვიცი, მე ვიცი: — ყინვისის ტაძრის  
საანგლოზომ შეგამკო შხისებრ,  
მე ბუთანიის თაღებქვეშ განცდილს  
და აქ კვლავ ხილულს შევხარც ისევ!

შენს წინ ყვავილნარს აკმევს ეს ველი,  
შენს წინ ეღვარებს ვარსკვლავთ კრებული,  
ვით განდგვილი, ვით წამებული,  
მე შენგან ხსნას და აასწაულს ველი!

მომეც უფლება: მარაბდის ველზედ,  
ვით ქართლის დედა, მტირალი გნახო,  
ან მგლოვიარედ გარნისის კლდეზე,  
რომ ჩემს ქვეყანას პირჯვარი, საბო!

მომეც უფლება: რომ ერთი წამით,  
რომ ერთი წამით პირქვე დავემხო,  
დამსკდარი ბაგით, დღისით, ან ღამით  
მიწას შენს ახლოს კრძალვით შევებო!

მომეც უფლება, ო. დამრთე ნება:  
ლექსად გადმოვეცე შენი არსება —  
სხივოსან სახის შხისა მსგავსება,  
შენი უკვდავი მშვენიერება,

და ეს უღრმესი ბედნიერება: —  
ამ სიდიადით სულის ავსება!

მე არ მენაბა და ახლა ვნახე  
ეს ღვთაებრივი გასხვივოსნება,  
ღვთაებრივ განცდით შექმნილი სახე  
და ხორცშესხმული ჩემი ოცნება!



თეიმურაზ ჯანაშვილი

## ბასკებო. გაგარკობათი

მაისის ღამეებს სიზმრებს ვტაცებდი,  
იმ სიზმრებს ნისლიან ხილვებად ერია  
ჩემი ძველთაძველი სახლიკაცების  
ბასკების ქვეყანა —

პესკუალ ერია.

მაშინ ესპანეთი იბრძოდა.

მაშინ

პირველად დარეკა ჩემს ბავშვურ ხმაში  
ფოლადმა.

გენერალ ლუკაჩის ბრიგადის,  
მადრიდის ფრონტის და ბარიკადის  
ვიყავ გაეროში.

სიკვდილ-სიცოცხლის იმ სამსჯავროში

მე გავიგონე ბასკეთი პირველად,

მე გავიგონე ბასკები პირველად.

შეკრდები აფრთხილდა ტალღად თუ ფრინველად

ფერეიდნელებზე მტკივანი გული,

ხახულის ფრესკებზე მკივარი გული,

და გადამიფრინდა იმ იბერიაში

და მისი ტკივილის დავდექი მხარდამხარ,

ჩემი იბერიის ცხელი მზის რიალში,

ალაზნის დუდუნში,

უნგურის ღრიალში

მისი ხმაც ჩამესმის ხანდახან.

და ის შორი ხმა ჩემს სულში შედის

როგორც ცეცხლივით მწველი ტკივილი,

ჩამესმის ჩემი უკვდავი დედის —

ქართული ერის სისხლის ყვილიც:

— ნაპერწკალივით ასხლტა ოდესღაც

და ჩვენი გზები აღარ შეერთდა,

ის ბიბრალტარის დასცქერს კობდეს-ლა,

ფუშეგადადგმული პირინეებთან.





უღელდადგმული  
კორიდის ხარი,  
გაუთავებელ ბრძოლაში მდგარი,  
დაუნოქარი  
და ბოზოქარი  
პესკუალ ვრია —

იბერთა მხარე,

პესკუალ ვრია

ის ღვიძლი ვრი,

მისი უნა და მისი ვენახი,  
იმისი მთა და იმისი ველი  
მეძახის!  
მეძახის!!  
მეძახის!!!

ვხედავ, რა გმირები მყოლიან ბასკები  
და გულით ვატარებ მათს ტკივილს ასკეცს,  
ტალღად თუ ფრინველად სივრცეებს ვასკდები,  
ვგებ მივაწვდინო ჩემი ხმა ბასკებს.

პესკუალ ვრია —

იბერთა მხარე,

ნაპერწკალივით ასხლტი ოდესღაც,  
მე კავკასიონს მივაყრდნე მხარი,  
აქ ჩაუვყარე ფუძე ოდებსა.  
რას არ გაუძღეს ჩემთა ციხეთა!  
ომში დაგყარე ძვლები რიყედა,  
ლამე ჭირლობებს ღრუბლით მიხვევდა,  
დილა მოღამულ თვალებს მიხელდა,  
სიკვდილმა მაინც ვერ დამიხელთა,  
მფეთქაჲი ფესვი არ გამიხვედა,  
უუძველესი სისხლით იბერთა  
არც გამიწყალდა,  
არც დამიბერდა...  
რას არ გაუძღეს ჩემთა ციხეთა!  
ჯერ დამაჩოქა ბედმა მდევარმა,  
არ დავასვენე ხმალ-მუშარადი,  
ათასწლოვანი ღამის მთევარმა  
მე გავითენე დღე შუქმარადი.  
იხარე ივერთ მხარეო! — ითქვა  
და გაიხარა მხარემ ივერთა,  
ამაღლდა ჩემი საქმე და სიტყვა  
და ჩემი სივრცე გაგანიერდა.  
ვინ თქვას, შვილები მყავდეს ცოტანი —  
მყვანან თამარნი,  
მყვანან შოთანნი!  
მქონდა ვარძია,  
მქონდა გარეჯა,



მაქვს რუსთავი და  
 ვაგვბ ენგურაქვს!  
 მე პასუხს ვაძლევ ყველა გარეწარს,  
 მე გულით ვიღებ ყველა ერთგულ ძმას.  
 შენ კი,  
 შენ, ჩემი ძმაი აკვნისა,  
 ვაი, რარიგად მომენატრულე,  
 ჩემს კერიანზეც მოგინაკლისე,  
 და ვერც შენს ჭურჭვეშ მოგვეპართულე-  
 ამირანიებით კლდეს მიჯაჭვულო,  
 ძმაო მამერალო,  
 ძმაო ტანჯულო,  
 შორზე შორეულ ზღაპრად ქცეული  
 შენი ღიმილი მომლანდებია,  
 სიხსლში და ცრემლში ფრთადარწეული  
 შენი სიმღერა მომნატრებია,  
 შენი ფრთის გახსნა,  
 შენი ცის გახსნა,  
 შენი გზის გახსნა მომნატრებია...  
 და მესმის კიდევ ხმა ბორკილთ მსხვერვის,  
 შენს გულს,  
 შენ ენას,  
 შენს მკლავს რომ ადევს,  
 მე უკვე ვხედავ დღეს, ღამის მძლევებს,  
 შენი გმირული ბრძოლა რომ ჰბადებს!

ჩვენ გამძლენი ვართ.  
 როდი გადახმა  
 ათასწლეული წლების გადაღმა  
 ჩარჩენილ ფესვთა ნაყარი რტონი! —  
 და ორივე რტოს იბერი კქვია.  
 ჩემს შავ ზღვას ცისფერ ტალღების ფრთონით  
 ხმელთაშუა ზღვის სივრცეში მიაქვს  
 სუნთქვა იბერის — კავკასიელის  
 და იმ დიდი ზღვის დასალიერი  
 პირინეელი იბერის შუქით  
 ანათებს...  
 ვხედავ,  
 მე ვხედავ უკვე,  
 ქართვლთ ფესვები,  
 ბასკთა ფესვები  
 ვით ცოცხლდებიან და ნელდებიან  
 და მეცნიერთა პიპოტეზები  
 ქეშმარიტების ხმას ნებდებიან.  
 უწყიან: ჩვენი ნათესაობა  
 არც ლეგენდაა, არცა მითია!  
 ამ დიდ ქარაგმას ახსნის თაობა,  
 ხეაღის ჩირალდნად დღეს რომ მინთია.

სიმართლე ამ ქვეყნად დაუძლეველია,  
 იბერთა ერი ხომ  
 მართალი ერია,  
 მის სისხლში შხამ-გესლი არასდროს ერია;  
 ხალამი მებრძოლო პესკუალ ერია!  
 ბასკებო,  
 გამარჯობათ!!



## გრიკის მღვიმიდან გავყურებ უდაბნოს

უდაბო ველს.,  
 უსოფლო ქედნი,  
 ხვატის ლადარში გათანგულები,  
 არც მდელი,  
 არცა ქვითქვითი ქედნის,  
 არც ნამის თვლები ატირებული;  
 მიწა გვალვისგან გატინებული,  
 ტინები წითლად ჩაქანგულები...

ქედნი უსოფლო,  
 ველნი უდაბო,  
 უვენახონი და უყანონი...  
 სახელად მკაცრი სიტყვა უდაბნო  
 ამ მზარეს როდის დაუკანონეს?

ამ ჩვენს ერთიან ბაღნარ-მდელიში —  
 საქართველოში  
 ვინ თქვა უდაბნო?  
 ვდგავარ გარეჯის მღვიმის ჩეროში  
 და ყრუდ ზუზუნებს სკაი უთაფლო,  
 სკაი უფუტკრო —  
 საკანი იგი...

ვდგავარ სარკმელთან  
 და ჩემს მხარსუკან  
 დგას ახწლელულთა უგრძესთა რიგი.

სულში ხანძრების ალი აკივლდა,  
 ხმლების ხმა მესმის,

მცემს სუნიც მელნის  
 და ის წარსული მღვიმის სარკმლიდან  
 ჩემი თვლებით გააყურებს მერმისს.

გააყურებს მერმისს  
 და ის მერმისი,  
 უკვე დღევანდელ დღედ რომ ქცეულა,  
 სხვა შემართებით,  
 სხვა იერიშით  
 მოდის ამაყად თვაწეული.

მოდის, რომ ივრის ლივლივა ჩქერებს  
 ფლოქვებით გვალვა გაათქერინოს,  
 მოდის, იმკლავებს ვეფბა ხელღბს  
 კაცს რომ ვენახი ჩააყრვეინოს.

მოდის, რომ ბრძოლა გადაიხადოს  
 და ცის ლავეარდის სიანკარეში  
 მზიან გარეჯის,  
 ცვრიან გარეჯის  
 ველის მშვენება გადაიხატოს.

რომ აღარ სწუხდეს ხვატის ლადარში  
 მიწა უვაზო,  
 მიწა უდაფნო,  
 რომ მცე შევძახო:  
 — სცოცხლობ!  
 გადარჩი  
 მხარე, რომელსაც გერქვა უდაბნო!

## მე ისტორია არ მიშვებს ბაჩათ



მღვიმეში მდგარი  
გაგყურებ გარეჯს  
და ისტორია არ მიშვებს გარეთ.

შეგყავარ დროის უსიერ ტყეში,  
გზას სანთლის ალის ცაბცახით ვიგნებ,  
თრთოლვით ჯვითხულობ დღეყანდელ  
დღეში  
გადმოშუქებულ ფრესკებს და წიგნებს.

პირბასრი თვით პიტალო კლდეში  
მღვიმეს ჭჭრი,  
ჩემს ხულს ვვანოს იქნებ  
და ისტორიის მფეთქაქი ფესვი  
მუძახის, მისი გუშაგი ვიქნე.

უცებ ვიღაცამ ტანს გადაწაცვა  
ბერის სამოსი გახამებული  
და კლდის ლოდვით გულზე დაწაწვა  
სიყვარულის მზე დაღამებული.

მიჯნური ჩემი არღა მიყვარდეს,  
რეკს ვაში გვემა-სინანულისა...  
თვით სიკვდილშიაც არ დამიღამდეს  
მზეი მამულის სიყვარულისა!

კლდოვან კედელთან დაწოქებული  
ვუწრდები ლოცვად გამწაადებული,

ფრესკაში ცხადლივ გაცოცხლებული  
დაძქერს დიმიტრი თავდადებული.

ისევ აღმასობს,  
ისევ ხმაურობს  
მამულის გულში ჩაწვეთებული  
სისხლი...  
და უცებ საყარაულო  
კოშკზე ავრბივარ დაფეთებული.

შუბსა და აბჯარს დაგავლე ხელი,  
არც მჭირვებია სხვა თადარიგი,  
მამულის მცველი,  
მისთვის მლოცველი  
მისი პირველი ვიყო ტარიგი!

იმ კოშკთან მდგარი  
დავეურებ გარეჯს  
და ისტორია არ მიშვებს გარეთ.

საუკუნეთა ღამის მთველები  
მე მეძახიან სხვა მღვიმეებიც,  
ამოკვეთილი ქვაში ქვევრები —  
საწვიმეები,  
საღვინეები.

კლდის თავზე ციხის სათოფურები,  
ამოგამული თვალით მზირალი,  
კლდოვან კიბეთა საფებურები  
და წინაპართა სული მყვირალი.

## ბავლივარ ბაჩათ

საკანში მდგარი  
ვაგყურებ გარეჯს...  
მესმის ძახილი:

— გამოდი გარეთ!

თითქოს ამალღდა თადი კლდოვანი,  
თითქოს გამრთელდა ძველი იარა,  
მეძახის ათასოთხასწლოვანი  
სიწმირიდან  
დღეის დღე შუქბრდღვიალა.

მეძახის ვაზი აქ ჩასაყრელი,  
მეძახის არხი აქ გახაყვანი,  
მეძახის სახლი აქ ჩასადგმელი  
და დასარწვევი ოქროს აკვანი.

აქ დასაწერი მეძახის ბუკარი,  
სიახლის ქარი,  
მძღლედ რომ მოვარდა!..  
მოვდივარ, რომ მეც შევედგა მხარი  
ჩვენს დროს,  
ჩვენს დღეებს სწორუპოვართა.



ბაგუ მზაურიშვილი

ხ ი ღ ვ ა

ჩიტების გუნდი აღარ უხედა  
ზვინებს.  
აცოვდა.  
ფანჯრიდან ვუცქერ:  
შორს,  
შორს,  
მთებს იქით, მზე ჩაესვენა,

და ლურჯი სივრცე დაბრმავედა უცებ.  
კვლავ ვხედავ იმ სახლს,  
სინათლის ფოთოლს —  
სარკმელს,  
სარკმელში მღიმარ მზევინარს,  
ვინც და გამიხსნა და ვინც ჩემს თოთო  
ოცნებას ფეხი აადგმევინა.

ა რ უ ღ ი

ქანი:  
ნახტომი,  
ნახტომი,  
ქანი...  
ვიმორჩილებდით ალს და ნადვერდალს...  
ენტო არული,  
არხეუდა ქარი  
მაღალ კოცონებს —  
დროშებს არხეუდა.

შარიშურობდა სინათლის ფრთები,  
იფურფლებოდა ფიჩხი გოდებით,  
ერეკებოდა ავ სულებს თემი  
აწივლებული ცეცხლის შოლტებით.  
მაშინ შეგონა მოელო ბოლო  
ჰველა კუდიანს და ავის მსურველს,  
მაგრამ განგება კეთილს და ბოროტს  
აჲ ადვილად ვერ გაყრის თურმე.

ვე თვითონ

„ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი“...  
\* \* \* \* \*

ვებლაუკები გაკრეჭილ ფაფარს,  
დევებს ვცემ ჯაგლაგს, მივარდნილს  
ძილად.  
დროს კი უჩინარ პეშვიდან სწრაფად

ვბნევა ჩემი სიცოცხლის სილა.  
არ დაბნევია მთლიანად სანამ,  
მძაფრი ქროლებს მოვასწრო უნდა...  
უნდა მოვიმეკა სიტყვების ყანა

და თავი მოეხსნა სათქმელის გუდას,  
რომ ამოფრინდეს ერთხელაც გუდით  
ნალოდინები თვეობით, წლობით,  
სიმაართლის გუნდი,  
სიმაართლის გუნდი,  
დამძიმებული ხავსით და ობით.  
თქვენზე ძლიერი,  
სამიში თქვენზე  
საკუთარ თავის თვითონ ვარ მტერი.  
ვთესე სიკეთე,  
სიავეც ვთესე,

ჩემს ფიქრში ბჭობდა ბრძენიც და  
შტერიც.  
თქვენზე ერთგული,  
გამტანი თქვენზე  
მე თვითონა ვარ ჩემივე თავის...  
გამხდარ გვერდებზე ვიცემდი დეზებს,  
მაქვს გადაძვერალი ცხრაპირი ტყავი.  
ვარ გულმხურვალედ გზადლოცვილი  
ასჯერ,  
ზოგჯერაც წყველი, კრული...  
და თვალებიდან ცრემლებად მცვივა  
წუთები,  
თქვენ რომ გატკინეთ გული.



### გეგობარ აოხს

დამანახე გულიც, ბარემ,  
დაჭდეული ტატუთი,  
ზედ სახეზე ამაფარე  
თავგანწირვის საბუთი.  
შევედომია ვნებას ვნება,  
ნატერას — ნატერა,  
შიში — შიშ...  
მოიქნიე რწმენა ფრთებად  
სიყვარულის შიშშილში.  
სულით ლექსის მარჩენალო,  
ლექსით სულის მშველელო,

ასი თვალთ მაცქვრალო,  
ასი ყურით მსმენელო.  
გამიყავი შენი წილი  
საწუხარი მეგობარს,  
იმდენი გაქვს  
თვით სიკვდილის  
მერე დიდხანს გვეყოფა.  
დამანახე გულიც ბარემ,  
დაჭდეული ტატუთი.  
ზედ სახეზე ამაფარე  
თავგანწირვის საბუთი.

### ყ ა ნ ა შ ი

ცილმა სადილი მოუტანა  
ტკეჩის კალათით,  
ღვინო და მჭადი,  
კარტოფილი ქორფა კამათი.  
კაცმა ანება მარგვლას თავი  
და ნედლი ჩალა  
მოაგროვა და  
ილღიაში ამოიჩარა.  
პალოზე დაბმულს  
დაუყარა ნამარგლი მოზვერს,  
ვიჯდა სუფრას —  
ჩრდილში გაშლილს,

ბიბინა მოლზე,  
ისეთი მადლით  
და გემოთი  
შუქქცა ჭამადს,  
ამგვარ ტკბილ ლუკმას  
ინატრებდა ხელმწიფეც თავად,  
მჯერა თვით მეფეც  
ვერ იკუმებს  
შენსავეთ გემოს,  
ოვლის ღვრა აძლევს  
ლუკმას სიტკბოს,  
გლეხკაცო ჩემო!

ნიკოლოზ გაბაონი

## აივნისანი ქალაქი

გოგანი

დავით გერმანოზიშვილი მოულოდნელად გამდიდრდა, მაგრამ დაღვრემილი იყო. მას თავისუფლება უფრო სწყუროდა.

იმ დღიდან გამუდმებით თავის გამოხსნასა და გამოსყიდვაზე ფიქრობდა. ოქროს, ძვირფასი თვლებით მოოქვილი ქაშაბ-ხანჯალი მის გამოსასყიდ თანხას უტოლდებოდა, მაგრამ ამაზე სიტყვის ამოღებაც არ შეეძლო. ამ განზრახვას არც მთიელები მოუწონებდნენ და არც რუსი ოფიცრები. მთიელების პატიოსნება და სიტყვის გაუტეხლობა ზედმიწევნით იცოდა. ფიქრობდა, იტანჯებოდა და გამოსავალს ვერ პოულობდა. კიდევ უფრო გაუძლიერდა სევდა და კაეშანი.

როცა დატყვევებული დიდგვაროვანი თავადი მთიელებს ხელში შემოაბერდათ და გათაკებულ კაცულ ჩათვალეს, ერთმანეთში მოილაპარაკეს და გამოსასყიდი თანხა გაანახვერცეს. თან დავით გერმანოზიშვილს აგრძნობინეს, რომ თუ ვაჭრობა დაიწყებოდა, თანხას კიდევ უფრო შეუმცილებდნენ.

თავადმა ყველაფერი დაუყოვნებლივ დას მოსწერა.

მანანას ერთადერთი ძმა თავდავი-

წყებით უყვარდა. ამიტომ უყოყმანოდ გადაწყვიტა სოფელში გაეყიდა ის, რისი გაყიდვაც კიდევ შეიძლებოდა, მან ყურებიდან ძველისძველი ისფაჰანური საყურეებიც კი მოიხსნა, რათა ძმა ტყვეობიდან როგორმე გამოეხსნა.

მანანა ცარიელ-ტარიელზე დარჩა და მხოლოდ ორიოდვე გლეხი და ერთი მოახლე გოგო დაიტოვა.

ამ ამბით აღელვებულმა დავითმა ფიცი დადო არასდროს ცოლი არ შეერთო და სახელიც და სიმდიდრეც მხოლოდ დის კეთილდღეობისათვის მოეხვეჭა.

გზიდან დას ვრცელი წერილი მოსწერა, რომელშიაც მას მადლობას პირზე კოცინით უთვლიდა და ბედნიერ მომავალს პირდებოდა. ყველაფერ ამას, სხვათა შორის, ომარ ჰაიდარ-ბეგის სიკვდილით დასჯის ამბავიც მოაყოლა და მანანას აღუწყა — „ამ მუსლიმან კაცს და ჩერქეზთ თავადს თურმე შენ ჰყვარებიხარ და სანამ თავს მოსჭრიდნენ, ეს მცველების პირით მე მითხრაო“. ოქროს ქაშაბ-ხანჯლის გამო კი თავადმა კრინტი არ დასძრა.

მანანა გერმანოზიშვილმა უტრემლოდ, მაგრამ ღრმა გულისტკივილით გამოივლოვა თავისი პირველი მიჯნურა.



მას უკვე აღარავინ უყვარდა ამ ქვეყნად.

**5. წარსულის მისთვის ფარული**  
(ტყვეობიდან დაბრუნება)

ვინ არ იცის, რომ თავისუფალი ცხოვრება სკობია ტყვეობაში ცხოვრებას?

ხილეთი პელიაო, „ჩემი დიდიანა“

მანანას საბაბიც ჰქონდა და მიზეზიც მძის გულცივად შეხედროდა. მძის თავისუფლებულ დროსტარებას მიაწერდა იგი თავის გაღარბებას, განაპირებას, სოფელში გამომწყვდევას. მძის გამოსხნა და განთავისუფლება უხაროდა, მაგრამ თან საყვედურებსა და ჩამოკრულებს უშნადებდა.

ასე ფიქრობდა მძის საქციელით განაწყენებული თავადის ასული, სანამ მძა ჯერ ისევ შორს იყო. ტყვეობიდან დაბრუნებულს კი ყელზე ქვეთინით გადაჰედო და დიდხანს აღარ მოშორდა.

როცა სრულიად გამოცვლილი და გასაცოდავებული მძა კარგად დაათვალიერა, გული ამოუჯდა და უარესად ატირდა.

ოდესღაც გულზეიადი თავადი იარალ გერმანოზიშვილის კარ-მიდამოსავით ჩამოფხავებულიყო, გათეთრებულიყო და დაბერებულიყო.

დავითი აღერსიანად იკრავდა დას მკერდში და ერთსადაიშავეს ეუბნებოდა:

— ცოცხალი დაგიბრუნდი, სულო! რა გატირებს?!

დავით გერმანოზიშვილის ტყვეობიდან დაბრუნების ხმა სწრაფად გავარდა მამავერის ხეობაში. სოფლებიდან ახლო ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები მოდიოდნენ მის სანახავად და მოსაკითხად. გულანუყვებული ანდუყაფარ გერმანოზიშვილი ცერის სისხო ცრემლებს აფრქვევდა, სტუმრებს გაშლილი ბაღდადით ზედებოდა, იარალივით უფროსობდა და ყველას თანაყოფაში მძისწულს „გაკეთებას“ და ფეხზე დაყენებას პირდებოდა.

არც მას ახსენდებოდა და არც სხვას უხსენებია, რომ დატყვევებული მძისწულის გამოსახსნელად მანანას ჩხირის გადაბრუნებაც არ მოიხდომია.

ყველაზე მდიდარი გერმანოზიშვილები (ჯერ კიდევ იარალის სიცოცხლეში „გაყრილობის წიგნით“ ცალკე გასულნი) თავდაჭერილად იქცეოდნენ, საერთო სიხარულში მხოლოდ გარეგნულად მონაწილეობდნენ. მათ არც ანდუყაფარ გერმანოზიშვილის „უფროსობა“ სწამდათ, არც დავით გერმანოზიშვილის ფეხზე დადგომა სჯეროდათ. ამას ისინი მათი ყმა-გლეხების რაოდენობით ზომავდნენ და სჭრიდნენ.

დავით გერმანოზიშვილმა მამის საფლავი ინახულა. მღვდელს საგვარეულო საყდარში პარაკლისი გადაახდევინა. სოფლის ბოლოში, დიდრონი კაკლების ქვეშ გრძელი სუფრა გააშლევინა. სუფრას ანდუყაფარ გერმანოზიშვილი თამადად დაუდგა, მთასავით აიმატა და თავისი მღვეური ბეჭებით მდინარეც გადაჰკეტა, ხეობაც და გორაკების ლურჯი გრეხილიც.

მოტანილი მისალოცი და მოსაკითხი გრძელ სუფრას მოხმარდა.

კვირის თავზე სტუმრები თავიანთ სოფლებში წავიდ-წამოვიდნენ.

დავითი ისევ ცარფელ-ტარიელზე დარჩა.

ანდუყაფარმაც რაღაც მოიმიზეხა, ცხენზე შეჯდა და თავის სოფლისკენ გაემართა. უკან ცოლ-შვილი აიდევნა, ამხედრებული ვაყებით და ქალ-რძლით დახუნძლული ჩარდახიანი ურმებით.

და-მძა მარტოდ-მარტონი დარჩნენ.

**6. წარსულის მიქსნა ფარული**

(სოფლიდან გამგზავრება)

სოფელში აღარაფერი მჩნება, რაც შეხადა ველოფარი გავიოდ.

თავადური აღხარება

მანანა დღენიადავ დაღონებული იჯდა თავის ოთახში, მუხლებზე გადაშლილი „დავითნით“. მძის გული ეთა-

ნაღრებოდა, რცხვენოდა, დას გაუბედავად ეკითხებოდა:

— ხომ არ მემღერი, სულო!

— არა, რა იყო? ეგ საიდან მოიტანე?

დარცხვენილი და აღელვებული დავითი სიყვარულს უმტკიცებდა:

— ჩემი თვალის ჩინი შენდა ხარ, სულო! გული მიკვდება ეგრე დაღონებულს რომ გიყურებ. რა ვქნა? ზოგი ჩემი ბრალია, ზოგიც ცხოვრების. მაგრამ შენის ბედნიერებისათვის არც წყალს მოვერიდები და არც ცეცხლს. აი, ნახავ, ჩვენც წაგვივა კარგად საქმე!

მანანას გული გაქვავებული ჰქონდა. ძმის აღერსით და სიყვარულით ნათქვამი ფუძე სიტყვებად მიაჩნდა. უნიადაგო დაპირებების არაფერი სჯეროდა. ნაადრევად დაბერებული, ჯანგატეხილი და ნირწამხდარი ძმა გათავებულ კაცად ეჩვენებოდა. მისგან კარგს აღარაფერს მოელოდა. ამგვარი ფიქრების დროს მონასტერი აგონდებოდა და მონოზნად აღკვეცაზე სერიოზულად ფიქრობდა.

დავითი ღვიძლი დის გულის მოძრაობების გამორკვევას ცდილობდა, რადგან მისი მწყობარი სახე სულ უფრო და უფრო განუქვრეტი ხდებოდა. საათობით გაჩუმებული იჯდა. მუხლებზე გადამოლილი „დავითნით“ და ერთსადაიმთხვე ფურცელს უაზროდ დაჰყურებდა. გამდელსაც და მოახლესაც იშვიათად ელაპარაკებოდა. ლამაზი მოახლის მიკრიტიკისათან ლაციცი აღიზიანებდა, ხოლო გამდელის დაუსრულებელი „შენ შემოგველე!“ და „მტლად დაგდე!“ გულს ეწვრილებდა.

დაბნეული დავითი ამოოდ ეძებდა დამამშვიდებელ სიტყვებს.

თავადის ასულს დაკარგულ რწმენას ვერაგზით ვერ უღვიძებდა.

დას მისი არა სჯეროდა.

ძმა კი ერთსა და იმავეს უმტკიცებდა:

— შენ არ გჯერა, სულო! მიგრაბ

ნახავ, თუ ისე არ მოხდეს, როგორც მე გუბუნები.

თავმოებურებული მანანას ეჭვად ეუბნებოდა:

— ვნახოთ. კაცი იმედით ცოცხლობს. განა ამიტომ არ ვლოცულობ დღე და ღამე?!

მანანამ შვეებით ამოისუნთქა, როცა დავითი თბილისში გაემგზავრა სამხედრო უწყებაში ფულის ასაღებად და თავისი სამსახურებრივი საქმის მოსაწესრიგებლად.

სოფელში მათ აღარ ედგომებოდათ. მათი ყმა-გლეხი ახლა თითზე ჩამოითვლებოდა, მანანას სამშითვოდ დაუნჯებული ზვარი და ხოდაბუნი გაყიდული იყო, ხოლო აღებული ფული დავით გერმანოზიშვილის გამოსასხნელად გადახდილი.

მდიდარი გერმანოზიშვილები, სოფლის აზნაურები და მოურავ-მამასახლისები იმასლა უცდიდნენ, თუ როდის წაიქცეოდა საბოლოოდ ოდესღაც რიხიანი და ყმა-მამულით განთქმული თავადი.

რომელიღაც გამდიდრებული აზნაურის თავმომწონე ვაჟმა მანანა გერმანოზიშვილის ხელის თხოვნა გაბედა და „საუბატიოც“ დაასახელა. შეგულიანებული ანდუყაფარ გერმანოზიშვილი მაქანკლებით მიადგა კარზე თავის ძმისწულს. საქმეს შორიდან მოუარა. რაც მის კარის მღვდელს „ქართლის ცხოვრებიდან“ და ძველი საბუთებიდან ამოკითხული ჰქონდა, ყველაფერი, როგორც შეეძლო, ისე გადმოაღაგადილხანს ლაპარაკობდა „საუბატიოზეც“ და „საკანონოზეც“. მაქანკლებიც თავს უქნევდნენ და ნათქვამს უდასტურებდნენ. მანანამ ჯერ ვერაფერი გაიგო, ბოლოს, როცა მისახვედრს მიახვედრეს, ისეთნაირად განრისხდა, რომ ქვაბში სახელდახელოდ მოხარშული ბალახების წვენით ძლივს დააწყნარეს.

დამფრთხალი ანდუყაფარი მანქანკლებიანად კუდამოძებებული გაიქცა. მანანაზე უარესად გაანჩხლებული ფე-

ხშიშველა გამდელი მათ უკან გამოეკიდა. ხელებს შლიდა და ქოქოლას აყრიდა:

— ჩვენს მზეთუნახავს ეს როგორ გაუბედეს, ეს როგორ აკადრეს. იარალ გერმანოზიშვილის ქალი აზნაურის-შვილს უნდა შერთონ ცოლად? ღვთის რისხვია მა რა ჯანდაბაა! იმ აზნაურის ბიჭს შინ აუწონარი ოქროებიც რომ ელაგოს, თავადის ქალს ამისთანა უბატრებელი როგორ უნდა გაუბედოს? არა, იმ თავბრტყველა ანდუყაფარს რა-ღაცამ გამოაცალა ჭკუა? აი, მეხი კი დავყარე მაგის ბიძობასაც და სახლის კაცობასაც!

მოურავი უღვაშებში იცინოდა, მღვდელი წვერს ეთამაშებოდა, გზირი ღობის იქით იყრიებოდა, მოახლე ტუჩებთან მიტანილ ხელებში ფრუტუნებდა. გაკაპასებული გამდელი მათ ვერ ამჩნევდა, გულში მჭიდის ცემით ყვიროდა და იწყევლებოდა.

მანანა ხმაგაკმენდილი იჭდა თავის ოთახში. ბუნებით მშვიდსა და აუღელვებელს, წონასწორობის დაკარგვა უკვირდა. უკმეზობით განთქმულ თავადის ასულს სწყინდა და თაქილობდა, რომ უეცარი განრისხებით საკუთარი თავი გასცა და ყველას თვალწინ ჩვეულებრივ შინაბერად გამოჩნდა. მოულოდნელად გადმონთხეული ბოდმა ლოყებს სირცხვილით უწიოთებდა. აფორიაქებულს და აწრიალებულს აღარც „დავითნი“ შეელოდა, აღარც მუხლმოყრილი ლოცვები. შერცხვენილი და შეურაცხყოფილი შინ კუტივით იჭდა, საყდარში წირვის მოსმენასაც ვერიდებოდა და ხალხში გარეჯასაც.

როცა თბილისიდან დაბრუნებულმა

დავითმა ეს ამბავი გაიგო, ბიძას მიუვიარდა, ძველი ზნე გაიხსენა და რაც ხელში დასამტკრევი და გასატყენი მოხვდა, ყველაფერი მიღწე-მარღვე და მირეგე-მორეგეა.

თავმოყვარე მანანას სულ მოლად დაუნუნლა სირცხვილმა სახე. ფეხი სახლიდან აღარსად გადგა. ძმას უხელთა თუ არა, მოკლედ მოუქრა:

— ჩვენ აქ აღარ გვედგომება, დავით. ქალაქში უნდა წავიდეთ.

დავითმა მყისვე დაუბრუნა:

— მეც ეგ მინდოდა მეთქვა და დამასწარი, სულო! დღეგრძელი ბრძანდები! დღეიდანვე თადარიგს შევუდგები.

დავითმა მამისეული სახლი, საგვარეულო საყდარი, სასაფლაო და ორი-ოლე ყმა-გლეხის ოჯახი მდიდარ გერმანოზიშვილს მიჰყიდა, დას ჩარდახიანი ურემი შეუბა და სამუდამოდ გამოეთხოვა სოფელს.

ახლა თავად გერმანოზიშვილს ოფიცრის ჯამაგირით უნდა ეცხოვრა.

როცა ურემმა იმ ყმაწვილი აზნაურის ახლად აშენებულ დიდ სახლს ჩაუარა, მანანას გულმა რაღაცინაირად შემოკვენესა და თავის თავს დაეკითხა: „იქნებ ჩემს სოფელთან ერთად ჩემს ბედსაც ვემშვიდობები? იქნებ ავჩქარდი და ყმაწვილ აზნაურს დაუფიქრებოდად ავუყარი ხელი? რატომ დამავეწყდა, რომ პატარა აღარა ვარ და შინაბერად ვითვლები? მეტი რაღა მინდოდა ან რაღას ველოდები? „საუბატო“ თავადის ქალის ღირსებას შემინარჩუნებდა, ქმარი კი ცოლისა და დედის ბედნიერება მომანიჭებდა“. ეა ფიქრები მას თბილისამდე მიჰყვა თან.

### კარი ოცდახუთეტი

#### 1. თავადის ასულის ქალაქური ცხოვრება

ქალაქში ცხოვრებას ფულ უნდა.

ქალაქური დალოცა

თბილისში მანანამ კვლავ გამოიღარა.

დავითი მწვანე მაგიდას ვრიდებოდა, ფულს დაზოგვით ხარჯავდა, დის სიამოვნებას ცდილობდა და თოვლის ჩამოყრამდე მისთვის შინ დაბარებულ მკერავეებს რამდენიმე კაბა შეაყვინა. სამკაულებიდანაც ის უყიდა, რის ყიდ-

ვაც შეეძლო, ფეხსაცმელიც შესაფერისი შეურჩია და თბილისში ახლად გავრცელებული თეთრი ფრთებით შემკული ქუდიც მოურბენინა.

მანანას თანდათან გაუქრა ძმისადმი უნდობლობის გრძნობა. ერთხელ ყელზეც მოეხვია და აღერსიანად უთხრა: — რა ვუყოთ, რომ ღარიბნი ვართ. ღმერთი არ დაგვკარგავს და გაგვაძლევინებს.

აღელვებულ დავითს პირველად დაეკიდა ცრემლი წამწამზე. თვითონაც მოეხვია დას, პირი დაუკოცნა, იმედიანად შესცინა და გაამხნევა:

— არა გჯეროდა, მაგრამ მალე დაგჯერებ, რომ შენს ბედს უბრალოდ გზას არ დაუქარგავ. უკეთესად მოგერთავ და მოგკაზმავ. შენ ისეთი ღამაში მყევხარ, რომ არამცთუ ბრაღიანი, უბრალოც მოგიხდება.

მანანას ია და ვარდი მოეფინა სახეზე.

— მოგიხდებაო? ვერა ხედავ, ყველას ჩემზე რჩება თვალი!

გაბადრულმა დავითმა რიხს მოუმატა:

— მაშ, მაშ! ყველ შენს ქებაშია. პატარა ორბელიანი ტყუილად კი არ დაგდევს ფეხდაფეხ!

მანანამ ეშმაკურად გაიღიმა.

თავადს ლაპარაკის საღერღელი აეშალა.

— ხათრიჯამი! ბრძანდებოდე, მალე ჰქუადამჭდარიც მოგადგება კარზე! შენ სხვა სთქვი. ვერ უყურებ, ჩვენი თბილის-ქალაქი რანაირად გამოიცივალა? ათასნაირი გასართობი და სანახაობა გაჩნდა, — თავადს უტეხ ჩრდილმა გადაურბინა შუბლზე, — ყველაფერს ფული სჭირდება, ჩვენც იმდენი უნდა მოვახერხოთ, რომ ფული გვქონდეს და ყველგან გამოვჩნდეთ.

დას სევდიანად გაეღიმა.

ძმამ შეამჩნია, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია. როცა ფულის შოვნაზე ლაპარაკობდა, ომარ ჰაიდარ-ბეგის

ოქროს ქამარ-ხანჯალი ავონდებოდა. ნაცნობებში კარგ იარაღს ხშირად ახსენებდა, თან იმასაც შეითხვებოდა, თუ ვინ რა ირადით იყო გატაცებული, ან ვისგან რას ყიდულობდა. ყველა მილიონერ გრიგოლ ზანდაროვს უსახელებდა.

ზამთრის მეჭლისებში მანანა გერმანოზიშვილმა მყისვე მიიჭკია ყურადღება. ყველას ანციფრებდა მისი მეტად თავისებური, სხვა ღამაზმანები-საგან მკვეთრად განსხვავებული სიღამაზე. შეიძლება იმიტომ, რომ კდემამოსილების რაღაც ლეთაებრაკი იერა დაქარავდა მთელ მის მომჭადობელ აღნაგობას. ამასთან, მუდამ მშვიდსა და აუღელვებელს, ღიდად არ ეტყობოდა ხანდაზმულობა. ამაჲ ერთმად აღნიშნავდნენ კნენინა მზეხათუნის სალონის სტუმრები. ამ საერთო აზრს კვერს უქრავდნენ მეფისნაცვლის მეჭლისებზეც. ამასვე ამბობდა პარიზიდან ახლად დაბრუნებული კნენინა მაგდა გოსტაშაბიშვილი, რომელიც, როცა მანანა გერმანოზიშვილს უყურებდა, ფარული აღტაცებით აკვირდებოდა მის ნატიფ სახეს, რომლის მსგავსი მას ჯერ არცერთი მხატვრის ტილოზე არ ენახა.

მანანას აუარებელი თავყანისმცემლები დასტრიალებდნენ თავს, მაგრამ საქმრო მაინც არსად ჩანდა. მხოლოდ ახალგაზრდა, თმახუქუქა კორნეტი მანანას გარდა სხვა ქალებს ვერ ამჩნევდა. მას შეფრფვივით შესტრფოდა და ყველგან ლანდივით უკან დასდევდა. მანანა გერმანოზიშვილმა ჯერ შორს დაიჭირა, მერე კი თვითონაც აპყვა, რათა გასართობ ადგილებში მუდმივი მხლებელი ჰყოლოდა. ეს იყო და ეს.

ხანდაზმული და უმზითგო თავადის ასულის შეყვარებული ჰაბუკისადმი ღმობიერმა და მეგობრულმა დამოკიდებულებამ ენების მითქმა-მოთქმას ხელი არ შეუშალა.

კორნეტის შეფიქრიანებული მამა თადარიგის დაქვრას შეუდგა.

1 ხათრიჯამი — დარწმუნებული.

ჩაფიქრდა დავით გერმანოზიშვილიც. მისი აზრით, მანანას მამაკაცებში წარმატებას მზითვის გრძელი სიანდა სჭირდებოდა. ფულის შოვნის წყაროდ კი ომარ ჰაიდარ-ბეგის ოქროს, ძვირფასი თვლებით მოოჭვილ ქაშაღ-ხანჯალს თვლიდა.

დაუოცნება აღარ შეიძლებოდა. ამიტომ მან თავის ეს ერთადერთი ავლადიდება ბოხჩაში გამოახვია და გრიგოლ ზანდროვს კარზე დაუკაუნა.

## 2. ქულის შებრუნება

შენ იცი მე ვინა ვარ?

გრიგოლ ორბელიანი

ზანდაროვი ხალვათხანის ტახტზე მხარეთმცოდნე წამოწოლილი ნებეირობდა, როცა მსახურმა თავად დავით გერმანოზიშვილის მოსვლა აუწყა.

— ვინა?

მსახურმა ნათქვამი გაუმეორა.

მილიონერს თეთრი ქალაღის ფერი დაედო სახეზე. გაოცებულმა მსახურმა ფეხი უხერხულად შეინაცვლა. დიდხანს თავდახრილი უცდიდა პასუხს. ზანდაროვს შეეშინდა მღელვარებას არ გაეცა. გონება მოიკრიფა და გაუმარგებელი ხმით წარმოთქვა:

— შემოიყვანე...

სანამ მსახური კარებისაკენ მიდიოდა ნიჭამხდარი მილიონერი იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ დახვედროდა თავის ყოფილ ბატონს, რაა მას ეკვიპის ნატამალიც არ აღძროდა.

ახლა მხოლოდ ერთ საბედისწერო წამზე იყო დამოკიდებული სვე-ამადლებული მილიონერის ნებეირი და უზრუნველი ცხოვრება. თუ ამ ერთ წამში დავით გერმანოზიშვილი მასში იოსებ ფანდურაშვილს აღმოაჩნდა, ყველაფერი გათავდებოდა.

ამ აზრმა მას იმ მოთამაშის სითამამე დაუბრუნა, რომელიც უკანასკნელ ქალაღზე ერთნაირის გულგრილობით დებს წაგებასაც და მოგებასაც.

მთელი განვლილი ცხოვრება გრიგოლ ზანდაროვს მხოლოდ იმას უკ-

რნახებდა, რომ მამაცი და გამბედავი ყოველთვის იგებდა, მშობარა და გაუბედავი კი მუდამ წაგებულნი რჩებოდა. მისი ღრმა რწმენით, ზოზონი და ყოყმანი მხალსა და ლაჩარს მართებდა, სწრაფი გადაწყვეტილება და ბედთან შემართებული თამაში მამაცა და გულადს.

რატომღაც ფირუზა ზანდაროვი მოაგონდა.

ფირუზას მელიას ქეუა და ჩიტის გული ჰქონდა. ქეუამ იგი ცხოვრების ასავალ-დასავალზე ატარა, მაგრამ შიშმა გზა-კვალი აუბნია, დაიმორჩილა და გაათავა კიდევც.

ფირუზა ქორ-ვაჭარი იყო, გრიგოლი — სოვდაგარი.

სოვდაგარი ათასნაირ ხიფათსა და ფათერაკს წარბშეუხრელად უნდა დახვედროდა, აქლემის ზურგი და ლომის გული ჰქონოდა, რადგან მის ქარავანს და ქარავასლას ათასნაირი მტერი ჰყვდა და ემუქრებოდა.

გრიგოლი წელში გასწორდა.

მსახურმა დავით გერმანოზიშვილი შემოიყვანა.

მოსული და დამხდური ერთმანეთს თავის ოდნავი დაკვრით შეესალმნენ.

— თავადი დავით გერმანოზიშვილი გახლავართ. — გააცნო თავი მილიონერს დავითმა.

გრიგოლმა მას თავაზიანად მიუთითა სავარძელზე და ზრდილობიანად დააცოლა:

— რით შემიძლია გემსახუროთ, კნიაზო?

დავითმა გულდასმით დაათვალიერა მილიონერის ლამაზი, სანდომიანი პირისახე, მისი ახოვანებაც თვალში მოუვიდა და მოეწონა. მილიონერის სასახლის აურაცხელი სიმდიდრით განცვიფრებული თავადი თავს უტყდებოდა: „ძნელი დასაჯერებელია, ჯერ ისევ ასეთი ახალგაზრდა კაცი ამოდენა სიმდიდრის პატრონი იყოსო“. თავის მხრივ, მილიონერი ყურადღებით სინჯავდა იმ კაცს, რომელსაც ერთ ღროს

ბერის ნიღაბში და გლახის ძონძებში ემალებოდა.

უკვე სრულიად დამშვიდებული იყო და თავადის ბოხჩას თვალს არ ამორებდა. ამ ბოხჩამ მყისვე გასაგები გახადა თავადის მოსვლის მიზეზი. კიდევ უფრო გულგრილი გამომეტყველება მიიღო. ნაადრევად დაბერებული და გაბუნებული თავადის ყურება არაჩვეულებრივ სიამოვნებას ჰგვირბოდა, გუნებას უმხიარულებდა და ახლა თვითონვე დასცინოდა თავის წელანდელ შიშს.

— უფალო ზანდაროვო! — დაიწყო თავადმა და ბოხჩა გაშალა, — ნაცნობებმა მითხრეს თქვენი ძველებური და ძვირფასი იარაღისადმი სიყვარული. გადავწყვიტე ეს ოქროს, თვალმარგალიტებიანი ქამარ-ხანჯალი მცოდნე და დამფასებელ კაცს ჩაუვადო ხელში. გარწმუნებთ, დეზად ფული დამპირდა, თორემ, მამა-პაპის ნაქონებ იარაღს გასასყიდლად არ გავიმეტებდი.

— რას აფასებთ? — მოკლედ მოუჭრა ზანდაროვმა.

თავადმა ზიზღით დაუბრუნა:

— მე ვაჭარი არა ვარ. ფასი თქვენ დასდეთ.

ზანდაროვმა ცალი თვალით გადახედა ოქროს ქამარ-ხანჯალს, მის თვალ-მარგალიტებს. პასუხი არ დაუგვიანა:

— შვიდას თუმანს მოგართმევთ, კნიაზო. რითაც გნებავთ, გინდ ოქროთი, გინდ თეთრით, გინდ ასიგნაციებით.

— თანახმა ვარ. — თქვა თავადმა და ვაჭრობის დამთავრება გაეხარა. გრიგოლმა გაიციინა:

— ამ ნაქარვე პასუხზე გეტყობათ, კნიაზო, რომ ვაჭარი არა ბრძანდებით.

— ვაჭარი? — ითაკილა თავადმა, — ღმერთს არც სომხად გაუჩენივარ და არც ურიად. ვაჭრობა ქართველი კაცის საქმე არ არის.

ზანდაროვმა ფრთხილად ასწონა სიტყვა და ისე წარმოთქვა:

— მე თვითონ ქართველი ვარ, კნიაზო, მაგრამ ვაჭრობა სათაკილოდ არ მიმანჩნია.

— მამ თუ ეგარეა, ფრანგი იქნებით. — დააბახუნა თავადმა.

— არა, ქართველი, ქართულად მონათლული.

განცვიფრებულმა თავადმა ჯერ პირი დაალო და მერე ისეთნაირად დაამტერდა განთქმულ თბილისელ სოფლაგარს, რომ შემფოთებულმა ზანდაროვმა თავის ქართველობაზე სიტყვა აღარ გააგრძელა, ნათქვამს სხვა მხრიდან მოუარა და განმარტა:

— ვერ დაგაჯერებთ, რადგან ვინც ჩვენში ვაჭრობას იწყებს, იმას სომხად სთვლიან. ეგრე იყოს, რა გავწყობა. წელანაც მოგახსენებდით, სათაკილო აქ არაფერი არის. პატივი მქონდა პარიჟში დიდხანს მეცხოვრა, იქ დიდკაცად ფულის მფლობელი ითვლება.

— ჩვენში ეგ არასოდეს არ მოხდება, — აღშფოთებით შეაწყვეტინა თავადმა, — დიდკაცად აქ დიდგვაროვანია.

— რასაკვირველია, კნიაზო! მაგრამ პარიჟშიც და თბილისშიც ძალა იმის ხელთაა, ვისაც ფული აქვს!

თავადი გაჩუმდა. ფულის ძალა თვითონაც კარგად იცოდა.

ზანდაროვმა ზარი დარეკა, შემოსულ მსახურს მოურავი დააძახებინა.

— არმაყ ვართანიჩ! — მიმართა მან მოურავს, — კნიაზ გერმანოვიშვილს შვიდასი ოქროს თუმანიანი დაუთვალეთ და ჩააბარეთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, კნიაზო.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, უფალო ზანდაროვ! — მოწიწებით წარმოთქვა თავადმა, რადგან ერთბაშად მოისაზრა, რომ განთქმულ მილიონერთან ნაცნობობა მისთვის უსარგებლო არ უნდა ყოფილიყო.

ზანდაროვმა თავადი კარებამდე მოაცილა. როცა ყველანი კარეთ გავიდნენ და კარები დახურეს, ზანდაროვს



თავბრუ დაეხვა და ხელებით კედელს მიეყრდნო. მერე ტახტთან მილასლასდა და საშინლად დაღლილი ყურთბალიშზე და მუთაქებზე მიეგდო. დიდხანს გაუნძრევლად იწვა, მოღუნებული და ძაღლონე გამოცლილი. წელანდელ შიშს ახლა უხსნიდა ხარკს.

კარებთან კენინა გოსტაშაბიშვილის ხმა გაისმა.

ზანდაროვი უკმაყოფილოდ შეიშმუნა. ძილი და მოსვენება უნდოდა. კენინას ბუზღუნით ჰკითხა:

— აქ რომ მოდიოდი, კინაზი გერმანოზიშვილი ხომ არ შეგხვდა?

— არა. მაგას რათ მეკითხები?

— ცოტა ხნის წინ აქ ბრძანდებოდა, არ მინდოდა ჩემთან ენახე.

კენინა გოსტაშაბიშვილი არავის არ ერიდებოდა, გრიგოლს სიცილით უთხრა:

— ღმერთს ეცინება, როცა საყვარლები სუს ამბობენ და ტუჩებზე თითებს იღებენ, — უგუნებოდ თავჩამოკანტურებულ გრიგოლს თვალი გაუსწორა და გააკენწლა — მე ხომ ალაფის ცოლი არა ვარ, სახეზე პირბაღე ჩამოვიფარო და მერიაშბეგუმის სახლში ისე შევიდე?!

ალაფის ცოლის ხსენებამ გრიგოლს ზანდაროვს გუნება გამოუკეთა. გაჭირებების დროს ყოველთვის მაიკო კურტანიძე აგონდებოდა, განსაკუთრებით იმ დროს, როცა ვაჟრის ქუდი ჩამოვარდნაზე ჰქონდა და მისი თავზე გამავრება სჭირდებოდა.

კენინას სიტყვა ბანზე აუგდო:

— საყვედურები არ მჭირდება, ჩემი დარღებიც მეყოფა.

მაგდა ყურადღებით ჩააცქერდა თავის საყვარელს, რომელიც ტახტიდან წამოდგომას არ აპირებდა და ნაივდმყოფარივით გამოიყურებოდა. გაკვირვებულმა იკითხა:

— რა დაგემართა, გრიგოლ? ეხლაც ისე გამოიყურები, როგორც იმ ღამეს, მორიჯის სასტუმროში.

ზანდაროვს შეშფოთება გამოესახა სახეზე, რადგან მიხვდა, რომ მისი ში-

ნაგანი შიში და მღელვარება სხვებისთვისაც შესამჩნევი ხდებოდა, თავს ძალა დაატანა, საუბრის გუნის შეცვლა მოინდომა, დაიწყო წუნა:

— მარტოობა მომწყინდა, კენინა! მაგდამ ყურები ცქვიტა.

— ვერ გავიგე რა მითხარი, გრიგოლ.

— ამოდენა სახლში მარტოდ-მარტო ვცხოვრობ, ხმის გამცემად მარტო თეთრი ღიზა მყავს, — ნაღვლიანად განაგრძო ზანდაროვმა, — ხანდახან ისეთ გუნებაზე ვდგები, ღამის კედელს თავი ვახალო.

მაგდას გაეცინა.

— ცოლი შეირთე, თავიც გადაჩება და მარტოობის დარდიც გაგივლის.

ზანდაროვმა ხელი ჩაიქნია.

— მაიკო კურტანიძის გამო ღამის არის სული ამომილო, ცოლის შერთვას როგორღა მამატებ.

კენინას ისევ გაეცინა:

— ცოლების წერ არასდროს არავის არ შინებია, დედაკაცებს საყვარლების გვეშინიან.

ზანდაროვმა ნათქვამის აზრი გაიგო და გაიღიმა.

გამხიარულებული მაგდა საყვარელს გვერდით მოუჭდა და სიცილითვე ჰკითხა:

— მაშ, მალე ვაჟრის ქალის ქორწილში დაგვაპტიებ.

— ის ვაჟრის ქალი არ არის, მაგდა.

კენინა გოსტაშაბიშვილმა სერიოზული სახე მიიღო, რაღაც მოაგონდა და მყისვე იკითხა:

— შენი აზნაურობის საქმე როგორ არის?

— ძალიან კარგად. კომისიაში ქალღიღადი უკვე მზად არის. მეფე ერეკლეს სიგელები დავკარგეთ, მაგრამ ყველამ კარგად იცის ჩვენი აზნაურობა, თეიმურაზ მეფეს, ერეკლეს მამას, ბავშვობაში ფეხი უღრძვია და ჩემს ულუპაპას დაუღვია ხელი. ზანდაროვებს მშინ მიგვიღია აზნაურობა და სიგელიც.



— რა დაგიჭდა? — სერიოზული კი-  
ლოთი ჰკითხა კნენიმ.

— რა? — გათამამებული გაკვირვე-  
ბით იკითხა ზანდაროვმა.

— აზნაურობა.

— ასე ოქრო. — თავმომწონედ უბა-  
სუხა მილითნერმა.

კნენი ჩაფიქრდა. მერე საყვარელს  
მიუბრუნდა და ცნობისმოყვარეობით  
ჩაეკითხა:

— უყვარხარ იმ ქალს?

— ვინ ქალს? — ვერ გაიგო ზანდა-  
როვმა.

— აზნაურის ქალს, შენს მომავალ  
ცოლს.

— ის აზნაურის ქალი არ არის.

— მაშ ვინ არის? — წამოიძახა წი-  
ნათგრძნობით შეპყრობილმა კნენი  
გოსტაშაბიშვილმა.

— თავადის ასული. — მშვიდად მი-  
უგო ზანდაროვმა.

კნენი უეცრად რისხვით აენთო და  
გათამამებულ სოვდაგარს დაუნდობ-  
ლად მიიხალა:

— ძალიან მალა იყურები. სოვდა-  
გარო. საყვარლად კნენი გაყავს და  
ცოლსაც თავადის ქალებში ეძებ? და-  
გავიწყდა ვინცა ხარ?

— მე?

— ჰო, შენ.

— მე მდიდარი კაცი ვარ.

— მაგრამ მაინც მდაბიო!

ზანდაროვს შეურაცხყოფამ სახე  
დაუბნელა, აღარც თვითონ დაინდო  
კნენი, კბილებს შორის გამოსცრა:

— მაშ შენთვისაც უბრალო აშოლ-  
ლანი ვყოფილვარ, ქალაქის ბაზრის  
კინტო.

კნენი გოსტაშაბიშვილი მოღბა, გა-  
დაფითრებული გრიგოლი მეგობრუ-  
ლად დაარიგა:

— ყური დამიგდე, გრიგოლ. შენ  
თავადის ქალს ცოლად არავენ მოგ-  
ცემს, ტყუილად თავს ნუ შეირცხვენ.  
კარგად დაფიქრდი და მავ განზრახვა-  
ზე ხელი იილე.

ზანდაროვი გაბრაზდა:

— ზევიდან ყურების ნებას არვის

მიეცემ, ეს შენც ვერ ისევ პარიკში გა-  
გაგებინე. რაც შეეხება თავადებს, ისი-  
ნი ჩემს ქისაში სხედან, როცა ბინდა,  
თავს წაუჯრავ და მტკვარში გადავაგ-  
დებ.

— მაგის გაკეთება შენთვის უფრო  
ადვილია, ვიდრე თავადის ქალის ცო-  
ლად შერთვა.

— ვნახოთ, ქედს ვინ ვის შეუბრუ-  
ნებს! — ამაყად და ლალად წარმოთქვა  
ზანდაროვმა.

მის ხმაში ისეთი რწმენა გაისმა,  
რომ კნენი გოსტაშაბიშვილი ერთხელ  
კიდევ დაემორჩილა მის ძალას, თუმცა  
მისი გონება ყოველთვის უარყოფდა  
როგორც მას, ისე მასთან ტრფიას.

### გ. სპარბეზლო

თქვენ არ მოგწონთ ჩემი წარმოშობა.

ჩარლზ დიკენსი, „ჩვენი საერთო მეგობარი“

მეორედ გრიგოლ ზანდაროვი და და-  
ვით გერმანოზიშვილი ერთმანეთს საყ-  
რებულოში შეხვდნენ.

გრიგოლმა თავადს შორიდან გაუღი-  
მა და თავი დაუქრა. თავადიც თავის  
დაკვრით მიესალმა მას.

— შესანიშნავი კაცია უფალი ზან-  
დაროვი, — უთხრა დავითს თანამოსა-  
უბრე ქართველმა ოფიცერმა, —  
ღმერთს მაგისთვის, სიმდიდრესთან  
ერთად, შნოც და ლაზათიც მიუცია.  
რომელ სოვდაგარს შეადარებ მაგას?  
სწორედ რომ თავადური გარეგნობა  
აქვს.

დავითმა თვალი გააყოლა ამაყად  
მიმავალ, მოხდენილსა და გემოვნებით  
ჩაემულ ზანდაროვს. თანამოსაუბრეს  
გაოცებით უთხრა:

— საკვირველია, რომ ეგ ლამაზი  
და მდიდარი სოვდაგარი არც ქართ-  
ველსა ჰგავს და არც სომეხს. უფრო  
ინგლიელს მაგონებს.

ალექსანდრე ბატონიშვილის ყოფილ  
ემისარს ინგლისის თეირანის საელჩოს  
თანამშრომლები დაუდგა თვალწინ.

— ჩვენში თავადიც იცვლება და ვა-  
ქარიც, — უბასუხა თანამოსაუბრემ და

ხელი ევროპულად ჩაცმულ, სახეზე ბრინჯშეყრილი ქართველი თავადები-სკენ ვაიშვია, — ახალი დროება დგება, კნიაზო!

დავით გერმანოზიშვილი ამირიზა. „ახალ დროებაზე“ ლაპარაკი ყოველთვის აღიზიანებდა. განსაკუთრებით ყმების განთავისუფლებაზე ჩამოგდებული სიტყვა აბრაზებდა. თუმცა მას ყმები აღარ ჰყავდა და ოფიცრის ჯამგირით ცხოვრობდა. არც ის მოსწონდა, რომ საყრებულოში თავადებთან ერთად სოცდაგრების „ფრანგულად გამოწყებილი“ ვაყებიც მოდიოდნენ, ხოლო უმრავლესობას აზნაურები შეადგენდნენ. გაჯავრებული თავადი უკმაყოფილოდ თავს აქნევდა იმის გამო, რომ მეფის მთავრობა აზნაურებს უფრო მფარველობდა, ხელს უწყობდა და აწინაურებდა, ვიდრე დიდგვაროვან არისტოკრატებს. ნაწყენი და გაბუტული დავით გერმანოზიშვილი შინაურებში რუსთა მოსვლის დღეს სწყევლიდა, გარეულებში კი ფრთხილად აღნიშნავდა: „რუსებმა ბევრი კარგიც მოგვიტანეს და ცუდიც შეგვიტანეს“. ამის საბუთად აზნაურების და ვაჭრების მფარველობას და გათამამებას იმწმებდა. არც სოფლის მღვდლებს უპობიდან განთავისუფლება ეპიტანავებოდა. ყოველმხრივ თანაუგრძობდა „შეყრილობის“ მოტრფიალუ და „გაყრილობის“ მომდურავ თავადებს, რომელნიც საყრებულოს არ ეკარებოდნენ და ნიახურთან გადახდილ უკანასკნელ ბრძოლას სინანულით იგონებდნენ.

საკრებულოში უპირატესად ახალგაზრდა და შუახნის თავადები დადიოდნენ გასართობად და სალაღობოდ. საყრებულოს ერთ დარბაზში ვოდვეილების თეატრის ორკესტრი უკრავდა ოდესელი მუსიკოსის მარგოლინის დირიგორობით. სხვა დარბაზებში ბანქოს თამაშობდნენ ან მუსიკით ერთობოდნენ. ერთ-ერთ დარბაზში კი შესანიშნავი ბუფეტო იყო გამართული. სწორედ აქ გრიგოლ ზანდაროვი ერთ 4. „შინათბი“ № 8.

ბრწყინვალე ბობოლასთან შინაურულად საუბრობდა. ხელში მალაღფეხიანი ორთომელი ეკირა და „გატაკებში“ ლაპარაკობდა. როცა დავით გერმანოზიშვილმა მათ მახლობლად გაიარა, მას ზანდაროვის ფრანგულად ლაპარაკი მოესმა. სახტად დარჩენილი ისეთნაირად შედგა, კაცს ეგონებოდა მოსაუბრეებს გვერდში ამოდგომას უპირებსო. ზანდაროვმა თავადს გადმოხედა, ნაგრამ არაეითარი ყურადღება არ მიჰქცია წყენის მაგიერ თავადი პირველად გაიმსჭვალა მისდამი მოკრძალებული პატივისცემით.

მილიონერი ვიცე-გუბერნატორს დესიმონს ელაპარაკებოდა.

გრიგოლ ზანდაროვი და დავით გერმანოზიშვილი ერთმანეთს საყრებულოში ხედებოდნენ და თავის დაკერით ესალმებოდნენ. თავადი მას მხოლოდ იმ დროს გამოელაპარაკა, როცა მეფისნაცვალმა ზანდაროვს იმპერატორის ახალი მედალიონი გადასცა.

ბედნიერ მილიონერს საყრებულოში ყველანი ხელს ართმევდნენ და ახალ ჯილდოს ულოცავდნენ. დავით გერმანოზიშვილმაც მედიდურობა განზე გადასდო და ახლად გაცნობილ სოცდაგარს მოწინებით „ხელმწიფური ჯილდო“ მიულოცა. ზანდაროვმა ახლა კი ხელი სტაცა თავადს და აღარ გაუშვა. ერთმანეთს გამოელაპარაკნენ და ქათინაურები უთხრეს. თანდათან დაახლოვდნენ და დამეგობრდნენ.

ერთ საღამოს ზანდაროვმა თავადს ჭილაღის თამაში შესთავაზა. თავადმა უარის ნიშნად თავი გაიქნია. ზანდაროვმა მეგობრულად მოჰკიდა ხელი, შინაურულად გადაულაპარაკა:

— ნუ მომერიდებით, კნიაზო. თუ ხელზე ფული არა გაქვთ, მე აქ ვაბლავართ. ასი თუმანი გეყოფათ, რომ მაგიდას შემოუხსნდეთ?

დავით გერმანოზიშვილს შერაცხვა. ველარაფერი აწამა. უარის თქმა გაუძნელდა. დადებული აღთქმა დაარღვია და მწვანე მაგიდას ერთხელ კიდევ შემოუქდა „ბედის გამოსაცდელად“.

სათამაშო მაგიდის გარშემო ოთხნი ისხდნენ: მილიონერი გრიგოლ ზანდაროვი, თავადი დავით გერმანოზიშვილი, სასამართლოს პროკურორის ახალგაზრდა თანაშემწე და ლიტერატორივით ჩაცმული შუახნის მამაკაცი, რომელიც არსად არ მსახურობდა და მხოლოდ ქაღალდს თამაშობდა.

ქაღალდი პროკურორის თანაშემწემ დააროგა.

ბანკში სწრაფად დახვავდა ოქრო, ვერცხლი და ასიგნაციები. სანთელივით გაყვითლებული პროკურორის თანაშემწე გაქვავებულივით იჯდა. ლიტერატორივით ჩაცმული სქელ-სქელი, სახელდაღა მამაკაცი გაბადრული იყურებოდა. ზანდაროვი იღიმებოდა. მან უდარდელად ასწია თავისი ქაღალდის კუთხე. ჭერის კიკო იყო. ესია მოგონა, მაგრამ არავის არაფერი არ შეამჩნევინა. მხოლოდ თავად გერმანოზიშვილს ანთებოდა თვალები. „ვა ბანკის“ დაუვირება უნდოდა და თავს იკავებდა. ეშინოდა. უმნიშვნელო თანხა დაასახელა და მოიგო. ბანკი ზანდაროვმა მოხსნა. ქაღალდს ახლა ლიტერატორივით ჩაცმული მამაკაცი არიგებდა. ჭერის კიკომ დაუყოვნებლივ გასცა თავად გერმანოზიშვილის მღელვარება. „ვა ბანკ“ დაიძახა და წააგო. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ უფრო დიდი თანხა წააგო ზანდაროვმა. იმ ღამეს მხოლოდ პროკურორის ახალგაზრდა თანაშემწე და ლიტერატორივით ჩაცმული შუახნის მამაკაცი იგებდნენ და მწვანე მაგიდიდან ზედიზედ ხვეტდნენ ოქროს, ვერცხლს და ასიგნაციებს.

დავითი მთვრალივით წამოდგა ფეხზე. მხოლოდ ახლა გაახსენდა დისთვის მიცემული სიტყვა — არასოდეს მწვანე მაგიდას არ გაჰკარებოდა. შეცბუნდა. გუნებაამღვრეულმა თავი იმითლა ინუგეშა, რომ მანანას მზითვის წიგნის დასაწერად გადაღებულ თანხას ერთი გროშიც არ აკლდებოდა. მან მხოლოდ ნასესხები ფული წააგო. ნასესხების გადახდას კი როგორმე მოახერხებდა. ასე ფიქრობდა ფულის წაგებით ვა-

რუებელი თავადი, თუმცა ასე თუქმნის შოვნა მისთვის ადვილი არ იყო.

უდარდელად მომღიმარე ზანდაროვმა თავადს მკლავში ხელს გაუწვავა. ბუფეტში შეიყვანა და ქალბატონ ლაბიელის შამპანურით გაუმასპინძლდა.

ნეზობელ დარბაზში ორკესტრი ვენურ ვალსს უკრავდა. გამხიარულებულ ზანდაროვს ლაპარაკის საღერღელი აეშალა:

— ესრეთ მუსიკას ვენაში უკრავენ. მშვენიერი ქალაქია, მზიარული, სიცილიანი. დროს გატარებაც კარგი იციან იქაურებმა. ეჰ, რა არ ვნახე, კნიაზო, რა არ განვიცადე. სად არ ვიყავი! პეტერბურგში, ვენაში, ბერლინში, პარიზში, მარსელში, სტამბოლში. ყველგან ყველა ქალაქს თავისი შნო და ლაზათი აქვს. მაგრამ ჩვენი თბილის-ქალაქისთანა, მერწმუნეთ, არსად არ არის.

შამპანურით ნახევრად გავსებული ორთომელი. გატაცებით მოლაპარაკე მილიონერმა ხელში მოხდენილად შეათამაშა და განაგრძო:

— აქ დავიბადე, აქ აღვიზარდე, აქ გავშალე ფრთები. ქალაქელებს ქალაქის სიყვარული როგორ გავგვმტყუნებოდა, როდესაც იმათაც უყვართ, ვინც აქ მოსულა და მტკვრის კენჭი გადაუყლაპია! — თავადს მიუბრუნდა და სხვათა შორის ჰკითხა — თქვენ საიდანღა ბრძანდებით, კნიაზო?

— ბერთებნელი. — უხალისოდ უბასუხა დავით გერმანოზიშვილმა.

— არ ვიცი. არც გამოგონია. მე მართო თელთი და შევნაბადა ვიცი. ქალაქელებს იქა გვაქვს სალოცავები. მიერთვით, კნიაზო. სანაქებო სასმელია. მაღამ ლაბიელი ამიტომ გავამდიდრეთ ქალაქის დარდიმანდებმა.

დავითმა უგუნებოდ მოსვა შამპანური.

ზანდაროვმა ხელახლად შეავსო თავისი ორთომელი, მაღლა ასწია და დაიტრახა:

— კაცად ბიძაჩემმა, ცხონებულმა ფირუზა ზანდაროვმა გამხადა, მაგრამ მი-

ლიონერობას მე თვითონ ავუღე ალ-  
ლო ლახათიც პარიელებმა მომცეს.  
ვინ მე და ვინ ბართლომე კურტანიძე!

დავითი გაჩუმებული უსმენდა. გრი-  
გოლ ზანდაროვის ვინაობა მას არ აინ-  
ტერესებდა, კიდევ უფრო ნაკლებად  
ის მდიდარი ალაფი, რომლის სახელი  
ყველას პირზე ეკერა და ყველა უც-  
ნაურად დამუნჯებულს და უცხვირპი-  
როს რაღაცნაირის ათვალწუნებით ახ-  
სენებდა. თავადი უსიამოვნო ფიჭვ-  
ებით იყო გართული. წაგების გახსენე-  
ბა ტანში სცრიდა და სინდისი ქენჯ-  
ნიდა.

ზანდაროვი მას ცალი თვალთ აკვი-  
რდებოდა, მისი მოღუშული სახის ყუ-  
რებით ტყებოდა. გარეგნულად კი  
არაეითარ ყურადღებას არ აქცევდა გ-  
ფითრებულ თავადს, რომელსაც ხელ-  
ში გრძელფეხა და განიერმუცლიანი  
ორთომელი ოდნავ უქანკალებდა. უყუ-  
რებდა კანდელაბრების სანთლების  
კრთომას მის ორთომელაში და მომწვა-  
ნო შამპანურის მოუსვენარ ლიცილიც.  
მხოლოდ დაკვირვებულ თვალს შეეჭ-  
ლო იმის მღელვარების აღმოჩენა, ვი-  
საც ეს ორთომელი ეჭირა ხელში. ზან-  
დაროვი სიცილით განაგრძობდა მდი-  
დარი ალაფის ბართლომე კურტანიძის  
მოუხეშავი გარეგნობის და მისი სასა-  
ცილო სერთუკის აღწერას. უცებ ლა-  
პარაკი შეწყვიტა და დავითს თანაგრ-  
ძნობით ჰკითხა:

— რაზე მოიწყინეთ, კნიაზო?

დავითი დაიბნა. ასეთ კითხვას არ  
მოელოდა. პასუხის ერთბაშად გაცემა  
გაუჭირდა. დაღლილობა მოიმიზეზა.

— ჰო. აფიცრებს დიდი ჭაფა ვადგი-  
ათ. — თქვა ზანდაროვმა და კედლის  
დიდი საათისკენ გაიხედა. — ერიპა.  
შუალამე ვადასულა! დრო არის საკრ-  
ებულო დავტოვოთ.

დავითმა მორიდებით გაუბედა:

— როდის გავსწორდეთ, უფალო  
ზანდაროვო?

ზანდაროვმა გაკვირვებით შეხედა.  
თავი ისე დაიჭირა, თითქოს მისი ნათ-  
ქვამი არ ესმოდა.

— რა ბრძანეთ, კნიაზო?

— ვალზე მოვახსენებდით. თქვენ  
ასი თუმანი როდის მოგზარტებთ?

— როცა გნებავთ. ეგ რა საკითხა-  
ვია?

დავითი ერთ ადგილზე იტყუებებოდა  
და ისე ლაპარაკობდა:

— ცოტას დაგიგვიანებთ. ვექსილი  
კი ეხლავე შეიძლება დაეწეროთ. ვა-  
დაც დამინიშნეთ.

ზანდაროვმა დაუცლელი ორთომელი  
მარმარილოს მავიდაზე დადგა, თავადს  
მიუბრუნდა და მეგობრულად უთხრა:

— უვექსილოდაც შეიძლება ერთმა-  
ნეთს თავი დავუკრათ და ძილი ნები-  
სა ვუსურვოთ, კნიაზო!

დავითმა მედიდური სახე მიიღო,  
მტკიცე გადაწყვეტილებით მოითხოვა:

— ვალი მაინც ვალია, უფალო ზან-  
დაროვო. გთხოვთ ეხლავე ვექსილი  
დასწეროთ და აქედან დამშვიდებულ  
გამიშვათ.

„გათავებული კაცი ხარ, მაგრამ  
გეტყობა კორბზულობას მაინც არ იშ-  
ლი“, — გულში მწარედ დასცინა თა-  
ვადს ზანდაროვმა. ხმამაღლა კი შეუ-  
რაცხყოფილი ადამიანის კილოთი მი-  
მართა, — მეგობრების ვექსილებს მე  
არა ვწერ. ამისთვის მოურავი მყავს.  
რაკი თქვენსას არ იშლით, კნიაზო, მე  
დავაწერიანებ და თქვენ ხელი ჩაურ-  
თეთ.

— როდის გეახლოთ?

— როცა გნებავთ.

— ხვალვე თქვენს მოურავს ვინახუ-  
ლებ ამ თვის ბოლომდე, ვეცდები,  
ვალიც ჩაგაბაროთ.

— ხვალ მაგისტვის ნუ გაირჩებით,  
კნიაზო. ხვალინდელი საღამოსთვის დი-  
დი ნადიმი მაქვს დანიშნული. იმედი  
მაქვს პატივს დამდებთ და მასიამოვ-  
ნებთ.

თავადი შეყოყმანდა.

ზანდაროვი მომნუსხველად უყურებ-  
და მას. ბოლოს ისევ ორთომელი აი-  
ლო ხელში, შეათამაშა, დააცქერდა და  
უფრო მწვანედ გალიცილიცებულ შამ-  
პანურს უთხრა, ვიდრე თავადს.

— ნადიმზე ბევრი დიდკაცი დაგზებდებოთ.

თავადმა მდაბლად დაუკრა თავი.

ისინი საკრებულოს წინ გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

მილიონერი თავის ეტლში ჩაჭდა. თავადმა ნიკოლოზის მოედანი გადასჭრა და დამარბულ-ალერდილი მძიმე ნაბიჯით აპყვა მთაწმინდის ბნელ აღმართს.

#### 4. ნადიმის წიგნი

ვინა დღეს ვინმეს აზრი გააჩნია? დღეს მხოლოდ ინტერესებით ცხოვრობენ.

ინორე დე ბალზაკი

დილით გრიგოლ ზანდაროვი გვიან აღგა. ზარი დარეკა და მოურავი მოიხშო. ნადიმის თადარიგის ამბავი დაწვრილებით გამოჰკითხა. მერე თავად გერმანოზიშვილის სახელზე ვექსილი დააწერინა და დაარიგა:

— ამასაც და სხვა ეალსაც, არშაკ ვართანიჩ, შენ მოუვლი. შენ იცი და იმ თავადმა. ამ საქმეში მე ნუ გამრევ.

არშაკ ვართანიჩი ნათქვამის აზრს მისივე მიხვდა. ზანდაროვი რატომღაც ხელს იბანდა, თავადის ბაღში გახვევას კი მას ავალებდა. ამიერიდან ყველა ვექსილი მას უნდა დაეწერა და თუ თავადი გულმავიწყობას გამოიჩენდა, მასვე შეეხსენებინა. ზანდაროვი მხოლოდ მაშინ იტყოდა თავის სიტყვას, როცა საქმე სისამართლოზე მივიდოდა.

ზანდაროვმა მოურავს ისევ ნადიმი გაახსენა.

— აბა, შენ იცი, არშაკ ვართანიჩ, ისეთი ნადიმი უნდა გავმართოთ, რომ ქალაქს სალაპარაკო არ მოაკლდეს.

— არხინად იყავი, გრიგოლ გიორგევიჩ! — მლიქვნელურად მიუჯო პესკევიჩის დროს არზრუმიდან გადმოკარგულმა მოურავმა, რომელმაც ათნაირი ენა და აღამიანებთან ურთიერთობის ასწავრი ხერხი იცოდა, — მე ვიცი და ჩემმა მარიფათმა!

ზანდაროვს მოწინებით თავი დაუკ-

რა და ოთახიდან ფეხაკრფით გავიდა. ძვირფას ბუხარულ ხალათში გამოწყობილმა გრიგოლმა მადლიანად ისაუბრა. საათი გასინჯა და იმ ოთახისკენ გაემართა, სადაც მას დალაქი უცდიდა. — კუსპარას გაუმარჯოს.

— გაემარჯოს, გრიგოლჯან! — თავი მდაბლად დაუკრა სულთანივით ჩაცმულ გრიგოლს დალაქმა, რომელმაც დიდი ხნის წინათ (ეს აღარც ზანდაროვს ახსოვდა და აღარც დალაქს) დღევანდელ მილიონერსა და ბატონაკის გლახის ძონძებზე თავისი ქუქუყიანი წინსაფარი შემოახვია და მაკრატლით გრძელი ნაწნავები მოჭრა.

ძველი ყომარბაზი სულმთლად გამოცვლილიყო. სუფთად და კოპწიად ეცვა. გულდასმით გაპარსულს, ჩოფურაზე თეთრწითელი პუდრი წაეყარა, ქოჩორიცი თივის ზვინივით აეყირავებინა, დაპზე ოქროს საათის ოქროსავე ძეწკვი გარდი-გარდმოდ გადაეკლავა და ბორხენა თავისა და ულამაზო გარეგნობის მიუხედავად, რანტიეს ღირსებითა და კმაყოფილებით გამოიყურებოდა. ეუკიელი დალაქი პარიზელ პარიკმახერად იყო გადაქცეული. პარიზული საპარიკმახერო ბალის ქუჩაზე ჰქონდა გახსნილი. აქედან უწევდა კონკურენციას ბლოტს, პელეტის და ფაგეს, რომლებთანაც წვერს მხოლოდ დიდკაცები იპარსავდნენ.

კუსპარა დალაქმა მანქვა-გრეხით და უთაებლო ყბედობით გაუსწორა სავარძელი თავის ყველაზე მდიდარ კლიენტს. ზანდაროვმა სარკეში თავის ორეულს ჯერ გაუღიმა, მერე ჩაცვიებით დააქქერდა და დააშტერდა. დავით გერმანოზიშვილთან შეხვედრის შემდეგ ეს მას უნებლიედ ემართებოდა ხოლმე. გულდასმით აკვირდებოდა და ათვალერებდა ნაცნობ ორეულს, რომლის ლამაზ და მიმზიდველ პირისახეს მოხდენილად შერწყმოდა არისტოკრატიული სინატიფე. ზანდაროვი თანდათან რწმუნდებოდა, რომ თვითონ იგი, ათსნაირი დაკვირვების მიუხედავად, ამოდ ეძებდა გლეხუქის ნატამალს

სგებდნიერი მილიონერის გასხვოსნებულ გარეგნობაში. ეს მას ისევე უძნელდებოდა, როგორც საკუთარი ნათლობის სახელის გახსენება. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ მან არავითარი ეჭვი არ აღუძრა თავად დევით გერმანოზიშვილს. ეს საესებით გასაგები იყო. ალბათ ამ ლაქლაქით გართულ დალაქსაც გაუჭირდებოდა მასში ხელახლად დაენახა დამონძილი გლახის დამფრთხალი სახე. დროც, ეტყობა, თავისას აკეთებდა. აღარც ეს ჩოფურა დალაქი ჰგავდა იმ ჩათუქესან ყომარბაზს, რომელსაც ფირუზა დასცინობდა და ამასხარავებდა ხოლმე.

ზანდაროვმა ცალი წარბი კმაყოფილებით ასწია.

ის, რისიცი მას ეშინოდა, მხოლოდ მან იცოდა, საკუთარი თავის გაცემას კი იგი არ აპირებდა.

კუსპარა დალაქს ყბედობა შეაწყვეტიდა და გაეხუმრა:

— ბიჭო! ბლოტს და ფაგეს რომ ედრები, შენ მაგისი შნო ვინ მოგცა?

დალაქმა გაუცინა და ყველა დაქიანებული კბილი ერთბაშად გადმოჰყარა:

— მაშ რა ვქნა, გრიგოლჯან! ახლო-მახლო ამდენი პარაქსი პარაკმახერი ვის გაუგონია? მეც ფაგე ხანის ქუჩიდან თუ არ დავიფრინე, ან ბლოტს ცხვირი არ დაუნაყე, პური როგორღა გჭამო? შენ, მოდი ერთი ნახე, ჩემს ნაონატრად დახატულ დალაქხანაში რამდენი დიდი კაცი მიდის და მოდის!

ზანდაროვი ჩაფიქრდა. სერიოზულად წარმოთქვა:

— რას იფიქრებდა ფირუზა, თუ შენგან კაცი დადგებოდა?!

— შენ ეგა თქვი და! — გაიცინა კუსპარამ.

— ჰო. ანგარიში იმასაც ეშლებოდა.

— რას ამბობ, გრიგოლჯან, ანგარიშის დაეთარს იმას ხელიდან ვინ გააგდებინებდა? მაგრამ ცხონებულმა ოფოფების აშვებაც კარგა მაგრად იცოდა შენ არ გეწყინოს, გრიგოლჯან, კარგად მახსოვს, შენც სულ ლაყეს გეძაბდა და საცა ქუჩაში კაცს დაიჭერდა, ამას

შესჩიოდა. მერე? განა არ მოტყუვდა?

— უსაბაბოდ ფირუზა ამას რათ იტყოდა? — ისევ სერიოზულად თქვა ზანდაროვმა, — რაც იმან მოთხრა, ყველაფერი გამართლდა. გამოუცდელი ვიყავი და ცხოვრებას იმ კუთხიდან არ უყურებდი, საიდანაც უნდა მეყურებინა. კაცად იმან მაქცია.

— მაშ! მაშ! — საჩქაროდ დაეთანხმა კუსპარა დალაქი და ცერით თვალიდან ცრემლი მოიწმინდა. — იმისგან მეც ბევრი კარგი მახსოვს. ან როგორ დავივიწყებ? — ისევ გამზიარულდა და სიცილით დაძმინა — ცარიელა ჭკუა იყო — ვისაც თვალს დაადგავდა, აღარ გაახარებდა. მაგრამ სხვაც უნდა ვთქოთ, გრიგოლჯან! ვინმეს ომანიანი დაძახება და ფირუზას გაქცევა ერთი იყო, ვინ იცოდა „ლხინის პაპა“ სად იმალებოდა? ბოლოს სიყვითლეს იმიტომ დასჩემდა.

ზანდაროვმა გაიცინა, მაგრამ აღარაფერი თქვა.

— გაამოს, გრიგოლჯან!

გრიგოლმა დალაქს ვერცხლის მანეთიანი გადაუგდო, გაისტუმრა და თავისი დიდი სახლის დარბაზები შემოიარა.

თეთრი ღიზა ეკლესიიდან ჯერ არ იყო დაბრუნებული.

ზანდაროვს მსახურებთან და მოახლეებთან ლაპარაკი არ უყვარდა, არ კადრულობდა. სამაგიეროდ თეთრი ღიზა მათ ქორივით დასტრიალებდა თავზე. გამუდმებით ყვიროდა და ჩხუბობდა. ყველას ყველაფერს უწუნებდა და რგოლზე აცმული გასაღებების ჩხარუნით ყველგან ცხვირს ჰყოფდა.

ზანდაროვმა ბაღში ჩაისეირნა. დანაყული წითელი აგურით მოკირწყლულ გზას ტაატით გაჰყვა და ხეივნის ბოლოში მოულოდნელად ვახტანგ ტაშირელს შეეჩხუბა. ზანდაროვს გულწრფელად გაეხარდა მისი ნახვა. ჩვეულებრივ თავდაქერილმა, მოსკოველი აზნაური დიდი სალამ-ქალამით მოიკითხა.

— ვახტანგს გაუმარჯოს! რასა იქ?

ვერსი აქვს დასტრიალდომი მკობრთებდ



როგორა ხარ? რატომ აღარ გამოჩნდი, კაცო?

ზანდაროვს რალაცნაირად უყვარდა, თვითონაც არ იცოდა რატომ და რისთვის პატიოსანი და მოკრძალებული ვახტანგ ტაშირელი. სამაგიეროდ ტაშირელს არ უყვარდა ზანდაროვი. ოღონდ გარეგნულად ამას არასოდეს არ გამოხატავდა. ახლაც ზრდილობიანად მივსალმა და თავაზიანად მოიკითხა:

— გმადლობთ, უფალო გრიგოლ. ჩემის მხრივ ვიმედოვნებ, თქვენს კარგად ყოფნას.

— მოდი, მოდი, ვახტანგჯან, აქ დავსხდეთ და ძველებურად ვიჭუჭუტოთ. მწვანედ შეღებილ ხის გრძელ ზურგიან სკამზე ჩამოსხდნენ.

— როგორ მიდის შენი მასწავლებლობის საქმე, ვახტანგჯან?

ვახტანგ ტაშირელი გიმსაზიანო ბუნებისმეტყველებას ასწავლიდა.

— გმადლობთ, სამღურავი არაფერი მაქვს.

— ბარაქალა! ბარაქალა! შეშანიკი როგორა არის თავისი დიდრონი შვილებით?

ტაშირელი შეშანიკა მამრძიძის ქალვაეს ფრანგულს ასწავლიდა, მათთან შინ დაიარებოდა და მათ ოჯახთან დაახლოებული იყო. ზანდაროვმა ეს კარგად იცოდა, რადგან ტაშირელი მისი თაოსნობით და რჩევით მოეწყო მასწავლებლად მამრძიძიანთ ოჯახში.

— გმადლობთ, გმადლობთ. დედა, მოგეხსენებათ, ჭკვიანი მანდილოსანი გახლავთ და შვილებიც კარგად არიან აღზრდილნი.

ზანდაროვი ჩაფიქრდა.

— შეშანიკი თავის დროზე ლამაზი ქალი იყო, ეშხიანი და შეშპარა. საწყალი დარღმა და ცხოვრების ვაი-ვაგლახმა გაათეთრა.

ტაშირელს შეშანიკის „შებრალება“ არ ესიამოვნა, ზანდაროვს უკმეხად შეაწყვეტინა სიტყვა.

— ვგონებ, უფალო გრიგოლ, შეშანიკისთანა ქალს „საწყლად“ მოხსენება არ სჭირდება. ამნაირი მტკიცე ხასია-

თის, გამრჯე და პირდაპირი ადამიანი იშვიათად შემხვედრია ცხოვრებაში. ამ გულკეთილ მანდილოსანს არა მარტო თავი და ოჯახი აკონდება, შვილებს გარდა სხვებსაც პატრონობს.

— მართალია. — დაეთანხმა ზანდაროვი. — მაგნაირს ქალს ცხოვრებაში არ გაუქირდება. ჭკუაც კარგად უჭრის. მაგრამ არ ვიცი, ღარიბებს რას დასდევს და რა სწადიან? მეღჭო ფერშანგოვს სრულებით არა ჰგავს. არც ფულს უფროხილდება და არც ჭანს. ღარიბებს მაგ სუსტმა ქალმა უნდა უშველოს? ამათი შველა ღმერთს არ უნდა, ფერშანგოვის ქალი რას გახდება?

ტაშირელმა ხმა არ ამოიღო. გამოცდილებით იცოდა ზანდაროვთან კამათის უსარგებლობა. თავდახრილი უსმენდა და იმით იყო გაკვირებული, რომ ზანდაროვის ღრმა რწმენით ღმერთი მდიდართა მხარეზე იყო და ღარიბთა შველა არ აკონდებოდა.

ზანდაროვმა ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა ვახტანგ ტაშირელი. უმიზეზოდ ის მის სახლში არ მოდიოდა. ან ვინმე გაკვირებულს ავეღრებდა ან ვილაც ღარიბი და ნიჭიერი მოწაფისათვის ყოველთვიური თანხის დანიშვნას თხოვდა. თუ ზანდაროვი კარგ გუნებაზე იყო, რამდენიმე გროშს იმეტებდა, თუ ცუდ გუნებაზე გახლდათ, უარით ისტუმრებდა.

ტაშირელმა შორიდან შორიდებით დაიწყა:

— დრონი იცვლებიან, უფალო გრიგოლ. დღევანდელი დღე გუშინდელს აღარა ჰგავს. საზოგადოება წინ მიდის. ბევრი მოთხოვნილება უჩნდება და განათლებულნი წევრნი საზოგადოებას მისი დაკმაყოფილებისათვის ზრუნავენ. ჩვენ რატომ უნდა ჩამოვრჩეთ?

— „ვინ ჩვენ“ — გაიფიქრა. ზანდაროვმა და იმის მიხვედრას ცდილობდა, თუ ვახტანგ ტაშირელს რა ალაპარაკებდა და რას უმიზნებდა.

ტაშირელმა ენის ბორძიკით განაგრძო:

— თითქოს ყველაფერი გვაქვს...



სკოლაც, თეატრიც, გაზეთიც. მაგრამ ესენი ქართულადაც უნდა გვეკონდეს. თუ ენას არ გავუფერობილდებით და არ შევიინახავთ, ჩვენს გადაგვარებას და ჩვენი სახელის ამოვარდნას წინ არაფერი დაუდგება.

ზანდაროვმა გააკვირვებით დაახამხამა თვალები. ტაშირელის ლაპარაკი მისთვის სულ უფრო და უფრო გაუგებარი ხდებოდა. მაგრამ რალაც უფრო გასაგები აზრის მოლოდინში სიტყვას არ აწყვეტინებდა და ყურადღებით უსმენდა.

ტაშირელი მალე მიხედა, რომ გრილად ლაპარაკს ისევ მოკლედ მოჭრა სჯობდა:

— უფალო გრიგოლ! განათლების ტრფი ღმა ქართველებმა ქართული გაზეთის დაარსება გადაწყვეტიტ. ეს აზრი ბევრმა მოგვიწონა. მაგრამ ამ აზრის სინამდვილედ გადაქცევას შემწეობა და დახმარება ესაჭიროება. მოვილაპარაკეთ და დავადგინეთ, შემწეობისათვის შეძლებულ ქართველ თავადებს და ვაჭრებს მივმართოთ, საჭირო თანხა დიდის მოკრძალებით ვსთხოვოთ. ზოგმა ცოტათენი მოგვცა, ზოგმა გვანუგეშა და დაპირებით გამოგვისტუმრა, ზოგმაც ცივი უარი გვითხრა. ბართლომე კურტანიძემ კი ზედაც არ შემოგვხედა, არც კინტი დასძრა, ზურგი შემოგვაქცია, გატრიალდა და გაწბილებულნი დაგვტოვა. — ზანდაროვს გაციენება უნდოდა, მაგრამ თავი შეიკავა. ტაშირელს არც ახლა შეაწყვეტინა სიტყვა. — რაკი ის მდიდარი ქართველი ვაჭარი ასეთნაირად მოგვექცა. სხვებმა თქვენთან მოსვლაზე უარი თქვეს და ლამის არის ამ კეთილ განზრახვაზე ხელი აიღონ. მე ჩემით გვახელით, უფალო გრიგოლ. კადნიერებით უმორჩილესად იმასვე გთხოვთ, რაც სხვებსა ესთხოვეთ.

ზანდაროვმა მხოლოდ ახლა დაარღვია ღუმლი:

— რით შემიძლიან გემსახუროთ, ვახტანგჯან?

— მცირედის თანხის გაღებით. თუ

ამ გზით საჭირო ფული არ შევაგროვებთ, ისე გაზეთს ვერ დავბეჭდავთ.

ზანდაროვი გაზეთს არ კინებულა. მისი გაზეთი ქარვასლა და საყრებულო იყო. ახალ ამბებს იქ გებულობდა. მიუხედავად ამისა, ოფიციალურ (მისი სიტყვით „ხელმწიფის“) რუსულ გაზეთს პატივისცემით ეპყრობოდა, რადგან თბილისის დიდკაცებთან ერთად აქ მის გვარსაც ახსენებდნენ.

გაკვირვებით წარმოთქვა:

— გაზეთს ხელმწიფის ხალხი ბეჭდავს, ჩვენ ხელმწიფეს წინ რათ უნდა დავუდგეთ?

ტაშირელმა გულმოდგინედ განუმატრა:

— ყოველს განათლებულ ქვეყანაში, უფალო გრიგოლ, გაზეთი კერძო თაოსნობითაც იბეჭდება.

— მერე ეგ გაზეთი ვინ უნდა წაიკითხოს?

— ქართველებმა, აკი მოგახსენეთ.

— კაცო, ქართველებს გაზეთი რათ სჭირდებათ?

ეს ზანდაროვმა არც გაჯერებით თქვა, არც ხუმრობით, ამით უფრო თავისი გულწრფელი გაოცება გამოხატა, მაგრამ ნაწყენმა ტაშირელმა მყისვე ამაყად დაუბრუნა:

— ხალხში განათლების და ცოდნის შესატანად.

ზანდაროვმა გაიციანა:

— იცი რა ვითხრა, ვახტანგჯან! ხალხის განათლება მღვდლების საქმეა. ხალხს გაზეთი რათ უნდა და ისიც ქართულად? რაც უფრო მეტს გაიგებენ, მით უფრო გაყოფიანგებან. ხელმწიფესაც მტერი გაუმრავლდება და მდიდრებსაც. ჩემი ჭკუა ამას მეუბნება და ამ აზრიდან, ძალიანაც რომ შემეხვეწო, ფეხს არ მოვიცვლი.

ტაშირელი ჭერ გაფიქრდა, მერე აღმურმა აპკრა სახეზე. აქ მოსვლა ერთხელ კიდევ ინანა. ფეხზე წამოდგა და ზანდაროვს თითქმის ზიზღით გადმოუჯღო:

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, უფალო ზანდაროვო!

— მშვიდობით იყავი, ვახტანგვან!  
 ალერსიანად დაუბრუნა ზანდაროვმა.  
 მას პირველად არ მოსდიოდა უსიამოვნო  
 ლაპარაკი ტაშირელთან, მაგრამ ახ-  
 ლაც, როგორც ყოველთვის, რაღაცნა-  
 ირად სწყინდა, რომ მისი ყოფილი  
 თარჯიმანი გულდაწყვეტილი მიდიოდა  
 მისგან, თვითონ კი მისი უკმაყოფილე-  
 ბის მიზეზს ეძებდა და ვერ პოუ-  
 ლობდა.

მან სიბრალულით დაადევნა თვალი  
 ალაყაფისკენ მიმავალ ტაშირელს. ებ-  
 რალეობოდა, რადგან ეს პატიოსანი,  
 გულმართალი და მიაძიტი მამაკაცი გან-  
 წირულად მიიწინა. შველით კი ვერა-  
 ფერს უშველიდა. ცხოვრების დუღილს  
 იმ კუთხიდან ვერ დაანახებდა, საიდა-  
 ნაც თვითონ უყურებდა.

ზანდაროვმა ბუნებრივი ხალათის  
 მხარზე ჩამოვარდნილი ხმელი ფოთო-  
 ლი ხელის ნელი მოძრაობით გადაიგ-  
 დო, ცოტათი გაჯაერებული ადგა სკა-  
 მიდან და სახლისკენ გაემართა.

ნელ-ნელა აჰყვა მარმარილოს მძიმე  
 კიბეს. რომელიღაც ოთახიდან დედაბ-  
 რული ყვირილი მოესმა. თეთრი ლიზა  
 მოახლეს ეჩხუბებოდა. ზანდაროვმა  
 ზელი ჩაიქნია და გზა განავრძო.

ცოტა ხნის შემდეგ მისი ხალვათხა-  
 ნის კარი მოწიწებით შეადღეს სასამარ-  
 თლოს პროკურორის ახალგაზრდა თანა-  
 შემწემ და ლიტერატორივით ჩაცმულ-  
 მა შუახნის მამაკაცმა.

— იმ ვაქარს, — ეუბნებოდა პროკუ-  
 რირის თანაშემწე ზანდაროვს, — ქო-  
 ნების ნახევარს აუწერენ, თუ ძალიან  
 გაჯიუტდა უარესი დაემართება. სასა-  
 მართლოს ხარჯებში ჩაეფლობა და ვე-  
 ლარ ამოვა.

პროკურორის თანაშემწეს ზანდა-  
 როვმა თავის დაკვრით მოუწონა საქ-  
 მის კეთილად დამთავრება.

ლიტერატორივით ჩაცმულმა შუახ-  
 ნის კაცმა ზანდაროვს დაწვრილებით  
 მოახსენა სად, როდის, ვისგან ან რა  
 პქონდა გაგონილი და მახვილი ყურით  
 აკრფილი. ისიც უთხრა, თუ რომელ

ვაქარს საიდან რა საქონელი მოეტანა  
 ან რა ფასს სდებდა.

მოწონების ნიშნად ზანდაროვი მამა-  
 საც თავს უქნევდა.

უცებ ლიტერატორივით ჩაცმული  
 კაცი შეჩქვიფდა, ხმას უფრო დაუმ-  
 დაბლა:

— მართო ბართლომე კურტანიძეს  
 ვერაგზით ვერ მივუღდე, თორემ  
 სხვები დაწვრილები გყავს. ამ კაცს  
 ვერც ასეველი გავუგეთ, ვერც დასაგა-  
 ლი. მაგრამ მაგასაც რამეს მოვუხერ-  
 ხებთ. მართლა, ბატონო ზანდაროვი! მე-  
 ფისნაცვლის კანცელარიაში თქვენი  
 ნაღიმის გამო იყო სჯა-ბაასი. ჩემმა  
 ნაცნობმა მოხელემ მითხრა, თუ რო-  
 გორის აღტაცებით ლაპარაკობდნენ  
 თქვენზე ერთმანეთთან ბატონი საფო-  
 ნოვი და ბატონი სჩასტლივეცევი.

ზანდაროვმა მხოლოდ ორი სიტყვა  
 გაიმეტა:

— ბარაქალა! ბარაქალა!

პროკურორის ახალგაზრდა თანაშემ-  
 წეს მიუბრუნდა და გაახსენა:

— მთავარი შინც გამოგრაჩათ, ბატო-  
 ნო პროკურორო!

პროკურორის თანაშემწემ დამუნჯე-  
 ბული პირი გააღო და ზანდაროვს სხა-  
 პასხუპით მიაყარა:

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ,  
 ბატონო ზანდაროვი! იმ თავადს მწვანე  
 მაგიდას აღარ მოვამორებთ, — შე-  
 ყოყმანდა და დასძინა, — თუ, რა თქმა  
 უნდა, ფული არ შემოაკლდა.

— ფული ყოველთვის ექნება, —  
 წარბის დიდმნიშვნელოვანი აწევით  
 უპასუხა ზანდაროვმა, — ოღონდ ამ  
 საქმეში მე აღარ გავერევი. თქვენ იცით  
 და იმ თავადმა. წუთულ პირველად და  
 უკანასკნელად ვითანაშემ ქალაღდი.

ორთავემ მორჩილად დაუქნია თავი.  
 ორთავემ სწრაფად გაიგო დავალების  
 აზრიც და მიზანიც.

ზანდაროვმა პატარა გასაღებით მოზ-  
 რდილი ყუთი გააღო. თავის მსტოვრებს  
 სქლად დაკეცილი ლურჯი ასიგნაციე-  
 ბი გაუწოდა და გამოთხოვების ნიშ-  
 ნად ფანჯრებისკენ მიტრიალდა.

**5. ნადიმი**

ვინ გადარჩა ისეთი, ვისაც სადილ-ვახშმე-  
ბით არ უკრავდნენ პირსა.

• გრიბოედოვი, „ვაი კოუსიანა“

ხალვათხანაში განმარტოებული გრი-  
გოლ ზანდაროვი ბოლთის ცემას შე-  
უღდა. გამუდმებით მანანა გერმანო-  
ზიშვილზე ფიქრობდა, რაღაც აზრს ექი-  
დებოდა და ეს აზრი ხან მიუწვდომ-  
ლად ეჩვენებოდა, ხან სავსებით შესაძ-  
ლებლად. ხან უსიამოვნოდ იღუშებო-  
და, ხან ბიჭვივით იღიმებოდა.

ქალაქში შუადღის ზარბაზანი გაეარ-  
და. ზანდაროვი თათარიანად წახემ-  
სა და ნასადილევა გემრიელად გამო-  
იძინა.

სადამო ხანზე კი ნადიმის პირველ  
სტუმრებს მიეგება.

ზანდაროვი ყველა სტუმარს ერთნა-  
ირად არ ეგებებოდა. ერთმანეთისაგან  
მათ თავის დაკვრით ასხვავებდა. ზემო-  
რებთან ქედდადრეკილი, ქვემოტურებს  
თავს ოდნავ უკრავდა და მთელ თავის  
ღირსებას მხოლოდ მათთან ინარჩუ-  
ნებდა.

ღიდი აღმაფრენით მაინცდამაინც  
არც თავად დავით გერმანოზიშვილს შე-  
გებებია.

აღზევებულის და დამხობილის ფასი  
სოვდაგარმა კარგად იცოდა.

დავით გერმანოზიშვილმა მასპინ-  
ძელს ვერაფერი შეატყო, რადგან ირ-  
ვლივ განცვიფრებული იყურებოდა და  
თვალებს არ უჭერებდა. ამდენი ბრწყინ-  
ვალე და გამოჩენილი პიროვნება მხო-  
ლოდ მეფისნაცვლის მეჭლისებზე და  
რაუტებზე ენახა.

სოვდაგარის ნადიმზე თავადი იმათ  
ხედებოდა ვის გამოჩენასაც აქ არ მოე-  
ლოდა და ვერც წარმოიდგენდა.

ღიდ დარბაზში, სადაც ორკესტრი  
მარგოლინის დირიჟორობით ცეცხლო-  
ვან მარშს ასრულებდა, გენერლებსაც  
მოჰკრა თვალი. ისინი ისე კმაყოფილ-  
ნი გამოიყურებოდნენ, თითქოს მეფის-  
ნაცვლის მეჭლისზე ყოფილიყვნენ.

გენერალ-ლეიტენანტ ფონ კლუგენა-

უს და გენერალ-მაიორ ესპენოს შუკში  
ჩაეყენებინათ კნენა გოსტაშვიტშვილი  
და ქათინაურებით ესაუბრებოდნენ მას.  
ცალკე იდგნენ და მზიარულად საუბ-  
რობდნენ კავკასიელი გენერლები: აბუ-  
მესლიმ ხანი, სულთან აზამატ გირეი,  
თავადი ივანე მაღახაზის ძე ანდრონი-  
კოვი და გენერალ-მაიორი კოწო მარ-  
გაიანი. მათ უკვე მიეღწიათ იმისთვის,  
რომ მიღწევასაც თავადი დავით გერმა-  
ნოზიშვილი, კავალერიის უბრალო  
ოფიცერი, ამაოდ ცდილობდა.

დავით გერმანოზიშვილმა მდაბლად  
დაუკრა თავი თბილისის ეგერთა პოლ-  
კის სარდალს ვოლოკის, რომელიც  
რაღაცაზე გატაცებით ელაპარაკებოდა  
ქართულ გრენადერთა პოლკის სარ-  
დალს პოლკოვნიკ დებუს და ერეცნის  
კარაზინერთა პოლკის სარდალს პოლ-  
კოვნიკ ბელგრადს.

დავითმა კისერი წაიგრძელა.

დიპლომატიური კანცელარიის მმარ-  
თველი ლეული შეფრფვინვით შესც-  
ქეროდა ვიღაც ლამაზსა და ახოვან  
ქალს, რომლის გვერდით დიდცხვირი-  
ანი და სასაცილო სერთუქში გამოწყო-  
ბილი მოხუცი იდგა (დავითი არ იცნობ-  
და მაიკო კურტანიძეს). მოურიდებელ  
არშიყს მოურიდებელი სიცილით აქე-  
ზებდნენ საგანგებო მინდობილობათა  
მოხელენი კრუზენშტერნი და რიზო.

გაოგნებული თავადი გენერლებს და  
ბობოლებს შორიდან უყურებდა და  
გაკვირვებული აყოლებდა თვალს გენე-  
რალ-ლეიტენანტების — ლადინსკისა  
და რეუტის ცეკვას ირციპუხოვის პან-  
სიონში აღზრდილ „ვაქრის გომბიოებ-  
თან“.

როცა დავითი გრიგოლ ზანდაროვის  
ნადიმზე მოდიოდა, იგი წყალობად  
თვლიდა თავადის მხრივ სოვდაგარისად-  
ნი ყურადღების გამოჩენას და პატივის  
ღაღდატს. მაგრამ უეცრად ბრწყინვალე  
გენერლებში მოხვედრილი ისეთნაირად  
დაპატარავდა, რომ საკუთარი თავი  
თვითონვე შეეცოდა. თავისი სამხედრო  
წოდებით იგი უფრო დაბლა იდგა,  
ვიდრე ბატალიონის კომანდრები, პოლ-

პოლკოვნიკები ეგაძე და ფონ-დის-ტერლო.

გრიგოლ ზანდაროვი მასპინძლურად მუსაიფობდა გუბერნატორ ერმოლოვთან და რაღაცას გაცხარებით უმტკიცებდა თავად გრიგოლ ბებუთოვს. იქვე ჩუმად იღვა და საუბარში არაერთარ ბონაწილეობას არ იღებდა მთავარი სამმართველოს კანცელარიის საქმეთა გამგებელი კოლეჯის სოვეტნიკი დიმიტრი ყიფიანი.

ვის არ უყურებდა და ზედავდა თავადი დავით გერმანოზიშვილი სოვედაგარის ნადიმზე!

აგერ სახაზინო პალატის თავმჯდომარე ნახაროვი, გუბერნიის მოლარე იუხნოვსკი, გუბერნიის კონსტროლიორი ღრობიაზგინი, სახელმწიფო პალატის ქონებათა მრჩეველი ძიუბენკო, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ქსავერი დუნინი და ვიცე-თავმჯდომარე ვილჰელმ ბერი. ყველა ეს პიროვნება სასარგებლო და გამოსადეგი უნდა ყოფილიყო პატონ ზანდაროვისთვის. ისევე, როგორც, მაგალითად, გუბერნიის სადმშენებლო სამუშაოთა უფროსი ინჟინერ-პოლკოვნიკი სონინი და თბილისის პოლიცემისტერი შოსტაკი. ზანდაროვს დაპატივებული ჰყავდა ქალაქის გამგებლებიც და განთქმული ვაჭრებიც. ნადიმზე იმყოფებოდნენ ქალაქის თავი მოსე ტერ-გრიჭოროვი და ქალაქის მამები: ამირალოვი, მირიმიანოვი, ასტვატაცატუროვი, ფირანოვი, თამაზოვი, პატკანოვი და არვანოვი.

სოვედაგარის ნადიმზე ერთობოდნენ თავადებიც გენერლებიც, ბობოლა მოხელეონიც და ვაჭრებიც.

განუწყვეტლივ გაისმოდა მოცეკვავეთა ფეხების ბაკუნნი, დეზების წკრიალი, კაბების შრიალი, კისკისი, სიცილი და მხიარული ჟრიაბული.

მხოლოდ თავადი დავით გერმანოზიშვილი იღვა განმარტოებით, შუბლშეკრული, ამღვრეული, შურით და ზიზღით პირგამავეებული.

მას თავადმა ანდუყაფარ გოსტაშა-

ბიშვილმა წაავლო ხელი, განზე გაიყვანა და აღმფოთებით უთხრა:

— ვერ უყურებ, რა ყოფამაა ეგ მამალლი?

— ვინა?

ვერ გაიგო გერმანოზიშვილმა.

— ვინა და, ვეჟო, უფალი ზანდაროვი. ვერ უყურებ რანაირად დარდმანდობს! ან ჩვენი თავადები რაღამ გააგოყა? მაგ მდაბიოს როგორ უყადერებენ თავსა! ერიპა! — ამოიგმინა თავადმა, — ჩვენ მივდივართ და ეგენი მოდიან!

— მანამდე მტკვარში ბევრი წყალი ჩაივლის, სანამ ეგენი ჩვენს ადგილს დაიჭერენ. გული რამ გაგიტეხათ, თავადო! — უსაყვედურა დავით გერმანოზიშვილმა ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილს.

თვითონ ყველაზე მეტად იყო გულგატეხილი, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა ვაჭრებზე დაცინვით და წყრომით ელაპარაკა:

— ამათ უნდა დაიჭირონ ჩვენი ადგილი? რასა ბრძანებთ, თავადო? ეგ აზრად როგორ მოგივიდათ? ამ უსირცხვილო თალღითებმა და ყალთაბანდებმა? ამ ღორებივით დასუქებულმა და ოქროთი გატენილმა ვივინდარებმა? ფიე!

ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილი თავჩაღუნული უსმენდა რისხვით ანთებულ თაღადს. ერთხანს სდუმდა, მერე გარშემო ფრთხილად მიიხედ-მოიხედა და ჩურჩულით გაანდო გულისსადები ბრაზით აბრიალებულ თავადს:

— მაგათ რომ მფარველები არა ჰყავდეთ, არც ეგრე ვათამამდებოდნენ, — ანდუყაფარმა კიდევ უფრო დაუდაბლა ხმას, — ბოღმა მახრჩობს, როცა ქართველები ვარანცოვს აქებენ და მამას ეჭაზიან. ვეჟო გრაფი მამობას კი არა, მაშინაცვლობას გვიწევს მამის სული ნუ წაიწყდება. განა „პრიკაზი“ ჩვენს დასაღუბად არ მოიგონა? ვითომც ჩვენც გვიკიდებს ხელს, მაგრამ მაგათ უფრო მფარველობს, მაგითვენ არის. ეგ ლაწირაკი სოვედაგარი თავის მე-

ლისზე რომ არ შეეშვა არც თავადნი გაეიკარებდით ახლოს.

ამასვე ფიქრობდა დავით გერმანოზიშვილი და ხნიერ თავადს თავის ქნევით ეთანხმებოდა.

— ვეყო, გრაფი გვიმტყიცებს, — განაგრძობდა ანდუყაფარი, — ეხლა სულ სხვა დროება არისო, ნულარც ერმოლოვს მოვიგონებთ, ნულარც პასკევიჩსო. ანგლიჩანებს ვუყუროთ და იმათებრ მოვიქცეთო. თამამშევი თეატრს უშენებს ქარვასალში, ზანდაროვი თავადებს და გენერლებს შინაურ მეჭლისებს უმართავს. ამით უნდა ჩვენი მოლორება? ვეყო, მაგ ბებერმა მელიამ ქუთით უნდა მოგვიგოს? თავადი გოსტაშაბიშვილი ჩურჩულით ლაპარაკობდა. მიუხედავად ამისა, ალექსანდრე ბატონიშვილის ყოფილი ემისარი დაფრთხა, ახლო მყოფთ იქნეულად გადახედა. სწორედ ამ დროს ახლად მოსულ თავადაზნაურთა მარშალს გენერალ-მაიორ თავად დიმიტრი თომას ძე ჭამბაკურ-ორბელიანს მოჰკრა თვალი.

თავადმა ველარ მოითმინა, ხელები გაასავსავა და ხმამაღლა დააბუხუნა:

— ვეყო, ვერ უყურებ?! სოვდაგარს მარშალიც თავს უკრავს!

დავითმაც გაკვირვებით აიჩქრა მხრები, მაგრამ შინაგანად კიდევ უფრო დაჰატარავდა.

ახლა მან დანამდვილებით იცოდა, რომ თავისი მოსვლით თუ მოუსვლელობით ზანდაროვის ნადიმს არც არაფერს მოუმატებდა და არც არაფერს მოაკლებდა.

პირიქით, მადლობა თავადს მართებდა და არა სოვდაგარს. ზანდაროვის წყალობით იგი ისეთ ბრწყინვალე სტუმრებს შორის აღმოჩნდა, რომელნიც მას არ იცნობდნენ, არ ამჩნევდნენ, ან ჭედმადლური გამომეტყველებით ძლივს იმეტებდნენ სალამს.

ერთმანეთთან მოსაუბრე ანდუყაფარმა და დავითმა უეცრად ამტყდარ ჩოჩქოლს და შეკავებულ სიცილს მიაქციეს ყურადღება.

დარბაზში თეთრი ღიზა გამოჩნდა.

— ვეყო, ერთი ამ თოჯინას უყუროთ! — შესძახა გამბიარულმა ანდუყაფარმა.

დავითს მოღრუბლული შუბლი გაესხნა და გამოდარებულმა გულიანად გაიციინა:

— მდიდარი ვაჭრის დედა იქნება, თვალ-მარგალიტზე ეტყობა?!

— სწორედ შეინიშნეთ, თავადო. საზახლის ქალბატონი გახლავთ! — ნუმარტა დავითს ანდუყაფარმა.

თავმოყვარე ზანდაროვმა ენაზე იკბინა.

თეთრი ღიზა ვეება ტყინასავით მოძრაობდა დარბაზში.

არღნის ჩიტივით აჭრელებული ნირშეუშლელად მობაჯბაჯებდა.

ხელებზე თეთრი, თითებწაჭრილი გრძელი ხელთათმანები ეცვა, ყელზე უშველებელი ბოინბალი ეკათა და ნაირნაირ ძვირფას თვლებსა და აღმსებში ისე იჭდა, როგორც მარგალიტის თვალი ბეჭედში. სარგადაყლაპულივით გაშეშებულს სიარული უქირდა. გამხდარი და დამკჷკნარი შავი სახე ფერუმარლით გაეთხუნა. ყალბი დალაღები მხრებამდე სწვდებოდა, ხოლო დაბასმული ლეჩაქი ფეხის კოჭებამდე. მარაოს ქნევით მოდიოდა და ნაცნობს და უცნობს თავს უკრავდა, თან ათასი თვალის დამკინავი ღიმილი მისდევდა, მაგრამ მედიდურად თავაწეული და აღერსიანად მომღიმარე თეთრი ღიზა ამას ვერ ამჩნევდა.

ანდუყაფარმა თავი გადაიქნ-გადმოიქნია, ბოლმანარევი კილოთი წარმოთქვა:

— ჰაი-გიდი! ვინ იცის, ერთ დროს მაგ ბრიყვ დედაკაცს ფეხი ნაყარში ედგა და ჭამ-ჭურჭლის რეცხვაში სული ამოსდიოდა. ეხლა ვერ უყურებ, რანაირად ითხლიშება!

თეთრი ღიზა მაიკო კურტანიძესთან მივიდა და გვერდში ამოუდგა. ის ლამაზი და ახოვანი ქალი მეორედ მოხვდა თვალში დავითს. იმის თავლისფერ თვალებს აღტაცებით მიაცქერდა

და ისეთი შეფერვნივა გამოეხატა სახეზე, რომ მისკენ მომავალი ზანდაროვისთვის მყისვე გასაგები გახდა თავადის გულის იდუმალი მოძრაობა; იქედნურად ჩაიღიმა, რაღაც აზრით გართულმა კიდევ უფრო მეტის ყურადღებით შეათვალიერა გაბუნებული თავადი და გაბრწყინებული მაიკო კურტანიძე. მერე ხელები გაშალა და პირზე დაკერებული ღიმილით თავადს მიუახლოვდა.

— ხომ არ მოიწყინეთ, კნიაზო?

— რასა ბრძანებთ, უფალო ზანდაროვო. არ მეგონა, თუ ასეთს კმაყოფილებას მივიღებდი. — გულწრფელად წამოიძახა დავითმა, რომელსაც ისევ მოუშორებლად ედგა წინ იმ ლამაზი და ახოვანი ქალის თაფლისფერი თვალები.

ანდუყაფარმა კაბის ყოშები დიდკაცურად გადაიდგო მხრებზე და თავდაზნაურთა მარშლისაკენ ბურტყუნით გაემართა. ზანდაროვს ის ვერ იტანდა და მის ნადიმზე მხოლოდ იმიტომ იმყოფებოდა, რომ ასე სურდა. მის სჯულიერ მეუღლეს.

— ბედნიერად ვრაცხ თავსა, რომ კმაყოფილსა გხედავთ, კნიაზო!

ზანდაროვმა დავით გერმანოზიშვილს უფრო მდაბლად დაუკრა თავი, ვიდრე პირველი მისალმების დროს.

თავადს ვალი მოაგონდა.

ზანდაროვს თავადურად გაახსენა წუხანდელი პირობა.

— თქვენს მოურავს ვერსად შევხვდები, უფალო ზანდაროვო. უხერხულად ნუ მაგრძნობინებთ თავსა, გთხოვთ მოურავი მაჩვენოთ.

ზანდაროვმა საჩქაროდ მოუქრა:

— რა საჭიროა, კნიაზო? ამდამ ნადიმი გვაქვს, ვალზე ნუ ვილაპარაკებთ.

— უამისოდ ლუკმასაც ვერ ჩავიდებ პირში.

— რა გაეწყობა, კნიაზო? თქვენი ხმალი და ჩემი კისერი, — მცირე ყოყმანის შემდეგ ნაწყენის კილოთი უპასუხა ზანდაროვმა, — როგორც თქვენ

გესიამოვნებთ, კნიაზო, ისე მოვიქცეთ. გთხოვთ ჩემს ხალვათხანაში მობრძანდეთ.

ხალვათხანაში ზანდაროვს კნენა გოსტაშაბიშვილი უცდიდა. ერთი წუთის წინ მისმა საყვარელმა რაღაც მოისაბაბა და იქ დასტოვა, რათა თვითონ დიდ დარბაზში სტუმრებს შორის დავით გერმანოზიშვილი ეპოვა. მაგდა არხენად იჯდა სავარძელში და მარათი იგრძობდა სახეს. როცა ზანდაროვი თავად გერმანოზიშვილის თანხლებით ხალვათხანაში გამოჩნდა, კნენა შეერთა, წამოწითლდა, თავის შორეულ ნათესავს დაბნეულად მიესალმა, ბოლოს სავარძლიდან წამოდგომა როგორაც მოახერხა და მოიბოდიშა:

— მომიტყვეთ, უფალო ზანდაროვ, რომ თქვენს ხალვათხანაში დაუკითხვად, ცოტა ხნით დასასვენებლად შემოვედი,

ზანდაროვმა თავი ზრდილობიანად მოუღრია.

— ამდამ ჩემი სახლის ყველა კარი, ძვირფასო კნენა, სტუმრებისათვის არის გაღებული.

ხალვათხანის კარებთან აწითლებულ კნენას არმაც ვართანჩხმა მოწიწებით დაუთმო გზა. დავითი ყველაფერს მიხვდა. გაფითრებულმა მოაწერა ხელი ვექსილს. ლაპარაკის დრო არ იყო. ზანდაროვს თავი დაუკრა და ხალვათხანიდან გავარდა. ბატონმა და მოურავმა ერთმანეთს გადახედეს, მაგრამ არც არაფერი თქვეს, არც გაიცინეს.

თავისი აღმოჩენით გაბრუებულმა და გაბრაზებულმა თავადმა ზიზღით ზურგი შეაქცია კნენა გოსტაშაბიშვილს, რომელიც ახლა სრულიად დამშვიდებული ელაპარაკებოდა გენერალ აბუ-მესელიმ ხანს, ზოლო მარშალთან თავადური ღირსებით მოსაუბრე ანდუყაფარ გოსტაშაბიშვილს გულში თავლაფდასხმული უწოდა.

რაც უფრო დრო გადიოდა, მით უფრო საკვირველ კაცად ეჩვენებოდა თავადს ზანდაროვი, რომელიც არა მარტო მეფისნაცვლის მეჭლისებზე



იწონებდა თავს, არამედ თვით კენიას სარეცელში ნებივრობდა თურმე.

ამღვრელი და გაბოროტებული თავადი მზად იყო თავხედი სოცდაგარის სახლს გასცლოდა, მაგრამ ცოტა ხნის წინ ვექსილზე ჩართულმა ხელმა შეაჩერა. თუმცა ამ გადაწყვეტილების უფრო სერიოზული მიზეზი, თანდათან უტყდებოდა თავის თავს დავითი, იმ ლამაზი და ახოვანი ქალის თაფლისფერი თვალები იყო.

სტუმრები უზარმაზარ სუფრას შემოუსხდნენ.

სუფრის თამადად, მასპინძლის თაოსნობით, დიდის ამბით კონა ფლანდრიშვილი დააყენეს.

ტოლუმბაში ჯერ პატარა საღვინე ჰქვამდა შეუდგა სმას და ჭეიფს, მერე მერიქიფხვს ჯიხვის, ყანწი პირთამდე გაავსებინა და მკეჭარე ხმით შესძახა:

— გრიგოლუ!

— გრიგოლუ! გრიგოლუ! გრიგოლუ! — აყვავ მთელი სუფრა ტოლუმბაში.

— გეორგიევიჩუ!

— გეორგიევიჩუ! გეორგიევიჩუ! გეორგიევიჩუ!

— ზანდაროვე!

— ზანდაროვე! ზანდაროვე! ზანდაროვე!

— ურა!

— ურა! ურა! ურა!

სტუმრები ფეხზე წამოიშალნენ. სასმისები აწკარუნდნენ. მრავალფეროვანი აგუგუნდა. ზანდაროვი ყველას თავს უკრავდა. მის სადღეგრძელოს ერთნაირი სიამოვნებით სვამდნენ თავადებოც, გენერლებიც, ბობოლებიც, ვაჭრებიც, არისტოკრატი ქალებიც, სოცდაგარის ცოლებიც და ასულებიც.

მხოლოდ თავადი ანდუყაფარი, მიუხედავად იმისა, რომ კაბის ყოშები მხრებზე უკან დიდკაცურად ჰქონდა გადაგდებული, გუნებაწამზდარი იყურებოდა და თავის თავს ეკითხებოდა:

— ვეფო, ვერ უყურებ, რა ყოფაშია ეგ მამაძალი?!

ჭეიფს ეშხი ემატებოდა.

სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოსდევდა.

დარდიმანდი, მოჭეიფე კონა ფლანდრიშვილი ენაწყლიანობდა და სტუმრებს სიცილით ხოცავდა.

ბახუსს მრავალი სტუმარი დაეტყვევებინა, სულელური გამომეტყველებით ამკობდა და ბრყველად აცინებდა. ზოგს უკვე კისერი სწყდებოდა და ზოგიც თავს საცოდავად აჯანტურებდა.

შეზარხოშებულმა ტოლუმბაში პირთამდე გავსებული უშველებელი ყანწი ერთხელ კიდევ მალლა ასწია, ჩაახველა.

— სილუას! სილუას!

დაიძახა წინანდელმა ბაზაზმა და ახლანდელმა მილიონერმა საქო ვიკრიკოვმა. მის მახლობლად ვილაც ხმელხმელმა, აწოწილმა და მონოკლიანმა სტარტსკი სოვეტნიკმა პირთან ხელსახოცი მიიტანა და ჩაიფრუტუნა. ფაშა ფაშა აიკანუშ ვიკრიკოვმა ქმარს ბარძაყზე უჩქმიტა და გაუსწორა: „სილანს!“

— სილანს! სილანს! — აბღავლდა ვიკრიკოვი.

— ნუ ყვირი, პაპა! — შიგ ყურში ჩასძახა მამას სათენიკ ვიკრიკოვმა, შიგვერემანმა და ეშხიანმა გოგომ, რომელსაც აღმური ასლიოდა პირისახეზე. გვერდით მჯდარ ბატკანივით ხუჭუჭა ყმაწვილ ოფიცერს მისთვის ფეხზე დეზიანი წალა დაეჭირა, უდიმოდა და მალი-მალ ჰქიქას ჰქიქაზე უჯახუნებდა.

— ბატონებო! — რიხიანად წარმოთქვა მკევერმეტყველმა თამადად, შეჩერდა, ისევ ჩაახველა, უზარმაზარ სუფრას თვალი მოავლო და განაგრძო, — ჩვენს შორის იმყოფება ჩვენი ძვირფასი მასპინძლის გულითადი მეგობარი, კნიაზი დავით იარალიჩ გერმანოზოვი! მამაცი მხედარი, რომელმაც საკვირველის გმირობით დაიხსნა თავი შამილის ტყვეობისაგან. ბატონებო! კნიაზუ!

— კნიაზუ! კნიაზუ! კნიაზუ!

მეტი კნიაზოები დაიძახებოდნენ.



აპყვა მთვრალი სუფრა ზათქითა და  
ზახილით ტოლუმბაშს.

— დავიდუ!

— დავიდუ! დავიდუ! დავიდუ!

— იარალიჩუ!

— იარალიჩუ! იარალიჩუ! იარალი-  
ჩუ!

— გერმანოზოვე!

— გერმანოზოვე! გერმანოზოვე!  
გერმანოზოვე!

— ნაშემუ!

— ნაშემუ! ნაშემუ! ნაშემუ!

— გეროიუ!

— გეროიუ! გეროიუ! გეროიუ!

— ბევეოი!

— ბევეოი! ბევეოი! ბევეოი!

— ურა!

— ურა! ურა! ურა!

აღრიალდა სუფრა. ღრიალებდნენ  
თვით ბრწყინვალე თავადები და გენე-  
რლები. პირდაღებულნი და სახედა-  
ჭიხლებულნი ღრიალებდნენ ისინიც,  
ვინც ყოველდღიურ ცხოვრებაში გა-  
ხუნებულ და გაკოტრებულ დავით  
გერმანოზოვილს აღმაცერად ან დიდ-  
კაცის დამამცირებელი გულმონყაუ-  
ბით დაჰყურებდნენ.

ასეთი დიდება და პატივი დავით  
გერმანოზოვილს არსად არასდროს არ  
განუცადა,

მოიხიბლა.

აღელდა.

გაწითლდა.

ახლა იგი საბოლოოდ იყო დატყვე-  
ვებული გრიგოლ ზანდაროვის მიერ.  
ტოლუმბაშმა ღვინის უკანასკნელი  
წვეთი ცერზე დააწვეთა და დაცლილი  
ყანწი ზანდაროვს გადაუგდო:

— ალავერდი, გრიგოლჯან!

— იახშოლ! — მიიძახა გრიგოლმა  
და მწდის ღვინის დოქს პირგანიერი,  
ვერცხლის გრძელი ძეწვევებით მობო-  
კილი ყანწი მიუშვია.

მაგრამ მხოლოდ ორი სიტყვა გაი-  
მეტა:

— გაგიმარჯოს, ძმაო და მეგობარ-  
ო, კნიაზო დავით! ისე გაგიმარჯოს,  
როგორც რომ შენ გავეხარდება.

დავითმა მდებლად დაუტრა თავი.

როცა ტოლუმბაშმა სუფრის მხე-  
თუნახაეების სადღეგრძელოები ჩამოა-  
რიგა, განსაყურებით მაიკო კურტანი-  
ძის სადღეგრძელო გამოაპყო.

აქამდე სიტყვაძენწი ზანდაროვი  
ერთბაშად ალაპარაკდა:

— გაგიმარჯოს, მაიკოჯან, გაიზარე  
და იდღეგრძელე. შენს თავლისფერ  
თვალებს ვენაცვალე (ენეინა გოსტა-  
შაბიშვილმა კოპები შეერა, ბართლო-  
მე კურტანიძე გაუნძრევლად იჯდა),  
შენი ტუჩის პილპილებს მტლად და-  
ვედე, შენს კახჭახა სიცილს შემოვეფ-  
ლე. ლამაზების ხელმწიფავ! რა გითხ-  
რა და როგორ გითხრა, გული როგორ  
გადმოვშალო! (ენეინა გოსტაშაბიშვი-  
ლი მოიღელშა, ბართლომე კურტანიძე  
გაუნძრევლად იჯდა). სიტყვა ღარიბი  
მაქვს და მე როგორ გავამდიდრო?  
რაც არ უნდა ვთქვათ, მაინც იმას ვერ  
ვიტყვი, რისი ღირსიც ეგ შენი ღმერ-  
თის ხელით დახატული პირისახეა,  
ეგ შენი ეუფუნა თავლისფერი თვალე-  
ბია! (ენეინა გოსტაშაბიშვილს სახე და-  
უბნელდა, ბართლომე კურტანიძე გა-  
უნძრევლად იჯდა). ლამაზების შურის  
წყროვ, კაცების ვაებავ და იმათი გუ-  
ლის მომკვლელო, შეიღების იმედო,  
ქმრის სიხარულო, ჩემი გულის მურა-  
ზო! იცოცხლე და იდღეგრძელე!

ზანდაროვმა ვეება ყანწი პირზე მო-  
ყულა. ყველა მას მიაცქერდა.

მაიკო კურტანიძე ჯერ გაკვირვებუ-  
ლი უსმენდა საყვარელს. მერე წარ-  
ბების აწევით გადმოხედა თეთრ ღიზას  
და ვნებიანი კისკისი აუტყდა.

დაცლილი ყანწი ზანდაროვმა ახლა  
დავით გერმანოზოვილს გადაუგდო  
და ლოთ-ფოთურად მიიყოლა:

— ალავერდი, დავითჯან!

— იახშოლ! — აღმოხდა გახარე-  
ბულ თავადს.

კონა ფალავანდიშვილმა ხელები მა-  
ღლა ალაპარო და ნახევრად სერიოზუ-  
ლად, ნახევრად ხუმრობით წარმოთ-  
ქვა:

— უცოლოებს ჩვენ როგორ გავუ-

ტოლებით? უმეფილები არიან, ეპატებათ. ჩვენ რომ ვგრე გველაპარაკნა, ცოლები კინწის კვრით დაგვიფრენდნენ!

ბართლომე კურტანიძე არც ახლა განძრეულა.

კნენა გოსტაშაბიშვილი უცებ გავლვარებულ აზრს დაედევნა და ხელში წყლან ნერვიულად აჩქარებული მარაო გაუჩერდა.

სხვები ხარხარებდნენ. „მივხვდი! მივხვდი!“ ხარხარით ეუბნებოდა თავის მეზობელს გაბლენძილი პოდპოლკოვნიკი, რომელიც ყაზარმაში დავით გერმანოზიშვილს ცივად ესალმებოდა, ფერდები ხელებით ეკირა, ბართლომე კურტანიძის დიდი თავის აქა-იქ გაჯადარავებულ ჯავარზე რქებს ეძებდა და სიცილით იხრჩობოდა. მერე ხველება აუვარდა და მისმა მეორე მეზობელმა, ეკატერინე II-ის დროინდელი სურათებიდან გადმოსულმა გოროზმა მანდილოსანმა მას ამრეხით გადმოხედა.

სუფრა ხარხარებდა.

— სილუას! სილუას!

ბლაოდა საქო ვიკრიკოვი და თან ორსავე მუშტს მაგიდას ვაშმაგებით ურტყამდა.

აიკანუშა ქმარს უბლვერდა და სჩქმეტდა. სათენიკა განაბული იჭდა, რადგან მის კავალერს საერთო არეულობაში მისთვის წელზე მოეხვია ხელი.

ვაკრებს მსხვილი თავები ფაიფურის საქსონურ თეფშებზე ხარებივით დაეხარათ და ყველაფერს, რაც ხელთ ხვდებოდათ, ნთქავდნენ და ანადგურებდნენ.

შეჭეფებულ თეთრ ღიზას ტუჩები და ნიკაპი წითელი ღვინის ნასხურით დაწინწყლოდა, მოსწრებულად ხუმრობდა და თავის ძველ დოსტს, მაიკო კურტანიძეს აცინებდა.

უგუნებოდ მხოლოდ კნენა გოსტაშაბიშვილი იყო. ჭაღების სანთლებს შესცქეროდა და ცდილობდა თვალში ილაფის ცოლი არ მოეხედროდა.

გასაოცარი მსგავსების გამო მაგდა

გოსტაშაბიშვილი და მაიკო კურტანიძე ერთმანეთს ცნობისმოყვარეობით აცქერდებოდნენ, მაგრამ ერთმანეთი ჰირივით სძულდათ და ვერ იტანდნენ.

ახლა მაიკო კურტანიძე ყელმოღერებული იჭდა და პირი უცინოდა.

დაღონებული კნენა გოსტაშაბიშვილი თავის მარაოს ეფარებოდა.

მთერალი სტუმრები ალიონმა წამოშალა

## 6. ნადიმის შემდეგ

დღეს სიამოვნებანი, ზვალ საქმენი.

შარლ დე ბერნარი, „იკაროსის ფრთები“

მეორე დღეს ნაბახუსევმა დავით გერმანოზიშვილმა დას სოვდაგარ ზანდაროვის ნადიმის ამბავი უამბო.

მანანა გაცვეთილ, წითელ ხვეწრდგადაკრულ სავარძელში იჭდა, მოწყენილი ხელსაქმობდა, ძმას უურს უგდებდა და თანდათან ინტერესდებოდა.

როცა მისმა ძმამ ბრწყინვალე თავადები და გენერლები დაასახელა, აბრეშუმის ძაფი კბილით გაწყვიტა, ხელსაქმე შეაჩერა და დავითს ნიაზით ჰკითხა:

— ნუთუ ეგ ვაკარი ისე მდიდარია, როგორც ამბობენ?

— მილიონერია! — წამოიძახა დავითმა.

მანანას თვალი გაუშტერდა. ფერადი ეზოთი ნაქარგი თეთრი აბრეშუმი ხელში გაუქვავდა.

„მილიონერია!“ ჯაღოსნურ სიტყვად გაისმა მის ცნობიერებაში. ვალატაყებულ თავადის ასულს ცხადად შეეძლო წარმოედგინა მილიონერ გრიგოლ ზანდაროვის უპირატესობა, რადგან ცხოვრებაზე გულგატეხილს და ხელჩაქნეულს სიმდიდრის ძალაც და სიღარიბის ულმობელობაც კარგად ესმოდა. მან საკუთარი გამოცდილებით ისიც იცოდა, რომ ღარიბს, თუნდაც მთელი ქვეყნის ღირსებანი ჰქონოდა ან მზეთუნახავივით პირმშენიერი ყოფილიყო, არც სიყვარული გაეკარებოდა, არც ბედნიერება.

ასე ფიქრობდა დადარდიანებული და დანადგლიანებული თავადის ასული. მის გიშრის თმებში უკვე რამდენიმე თეთრი ღერი ბრწყინავდა.

ოცახუთ წელს გადაცილებული მანანა გერმანოზიშვილი აღარავის უცდიდა და აღარავის ელოდა.

ის უცხო, ლამაზი და ახოვანი კაციც სადღაც გაქრა და დაიკარგა.

უცრად მანანამ ძმას ჰკითხა:

— უფალი ზანდაროვი ცოლიანია?

— უცოლოა. შენზე ცოტა უფროსია, მაგრამ არ ვიცი ცოლს რატომ არ ირთავს. საყვარლები კი, რამდენიც გინდა.

დავით გერმანოზიშვილი ლოთიც

იყო და ქალღმრთის მოთამაშეც, ბორჯიტიც და შურიანიც, ეჭვგარეშე სხვაზე აეს არასოდეს არ ამბობდა. მანანა კენიანა მაგდა გოსტაშაბიშვილზე კრინტი არ დაძრა.

— საყვარლები! ჰქმნა ალბათ ვაჭრის ცოლები, მსახიობი ქალები ან ახალგაზრდა ქვრივი დედაკაცები. სხვა ვინ ეყოლება მდიდარ ვაჭარს?

როგორც ყველა გაუთხოვარ და ხანგადასულ ქალს, მანანა გერმანოზიშვილსაც უყვარდა სხვის სიყვარულზე გამკვირვად ლაპარაკი.

— შეიძლება თავადის ქალიც!

ცივად უპასუხა დას დავეთმა და რატომღაც წარბი შეიკრა.

## ბარი ოცდაშვიტი

### I. თეატრში

— ამაღამ თქვენ იქნებით თეატრში?

— დიაღ.

— თქვენი სახლობაცა?

— დიაღ.

ლავერენტი არღაზიანი, „სოლომონ ისაკიშვილი“

თბილისის მძალადი საზოგადოება ქალბატონ ავენარიუსის ბენეფისს ესწრებოდა.

შუა ზამთარი იყო.

თოვდა.

თეატრის წინ აუარებელი ხალხი ირეოდა.

განუწყვეტლივ გაისმოდა მარხილებში შებმული ცხენების ეჭვნების წყრიალი.

მარხილი მარხილს მოსდევდა, ეტლი ეტლს.

ყველა ჩქარობდა თეატრში შესვლას, რადგან წარმოდგენას თვითონ მეფისნაცვალს უნდა დასწრებოდა.

ვორონცოვის მეუღლე ელიზავეტა ქსავერიევანა ქალბატონ ავენარიუსს მფარველობდა. დილით, როცა მეფისნაცვლის ოჯახში ყავას მიირთმევდნენ, ელიზავეტამ ქმარს თხოვა და დაითან-

ხმა კიდევ ქალბატონ ავენარიუსის ბენეფისს დასწრებოდა. ეს ამბავი მთელ ქალაქს მოსდო მისმა მეგობარმა ქალმა შუაზელ დე გუფმა.

დილიდანვე მიაწყდა თეატრს თავის გამოჩენით დაინტერესებული მყურებელი.

დაფაცურდნენ არისტოკრატებიც და რუსეთის შიდა გუბერნიებიდან კავკასიაში გადმოკარგული „ბედის მადიებლებიც“, უიღბლო და გალოთებული მოხელენი.

განუწყვეტლივ თოვდა.

ბარდნიდა.

მიუხედავად ამისა, კანცელარიების და სასამართლოების კოლეჯის ასესორები თეატრის სალაროსთან იდგნენ და ყაყანებდნენ.

მოლარე მაქსიმე ხელებს შლიდა და ფილოსოფიურად ამბობდა:

— სცენაზე მეფეები და მეფისნაცვლები რომ თამაშობდნენ, თეატრი ყოველთვის ხალხით იქნებოდა გაჭედლილი!

— შენ ბილეთი მოგვეცი, ფილოსოფოსობა კი სხვა დროისთვის გადასდე. ეუბნებოდნენ მას განაწყენებული წვრილფეხა მოხელენი.



— რა უნდა მოგცეთ, ბატონებო, როცა სალაროში არცერთი ბილეთი არ გაყიდულა? ბილეთები ელიზავეტა ქსავერიძესას მიერ შედგენილი სიით განაწილდა და გაიყიდა.

მანეთს თეატრში მხოლოდ ოთხასი მაყურებელი თავსდებოდა. ამიტომ იქ, რაკი თვითონ მეფისნაცვალს უნდა მობრძანებულყო, მარტო დარბაისელი და თავდაჭერილი საზოგადოების დასწრება იყო სასურველი.

მსახიობებს მოლიერის „გაბუნაურებული მდაბიო“ უნდა წარმოედგინათ. იმდროინდელი თბილისისათვის ამ კომედიის შინაარსი ზედგამოჭრილი იყო. ამას ერთხმად აღნიშნავდნენ ქვეიანი ადამიანები.

ცბიერ ვორონცოვს მოლიერის კომედიით არც არისტოკრატების გაღიზიანება სურდა, არც აზიელი ბურჟუეზების გაწილბება. გრაფი მხოლოდ ცხოვრების გაყვეთილს იძლეოდა.

მეფისნაცვალს და მის მეუღლეს პარტერში განცალკევებით დაუდგეს სავარძლები ისევე, როგორც ერთ დროს ნაპოლეონს და ალექსანდრე I-ს ერფურტის „მეფეთა პარტერში“. მათ უკან მათი ოჯახის განუყრელი მეგობარი შუაზელ დე გუფი მოთავსდა.

მთელმა თეატრმა თვალი მეფისნაცვალს და მის მეუღლეს მიაპყრო.

წარმოდგენის დაწყებამდე პატარა სენსაცია მოხდა.

ვორონცოვმა ბატონი ზანდაროვი თავისთან მოიხმო და საკმაოდ დიდხანს ესაუბრა.

კეთილშობილებმა ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს. გაკვირვებას შური ცვლიდა, შურს გაკვირვება. მაგრამ ყველას თვალი მაინც იჭითენ იყო მიპყრობილი, სადაც მეფისნაცვალს მდაბიო მილიონერს მამაშვილურად რაღაცას ეუბნებოდა და უმტკიცებდა.

ვორონცოვი არ მარტო თავისი „მამა-შვილური“ ტონით იყო განთქმული, არამედ იმითაც, რომ მდაბიოთა უბნებში ფეხით დაიარებოდა და შეძლებულ

მოქალაქებს დიდფანჯრებიანი მალაღ სახლების აშენებას ურჩევდა.

ზანდაროვის მიმართ მოულოდნელი ყურადღების გამოჩენასაც თავისი აზრი და მიზანი ჰქონდა.

ამ საჯარო აღდენციას ერთხელ კიდევ უნდა განემტკიცებინა ის შეხედულება, რომ თბილისშიც იგი ისევე მფარველობდა ვაჭრებს, როგორც ოდესაში მფარველობდა.

— ბატონო ზანდაროვი! — ეუბნებოდა სიმპათიური გარეგნობის და სანდომიანად გათვრებული გრაფი მოკრძალებით თავდახრილ სოვდაგარს, — პოლკოვნიკმა სონინმა მითხრა, რომ თქვენ ფესსაცმელის ფაბრიკის დაარსება განვიზრახავთ, მაგრამ ყოყმანობთ.

ზანდაროვმა მოწიწებით მოახსენა: — თქვენო მალაზრწყინეალებავ! ამ აზრს დიდი ხანია ვუტრიალებ, მაგრამ არ ვიცი საიდან მივუდგე და მოვუარო, ჩვენ, მდიდარი სოვდაგარები, მალაღ საზოგადოებას ვუვლით, ქალაქელები კი ცოტანი არიან და ცოტას ყიდულობენ.

ვორონცოვმა გაიღიმა. ევროპულად მორთულ-მოკაზმული ზანდაროვი დინჯად შეათვალიერა, მაგრამ მის ელეგანტურ გარეგნობაში ვაჭრის ნატამალიც ვერ აღმოაჩინა. მოეწონა. ყოველივე ინგლისურის მოტრფიალეს და ინგლისელების თავყანისმცემელს თავის დამსახურებად მიაჩნდა ზანდაროვივით დენდს დამსგავსებული ვაჭრების გამოჩენა. თბილისი პატარა პარიზს ემსგავსებოდა, ხოლო ოპერის თეატრს, რომელსაც თამამ-შევი ჭარვასლაში აშენებდა, კავკასიელთა „მოსათვინიერებლად“ მის თვალში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე სასახლის გვერდით აღმართულ სამხედრო ტაძარს.

გამოცდილ და დაკვირვებულ ვორონცოვს შეუძნეველი არ დარჩა, რომ გარეგნულად ელეგანტური ზანდაროვი შინაგანად სოვდაგარი რჩებოდა. ეს ჯერ ისევე ახალგაზრდი მამაკაცი

ვაჭრული ჰკუთით უხვად იყო დაჯილდოებული. ვორონცოვს კვლავ ის ინგლისელები ვაახსენდა, რომლებიც კომერციულ ნიქსა და სიმდიდრისკენ ლტოლვას მოხერხებულად უხამებდნენ არისტოკრატიულ სინატიფეს.

— ოდესა ხორბლით ვაჭრობამ გაამდიდრა, — განაგრძო ტყბილად ლაპარაკი ვორონცოვმა, — თბილისსაც ასევე ბრწყინვალე მომავალი აქვს. ეს ქალაქი კავკასიის გულია. აქ რკინიგზებს იმისთვის კი არ გაიყვანენ, რომ თბილისელი ფოთში ჩავიდეს ან ერევნელი და ბაქოელი თბილისში ჩამოვიდეს, არამედ იმის გამო, რომ ჩვენს სამხრეთით უშველებელი სპარსეთია გადაჭიმული, იმის იქით კი — ინდოეთია. პეტრეს ანდერძის შესრულება არასოდეს ისე რეალური არ ყოფილა, როგორც რკინიგზების და ტელეგრაფის დროში არის.

„პეტრეს ანდერძზე“ ზანდაროვს არაფერი ჰქონდა გაგონილი, არც მისი აზრი, მიზანი და დანიშნულება იცოდა. მიუხედავად ამისა, ვორონცოვს ისევ მდაბლად დაუკრა თავი.

ვორონცოვმა განაგრძო:

— წელან გითხარით, ოდესა ხორბლით ვაჭრობამ გაზარდა, დაამშვენა და მხრები გააშლევინა, — გრაფი ყოველთვის სიყვარულით იგონებდა მის ნამაგდარ ქალაქს და რიშკლიეს სანაპიროს, — მაგრამ ბაქოს ნავთი უფრო მეტს გააცეთებს. უთბილისოდ კი ბაქო ნავთის უბრალო ქად დარჩება. სანამ ზღვამდე მიხვალთ, თბილისი უნდა გაიაროთ. მაშასადამე, დროთა განმავლობაში ქალაქელებიც გამრავლდებიან და ფეხსაცმელის მყიდველებიც ბლომად გაჩნდებიან.

უაღრესად მოკრძალებულ ზანდაროვს ძლივს შესამჩევნი ეპკი გამოეხატა სახეზე. ვორონცოვმა შეამჩნია და განუმარტა:

— ბატონო ზანდაროვ! მე უკვე გითხარით დროთა განმავლობაში-მეთქი. დღეს და ხვალ თუ არა, ზევ ან მაზეგ. ცხოვრება ძალიან სწრაფად მიდის წინ!

ზანდაროვს გამპრიახი ჰკუთვნებოდა ფრთხილად ყოფილყოფილი იგი ქალაქის მოსახლეობის მშვენიერებებზე გამრავლებას და ფაბრიკების სარგებლობას ყმა გლეხების განთავისუფლებას უკავშირებდა, მაგრამ ამის გამო კრინტს არსად სძრავდა. ვორონცოვს ქვეშევრდომული აღმაფრენით მოახსენა:

— თქვენს სიტყვას დაბლა არ დაუშვებ და მუდამ გულის ფიცარზე შეწყერება! ისე მოვიტყევი, როგორც თქვენ მიბრძანებთ, თქვენო მაღალბრწყინვალეებო!

ვორონცოვს ქედი მოუდრიკა და წასავლელად მოემზადა.

ვორონცოვმა ხელის ნელი მოძრაობით შეაჩერა.

— მოითმინეთ, ბატონო ზანდაროვ, მე ჯერ არ დამიბთავრებია. ჩემი რჩევა ეს არის, დამიჯერეთ და არ წააგებთ. მდიდარი ბრძანდებით, ფაბრიკა ეხლავე შეიძლება გახსნათ. არ დაგვიწყდეთ, ჩვენ სპარსეთის და თურქეთის საზღვრებზე ვცხოვრობთ, ომი ყოველთვის მოსალოდნელია. ომს კი ის იგებს, ვინც ომისათვის ემზადება. წარმოიდგინეთ ჩვენს ჯარისკაცებს რამდენი ჩექმა სჭირდებათ ან დასჭირდებათ. კავკასიაში ჯარი რომ არ მდგარიყო, აქაური ვაჭრები მართო სამკაულებით და ძვირფასი ქსოვილებით ვერ გამდიდრდებოდნენ. ამის მაგალითი თქვენი თანამემამულე ბართლომე კურტანიძე გახლავთ. რაღაც ათიოდე წლის შემდეგ კი თქვენი ფაბრიკის ფეხსაცმელს იმდენი მუშტარი დაესევა რომ ჩემს დღევანდელ რჩევას დიდი მადლობით მოიგონებთ. აი, ყველაფერი ის, რაც თქვენთვის მინდოდა მეთქვა, ბატონო ზანდაროვ! თუ ჩემი ნათქვამი და რჩევა ჰკუთვით დაგიჯდათ, იქინერ-პოლკოვნიკ სონინს დაუკავშირდით. კრედიტის პირობებსაც ის გეტყვით და მეც დახმარებას აღმოგიჩენთ.

ზანდაროვი მყისვე მიხვდა ყველაფერს და მყისვე გაითვალისწინა ის

სარგებლობა, რასაც მას მეფისნაცვლის წინადადება უქადდა.

აღღვებულმა წარმოთქვა:

— თქვენო მაღალბრწყინვალეებ! თქვენს მამობრივ შურუნველობას, სანამ პირში სული მიდგას, არასოდეს არ დავიფიქვებ!

ვორონცოვმა მამა-შვილურად გაუღიმა და ხელში ოქროს თუმნიანი ჩაუღო.

დაბნეულმა ზანდაროვმა, მოკრძალების მიუხედავად, თვალები გაკვირვებით დახამხამა.

— ამას წინათ ვიხუმრე და დღეს შევასრულე, — თქვა მომღიმარე ვორონცოვმა, — ყველა ქართველს, ვინც ეპყრობას მოჰკიდებს ხელს, გადაწყვეტილი მაქვს ოქროს თუმნიანი ვაჩუქო.

მეფისნაცვლის ნაბობები ოქროს ზანდაროვმა იმ ქისაში შეინახა, რომელიც თავის დროზე ომარ ჰაიდარ-ბეგს ეკუთვნოდა.

ვორონცოვთან ქედმოხრილი მილიონერი წელში მედიდურად გასწორებული დაუბრუნდა თავის სავარჯელს. მას ყველამ პატივისცემით გააყოლა თვალი. მანანა ორბელიანის ვაჟი და ცნობილი თეატრალი მანამდე იდგა ფეხზე, სანამ ზანდაროვი მის გვერდით თავის სავარჯელს დაიკავებდა.

თეატრში დაგვიანებით მოსულმა დავით გერმანოზიშვილმა (მისი ხელახლად გაკვლუცებული და დიდხანს უნდებოდა მორთვას და მოკაზმვას) კიბებებზე ასვლის დროს გაიგო მეფისნაცვლის გრიგოლ ზანდაროვთან საუბრის ამბავი. გაიხარა და გაიბადრა. უნდოდა მეგობართან მიეზარდილიყო, გადახვეოდა და გადაეკოცნა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

მესამე ზარი მხოლოდ მეფისნაცვლის სოვდაგართან საუბრის დამთავრების შემდეგ დარეკეს.

## 2. მეორე შეხვედრა

აია, აია, აია, ეს მე არ შეხვედრისაა! ჩარლზ დიკენსი, „ჩვენი საერთო მეგობარი“

პირველ ანტრაქტში მანანა და მისი მამიდა, კნენია მზეხათუნი, გრძელფოიეში იმპერატორის სურათის ქვეშ დასხდნენ.

როცა მანანამ მათეენ მომავალი დავითი და ის უცნობი, ლამაზი და წარმოსადეგი მამაკაცი დაინახა, გული შეუქანდა, აღელდა. „ის არის... ის“. იძახდა თავის გულში აწრიალებული და ოცნავ დაბნეული თავადის ასული.

დავითმა ზანდაროვი დას და მამიდას წარუდგინა:

— უფალი ზანდაროვი. ჩემი და კნიაჟნა მანანა, მამიდაჩემი კნენია მზეხათუნი, რუსულად კნიაჟინა ტატიანა! — იხუმრა თავადმა.

მანანა გაფითრდა.

აიღეწა.

სახე უკმეზი გაუხდა. ბედგანწირულმა ერთხელ კიდევ გამოიტირა თავი.

მის გათხოვებას არც აქ გამოუჩნდა პირი.

იმ უცნობ მამაკაცზე დიდხანს ნაოცნებარს ხელთ დიდკაცურად გამოწყობილი ვაჭარი შერჩა.

უკვე საგრძნობლად დახანებულმა და დასქელებულმა კნენია მზეხათუნმა თვალები ლამაზსა და მოხდენილ ზანდაროვს შეანთა, გაუღიმა და უთხრა:

— ფრიად მესიამოვნა თქვენი გაცნობა, უფალო ზანდაროვო! თქვენი ქება და თქვენდამი ლტოლვა პიატი-გორსკში აქაურის ლამაზი ქალებისაგან შევიტყე. არც შემეცდარან!

ზანდაროვმა მდაბლად დაუკრა თავი. მანანა პირმოკუმული იჯდა.

ზანდაროვმა ქათინაურიითვე დაუბრუნა კნენია მზეხათუნს.

— მეც ბევრი მსმენია თქვენზე, კნენიანე, — ზანდაროვი შეუყოყმანდა რადგან არ იცოდა მზეხათუნი ეთქვა



თუ ტატიანა, დაწყებული ქათინაური მოკრძალებით დააბოლოვა, — გმადლობთ, რომ თქვენი ყურადღების ღირსი გამზადეთ.

ნიკოლოზ I-ის თბილისში ყოფნის დროს რაღაც ინციდენტის გამო დასაჯილი ივან პეტროვიჩი პიატიგორსკში მსახურობდა. კნეინა მზეხათუნი შორიდან გებულობდა თბილისურ ამბებს. მან ისიც იცოდა, რომ ზანდაროვი კნეინა გოსტაშაბიშვილის საყვარელი იყო. მეგობარ ქალს არჩევანი მოუწონა. ძმისწულები დააეწყვა და ენად გაიკრთა.

— მეფისნაცვალმა რომ საუბარი გაგებათ, დაინტერესებულმა მაშინვე ვიკითხე თქვენი ვინაობა, უფალო ზანდაროვი! გულითადად გილოცავთ ესოდენ დიდს წარმატებას. შუაზელ დე გუფი არ დაყოვნებს თქვენი სახელი მთელს ქალქს მოჰფინოს.

მანანა გერმანოზიშვილმა ყურები ცქვიტა. გაუკვირდა, რომ მეფისნაცვალი ვაჰარს თავისი ყურადღების საგნად ხდიდა.

კნეინა მზეხათუნმა ისევე ააუუყუნა თვალები.

— მაგდას ვერავინ ვერაფერს ათქმევინებს, მაგრამ ჩემის მხრივ უნდა ვთქვა, რომ ჩვენს ლამაზს კნეინას დიდი ჰქუაყ აქვს და დიდი გემოვნებაც. შესანიშნავი ქალია. შარმან!

მანანამ კვლავ ყურები ცქვიტა.

ეს ლამაზი ვაჰარი რაღაც ურთიერთობით უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ამპარტავენობით განთქმულ კნეინა გოსტაშაბიშვილთან.

ესეც ისევე გაუკვირდა, როგორც მეფისნაცვლის ვაჰართან საუბარი.

ზანდაროვი კნეინა მზეხათუნის მოურიდებელმა პირდაპირობამ გააკვირვა. ასეთ რამეზე არისტოკრატები ხმამაღლა არ ლაპარაკობდნენ, ზურგსუკან ენის დაღლის არ ეშინოდათ.

მაგრამ კნეინა მზეხათუნი თავნება ქალი იყო. არასდროს არაფერს არ ერიდებოდა. ვერც არისტოკრატთა ფანსეკლობას და მდაბიოთა მატრამა-

ზობას იტანდა. ყოვლად თანამედროვე „გენერალმა“ თავისი სიცოცხლე და უბრალოებით იწონებდა. გერმანოზიშვილების ნაშეიერს ღიმილს ჰგვრიდა თავისი ახლო ნათესაეების გულზვიადობა. ამიტომ ამპარტავენ ძმისწულებს აღმაცერად უყურებდა, ზოგჯერ კნეინა გოსტაშაბიშვილის გორიზობასაც არ ინდობდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჰქვიანსა და განათლებულ მაგდას დავით (იმზე საერთოდ ლაპარაკი არ ღირდა) და მანანა გერმანოზიშვილებზე მაღლა აყენებდა.

ზანდაროვს კნეინა მზეხათუნის გადაკრულად ნათქვამი ესიამოვნა (და თუმცა მანანა გერმანოზიშვილს არ უყურებდა, იმით იყო დაინტერესებული, თუ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ის, რასაც ენადგაკრეფილი მისი მამიდა ამბობდა). კნეინა გოსტაშაბიშვილის ღირსების დასაცავად თუ თავადის ასულის ინტერესების გასაძლიერებლად, მან კნეინა მზეხათუნს ფრანგულად მიმართა:

— კნეინა გოსტაშაბიშვილს მე პირიქიდან ვიცნობ.

— ვიცი, ვიცი, — ფრანგულადვე დაუბრუნა კნეინა მზეხათუნმა, — თქვენც ნამდვილი პარიეელი ხართ, უფალო ზანდაროვი! მე კი, — ამოიოხრა კნეინამ, — არასოდეს არ ვყოფილვარ პარიეში.

ზანდაროვი ფაქიზ ფრანგულს ანგარიშმიუცემლად აკოჭლებდა, კნეინა მზეხათუნსაც აქა-იქ ეშლებოდა, მაგრამ ორთავენი უდრტვინველად განაგრძობდნენ რასინის და ვოლტერის ენაზე მუსაიფს.

ფრანგულის გამო ზანდაროვი კიდევ უფრო ელეგანტურად მოეჩვენა მანანა გერმანოზიშვილს. ახლა იგი მზად იყო მოესმინა ზანდაროვის ქათინაური, მაგრამ კნეინა მზეხათუნი ლაპარაკს არავის აცლიდა.

ისინი ერთმანეთს მესამე ზარმა გაყარა.

თეატრის ჩაბნელებულ დარბაზში მანანას მხოლოდ ერთი აზრი უტრია-



ლებდა თავში: „ეს მშვენიერი მამაკაცი თავადი რომ იყოს, ან თუნდაც აზნაური. მაშინ?.. მაშინ?...“ გონება მილიონერთან დაქორწინებას ურჩევდა, თავადური ღირსება თავშეკავებას. ერთბაშად შემოსეული ფიქრები ტანჯავდნენ, სულს უფორიაქებდნენ, წონასწორობას აკარგვინებდნენ, თუმცა სადღაც, თავის გულის სიღრმეში საეგზეთ დარწმუნებული იყო, რომ არ შეიძლებოდა, შეუძლებელი იყო „პო“ ეთქვა მამაკაცისათვის, რომელიც იმ დაუვიწყარ დღეს ყველგან თან დასდევდა და შორიდან შესტრფოდა. სამწუხაროდ, ის ის არ აღმოჩნდა, ვინც მას ეგონა.

მეორე ანტრაქტში ზანდაროვმა მანანა გერმანოზიშვილს დრო უბელთა (ქნენა მზებათუნი სადღაც გაიქცა და იმისწული მიატოვა), წინ დაუდგა, თავი დაუკრა და მღელვარებით უთხრა:

— ვერ წარმოიდგენთ, კნაიენა მანანა, როგორ შაინტერესებდა თქვენი გაცნობა.

მანანამ წარბი შეჰკრა. არ იცოდა რა ეთქვა და როგორ მოქცეულიყო. ვაქროს ახლახან ნათქვამი უბრალო, ყოვლად ჩვეულებრივ და თავაზიან სიტყვის მასალად მიეღო, თუ თავხედურ უზრდევლობად.

ზანდაროვმა მას კანდელაბრებით განათებულ კედელთან საუარძელი შესთავაზა და გვერდით მოუჭდა:

— თქვენი ნახვა და თქვენთან ნაცნობობა სანატრელ ოცნებად მქონდა გადაქცეული, — გაუმეორა თავადის ასულს ზანდაროვმა და ალტაცებით დასძინა, — დღეს ეს ნატვრა ამისრულდა. მერწმუნეთ, ჩემზე ბედნიერი ეხლა ამ თეატრში არავინ არის.

ეს უკვე სიტყვის მასალა აღარ იყო, არც უწყინარი ქათინაური. მანანამ უარესად შეჰკრა კოპები და კიდევ უფრო უკმეხი გაუხდა ნატიფი სახე, რომლისთვისაც ხანს ჯერ მხოლოდ შეუმჩნევლად დაესვა პირველი ნაოქები თვალის უქებებთან.

ზანდაროვს არც ახლა დასცალდა

დამუნჯებულ თავადის ასულთან ლაპარაკი. დავითმა მასთან აქაქანებულნი ანდუყაფარ გერმანოზიშვილი მისყვანა. რალაციით აფორიაქებული, შეწუხებული და დამფრთხალი ანდუყაფარი მგლოტი თავიდან, ბალიშებზე დაბერილი ლოყებიდან და ცხრადღაცეცილი ღაბაბიდან ბალდადით ჭირის ოფლს იწმენდდა, თავს აქეთ-იქით აქნევდა, ოხრავდა და ხვეწნით და მუდართით ზანდაროვს შეჰლაღადებდა:

— უფალო ზანდაროვო! უმორჩილესად გვედრებით და მაგ ბედნიერ ემაწვილკაცობას გაფიცებთ, მიშველეთ და გაქირვებიდან დამიხსენით... თეატრში შემოვიტყერი და უდროოდროს გაწუხებთ. სიამოვნება მოგიშალეთ, მაგრამ რა ვქნა? სასამართლოს აღმასრულებელი თავზე იასაულივით დამადგა, ვალსა მთხოვს და გზას არ მაძლევს. ღმერთს ვეფიცები და არა სჯერა, ვადასა ვსთხოვ და უარს მეუბნება. ოთხასი თუმნის გადახდა ჩემთვის ადვილი არ გახლავთ. ღირსეული თავადის ამ ყოფაში ჩავარდნა ნუ გაგიკვირდებათ. ექვსი ჭალი გავათხოვე, ორ ვაეს ცოლი შევერთე. ამას რომელი მამულ-დედული გაუძლებდა? თუ ჭალი არ გაათხოვე, ხელში შემოგაბერდება და მტრად გაგიხდება (მანანა შეინძრა და სახეზე მართა აფთარა). რაც მქონდა და არა მქონდა ყველაფერი შეიღებს მოვახმარე, მე კი ცარიელტარიელზე დავრჩი, უკან სასამართლოს აღმასრულებელი მომდევს და არ ვიცი სად გავქვქე? სად წაუვიდე? რა წყალში ჩავვარდე? თქვენს იქით გზა არა მაქვს. ვკადნიერდები და უმორჩილესად მოგმართავთ. თქვენს გახარებასა და დღეგრძელობას, ხელი გამომართეთ და ოთხასი თუმანი მასესხეთ, ან „პო“ მითხარით, ან აქვე ყელი გამოთქვით...

მანანა სირცხვილმა დასწვა.

დავითი ერთ დგილზე უხერხულად იტკუნებოდა.

ანდუყაფარი პირდაღებული და ყბაჩამოვრდნილი შესცქეროდა ზანდა-

როეს.

ზანდაროვი დუმდა. გაფითრებული მანანას, ნირწამხდარი დავითის და პირქვედამხობილი ანდუყაფარის ურეებით ტკბებოდა.

მილიონერი დუმდა.

ხელოვნურად ახანგრძლივებდა თავის სიამოვნებას და თავადთა ტანჯვას.

ბოლოს დავითს ისე გადაულაპაროკა, რომ არც თავმოწინება გამოხატა, არც თანაგრძნობა:

— კნიაზი ჩემს მოუტრავთან მიიყვანე, დავით. ფულს ის მოგცემთ. მშვიდობით ბრძნდებოდეთ, კნიაზო!

გახარებულმა ანდუყაფარმა უღვაშოდან ერთი ღერი მოიგლიჯა. ეს მისი ვეჟისი იყო.

— თქვენს სიყვარულს ღმერთი არ დამაფიწყებინებს, უფალო ზანდაროვო! რომელ ხატსაც სანთელს დავუენთებ, იქ თქვენს სახელსაც ვახსენებ. ვალსაც მალე მოგართმევთ და, როცა მაგ უღვაშის ღერს დამიბრუნებთ, გავსწორდებით და დიდ მადლობასაც დაგახვედრებთ.

ზანდაროვმა თავადის უღვაშის ღერი აბრეშუმის ხელსახოცში მდუმარედ გამოჰკრა. ანდუყაფარმა კი ფოთში მოსიერნე მათურებლები გაარღვია და ქუდმოგლეჯილი გაიქცა. დავითი უკან დაედევნა.

თეატრში მესამე ზარი დარეკეს.

მანანა წამოდგა და წაბარბაცდა. ზანდაროვმა სათუთად ხელი მიასველა და ბენუარის იმ ლოქამდე მიაცილა, სადაც კნენა მზეხათუნი ფარდის ახლას უცდიდა.

### 3. გაფრთხილება

ახლა აღარა ვამიყვარდება რა და არაფრისაც შემეშინდება.

გრიგოლ ორბელიანი

მესამე ანტრაქტში კნენა გოსტაშაბიშვილმა ზანდაროვს გზა გადაუჭრა, მანანა გერმანოზიშვილისკენ აღარ გაუშვა, განზე გაიყვანა და გადაჭრათ უთხრა:

სენი... მანანა... იანდაროვ... იანდ...

— გრიგოლ, მაგ თავადის ქალს თავი გაანებე.

— მინც რატომ, კნენიანე? გამოწვევად ჰკითხა ზანდაროვმა.

— იმიტომ, რომ მაგის ღირსი არა ხარ.

ზანდაროვი კნენას გაბრაზებით დააქკერდა. თავხედურად უთხრა:

— ფიჭრი ნუ გაქვს, კნენიანე, ჯიბეში აზნაურობის საბუთი მაქვს.

თავადობა და აზნაურობა აქ შუაში არ არის.

კნენა გოსტაშაბიშვილის ნათქვამი ზანდაროვმა ახლაც თავისებურად გაიგო. აგდებულად დაუბრუნა:

— მაშ რა გნებავს? უცოლოდ გინდა დადებერდე?

— ცოლად ვინც გინდა, ის შეირთე. ხელს ვინ გიშლის? მანანა გერმანოზიშვილს კი დაეხსენი. ეგ სულ სხვა ქალია. დიდხანია ვიცნობ. შენ ეგ მაგდა გოსტაშაბიშვილი ან მაიკო კურტანიძე ნუ გგონია. მაგის გაუხედურება ცოლოდ მოგეკითხება.

ზანდაროვს გაუკვირდა.

— ჩემი მილიონები მაგ ქალს ბედნიერს გახდის.

— არა, არა, — შეაწყვეტინა მაგდამ, — შენ ეგ არ შეგიძლია.

— ვითომ რატომ, კნენიანე?

— იმიტომ, რომ სიყვარული შენთვის უცხო ხილია.

ზანდაროვმა ერთხანს ხმა ვერ ამოიღო. მერე თავი გაიმართლა.

— მეც ისე ვცხოვრობ, როგორც ყველა ცხოვრობს. არც მეტი, არც ნაკლები. გულკეთილობით კი ბევრსა ვკობივარ!

— შეიძლება, შეიძლება, — საჩქაროდ უპასუხა მაგდამ და თვალზე ცრემლი გაუბრწყინდა, — სადღაც კეთილი ხარ, მაგრამ ეგ თვისება ბავშვობის პერანგივით გახსოვს! არ ვიცი ვინ და რამ დაგავიწყა... არც ის ვიცი ვინა ხარ, რა გამოსცადე ან რა ცხოვრება განვლე, მაგრამ ეხლა ბოროტი ხარ, ხარბი, გაუმიძლარი, დაუნდობელი, მარტო შენი თავი გიყვარს, მარ-

ტო შენი თავი გაგონდება. ესეთი კაცი ქალს ბედნიერებას ვერ მოუტანს.

— ეგრე რათა მლანძღავ, კნენიავ?

— ყური კარგად დამიგდე, გრიგოლ! — ჩვეულებრივ სერიოზული მაგდა კიდევ უფრო სერიოზულად გამოიყურებოდა და ლაპარაკობდა, — შენი ავიც ვიცი და კარგიც. ავსაც გაგიხსენებ და არც კარგს დაგიკარგავ. ეს რომ არა გჭონდეს, არ გაგიჩერდებოდი. იცოდე, მედიდურობით შენ მე ვერ მაჯობებ!

— მაინც რასა მთხოვ, კნენიავ?

— მანანა გერმანოზიშვილს დაეხსენი.

ზანდაროვმა ცივად მოუქრა:

— მაგის პირობას ვერ მოგცემ.

მაგდამ მარცხენა ხელის გულზე მარაო ხმაურით დაკეცა ზანდაროვი უკანასკნელად გააფრთხილა:

— ეგ სახევეთილი ქალი გულითაც კეთილია, მიამიტო, გულუბრყვილო, გულმხურვალედ მორწმუნე. შენი ფანდი არ არის!

გრიგოლმა თავმოქმონედ მიუგო:

— ცოლად სწორედ ეგეთი ქალია სანატრელი, კნენიავ!

— არა, არა, — აღშფოთებით დაახვედრა მაგდამ, — მაგის კარგი ცოლობა შენს ფიქრებში არ არის. შენ გინდა წაქცეული ქალი შენი მილიონებით იყიდო, თავადის ასულზე დაქორწინებით სახელი დაიგდო! ეგ არის და ეგ, ბატონო ზანდაროვ!

კნენა გოსტაშაბიშვილის გულთამხილავობით გაკვირვებული გრიგოლი ერთხანს გამტერებული იდგა და საჩვენებელ თითს გაჰღარავებულ საფეთქელზე ათამაშებდა.

მანანა გერმანოზიშვილმა კნენა მზეხათუნის თანხლებით რამდენჯერმე გაუარა შორიახლო ერთმანეთთან ცხარედ მოლაპარაკე კნენა გოსტაშაბიშვილს და გრიგოლ ზანდაროვს. ესეც სასწაულებრივ ნიშნად მიიღო და საშინლად გაოცდა, როცა გორთხი კნენის ოქროსფერ თვალებში ცრემლი შეაჩნია.

კნენა მზეხათუნმა მეგობარი ქალი არ დაინდო და წაიქორავა.

— ჩვენს თვალმშვენიერ მაგდას ხანი ემატება და, რა თქმა უნდა, თანდათან გაუძნელდება ისეთი ლამაზი მამაკაცის შენარჩუნება, როგორიც უფალი ზანდაროვია. მაგრამ რა საქციელია თეატრის ფოიეში სკანდალის გამართვა?

მანანამ ხმა არ ამოიღო.

კნენა გოსტაშაბიშვილის და გრიგოლ ზანდაროვის ინტიმურ ურთიერთობაში საბოლოოდ დარწმუნებულს, არც ეჭვის ცეცხლი შემონთებია.

მას ზანდაროვი მოსწონდა, მაგრამ არ უყვარდა.

მეოთხე ანტრაქტში, ჯერ კიდევ პირველი ზარი დარეკილი არ იყო, როცა გრიგოლმა მანანა ფოიეს შორეულ კუთხეში ელენგანტური ყურადღებით და გატაცებული საუბრით მიიყვანა (თეადის ასულს პარიზის ოპერის თეატრის მსახიობების თვალწარმტაც თამაშს უყვებოდა), უზარმაზარ ქოლგასავით გაშლილ პალმასთან გააჩერა და ყოველგვარი შესავლის გარეშე გული გადაუშალა:

— ჩემს ხეაშიადს ველარ დემალავ, კნიაენავ. მიყვარხართ და ეხლა თქვენს სიტყვაზე ჰკილია ჩემი ბედნიერებაც და უბედურებაც. მომიტევეთ, რომ ჩემი გულის საიდუმლოს ერთბაშად გიშხელთ. მაგრამ განა იმ დღეს ყველაფერი არ გითხარით და თქვენც არ გამათამამეთ? მოიგონეთ ჯამბაზების თოქე თამაში, კრამერის თეატრი, მტრედებზე ნადირობა ვერის ბაღში, ცელერიუსის საკონდიტრო, მეფისნაცვლის დოდი, ამ თეატრში ხელობად შეხვედრა, თქვენი სახლის ფანჯარა მთაწმინდაში. იმ დღიდან თქვენს სათნო სახეს გულით ვატარებ და ეხლა თქვენა ხართ, კნიაენავ, ჩემი ბედის გამჩენიც და დამთრგუნველიც.

გრიგოლ ზანდაროვმა მხოლოდ თმახუჭუკა კორნეტი არ ახსენა. სხვა ყველაფერი დაწერილებით მოიგონა. თან ისეთი მღვლეარებით ლაპარაკობდა,

რომ მანანა, თანდათან რომ ბრავდებოდა, ერთხანს ნიაზით უგდებდა ყურს, ის დღე მასაც კარგად ახსოვდა და ხშირად აგონდებოდა კიდევ. ამიტომ ამ ლამაზი და წარმოსადგეგი მამაკაცის მხრივ სრულიადაც არ იყო მოულოდნელი სიყვარულის ახსნა მანეის თეატრის ფოიეში, მაგრამ გალურსული მანანა ეხლა სულ სხვა რამეს უწევდა ანგარიშს. მას სიყვარულს უხსნიდა მამაკაცი, რომლის ვინაობა სავსებით გამორკვეული იყო. მის წინ სიმძლიერით გათამამებული სოვდაგარი იდგა და თავხედურად თავადებს უტოლდებოდა. მას ერთბაშად დაავიწყდა ანლუყაფარ გერმანოზიშვილიც და მთაწმინდის პატარა სახლის ღარიბული ოთახებიც, სადაც ყველაფერს ნატისუსალი ასდიოდა. ის ახლა მხოლოდ თავადის ასული იყო, ამაყი, მედიდური და მიუყარებელი.

როცა მანანა შეურაცხყოფილი ქალის უკმები სახით ზანდაროვისკენ მოტრიალდა, ამ უქანასკნელმა მდაბლად დაუკრა თავი და უთხრა:

— ეხლა ნურც „პოს“ მეტყვით, ნურც „არას“, კნიაენავ. ხვალ მეჭლის ვმართავ. თუ არ მოზრძანდებით, ჩემი განწირული ბედის ამბავი მე თვითონ შეცოდინება.

ისევ მდაბლად დაუკრა თავი ვანციფრებულ თავადის ასულს, გატრიალდა, აუჩქარებლად გაემართა თეატრის ფოიეში მოსეირნე მყურებლებსკენ და იმპერატორის სურათთან გაჩერდა.

#### 4. საუბარი ბენუარის ლოქაში

მხოლოდ გონებას შეუძლია დიღხას ასაზრდოოს მეორე გონება, მარტოობაში დიღხას შემოქმედება შეუძლებელია.

სტენდალი

მანანას მარტო მოუხდა ბენუარის ლოქაში დაბრუნება. ფარდის ახდის მოლოდინში იქ უკვე ისხდნენ კნეინა მზეხათუნი და კნეინა გოსტაშაბიშვილი. ერთი-ერთად, გაუთავებლად

ლაპარაკობდა, მეორე მდუმარედ უგდებდა ყურს.

მანანა ერთ-ერთ დანაკერს კნეინა გოსტაშაბიშვილს. მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება მისი დაღლილი სახის სევდიან გამომეტყველებას. „იმაზე ფიქრობს, — გაიფიქრა მან და თავის თავს დაეკითხა, — ნუთუ საყვარელთან განშორების შიშმა შეიძლება ქალი ერთბაშად დააბეროს?“ ამ აზრმა მას წელან კნეინა გოსტაშაბიშვილის თვალეში დანახული ცრემლი გაახსენა. ეს მისთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო. კნეინას აღარ უყურებდა, მაგრამ გამუდმებით მის უცნაურ სიყვარულზე ფიქრობდა.

ვერასგზით ვერ წარმოედგინა ამ ამაყი კნეინას (მის ძველისძველ კერძსა და თაყვანისცემის საგანს რომ წარმოადგენდა) განმაცვიფრებელი დამდაბლება. მისი გაკვირვება სავსებით გულწრფელი იყო, რადგან მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი არასდროს გრიგოლ ზანდაროვს არ შეხვედროდა.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ იგი სრულიად დამშვიდებული და დაწყნარებული იჯდა ბენუარის ლოქაში.

კნეინა მზეხათუნი გაუთავებლად ლაპარაკობდა.

კნეინა გოსტაშაბიშვილი კანტი-კუნტად ურთავდა სიტყვას საუბარში.

მეზობელი ლოქიდან მამაკაცის ბოხი ხმა და სიცილი მოისმა.

კნეინა მზეხათუნმა ყურები ცქვიტა.

— გლუხარიჩია! — თქვა მან, — ევრონცივის ახალი ფავორიტი.

მანანამ იმ ლოქისაგან გაიხედა, სადაც გიორგი ერისთავი ორბელიანთა ასულებს თავისი კომედის შინაარსს უყუებოდა და აცინებდა. ორბელიანების ლამაზმანებს მანანამ პირი სწრაფად მოარიდა, სამაგიეროდ პარტერში ტკბილად გულშია ილიკო ორბელიანის, რომელსაც ზანდაროვის სახლიდან დაბრუნებული დავით გერმანოზიშვილი რაღაცაზე ელაპარაკებოდა.

— საკვირველი კაცია გრაფი. — განაგრძო კნეინა მზეხათუნმა. —

მფარველობის ერთ ხელს კომერსანტ ზანდაროვს სდებს, მეორე ხელს კი თავად ერისთვის. — თქვა და კნეინა გოსტაშაბიშვილს დიდმნიშვნელოვნად დააქვერდა, ძმისწულს კი არავითარი ყურადღება არ მიაქცია.

მანანა გერმანოზიშვილისათვის პოლიტიკა ისევე უცხო ხილი იყო, როგორც ევროპული მუსიკა ან მხატვრობა.

ევროპულ კულტურას და პოლიტიკურ ინტრიგებს ნაზიარები კნეინა მზებათუნი მანანასთან სერიოზულ თემებზე არასდროს არ ლაპარაკობდა. მოუხედავად იმისა, რომ მისი სილამაზით მოხიბლული და აღტაცებული იყო, უპირატესობას მაინც ალექსანდრე ჭავჭავაძის განათლებულ ქალებს ანიჭებდა.

რაკი კნეინა გოსტაშაბიშვილმა ხმა არ ამოიღო, კნეინა მზებათუნი ისევ თვითონ განაგრძო:

— მალე კომედიას ქართულად ვიხილავთ, ქართულ თეატრში ვივლით. ამას ცოტა ადრე ვინ იფიქრებდა? გრაფი ქართველებს გვანებივრებს და მაგის პოლიტიკა სწორედ ეგ არის. თავისი ლმობიერებით ეროლოგიც დაგვაფიწყა და პასკევიჩიც. აი, რას ნიშნავს, კნეინავ, ინგლისურად აღზრდილ-განათლებული ადამიანი.

კნეინა გოსტაშაბიშვილი ერთხანს სდუმდა. ეტყობოდა რალაციის თქმა სურდა, თან თითქოს არ უნდოდა, თუ უძნელდებოდა. მერმე ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით წარმოთქვა:

— ვორონცოვის ადგილზე ყველა ეგრე მოიქცეოდა.

კნეინა მზებათუნი გაკვირვებით ასწია წარბები.

— არ მესმის, კნეინავ?!

კნეინა გოსტაშაბიშვილმა კიდევ უფრო დაუდაბლა ხმას:

— არ ვიცი, ამ ლოკაში ქართულად უფრო სახიფათო ლაპარაკი თუ ფრანგულად? არცერთ მთავარმართველს იმდენი ჯამში არ ჰყოლია კავკასია-

ში, რამდენიც ჩვენს ინგლისურად გზრდილ გრაფს.

კნეინა მზებათუნი მკისვე დაუბრუნა:

— პოლიტიკა უმაგისოდ არ ვარგა. მაგით ვერ გამაკვირვებ, ძვირფასო!

— არ მინდა, უბრალოდ, სხვებმა გაიგონონ რის თქმაც მინდა. თვითონაც არ ვიცი რატომ ავყვეცი, ტატიანა, ან რატომ დავიწყე ვორონცოვზე ლაპარაკი, — კნეინა გოსტაშაბიშვილმა იქით გაიხედა, სადაც მეფისნაცვალის იჯდა, — შეიძლება იმიტომ, რომ ზოგი რამ უკეთესად ვიცი. მეფის ხელისუფალთ არ შეეძლოთ კავკასიაში სხვანაირად მოქცეულიყვნენ. თრმოცი წლის გამოცდილებამ ისინი დაარწმუნა, რომ მარტო ცეცხლი და მახვილი საკმარისი არ იყო კავკასიის დასამორჩილებლად. რუსეთის პარიზელმა ელჩმა ერთხელ როგორღაც მითხრა: „აი, ნახავთ, კნეინავ, თქვენს ქვეყანას ეხლა სულ სხვაგვარად მოვევლით. ჩემმა მეგობარმა ჩერნიშოვმა მთავარმართველ გოლოვინს დარიგება მისცა კავკასიაში ისე მოქცეულიყო, როგორც ინგლისელები ინდოეთში იქცევინან; მინისტრი მეც შელაპარაკა ამის თაობაზე და სწორედ კავკასიასთან დაკავშირებით მოითხოვა იმის გამორკვევა, თუ როგორ მოქმედებენ ფრანგები ალჟირში“. აი ის, რაც დიდიხნის წინათ პარიზში ხელმწიფის ელჩმა და მისმა მინისტრმა მითხრა. ეხლა, ვფიქრობ, შენთვისაც გასაგები უნდა იყოს, თუ საიდან მოდის ვორონცოვის პოლიტიკა.

კნეინა მზებათუნი ტუზზე თითი დაიდო და ფრთხილად გაიხედ-გამოიხედა.

კნეინა გოსტაშაბიშვილს გაფრთხილება არ სჭირდებოდა. ჰკვიანური ღუმელი შესანიშნავად ეხერხებოდა გულახდილი იგი მხოლოდ ვახტანგ ტაშირელთან იყო. ეს იმიტომ კი არა, რომ მას ენდობოდა და სხვების ეშინოდა, არამედ იმის გამო, რომ ტაშირელს სერიოზულად ფიქრობდა და

ზე, რაზეც ლაპარაკობდა. ამიტომ მასთან ლაპარაკი მუდამ მიმზიდველი და საინტერესო იყო.

კნენინა მზეხათუნი ისევ ატიტირდა, მაგრამ ახლა მხოლოდ ქალბატონ ავენარიუსის ღირსებებზე ლაპარაკობდა.

კნენინა გოსტაშაბიშვილმა კი ისევ წყალი ჩაიფუტა პირში.

მანამ ერთ გარემოებას მიაქცია ყურადღება: მის მიმართ ჩვეულებრივად კეთილად განწყობილი და ალერსიანი კნენინა გოსტაშაბიშვილი ხმას არ სცემდა, არაფერს ეუბნებოდა და არც არაფერს ეკითხებოდა. მის იშვიათ, მაგრამ დაკვირვებულ გამოხედვაში უფრო შემოფოთება იხატებოდა, ვიდრე ის აღტაცება, რომელსაც არასდროს არ მალავდა მანანა გერმანოზიშვილის არაჩვეულებრივად სათნო სახით და ტანკენარი აღნაგობით მოხიბლული კნენინა გოსტაშაბიშვილი. თან ამპარტავნობით განთქმული კნენინა აღელვებულიც ეჩვენა და რაღაცნაირად გასაწყლებულიც.

„როცა თავღვიწყვებით უყვართ, ადვილად სთმობენ საკუთარ ბუნებას და თანდაყოლილ ხასიათს. თუ ეს არ არის, მაშინ უბრალო გატაცებაა“. მოაგონდა მანანას თავისი მამიდის კიაფად ნათქვამი სიტყვები. სალონში წარმოთქმული ეს განმარტება ახლა ზედგამოჭრილი იყო კნენინა გოსტაშაბიშვილზე, რომელსაც საკუთარი გოროზობა თვალნათლივ აელაგმა და ცრემლსაც კი ღვრიდა, რათა მდამიო საყვარელი შეესარჩუნებინა.

საერთოდ მისთვის მამიდის ნალაპარაკევი უფრო გასაგები იყო, ვიდრე კნენინა გოსტაშაბიშვილის უცნაური აზრები და შეხედულებანი. კნენინა მზეხათუნი დასწავლილი აფორიზმებით ლაპარაკობდა, ანდა ახლად წაკითხული ფრანგული რომანების გმირთა ხატოვან სიტყვებს თუთიყუშვივით იმეორებდა. ეს თბილისელი არისტოკრატების აღფრთოვანებას და კნენინა გოსტაშაბიშვილის ირონიულ ღიმილს იწვევდა. კნენინა მზეხათუნს ბევრის თვალში

სხვა უპირატესობაც ჰქონდა. ბევრს მოსწონდა მზიარულთა გულდღე და ენაღაკრეფილი კნენინა სსმსგმგროდ ავ სიტყვას არ აკლებდნენ გულჩათხრობილ, მედიდურ და სიტყვაძუნწ მაგდა გოსტაშაბიშვილს, რომელიც მხოლოდ ზოგიერთისთვის იმეტებდა ალერსიან ყურადღებას. ასეთებს შორის მანანა გერმანოზიშვილიც იყო.

„ნუთუ მე პარიჟელი კნენინას მეტოქე ვხდები! — ფიქრობდა მანანა. არა, მე მაგას როგორ შევედრები? მაგის ღირსებანი მე არასოდეს არ მქონია და არც მექნება. ესეც არის, არც მაგისავით შემძლია უფალ ზანდაროვის შეყვარება. ეს კაცი ჩემთვის არ არსებობს. გაიგებს და აღარ დამემდღურება. არც ეგრე შემოფოთებით დამიწყებს ყურებას. იპ, ნეტავი ვიციოდე, რატომ აგვიანებენ ფარდის ახლას?“

მანანამ კნენინა გოსტაშაბიშვილის უცნაურ სიყვარულზე ფიქრი შეწყვიტა და მსახიობებს ყურადღებით მიაცქერდა, რათა იმით გართულიყო, რაც სცენაზე ხდებოდა.

მას ერთხელაც არ გახსენებია უფალი ვრიგოლ ზანდაროვი.

## 5. ქალის გული

არა, არა! არ შემძლიან, მე ვაჭარს ვერ შევირთავ! წყალში ჩავეარდები და კი არ შევირთავ, თავს მოვიკლავ და არ შევირთავ.

გაბრიელ ხუნდუიანი, „დაქცეული იჯახი“

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ, სანამ დავითი მამიდას და კნენინა გოსტაშაბიშვილს მარხილში სვამდა, მანანა ძმას თეატრის წინ უცდიდა. უცებ ქალის აღტაცებით წამოძახილი მოესმა:

— რა მოხდენილი მამაკაცია უფალი ზანდაროვი, მაგისთანა თეატრში დღეს არავინ იყო!

მანანამ ყურები ცქციტა. მან მყისვე იცნო მათა სავარსამიძე, რომელიც ნათესავებთან ერთად თეატრიდან გამოდიოდა. მათ უკან მოსდევდა აწოწილი და გაფშევილი ახალგაზრდა მამაკაცა.



ისიც მყისვე იცნო მანანამ. სენატორის ვაჟი იყო, მისი ყოფილი კავალერი. „ნუთუ იმ დროსაც ასე აწოწილი და ღონღლო იყო? — გაიფიქრა გამხიარლებულმა მანანამ, — ნუთუ იმ დროს იმას ვერ ვამჩნევდი, რასაც ახლა ვხედავ?“ ძველი ბოლმის და შურის მაგიერ ახლა იგი მათა სავარსამიძისადმი გულწრფელი თანაგრძნობით განიხმსველა და მის ალტაცებით წამოძახილში ისეთი რამ აღმოაჩინა, რაც მხოლოდ ქალებს ესმით და სწრაფად გებულობენ. როლების ასეთი შეცვლით ნასიამოვნები და კმაყოფილი მანანა თითქმის შიშით ფიქრობდა იმაზე, რომ თვითონ ზას სულ ადვილად შეეძლო ისეთივე შეცდომის დაშვება, რასაც მათა სავარსამიძე, სავსებით აშკარა იყო, მწარედ ნანობდა.

მანანამ სენატორის გაწლოკილი და ღონღლო ვაჟი უნებლიედ თვალთანად და პირმშვენიერ, მოხდენილ და ელვანტურ ზანდაროვს შეადარა. შეადარა და პირზე ღმილი მოადგა, რადგან ამ ლამაზი მამაკაცით მისი ყოფილი კავალრის ცოლი იყო მოხიბლული, თვითონ კი მისგან თავს შორს იჭერდა. მას ახალგაზრდა თმახუტუჭა კორნეტის მოაგონდა. შინაბერა თავადის ასულთან გამიჯნურებული ნორჩი კორნეტი ნათესავებმა თითქმის ხელით დაჭერილი ჩაიყვანეს პეტერბურგში და იქ „კონვოიში“ ჩარიცხეს. ამას მეფისნაცვლის, ეგზარხოსის და რამდენიმე მიტროპოლიტის რეკომენდაცია დაჰქირდა. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ თვითონ მანანა გერმანოზიშვილს აინუნში არ მოსდიოდა თმახუტუჭა კორნეტის ჰაბუკური გატაცება. მიუხედავად ამისა, მას მაინც რაღაცნაირად ატყინა გული მისი მშობლების დემონსტრაციულმა საქციელმა.

ზანდაროვთან შედარებით ის ყმაწვილიც პირზე რძეშეუშრობელ ბალღად მოეჩვენა მანანას.

როგორც ქალი, იგი სხვა უპირატესობასაც ანიჭებდა ზანდაროვს. ზას არც სენატორის ვაჟის რომანტიკული სიყვარული ეტყობოდა, არც ახალგაზრდა კორნეტის შეფრფვინებით ტრფილი. ლალი და თამაში ზანდაროვი მას ჯერ კიდევ იმ დროს მოეწონა, როცა ერევნის მოედანზე ერთად უყურებდნენ ჯამბაზების თოქზე თამაშს, ყველაფერი აგონდებოდა. მან ცნობისმოყვარეობით შეათვალღერა ლამაზი და წარმოსადეგი მამაკაცი ჰანამდე, სანამ ის მისკენ მოიხედავდა და შეამჩნევდა. არც მისი დაუსრულებელი უკან დევნა შეეძლო დაევიწყებინა შინაბერად დარჩენილ ქალს. ისინი სულ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამ ორმა შეხვედრამ მას, როგორც ქალს, უფრო მეტი რამ განაცდევინა, ვიდრე მათა სავარსამიძის ახლანდელი ქმრის ბოლოდაუდებელმა მიჯნურობამ კენინა მზეხათუნას სალონიდან გერმანოზიშვილების სახლამდე.

ზანდაროვის მიერ სიყვარულის გამხელა მას ახლაც თავხედობად მიაჩნდა, მაგრამ ასეთი „თავხედობა“ ყველგან და ყველა დროში ყველა ქალს ერთნაირად მოსწონდა, მიუხედავად იმისა, თუ სოციალური კიბის რომელ საფეხურზე იდგა იგი.

ამასთან სავსებით დაკმაყოფილებული იყო მისი პატივმოყვარეობა. მას თავისი გულის საიდუმლოებას უმხელდა მამაკაცი, რომელსაც კენინა გოსტამაზიშვილი და სენატორის რძალი მათა სავარსამიძე შესტრფოდნენ.

მანანა შეეყოყმანდა.

წუხანდელი თავისი გადაწყვეტილება „არასდროს ზანდაროვს არ შეხვედროდა“, ნაჩქარევად მოეჩვენა.

ყოყმანმა ზანდაროვის პირობა მოაგონა.



ხელინდელ ნაღმზე დაპატოების  
აზრი მკაფიოდ გაახსენდა.

ისევ აფორიაქდა.

ფუტკარივით შემოსეული ფიქრები  
თავიდან ველარ მოიშორა.

ღამე თეთრად შემოათენდა.

ქალი თავადის ასულს ებრძოდა, თავადის ასული — ქალს.

ხან ქალი იმარჯვებდა, ხან თავადის ასული.

მხოლოდ განთიადზე ჩაეძინა დაღლილსა და დაქანცულს.

გვიან გაეღვიძა.

ქალაქიდან ხარბაზნის გასროლის ხმა მოესმა. აღრე ადგომას მიჩვეულს, შუადღის მოახლოება გაუცვივრდა.

დავითი ყაზარმაში იყო წასული. შინ მარტო ბებერი გამღელი ფუსფუსებდა.

— გაიღვიძე, ჩემო ლამაზო? — შესცინა გამღელმა და დავითის ბარათი გადასცა, — თავადმა დასტოვა. ასე დამაბარა, მზად დამხედეს, ამ საღამოს ნაღმზე ვართ დაპატოებულიო.

დავითი გაუჩვეველი ხელით წერდა: „უფალი ზანდაროვი აზნაურობის დამტკიცების აღსანიშნავად დიდს ნადამს მართავს. შენთვისაც უთხოვია და მეცა მთხოვა, ვეახლოთ და პატივი დავდოო. შინ საღამოთი დავბრუნდები და მზად დამხვდი“. მანამამ რამდენჯერმე გადაიკითხა ბარათი. მერე გამდელს მიუბრუნდა და უთხრა:

— ახალი კაბა მომიმზადე. რამდენი მძინებია? როდისღა მოვასწრებ მომზადებას?

თავისი გადაწყვეტილების თვითონვე გაუცვივრდა. ვერ მიმხედარიყო რა იყო ამის მიზეზი: ზანდაროვის მოულოდნელი აზნაურობა, ფეხშიშველი ბებერი გამდელი, თუ მისი გალიის ოდენა ოთახი, რომელიც ერთადერთი ფანჯრის შეყვინულ-შეთრთვილულ მინათა მოლფრჯო შუქის კამკამში საწყალობლად და სევდისმომგვრელად გამოიყურებოდა.

ოთახის ყველა კუნჭულიდან ობმოკიდებული სიღარიბე იცვიტებოდა.

ყველაფერი ისე იყო ჩამოფხავებული და გაცვეთილ-გახუნებული, როგორც თვითონ სახლის პატრონი თავადი დავით გერმანოზიშვილი.

თავადის ასულმა ზიზლით და სიძულვილით შემოავლო თვალი პატარა, დარიბულ, უღიმღამო ოთახს, ამ ოთახის მთელ ავლა-დიდებას რამდენიმე ფერდაკარგული, ალაგ-ალაგ ზავრდვადამრობილი სავარძელი, ერთი ტახტი, კედელთან მიდგმული ტრაპეტის ძველი მაგიდა, მრგვალი სარკე და მრავალსანთლიანი ბრინჯაოს შანდალი შეადგენდა გერმანოზიშვილების ნაშეირი ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ თავადური ღირსებიდან მას მხოლოდ სახელი შერჩენოდა. ასევე სახელითღა იყო თავადი დავით გერმანოზიშვილი, რომლის თავადური ცხოვრების გადმონაშთი მეზობელ ოთახში დამწყვდეული ერთი მწვეარი, ორი მეძეპარი და რამდენიმე ქორ-შეგარდენი იყო.

მანანას ტანში გააყროლა.

ოთახში ციოდა კიდევ, რადგან ბებერ გამდელს შეშის დამობა და ბუხრის დანთება უჭირდა.

შეცივებული თავადის ასული სუსტი ცეცხლით წითლად განათებულ ბუხართან მივიდა, ხელები გასათბობად მიუშვირა. ერთხანს გარინდებული და დაფიქრებული იდგა. მერე ჩაქინდრული თავი მალღა ასწია და წელში გაინართა. ქალმა ამ მომენტში საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო, რადგან თავადის ასულის ყველა საბუთი უაზრო და უგუნური მოეჩვენა. მხოლოდ ერთი რამ იყო გასათვალისწინებელი: დავითის განრისხება. მაგრამ ამის გახსენება იგი უფრო დაამშვიდა, ვიდრე ააღელვა. ზანდაროვის სახლში გამოჩენა მას სოვდაგრის საცოლედ ზდიდა, მაგრამ ეს არც ნიშნობას ნიშნავდა, არც მტკიცე პირობის მიცემას. საცოლის ცოლად გადაქცევა იმაზეც იყო დამოკიდებული, თუ რას იტყოდა და როგორ მოიქცეოდა სიღარიბეშიც მეტისმეტად ამაყი თავადი დავით გერმანოზიშვილი. გამდელს შანდალზე სანთლები აან-

თებინა. სარკეს მიუჯდა. შიშით და მღელვარებით დააკვირდა საკუთარ თავს. მყისვე ცალი წარბი სიამოვნებით ასწია. ისევ პირმშვენიერი იყო. ამას ადასტურებდა ნათელი შუბლი, გიშრის თმა, შავი, ძველებურად მომხიბვლელი თვალები, სათნო, მწყაზარი და უნაოქო სახე, სარკიდან ოცდარვა წლის ლამაზი ქალი იყურებოდა.

ბედგამწარებულს ბედის შემობრუნების რწმენა გაუღვივდა.

გახალისდა.  
გამხიარულდა.

თავადის ასული ისევ გაუჩინარდა, ბურთი და მოედანი ისევ ქალს დარჩა.

როცა ქუჩიდან მარხილში შებმული ცბენების ეყენების წყრიალი მოესმა, აღტაცებით წამოიძახა:

— დავითი მოვიდა!

კიბეზე დავითი მუხამბაზის ღიღინით ამოდიოდა. დას კარებიდანვე მიიძახა:

— მზადა ხარ, სულო!

— მოვდივარ, მოვდივარ. — შესძახა მანამ და პირჯვარი გამოისახა.

ძმამ დას მკლავი მიიგება.

გამდელმა ორთავეს პირჯვარი გადასწერა. უკან ლოცვების ბუტბუტით დაედგენა.

სანამ მარხილი ქუჩის ბოლოს მიეფარებოდა, გაიანე სადარბაზო კართან თოვლის ნაქქერში იდგა. იდგა და თავშალი და მხრები თოვლით უთეთრდებოდა. ერთი აზრით და ფიქრით შეპყრობილი თოვლსა და სიცივეს ყურადღებას არ აქცევდა. ძალასა და მხნეობას ბედშეკრული გაზრდილის ერთგულემა და სიყვარული ანიჭებდა.

ასე მას მხოლოდ ორი აღამიანი უყვარდა: მანანა გერმანოზიშვილი და უგზოუკვლოდ დაკარგული ფანდურაანთ იოსება.

**6. ბაახანაურებული მღაბიო**

გაიგე, რომ მე კიდევ უფრო ავმალდი სოციალურ კიბეზე.

ჩარლზ დიკენსი, „ჩვენი ხაერთო მეგობარი“.

მანანამ მარხილში ძმას სხვათა შორის პკითხა:

— როგორ ვახდა უფალი ზანდაროვი აზნაური?

— კომისიაში საბუთებში მცოდნე პირებს.

— ჰო.

ზანდაროვის აზნაურობა ყველასთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ დიდი გაცვირვება ამას არ გამოუწვევია. მთელი ოცდახუთი წლის განმავლობაში იმპერატორის მიერ დანიშნული კომისია აზნაურთა საბუთებს არჩევდა და ამტკიცებდა. კომისიას წინ გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატისათვის დართული ქართველ კეთილშობილთა სიეზი ედო, მაგრამ საერთოდ ყოველგვარ სიგელსა და საბუთს სინჯავდა და ადასტურებდა. ზოგჯერ ისეც ხდებოდა, რომ ნამდვილ აზნაურს თავისი აზნაურობის დამტკიცება უქირდა, აზნაურობის მამიებელი კი ამას ადვილად ატყობებდა. საზოგადოდ კი „აზნაურობის წყალობა“ მეფის მთავრობას სასურველ პოლიტიკად მიაჩნდა, რადგან მის მიზანს აზნაურების თავადებისადმი ლაპირისპირება შეადგენდა.

დავითი გრიგოლ ზანდაროვის ქებას შეუდგა.

— ვერ წამოიღვენ, სულო, რას ნიშნავს ჩემთვის უფალ ზანდაროვის მეგობრობა. საუცხოო კაცია. არ ვიცი მისი ღირსებებიდან რომელი ერთი ჩამოვთვალა? ღმერთს მაგისტვის ერთად პიუცია სილამაზეც, სიმდიდრეც, ვაჟკაცობაც და დარდიმანდობაც.

ქურჭში თბილად შეფუთული მანანა გატრუნული იჭდა. გვერდით მიმქროლავ ეტლებს და მარხილებს უყურებდა, თან შიშით იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ მოიქცეოდა მისი ამჟამი ძმა, როცა იმას შეიტყობდა, რაც ჭერჭერობით მარტო მან და უფალმა ზანდაროვმა იცოდა.

საამურად თოვდა.

ეტლები და მარხილები ერთი მიმართულებით მიჰქროდნენ.

— საით მიდიან? — იკითხა მანანამ.

— როგორ თუ საით? უფალ ზანდაროვის სახლისკენ.

მანანას გაუყვირა!

— ამდენი დიდუცობა სოვდაგრის სახლში?

— აზნაურის, — გაუსწორა ძმამ, — უფალ ზანდაროვის ნადიმებზე დიდუცობა სუფრის თავშია გამოქიმული, სოვდაგრები კი სუფრის ბოლოში არიან მიყრილ-მოყრილი.

მრავლის მნახველ და გამომცდელ დავით გერმანოზიშვილს თანდათან გონება ეხსნებოდა, საღად მსჯელობას ეჩვეოდა. დას დაუყოვნებლივ განუ-მარტა:

— დოვლათი ქვეყანაში ვაჭრობით გროვდება. ეს ჩვენმა ძველებმაც კარგად იცოდნენ. მართალია, თვითონ ვაჭრობაში არ ერეოდნენ, მაგრამ მოგებაში წილს იღებდნენ. ბატონიშვილების ქარვასლა ქალაქში კარგ შემოსავალს იძლეოდა. თუმანიშვილებიც ვაჭრობით გამდიდრდნენ. მამაჩემსაც დიდ სარგებლობას აძლევდა სამღებრო და იმის იჯარა. ახლა რამდენი ყმა-ვაჭარი ჰყავდა ქალაქში იარაღ გერმანოზიშვილს? წინანდელს დროში მეფესაც, დედოფალსაც, ბატონიშვილებსაც, ეკლესიასაც და თავდასაც საკუთარი ვაჭრები ჰყავდათ. ისე კი ვაჭრობა ყველას მდებალ საქმედ მიაჩნდა. ახლა კი, ნუღარ იტყვი, სულ სხვა დროებაა, სულო! განა აღუქსანდრე ქაეკავაძე ლეონოებით არა ვაჭრობდა, ან განა მუხრან-ბატონი ამასვე არ აპირებს? თავადური ამპარტავნობა ბევრს არაფერს გვარგებს. თორემ, ნახავ, ვაჭრები წინ დაგვიდგებიან, ჩვენ კი უკან დავრჩებით. რაღა შორს წავიდეთ? განა ჩვენს ზეარში ვაჭარი არა სწურავს ლეინოს?

თავადის ასულმა წარბი შეჰკრა.

თავადმა ენაზე იკბინა.

გაყიდული მამულების გახსენებამ ორთავეს გუნება გაუფუჭა, ერთმანეთს თვალი ვედარ გაუსწორეს და ეტლებს და მარბილებს მიაღებდნენ.

ეტლი ეტლს მისდევდა, მარბილი მარბილს.

თეიარად გადაპენტილი ეტლები, რომელთა კოფოებზე მალალცილინდრიანი

და ფართოკაბიანი მეეტლები ისხდნენ, სოლოლაკისაკენ მიჰქროდნენ. ეს ეტლები ქალაქის დიდუცობის იყო. დავითმა მყისვე დაასკვნა, რომ გრიგოლ ზანდაროვს ამაღამდელ ნადიმზეც ბრწყინვალე საზოგადოება ეყოლებოდა სტუმრად.

ისევე გამზიარულდა.

ოცნებამ გაიტაცა.

თავადი ერთ აზრს ეკიდებოდა და იმას უღიმოდა.

თუ ღმერთს გერმანოზიშვილების საბოლოოდ დაკარგვა არ სურდა, მისი ლამაზი და გრიგოლ ზანდაროვის დღევანდელ ან ზვალინდელ ნადიმზე შეხედებოდა იმას, ვისაც იგი დიდი ხანი იყო უცდიდა. „ქორწინება ზეცაში ჰდება“, გაიფიქრა ოცნებით გატაცებულმა თავადმა და სიყვარულით შეათვალ იერა გაბურთულოვით შუბლშეკრული და.

როცა ზანდაროვის გაჩირადნებულ დიდი სახლი და თოვლით დაბურული უზარმაზარი ბაღი გამოჩნდა, მანანა მარბილში წამოიწია და კინალამ შეჰყვირა: „ნუთუ უარს ვიტყვი ამ სასახლის ქალბატონი გავხდე?“

ძან მღელვარებით დადგა ფეხი სადარბაზო კარის ზღურბლზე.

სამაგიეროდ ზანდაროვი სრულიად აუღელვებლად დახვდა მანანა გერმანოზიშვილს. შინაგანად გულგრილმა, გარეგნულად სახეზე უზომო სიხარული გამოხატა, მანანას მდებლად თავი დაუკრა და ალტაცებულმა მიმართა:

— გამადლობთ, კნაიყნავ. რომ პატრი დამღეთ და მობრძანდით.

თავადის ასულმა წყალობასავით გაიმეტა კეთილი ღიმილი.

დავითმა მეგობრულად ჩამოართვა ხელი გრიგოლს.

მასპინძელი და სტუმრები ნელი ბასით აპყვენენ მარმარილოს განიერ, მძიმე კიბეს, რომლის ფოლორცი ბრინჯაოს გოლიათის თავზე დადგმული ლამპრით იყო განათებული.

დარბაზებიდან საცეკვაო მუსიკის

ხმები და სტუმრების ყვილ-ხვილი მოისმოდა.

დავითმა და გრიგოლს შეატოვა ხელში და შორიდან დანახულ მაიკო კურტანიძეს დაედევნა.

დამარტოხლებული მანანა გაფითრდა. მას ეგონა, რომ ახლაც, დაუყოვნებლივ ზანდაროვი იმას ეტყოდა, რაც წუხანდელი პირობის შემდეგ სავსებით მოსალოდნელი და ბუნებრივი იყო, მაგრამ მაინც ამაღლევებული და ამაფორიაქებული.

ზანდაროვმა, პირიქით, თავადის ასული იქით გაასეირნა, სადაც მრავლად ირეოდნენ სტუმრები. დღევანდელი საქმრო თუ ხვალისდელი ქმარი მას პატრივისგებით და მოკრძალებით დაასეირნებდა.

მანანა გაოგნებული და მოხიბლულად დიდოდა დიდრონი ჭაღებით და ურცხვი კანდელაბრებით განათებულ დარბაზებში. აქ ყველაფერი ძვირფასი და ფასდაუდებელი იყო. მას თვალი რჩებოდა მოვარაყებულ სარკეებზე, ოჭროსჩარჩოებიან სურათებზე, სპარსულ ნოხ-ფარდაზე, პარიზულ ავეჯზე, ევროპულად და აღმოსავლურად მორთულ-მოკაზმულ დარბაზებსა და მდიდრულ ოთახებზე. ყველაზე მეტად მაინც სოვდაგარის ნაღიზე მოსული დიდკაცები და არისტოკრატი მანდილოსნები ანციფტრებდა. აქ იგი იმათ ხედავდა, ვისაც ჩვეულებრივ მეფისნაცვლის მეჭლისზე ან თეატრში ხედებოდა ხოლმე: გენერლებს, თავადებს, კნეინებს და ზვიად ბოზოლებს.

„სუთუ ესენი დამძრახავენ, რომ მათი მასპინძელი გავხდე? — ფიქრობდა ის თავის გულში, — აი, თუნდაც ეს ერთი ციციქნა, მაგრამ საოცრად სქელი კნეინა მაქაბა კენტერაქე, „ქორუბის ბოლინია“, რა სიტყვის, რომ მე, კნიაქნა მანანა იარალის ასული გერმანოზიშვილი სოვდაგარ გრიგოლ ზანდაროვის ცოლი გავხდე? ვიცი სალონებში გამკილავს და შემარცხვენს, მაგრამ თვითონ რატომ მოზრძანებულა? იქნება მაგის ფუქსავატი ქმარი ამ

სოვდაგარის ქისითა ცხოვრობს? აქ ტყუილ-უბრალოდ არავინ არის მოსული. ზოგს, მართალია, გეტყობა და დროს ვატარება სწადინან, მაგრამ ზოგიც ალბათ სოვდაგარისაგან არის დაეაღლებული. რა არის აქ გასაკვირველი? განა ჩემს ღვიძლს ბიძას, თავად ანდუყადარ გერმანოზიშვილს ამ სოვდაგარის ვალი არა მართებს? მაშ რა გიშლის ხელს სოვდაგარის ცოლი გახდე? ზავითი ენის გეშინია? ფიე! გული მეუბნება და არც მატყუებ. რომ თუ ამ სოვდაგარის სიმდიდრე ხელთ ვიგდე, ყველა გამკილავს გავაჩუქებ, ქისით ათასნაირ ენას ვიყიდი და ათასის პირს კლიტეს დაეადებ. სოვდაგარი ზანდაროვი აზნაურია. მას უფლება აქვს მარშალი აირჩიოს“.

ფიქრებით გართულმა თავადის ასულმა-ადვილად წარმოიდგანა თუ როგორ მალღებოდა იგი ამ კაცზე გათხოვების შემდეგ თავის იმ მოქიშკეებზე, რომელნიც მას მხოლოდ თავიანთი სიმდიდრით სჯობდნენ.

დროგამოშვებით გრიგოლი ბოლიშის მოხდით მარტო ტოვებდა მანანას, რათა ყველაზე ღირსეულ სტუმრებს წინ მიგებებოდა და მათთვის მღაბალი მადლობა მოეხსენებინა მისდამი გამოჩენილი ყურადღების გამო.

სტუმრების ღენა არ წყდებოდა.

მანანა ბევრ მათგანს იცნობდა და ბევრთან მუსაიფობდა კიდევ.

საკუთარ ძმას კი ველარსად პოულობდა.

ბოლოს იმ ოთახში მოჰკრა თვალი, სადაც სტუმრები მწვანე მაგიდას უხდნენ და ქაღალდს თამაშობდნენ.

მანანა შეტოკდა. გულმა რჩეხი უყო.

მის ძმას დადებული აღაქმა დაერღვია და ისევ მწვანე მაგიდას უჭდა.

მან მწარე გამოცდილებით იცოდა რას ნიშნავდა ლოთი ძმის ქაღალდის თამაშით ვატაცება.

დავით გერმანოზიშვილს ვერავინ და ველარაფერი იხსნიდა. ამიტომ თვითონ მანანა გერმანოზიშვილს უნდა ეფიქრა საკუთარ ბედსა და მომავალზე.

## 7. ეპივის მწვანე თვალები

ეპივანი კაცისათვის ყველაფერი ცხადია, არა და არავითარი საბუთი კი არ აქვს.

## 8. ლერმონტოვი

შებლმორღებულ მანანას წინ უცებ სახეგაბრწყინებელი გრიგოლი იფურცა. ცეკვა შესთავაზა. მანანა მას უხალისოდ გაჰყვა, რადგან არც ძველი „კადრილი“ ემარჯვებოდა, არც ახლად გავრცელებული „პა ღ' ესპანი“.

გრიგოლ ზანდაროვი საუცხოოდ ცეკვავდა. ცნობილი „ხაზვის ფრანტები“ შურით იხერხებოდნენ. ქალები კი ბუზებივით ეხვეოდნენ წარმოსადეგ, მოქნილსა და მკვირცხლ მოცეკვავეს. მან თვით სოფელში გაზრდილ ბანოვანს გადასდო ცეკვის ხალისი, აიყოლია და ვრცელი დარბაზი მსუბუქი სრიალით შემოატარა. მიუხედავად იმისა, რომ მანანას ზანდაროვის წყალობით საკმაოდ მოხდენილად გამოსდიოდა „კადრილის“ ყველაზე რთული „პა“, მაინც რცხვენოდა და წითლდებოდა. მალე სახეშეფაცვლებული განზე გადაგა.

ზანდაროვს ჯერ ირციპუბოვის პანსიონში აღზრდილი გოგოები მისცვიოდნენ, მერე მათა სავარსამიძემ დაიმართებლა.

მანანა აიმრიზა.

მათა სავარსამიძე საეკვოდ ეტმასწებოდა ახოვან ზანდაროვს და ანცი ღიმილით თვალებს უყუყუენებდა. მისი აწოწილი და დონდლო ქმარი გენერლებს შორის იდგა, ღინჯად ბაისობდა, თან ცალი თვალი მანანა გერმანოზიშვილზე რჩებოდა.

სტუმრები ალტაცებით უყურებდნენ თვალტანადი ზანდაროვის ქრიალა მათა სავარსამიძესთან ცეკვას. პეტერბურგში გაწაფული სენატორის რძალი თავისი ცეკვით აშკარად სჯობდა ბერთებანში გაზრდილ ბანოვანს.

ამრეზილი მანანა სხვა რამესაც აქცევდა ყურადღებას.

მათა სავარსამიძე მასზე უფრო გამხდარი, მოქნილი, შუშპარა და კეკლუცი ჩანდა. ზანდაროვისადმი აშკარად

გამოხატული ტრფიალი კი მას თითქოს უფრო მეტად ასხივოსნებდა და მიმზიდველს ხდიდა.

კრიკაშეყრულ მანანას გვერდში მაკატა კენტერაძე ამოუდგა. „ჭორების ბოლინიამ“ ჩვეულებრივ შორიდან დაიწყო.

— კარგი წყვილია.

მანანამ ხმა არ ამოიღო.

— ერთმანეთსაც უხდებიან.

მანანამ არც ახლა დასძრა კრიტიკი.

— მოსწონთ კიდევ ერთმანეთი. — დაასვენა „ჭორების ბოლინიამ“.

მანანამ გაბრაზებით გადმოხედა მაკატა კენტერაძეს.

— ქალ-ვაჟის ცეკვა ტრფილის საბუთად არ გამოდგება, კნენიავ!

— მე სხვა საბუთიც მაქვს. — ჩურჩულით წარმოთქვა „ჭორების ბოლინიამ“.

— მაინც რა? — დაინტერესდა მანანა.

— ახლახან კნენია გოსტამაზიშვილია ზანდაროვის სახლი დასტოვა. უმიზეზოდ ამას მაცდა არ გააკეთებდა. იმის ამპარტავნობა ყველამ კარგად ვიცით. ზანდაროვს მათა სავარსამიძესთან ტრფიალს აღვილად არ აპატიებს. ანლაც არა გჯერა, კნიაჟნავ?

ეს მანანასაც ენიშნა და სარწმუნოდ მიიღო. მაკატა კენტერაძეს მაინც გაჯავრებით უთხრა:

— არ ვიცი, ეგ რა საბუთია?

„ჭორების ბოლინიამ“ წარბები გაკვირვებით ასწია.

— როგორ, კნიაჟნავ?! განა არ იცი, რომ კნენია გოსტამაზიშვილი და უფალი ზანდაროვი უკვე პარიჟში ეტრფოდნენ ერთმანეთს?

— თუნდ ეგ ვგრეც იყოს, — შეაწყვეტინა მანანამ, — მათა სავარსამიძე რა შუაშია?

მაკატა კენტერაძემ გაიცინა.

— კნენია გოსტამაზიშვილი ყველაზე გვიან ტოვებდა ზანდაროვის ნადიმებს. დღეს ისეთი რა უნდა მოსვლოდა? ვითომ მარტო აზნაურობა მიულოცა გრიგოლს და შინ ქმრის, ანდუ-

ყაფარის დასახედავად გაიქცა? რასა ბრძანებ, კნიაჲნავ?! მაგდას ვაჭავრებულ სახეს რა დამაიწყებს?

მანანას მხოლოდ ახლა მოაგონდა, რომ კნეინა გოსტაშაბიშვილმა მას პირი მოარიდა, ზანდაროვს დაედევნა და ისევ ცხარედ დაუწყო რაღაცაზე ლაპარაკი, როგორც გუშინ მანევის თეატრში.

გავიკრებულმა თავადის ასულმა კინლამ ხელები გაშალა. ყველასაგან მივიწყებულნი შინაბერა კნეინა გოსტაშაბიშვილსაც ეცილებოდა სიყვარულს და მათა სავარსამიძის მეტოქედაც გამოდიოდა.

მანანა გერმანოზიშვილს განცვიფრება მაჭატა კენტერაძემ მის მიერ ნათქვამ ჭორს მიაწერა, ჭორიკნულად ჩაილაპარაკა:

— მათა სავარსამიძის ქმარს რუსთა კონსტანტინეპოლის საელჩოში ნიშნავენ. ეგ ტრფიალი მალე ჩაიშლება და კნეინა გოსტაშაბიშვილი ჩვენს მილიონერს ისევ თავს დაუკრავს.

მანანა გამტყნარებული იდგა. სენატორის რძალი გადაავიწყდა და წამდაუნუნე ლამაზი პარიზელი მანდილოსანი ელანდებოდა.

მათა სავარსამიძე თბილისში ნათესავების სანახავად იყო ჩამოსული. მალე პეტერბურგში უნდა გაბრუნებულიყო. ამიტომ შინაბერობით მობეზრებული თავადის ასული კნეინა გოსტაშაბიშვილისადმი უფრო მეტი სიძულვილით იმსკველებოდა, ვიდრე მათა სავარსამიძის მიმართ.

მისთვის საშიშარი სენატორის ცქრი-ალა და ცელქი რძალი კი არ იყო, არამედ დინჯი და ჭკვიანი კნეინა გოსტაშაბიშვილი.

**8. სანოლა**

ღვინო დასტმულია, დაღვეალა საჭირო.

შარლ ჟე ბერნარი, „იკაროსის ფრთები“

გრიგოლი მანანას ისევ წინ დაუდგა, ხელი სათუთად მოჰკიდა და სტუმრებს შორის გაასეირნა.

6. „მნათობი“ № 8.

გრიგოლთან სეირნობის დროს მანანამ ერთ ლამაზსა და ახოვან ქალს მოაკრა თვალი, მოეწონა, შეჩერდა; გულწრფელად მოხიბლულმა აღტაცებით წაიპოძახა:

— რა მშვენიერი ქალია! ვინ არის, უფალო გრიგოლ?

— ეგ ალაფის ცოლია. მაიკო კურტანტი.

ალაფის ხსენებაზე თავადის ასულმა ტუჩი აიბზუა, მაგრამ როცა იმ ქალის გვერდით დავითიც დაინახა, სახე მოუღება; მის ხმაში ისევ გაისმა წელანდელი აღტაცება:

— ვინ იფიქრებს, რომ ეგ დედოფლური გარეგნობის ქალი ალაფის ცოლია? პირველად, სანამ კარგად არ დავაშტერდი, კნეინა გოსტაშაბიშვილი მეგონა. ჰგავს კიდეც.

— ნაგას სხვებიც ამბობენ, კნიაჲნავ.

— ოლონდ ეგ ქალი უფრო ქერაა, ვიდრე ჩვენი მედიდური კნეინა.

— ეგეც მართალია, კნიაჲნავ. მაგრამ ხშირად ალაფის ცოლს კნეინა გოსტაშაბიშვილს ამსავასებენ, კნეინა გოსტაშაბიშვილს კი ალაფის ცოლს. ის კი არაა, — გაიცინა გრიგოლმა, — ერთხელ დამუწვებული ბართლომე კურტანტი, მაგ ქალის ქმარი, კნეინა გოსტაშაბიშვილს გვერდში ამოუდგა და ბევერი გვაცინა.

— დავითს მაგ ქალზე არაფერი უთქვია, ნაცნობი კი ყოფილა.

გრიგოლმა შეუმჩნევლად გაიღიმა.

ის თავადის ასულს ისეთი შეფრფვინებით დაასეირნებდა, რომ გაოცებისაგან დაბნეული და გაშტერებული მაჭატა კენტერაძე პირდაღებული იდგა და არ იცოდა რა ეფიქრა. „ჭორების ბოლინიას“ საბოლოოდ დაებნა ანგარიში, როცა წერ გაბრაზებული მათა სავარსამიძე დაინახა, ხოლო შემდეგ პიყრუებული ოთახებისაკენ წელი ტაბით მიმავალ უცნაურ წყვილს გააყურა თვალი.

ზანდაროვმა მანანა იმ დარბაზში შეიყვანა, სადაც თითქმის არავინ იყო და მუსიკის მანგიც ყრუდ მოხმოდა;



მერე აივანთან მიიყვანა და ფერადი ფარნებით განათებული ზამთრის ბალი დაანახა, ენად გაიკრიფა და გაწითლებულ-გალურჯებული ფაფუკი თოვლის და დათოვლილი ხეების ყურებით მოხიბლულ თავადის ასულს პარიზული თეატრების და სანახაობების ღირსშესანიშნაობანი გატაცებით აღუწერა; ბოლოს სურათების გალერეას გაჰყვა და თავადის ასულიც გაიყოლია, თან იმას ეუბნებოდა, თუ პარიზში ცხოვრების დროს რომელი სურათი რა ფასად იყო ნაყიდი. მანანა ალტაცებულ უყურებდა დიდაცთა ქეიფისა და ნადარობის სცენებს, ლამაზი ქალების პორტრეტებს, რომელნიც, უფალი ზანდაროვის განმარტებით, პარიზის გამოჩენილ მომღერლებს და მოცეკვავეებს გამოხატავდნენ. მან მხოლოდ „ოსმალურ აბანოსთან“ ჩაღუნა თავი და ფეხს აუჩქარა, რათა ურცხვად გაშიშვლებულ იმ დედაკაცების სურათს გასცლოდა, რომელსაც თითქმის მთელი კედელი ეჭირა. ზანდაროვი მას ფეხდაფეხ მიჰყვა და თავის ხალვათხანისკენ გააბევეინა. მანანა ვერაგზით ვერ მიხვდა, თუ როგორ აღმოჩნდა მარტომარტო ზანდაროვთან ერთად განმარტებულ ოთახში.

გრიგოლმა მას სიყვარულით შეხედა და გაუბედავად ჰკითხა:

— რა გადაწყვიტეთ?

მანანამ მორცხვად გაუღიმა, წყნარად მიუგო:

— მე თანახმა ვარ, მაგრამ დავითი...

— ვერ დავითანხმებთ?

— არ ვიცი... — თავისთვის ჩაილაპარაკა თავადის ასულმა, — დავითი ამჟამად, კარგად ვიცნობ. არ მინდა გულგატკინოთ, მაგრამ ვაპარს დას არ მისცემს...

ზანდაროვს წყენა გამოეხატა სახეზე.

მანანას შეებრალა იგი, თვალებით გაუღიმა, ალერსიანად უთხრა:

— მე კი, აკი გითხარით, თანახმა ვარ...

ამას ქალი ამბობდა. თავადის ასულს

კი ეს „პო“ სირცხვილით სწყევდა.

გრიგოლმა ხმა არ ამოიღო. არც დიდი ალტაცება გამოხატა, არც სიხარული. უსიტყვოდ მოკრდა ხელები მხრებზე, თვალეში ჩააცქერდა და დაამტერდა. მანანა მას დაბნეული უყურებდა (მას პირველად უხდებოდა მამაკაცთან განმარტება და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო), მაგრამ მაინც შეამჩნია, რომ გრიგოლს რაღაც ჰქმუნვის თუ ტკივილის ჩრდილმა სწრაფად გადაურბინა სახეზე. მერე ყველაფერი თვალის დახამამებმაში მოხდა. ერთბაშად გონზე მოსულმა ზანდაროვმა მას მარჯვენა ხელი მოხვია წელზე, მარცხენა ხელით ნიკაპი მალლა აუწია და მის ბაგეებს ცხარე და ხანგრძლივი კოცნით დაეწაფა. მანანა უარესად დაიბნა, ვერაფერი მოისაზრა. მისთვის ეს მამაკაცის პირველი კოცნა იყო და მას პირწავარდნილ შინაბერასავით შეხვდა. უხერხული მოძრაობით გაითავისუფლა თავი, აიმჩიზა, მაგრამ არაფერი თქვა, რადგან „პო“ ეკვე ნათქვამი ჰქონდა.

როცა სტუმრები უზარმაზარი სუფრის გარშემო სხდებოდნენ, მაიკო კურტანიძემ დრო იხელთა, ზანდაროვი განზე გაიყვანა და ჰკითხა:

— ცოლს ირთავ, გიგაჯან?

— განა დრო არ არის ნათლიდელ?

თავმოშწონედ გადმოუგდო ზანდაროვმა და სტუმრებისკენ გატრიალდა.

მაიკო კურტანიძემ მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ ვინ აქეზებდა ღვით გერმანოზიშვილს მასთან არსიყობას. ხელები ჩამოსციკვიდა და თითქმის ხმამაღლა წარმოთქვა:

— გამყიდა... გამყიდა...

იმ დღეს მაიკოს პირველად ჩასწყდა გულის ძარღვი. გვერდით ბართლომე დაუდგა. ცოლმა ქმარს მკლავში მკლავი გაუყარა და მასთან ერთად სუფრისაკენ გაემართა.

მაიკოს ჯავრი დიდხანს არ შეეძლო. არც გულჯავრიანი ადამიანები უყვარდა. ვადამდეგ სიცილში ფარული ცრემლის გალესვას ყველასათვის შეუძმ-



ნეულად ახერხებდა. ახლაც თავისი თაფლისფერი თვალებით ჭერ ერთ მოხდენილ ყმაწვილს გაუცინა, მერე

დაბღვერილ დავით გერმანოზიშვილს რომ შეავლო თვალი, სავარძელზე გადაქანდა და გულიანად გაღივივქინა.

პარი ოცდამესამე

I თავისი თავის მოციქული

სანგარი საკმაოდ გათბრილია, დროა ციხესიმაგრე ავილოთ.

შარლ დე ბერნარი, „იკაროსის ფრთები“.

ზანდაროვი მოულოდნელად ესტუმრა თავად გერმანოზიშვილს. ეს მისა პირველი ვიზიტი იყო გერმანოზიშვილების სახლში.

დავითს გაუკვირდა. არ მოელოდა. დაიბნა. თავი უხერხულად იგრძნო. თავისი ღარიბული ოთახის შერცხვა. ინტიმური მაინც არ გაიტეხა, სტუმარს ნაძალადევი სალამ-ქალამით მიეგება.

— გრიგოლს გაუმარჯოს! ძლივს არ ველირსე შენს სტუმრობას. საიდან? როგორ მოხდა?

— აჰჰე ახლოს ვიყავი. გულმა ვეღარ მომიტმინა და შემოვიარე.

— ბარაქალა! ბარაქალა!

ზანდაროვმა თვალით დაუწყყო ძებნა სავარძელს.

— დაბრძანდი, გრიგოლ.

შესთავაზა თავადმა და ყურებამდე გაწითლდა. ოთახში ერთადერთი ცხრანირად გადაგლეჯილ-გადმოგლეჯილი სავარძელი იდგა.

გაკრიალებულმა ზანდაროვმა, რომელსაც მტვერი და ბუმბული ახლოს არ ეკარებოდა, ზიზღი დასძლია, სავარძელში ფრთხილად ჩაჯდა და საწყალობლად ააქრაქუნა; თავიდან მაღალი პრილა ქუდი მოიხადა, ფეხებთან მტვრიან იატაკზე გადმობრუნებული დასდო შიგ ყვითელი ხელთათმანები ჩაყარა და თავადის ასული თავაზიანად მოიკითხა:

— კნიაჟნა როგორ ბრძანდება?

— არა უშვავს. თავის ოთახში არის. წელან თავის ტკივილს უჩიოდა.

— თავმოყვარე დავითს ჩითის კაბაში

ჩაიკმული ღის გამოჩენა არ უნდოდა.

მანამ ფანჯრიდან დაინახა ეტლიდან გადმომავალი ზანდაროვი, მყისვე მიხვდა მისი მოსვლის მიზეზს, გული შეუქანდა და გაფითრდა. ფანჯარას ხშირ-ხშირი პირჯვრისწერით მოსცილდა, ოთახის კარი ჩაეკეტა, ტახტზე ავიდა და მუთაქებში მოიკეცა.

დავითმა და გრიგოლმა მეგობრული მუსაიფი გააბეს.

თავადი ტახტზე იჯდა ახალუხის და ფოსტლების ამარა. მხრებზე, აქეთ-იქით გაწვრთნილი ქორები ესხდა. ტახტის წინ თავწვრილი მწვეარი გართხმულიყო ანადღერდლებულ ბუხართან ორი მეძებარი ერთმანეთს უღრენდა და კბილსა ჰკრავდა.

— ნადირობას არაფერი სჯობიან, გრიგოლ! — აღტაცებით უმტკიცებდა თავადი სოვდაგარს, — ისეთი რა უნდა მომცენ, რომ ეს მწვეარი და მეძებრები დავთმო? მაგათ არაფერში არ გავცვლი. ჩემი გულის მურაზები ეგენი არიან!

— კარგები არიან, კარგები. — დავთანხმა ზანდაროვი.

— ამ მწვეარსა და მეძებრებში ცოლ-შვილიანი ყმა მივეცი, — დაიტრაბახა თავადმა, — მაგისტანანი ბევრს არავისა ჰყავს, თვალის ჩინივით ვუფრთხილდები.

— კარგები არიან, კარგები. — გაიმეორა ზანდაროვმა და მწვეარ-მეძებრებს თითი ალერსით დაუქნია.

თავადმა ნადირობის და თევზაობის აღტაცებით აღწერას ყაბახი და ისინდი მოაყოლა. თავი უბადლო ცხენოსნად გამოაცხადა, მოწმეებად სპარსელებს ასახელებდა. „აილქსანდრე ბატონიშვილმა შაჰის წინ ჩოგანი მათა-

მაშა და შაპი დიდად გაცვირვებული და ნასიამოვნებო დარჩაო.

ზანდაროვი დაინტერესებული კაცის ყურადღებით უსმენდა.

უცებ თავადმა მოიწყინა, თავი ჩაპკლდა და სინანულით წარმოთქვა; ბევრი ვინმე ვაჭეიფე, ბევრი ვანადირე და ვათევაზვე, მაგრამ მე თვითონ მეგობრობა არაეინ გამიწია.

ზანდაროვს წყენა გამოეხატა სახეზე.

— განა მე მეგობრად არა მთელი, დავით?

— შენ რა შუაში ხარ, გრიგოლ? მე იმათზე ვლაპარაკობ, ვისაც ჩემი მამულები გადავაგე, თვითონ კი, ჩემი უთავბოლოების წყალობით, ცარიელზე დავრჩი.

— ვისაც გვერდით მეგობარი ჰყავს, იმას, ჩემო დავით, ცარიელზე დარჩენილი არ ეთქმის.

დავითმა გაიცინა.

— იცი, გრიგოლ, რომ ყველაზე მეტად შენი მეშინია?

ზანდაროვმა წარბები ასწია.

— ეგ ქარაფმა არ შესმის, დავით?!

— გაუგებარი რა არის? — ისევ გაიცინა თავადმა, — ჩემი ვექსილები ჯიბეში გაქვხ, როცა გინდა მიჩივლებ და სისამართლოს გადამცემ.

ზანდაროვი ფეხზე წამოდგა შეურაცხყოფილი ადამიანის იერი მიიღო, თავადს გულნაკლულად უსაყვედურა:

— ეგ როგორ მოგივიდა აზრად, დავით?

— სულ უბრალოდ. ჩემი ვექსილები გამახსენდა.

— შერე ვანადდება ვინ მოგთხოვა?

— განა შენ მაგისტვის არ ხარ მოსული? მთაწმინდაში, გრიგოლჯან, მარტო გასათხოვარი ქალები და დედაბრები დადიან.

ბედთან შერაგებული კაცის უღარდლოობით უპასუხა დავითმა და ალერსიანად გადაუსვა ხელი მწვევარს, რომელსაც თავის წვრილი და გრძელი თავი პატრონის მუხლზე დაედო.

ზანდაროვმა ითაკლა.

— არ ვიცი, რომ შენი სახლის კარი ჩემთვის დაკეტილი იყო. არც ის მეგონა, თუ შენთან მარტო მეველები დადიოდნენ.

ქულს ხელი დაავლო და წასასვლელად მოემზადა.

თავადი დაიბნა. ბოდში სვენებს სვენებით წაიბურტყუნა.

— კარგი, გრიგოლ... ნუ ჯაერობ. უზრდელად მომივიდა, რაც მართალია, მართალია... რას იზამ? გაპირებული კაცი ვარ და ყველგან მევალუ მელანდებდა.

ზანდაროვმა შუბლი მაინც არ გახსნა. მტკიცე გადაწყვეტილებით უთხრა:

— რაკი მეგობრობა ვერ დაგიმტკიცე, მე აქ აღარ მედგომება...

თავადმა მხრებიდან ქორები აფრინა, წამოდგა და ზანდაროვს ხელი გაუშვირა.

— რაც იყო იყო. მოდი, გრიგოლ, ხელი ხელს დავკრათ და ეს უსიამოვნო ლაპარაკი დავამთავროთ.

— ძალიან მაწყენინეთ, კნიაზო!

ზანდაროვის „თქვენობით“ მიმართვამ დავითი უარესად დააბნია, თავმოყვარობა განზე გადასდო და თითქმის ხეყწნით უთხრა:

— არ ვიცი რა ჯენა? თვითონაც არ ვიცი, რა ღმერთი გამიწყრა?! დავივიწყეთ, გრიგოლ.

— თქვენგან მაგას არ მოველოდი, კნიაზო!

— კარგი ერთი, შენს გახარებას. გაჯაერება მეც ვიცი, მაგრამ ყველაფერს ბოლო აქვს.

— იმ სიტყვების ღირსი მე არ ვიყავი, კნიაზო.

— მართალი ხარ, მართალი. აცი გითხარი.

გაბრაზდა თავადი.

ზანდაროვი მოღობა.

— თუ ერთმანეთი თვალში აღარ მოგვდის, დავით, ხელს რა გვიშლის? ერთმანეთს თავი დავუკრათ და გავშორდეთ.

— არა გრცხვენიან, რასაც ახლა  
ლაპარაკობ, გრეგოლე?

— მამ შენი ჩემდამი უნდობლო-  
ბა რითი ავხსნა?

— რა უნდობლობა? რის უნდობლო-  
ბა? კარგი, კაცო, გაათავე. მე შენს  
პურმარისს რა დამევიწყებ? შენისთა-  
ნად ვინ გამიმართა ხელი? გაჰირვებულა  
ბევრჯერ დამეხმარე, და ვიმედოვნებ,  
კიდევაც დამეხმარები. ბიძაჩემს თავად  
ანდუყაფარსაც, დიდი საკეთე დასდე-  
გულითადი მეგობრობა ბარე, ათასჯერ  
დამიმტკიცე.

— შენ რილათი დამიმტკიცებ მე-  
გობრობას?

ჰკითხა ზანდაროვმა, თვალი თვალში  
გაუყარა და აღარ მოაშორა.

— რითაც გინდა.

— მაინც?!

— იმით, რაც მამადია. ერთგულე-  
ბით, თავდადებით და პირის გაუტეხ-  
ლობით.

ზანდაროვს მისი ეს ღირსებანი არ  
აინტერესებდა.

მტკიცედ მოითხოვა.

— მე მეთს ვთხოვლობ.

თავადმა ნიაზით შეათვალაერა.

— მაინც რას?

— მეგობრობაზე უფრო მეთს.

— არ მესმის.

ზანდაროვი მასთან ახლოს მივიდა და  
აღელვებულმა უთხრა.

— მე მინდა შენი ნათესავი გავხდე.

დავით გერმანოვიშვილმა ჯერ ვე-  
რაფერი, გაიგო, მერე როცა მის გონე-  
ბას ნათქვამის აზრი მისწვდა, სახტად  
დარჩა. თვალები დააქუცა. ყურებს  
არ უჯერებდა და წამწამებს უაზროდ  
აფახულებდა. ბოლოს რისხვის აღმა  
აჰკრა სახეზე და აღრიალდა:

— წუნკალო! სალახანაე! ეგ რო-  
გორ გაბედე? ეგ როგორ მკადრე? რო-  
გორ ამოსთქვი? არ იცი ვინა ხარ? არ  
იცი ვის უყადრებ თავს? ბაზრის ბიჭო!  
ვიგინდარაე! ავარაე!

თავადს ბრაზი ახრილობდა და ისეთ-  
ნაირად იყო გაწითლებული, ზანდა-  
როვს შეეშინდა ერთბაშად წვეთი არ  
დასცემოდა.

თავადის ღრიალზე ძალღებმა ყუფა  
ასტეხეს. დამფრთხალი კორები ხან  
ფანჯრის მინებს ეხეთქებოდნენ, ხან  
ჰქერს, ხან კედლებს. ოთახში ჯოჯოხე-  
თი დატრიალდა (მეზობელ ოთახში  
შიშით აცახცახებული მანანა კედელს  
მიეკრო და გონებადაკარგულს პირ-  
ჯვრის გამოსახვა დააეიწყა). ზანდა-  
როვი წარბშეუხრელად იდგა. ძლიე-  
რი. ღონიერი. თავის ძალასა და უპი-  
რატესობაში დარწმუნებული. ამ  
რწმენას დანესტიანებული, ბნელი  
ოთახის გამურული კედლებიც უმტკი-  
ცებდნენ და ჰქერზე ღრუბელივით  
გაწოლილი ყვითელი ლაქაც, რომე-  
ლიც ზანდაროვს აქ შემოსვლისთანავე  
თვალში ეცა და რომელსაც წვიმის  
დროს ალბათ გობებს და ვარცლებს  
უდგამდნენ, რათა ნიაღვარს ოთახი არ  
წაელეკა.

უნებლიედ თავის მდიდრული სახ-  
ლის აღმოსავლური მრგვალი დარბაზი  
მოაგონდა, მისი ნაზი ფერებით შემე-  
კული არაბესკები, მაერიტანული ჩუ-  
ქურთმები და ლურჯად მოხატული  
პლაფონი, რომლის მტრედისფერ  
ლივლივში ოქროს ვარსკვლავები იყო  
გაბნეული.

მოაგონდა და თავადს ბატონკაცუ-  
რად დააცქერდა.

თავადი კი ღრიალებდა, დორბლებს  
ჰყრდა და უწმამურად იგინებოდა.  
მაგრამ უკვე საკმაოდ ჯანგატეხილს  
დიდხანს არ შეეძლო ღრიალი, არც  
ასეთი მღელვარების გაძლება. სადღაც  
უნდა მოშვებულყო და ერთბაშად  
აბრიალებული ნაღვერდალივით ჩამქ-  
რალიყო.

ამ მომენტს ზანდაროვი მოთმინებით  
უცდიდა.

## 2. ბატახილი და დამხობილი

ინტერესთა თამაში ფულით არას უზრუნ-  
ველყოფილი.

შარლ დე ბერნარი, „იქაროსის ფრთები“

როცა განრისხებულმა თავადმა სუ-  
ლის მოთქმა სცადა, ზანდაროვმა მყის-  
ვე დაახვედრა:

— კარგად შემამკეთ, მაგრამ არ დავიწყდეთ: თქვენ იმპერატორის მძღვლების კავალერს უწოდებთ ბაზრის ბიჭი და ავარა!

თქვა და ზედ დაუყოვნებლივ მოაყოლა:

— სასამართლოში მარტო ვალის გადაუხდებლობისათვის არ ასამართლებენ.

მის ნათქვამში მუქარის კილო გაიძმა.

ეს საფსებით საკმარისი აღმოჩნდა ერთბაშად აბრიალებული ნაღვერდლის ჩასაქრობად.

დავით გერმანოზიშვილი მშვიშარა არ იყო, მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილის ყოფილ ემისარს ცეცხლივით ეშინოდა პოლიტიკური პოლიციის.

— რით დაამტკიცებთ, კნიაზო, რომ მეფისნაცვალი ავარას ართმევს ხელს? შეშინებულმა თავადმა თავის გამართლება სცადა.

— უკადრებელი მკადრეთ, თქვენ თვითონ მაიძულეთ, მოწყალეო ხელმწიფე.

— განა უფლება არ მაქვს ჩემს გულისთქმაზე ხმამალლა ვილაპარაკო?

თავადმა პასუხი ვერ მოძებნა. გაჩუმიებული იდგა. ზანდაროვს იგი კიდევ უფრო დაბერებულად ეჩვენა თვითონ კი მისი ყურებით ბატონკაცურად ერთობოდა. სრულიად დამშვიდებული იყო. გული საგულსა ჰქონდა და „ქოს“ მოსასმენად ემზადებოდა.

— ჩემს განზრახვაში, — შემრიგებლური კილოთი განაგრძო მან, — დასაძრახის გერაფერს ვხედავ.

— მანანა თავადის ასულია, შენ კი ვაჭარი ხარ.

— ჩემი აზნაურობა რათ დავავიწყდეთ, კნიაზო?

— არც აზნაურია თავადის ასულის ღირსი.

— ვთქვით ეგ ეგრეა. მაგრამ ნუთუ თავაზიანი უარის ღირსიც არა ვარ?

თავადმა ვერც ახლა მოძებნა პასუხი.

— რათ გიკვირთ, რომ კნიავენასავით

ლამაზი ქალი ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცმა შეიყვაროს? გარწმუნებთ: კნიაზო, უსაზღვრო სიყვარულში მათქმევინა ის, რაც წელან შემოგბედებთ. სიყვარულისათვის არავისა სჯიან. ასე ამბობენ და წიგნებშიაც ასე არის დაწერილი.

თავადმა მხოლოდ ახლა მოძებნა პასუხი. სოვდაგარს თუ აზნაურს საყვედურის კილოთი განუმარტა:

— მარტო გულს არ უნდა აეყვეთ, გონებასაც უნდა დავეკითხოთ.

— დალოცვილო, წელანაც ეგრე გეთქვა! სალახანად და ავარად რათ გამხადე?

რაც უფრო წყნარდებოდა დავით გერმანოზიშვილი, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ არც მან დააკლო ლანძღვა-გინება მილიონერ გრაიგოლ ზანდაროვს, რომელსაც თვით მეფისნაცვალი მფარველობდა, თავს აჩქარება უსაყვედურა, პირველად არ ნანობდა, ბურბუშელასავით აბრიალებას. მის ფიცხ ხასიათს ზიანისა და ვნების გარდა მისთვის სხვა არაფერი მოჰქონდა. ტყუილად არ ადარებდნენ მას ნათესავები იარალ გერმანოზიშვილს.

ამგვარი ფიქრებით გართულმა თავადმა უეცრად ისეთი შეცდომა დაუშვა, რამაც ზანდაროვი კიდევ უფრო გაამხრევა და გამარჯვების რწმენა განუშტკიცა.

— მართალი ხარ, მართალი, — უთბრა მან ზანდაროვს, — არ უნდა გავბრაზებულიყავი. მაგრამ ჩემი „ბო“ ან „არა“ რას გიშველის? მე რომ „პოც“ გითხრა, მანანას უარს სად გაექცევი? რატომ ამაზე კარგად არ დაფიქრდი?

— დავით! — ხელეები გაშალა ზანდაროვმა და აღტაცებულმა შესძახა, — შენი ქირიმე, შენ გენაცვალე! მანანასაც ვუყვარვარ და შენს სიტყვასღა ვუცდი!

— მიჰქარავ!

დაიღრიალა თავადმა და თვალეები მრისხანედ აენთო.

— მიჰქარავ...

გაიმეორა დავითმა, ოღონდ წელან-

დელზე უფრო დაბალი, ჩახლეჩილი ხმით.

მისმა გაბზარულმა ხმამ ზანდაროვი უფრო გაათამამა და დავითს, რომელსაც ბრაზი ახრჩობდა და წასაქცევად იყო მზად, სხაპა-სხუპით მიაყარა:

— მართალს ვამბობ, დავით. მანანას ვუყვარვარ. ვუყვარვარ-მეთქი. თუ არა გჯერა, აქვე არ არის? დაუქდახოთ და ვკითხოთ. მეც ვაგვიყვებით მიყვარს. უმაგისოდ სიცოცხლე არ შემიძლია. მანანას იქით გზა არა მაქვს...

— სოვდაგარო, წერას ხომ არ აუტანიხარ?

— ნუ მეძახი სოვდაგარი. ეგ ხელს გიშლის ჩემი ღირსებანი დაინახო. ფულის მფლობელ გრიგოლ ზანდაროვს ყველაფერი შეუძლია, რასაც კი მოისურვებ და მოინდომებ, უკლებლივ შეგისრულებ!

— თავს ნუ იგდებ!

— ჩემი ფულის ძალას სასამართლოები ემორჩილებიან.

— გუბერნატორი შენ ყოფილხარ!

— ჩემი ოქროს წყრიალზე მსაჯულები ბუქნას უკლიან.

— იმათი გარყვნილება არ მიკვირს.

— უფრო დიდი ბოზობებიც მწყალობენ.

— ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს.

— დავით, შენ ახლა კაპიტანი ხარ.

— მაგას შენ არაეინ გეკითხება.

— მე მაიორს ვაგვხდის.

— ფიე!

— მერე პოლკოვნიკს.

— ოპო!

— მერე პოლკოვნიკს.

— შენა?

— ბოლოს გენერალს.

— იფ!

— სადაც კანს გაიკაწრავ, იქ ორდენს მიიღებ.

— იფ! იფ!

ყელზე სტანისლავს დაგვიდებ, ანას, ვლადიმერს, გიორგის, თეორ არწივს...

— ერიპა! იმპერატორი შენა ყოფილხარ!

— ზოგისთვის ჩემი ქისა უფრო ახლოა, ვიდრე იმპერატორი.

— ჰმ. ეგ მართალია.

— თუ ეგ იცი, მაშ ისიც დამოჯერე, რომ სულ მოკლე დროში გენერალ-ლეიტენანტი გახდები.

— ფიე! შენ რომ ვაგვიყვებულხარ, მეც ვინდა ვამაგიყო?

— ბოლოს მარშლად ავირჩევენ.

— ოპო! მოდი, ღმერთს ნუ ვაეცინება.

— ეგ მე მკითხე და მე მომანდევნებოთ, გრიგოლ ზანდაროვი ვინ არის და რისი ვამეუბნებელია.

თავადი ჩაფიქრდა.

ზანდაროვმა ფიქრი არ დააცალა.

— საფიქრებელი აქ არაფერი არის. შენ ოღონდ მანანას ცოლად შერთვის თანხმობა მომეცი.

თავადი ისევ უკმაყოფილოდ შეიმკუშნა.

— შენ უფრო მეტს თხოულობ, ვიდრე მაძლევ.

— განა მე ყველაფერი არ მოგეცი?

— რა თქმა უნდა, ყველაფერი, — გაიციხა თავადმა, — მაიორობა, პოდპოლკოვნიკობა, პოლკოვნიკობა, გენერალობა და მარშლობა.

— მე უფრო ჰკვიანი კაცი მეგონე, დავით, ვიდრე ყოფილხარ. ნუთუ ახლანდელ ცხოვრებას ალღო არ უნდა აუღო? აბა წარმოიდგინე, როცა მე შენი სიძე ვავხდები, როგორ მოგეპყრობიან გენერლები, რომელთაც ჩემს ნადიმზე ჩემსავით მასპინძლობას გაუწევ. ან მე რა შემიშლის ხელს, როცა მეფისნაცვალი დამიძახებს, სიტყვა ცოლის ძმაზე გადაუტრა?

დავითს გრიგოლ ზანდაროვის ძალა სწამდა და სჯეროდა, მაგრამ და უფრო მეტად უყვარდა. უარის ნიშნად თავი გაიქნია. ამაყად წარმოთქვა:

— დას პატივში არ ვავეცლი.

— ეგ შენი გადაჭრილი სიტყვაა?

— გადაჭრილი.

ზანდაროვმა ვექსილები ამოიღო ჯიბიდან.

— მაშ შენ და არ გყვარებოდა? —

— საიდან მოიტანე?

— თქვენ თვითონ განსაჯეთ, თავადო, რა უფრო ურჩევნია კნიავენას, ქორწილში გაბედნიერებული გნახოთ, თუ სასამართლოში შერცხვენილი?

— ვის ემუქრები, სოვდაგარო? — რისხვით შესძახა თავადმა.

— კანონი გემუქრებათ, თავადო! თავი მძიმედ დაუკრა და კარებისკენ გატრიალდა.

თავის ზაფრანის ფერი დაედო.

გატყდა.

მოიკუნტა.

— გრიგოლ... — ძლივს აღმოხდა მას.

ზანდაროვმა მისკენ აღარ მოიხედდა, ცალი ყბით გადმოუგდო:

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

— გრიგოლ... — მუდარით ამოიგმინა თავადმა, — სანამ ჩემს საბოლოო სიტყვას გეტყოდე, მაგ ვეჭსილებს ნუ გამოიყენებ.

ზანდაროვი სწრაფად მოტრიალდა მისკენ, მასთან გაჩნდა და ვეჭსილების დასტა ტახტის მოაჯირზე დადო.

— ინებეთ, როგორც ვსურდეთ, ისე გამოიყენეთ. ენახოთ, ჩვენ ორში რომელია თავადური სიტყვის პატრონი.

ზანდაროვის სულგრძელობით განადგურებული თავადი დიდხანს თავჩაქინდრული იჯდა ტახტზე. ჯერ ერთი ქორი დააფრინდა მხარზე, მერე მეორე. მწვეარმაც თავისი წვრილი და წაგრძელებული თავი ისევ დაადო მუხლზე. თავადი გაოგნებული უყურებდა ვეჭსილების დასტას, ახლა იგა. უფრო შებოროკილად გრძნობდა თავს, ვიდრე იმ დროს, როცა ზანდაროვმა ისინი მალლა ააფრიალა და პაერში გაატყაყუნა.

### 8. ძალაპყარათ ბასეირნება

მას კორდლისა და მელის ღვეზა ერჩივნა ლამაზ ქალებთან ლაპარაკსა.

გრიგოლ ჩიუღუიშვილი, „ანუა ბატონიშვილი“.

საოცრად უიღბლო ადამიანი იყო თავადი დავით გერმანოვიშვილი, ქა-

ლადის თამაშში ხელი უმრუდდებოდა, ომში მამაცი წარმატებას ვერ აღწევდა.

სვეშებრუნებულს ყველა აღმაცერად უყურებდა.

ქალებს არ მოსწონდათ და გულს არ უხსნიდნენ.

ტრფიალში მოუქნელს და მოუხეშავს ახლოს არ იკარებდნენ.

უცოლოდ გადაგებულს ქალის ყურადღება და წრფელი აღერსი ენატრებოდა. ამიტომ შეუყვარდა თავდავიწყებით მაიკო კურტანიძე.

პირველად მაიკომ გაუღიმა ქალური ღიმილით, გაათამამა და აიყოლია.

მოხიბლა.

გაიტაცა.

დაატყვევა და მოაჯადოვა.

მისმა ტრფიალმა დაც დაავიწყა და მწვეარ-მეძებრებიც. ყველგან თან დასდევდა, მაგრამ აღმდგრეველ სიყვარულს მონატრებული, თითს არ აკარებდა.

ერთხელ, გაზაფხულზე, დავითმა სატრფოს მოულოდნელად ქალაქგარეთ გასეირნება შესთავაზა. მაიკომ უარი არ უთხრა.

დახურულ ეტლში ჩასხდნენ. მარმარილოს წყარო უკან მოიტოვეს. მალე გაცდნენ მოსკოვის ზასტავას, ლურჯ მონასტერს, ვერის სასაფლაოს, სადაც ჯერ მხოლოდ რამდენიმე მიცვალებული იყო დასაფლავებული. ფიქრის გორას გაუარეს და ვერის წყალთან ძველისძველ, XVII საუკუნეში აშენებულ ხიდს მიაღწენენ. დავითმა ეტლი ზიდთან გააჩერებინა. ეტლიდან სწრაფად გადმოხტა, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა. უდაბური ადგილი იყო, მაღალი გორაკებით შემოზღუდული. გადმიდან მტკვრის ყრუ დუღუნი მოისმოდა. წინ ვარაზის ხევის ღრანტები და კლდეები იყო ამართული. მწვანედ დაბურულ მიდამოში სამხედრო გზის თეთრი, ქათქათა, მზით გახურებული გზატკეცილი აქ შემთხვევით მოხვედრილივით გამოიყურებოდა. გზა საბურთალოს აღმართ-



ზე ქართულ მუხებს შორის იკარგებოდა, პატარა მდინარის ნაპირები კი ქალის მუხებით და თეთრი ვერხვებით იყო გადაჩრდილული. ძე-ხორციელი არსად ჩანდა და გარშემო ისეთი მღუმარება სუფევდა, რომ შაიკომ, როცა ეტლიდან თავი გამოიპყო, თითქმის შაშით წამოიძახა:

— ჯა, რა შორს წამოვსულვართ!

დავითმა ხელი გაუწოდა. მაიკო არ გაუძალიანდა, ოღონდ ეტლიდან თავისი ხაბარდიანი კაბით გადმოსვლა გაუქირდა.

ერთხანს გზატყეცილს გაპყვენენ. საბურთალოს აღმართთან მარცხნივ გაუხვიეს, ვერის წყალს მიადგნენ. თვალთ დაწვერეს ტირიფები, რომელთა ოდნავ ათრთოლებული ტოტები განიერი ნაკადულის გამჟვირვალე ტალღებს ეთამაშებოდნენ. ისევ წინ წაივდნენ. ჩიტვაშლას და ქაცვი ბუჩქნარს შორიხლო მიჰყვებოდნენ. წინ ხოხობი აუფრინდათ და სწრაფად გაუჩინარდა. მაიკომ მზის სხივების ჩქერში წითელ-მწვანედ გაელვებულ ფრინველს თვალი შეასწოო, ალტაკეობით შესძახა:

— ეიშ, რა ლამაზია!

დავითი გაჩერდა. ნადირობის ტრფიას ლაპარაკის საღერდელი აეშალა. გატეხილი ხიდის ქალაქთა ხოხბები და ლისის ტბის იხეები მოაგონდა. შერე უღრანი ტყეების ნადირს გადასწვდა. გატაკებით ლაპარაკობდა, თავდავიწყებით. როცა თავისი მწვეარ-მეძებრებიც ახსენა, სახეზე ისეთი მიმზიდველი ღიმილი გადაეფინა, რომ მაიკო უნებლიედ მიეკრო და აღერსიანად გაუღიმა. დავითმა ეს ვერ შეამჩნია. ნადირობაზე ლაპარაკს კონის ჩადგმა და თევზის ჭერის ამბები მოაყოლა. მობეზრებულმა მაიკომ თავი მოაგონა:

— რა ვქნა, აქ რისთვის მომიყვანე, დავით?

დავითს წელანდელი მადლიანი ღიმილი გაუქრა ბაგიდან, სამაგიეროდ ჩვეულებრივ მკაცრ სახეზე ისეთი გა-

საწყლებული ვედრება აესახა, რომ მაიკოს მყისვე გუნება გაუფუჭდა.

ჩიტვაშლას ბუჩქებისკენ გაიხედა და რაკი დავითი ადგილიდან არ დაიძრა, თვითონ გაემართა იქითვე. ბალახებში დაჯდომაც ისევე გაუქირდა, როგორც ეტლიდან გადმოსვლა. ფეხსაცმელები გაიძრო, კაბის განიერი კალთები გაჰირვებით მიილაგ-მოილაგა, ჭერ ფეხის ლამაზი კოკები გამოაჩინა, მერე მუხლის თავები. ტირიფებისკენ შურიანი თვალებით გაიხედა და ინატრა:

— იპ, ნეტავი მეც იმ ტირიფებივით ჩამაყოფინა წყალში ფეხები!

დავითი ისევ ფეხზე იდგა და ალტაკეობით დაჰყურებდა.

— რა ლამაზი ხარ, მაიკო!

წარმოთქვა მან ისეთი მღელვარებით, როგორც მხოლოდ პირტიტველა ყმაწვილებს უხდებოთ.

მაიკომ ხმა არ გასცა. კაბა აჩქარებით გაისწორა. აქა-იქ გამოჩენილი სიტტიტველი მიმალ-მომალა (ეს დავითმა კდემამოსილებაში ჩამოართვა და განზე გაიხედა), ბალახის ღერო მოგლიჯა და ყურადღებით დააცქერდა.

— რა ლამაზი ხარ, მაიკო!

გაიმეორა მიბნედილი ხმით დავითმა, უკვე გაბუტულ ქალს გვერდით მოუჭდა და დიდხანს, დიდხანს უყურა მის თაფლისფერ თვალებს, რომელნიც სულ უფრო და უფრო მუქდებოდნენ და განუჰკრეტელნი ხდებოდნენ. ქალი გაუნძრევლად იჯდა. გაუნძრევლად ეკიდნენ მის ყურებზე მარგალიტის გრძელი საყურეები და მხიარულად კრთოდნენ მზის სხივებზე, დიდგულას მწვანე ფოთლებში გარდი-გარდმოდ რომ იჭრებოდნენ და ქალის ცალ ლოყას ანათებდნენ.

დავით გერმანოზიშვილმა უფრო ახლოს მიიწია მისკენ და მას იმავე სიტყვით მიმართა, რა სიტყვითაც მხოლოდ საკუთარ დას მიმართავდა ხოლმე, დას, რომელიც მას გაგიჟებით უყვარდა.

— სულა! რომ იცოდეთ რამდენად



მიყვარხარ! ჯერ არავენ არასდროს ასე არ მიყვარებოდა არ დაიჯერებ, მაიკო?

სუფთა, აუღმღვრეველ, თავანჯარა სიყვარულს და ქალის თანაგრძნობას მოწყურებული თავადი ისევ თავის გულის მოძრაობაზე აღაპარაკდა, თავის უსაზღვრო, თავდადებულ სიყვარულზე გრძლად გაუბა საუბარი ქალს, რომელსაც გულწმინდა სიყვარული ერთადერთი მამაკაცისათვის ჰქონდა შენახული.

ქალი დუმდა. ხმას არ იღებდა.

როცა დავითი მისი კაბის ბოლოს დასწვდა, უკვე გვიან იყო. ქალს აბუზუებულ ტუჩებზე ორი თითი დაედო, დათა მთქნარება როგორმე აელაგმა.

თავის სახტად დარჩენილ არშიეს რომ შეხედა, ისევ გამზიარულდა.

საერთოდ, როცა მაიკო კურტანიძე რომელიმე მამაკაცს სინანულით ნებდებოდა, ურცხვი და მოურიდებელი ხდებოდა.

ახლა ის დანებებას არ აპირებდა, მაგრამ თავის ჩვეულებას მაინც არ უღალატა.

კაბის ბოლოები ხელში სიცილით აჭრიდა, ზედიზედ რამდენიმე ნაკეცი გამოაჩინა და გაკვირებულ თავადს ცივი წყალი გადაასხა.

— სად მიძვრები, დავით? სანამ ამ თახჩებს გაივლი, აქ დაგვადამდებია. რასაც შენ ეძებ, ის ბოლო თახჩაშია!

დავითი ზარდაცემულივით გაქვავდა. სატრფოს უწყალოდ სიტყვებმა ერთბაშად გამოაფხიზლა. ნაოცნებარნალოლიავეები სიყვარული ხუბულასავით დაენგრა. ბრაზი ცეცხლივით წაეკიდა. კვლავ მოუხეშავ და ტლანქ მამაკაცად იქცა. ალაფის ცოლს აშოღლანურად შემოხვია ხელები და ბალახებში გააგორა. მაიკოსათვის ეს მოულოდნელი იყო, მაგრამ არ დაიბნა. მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მას არასოდეს არ დანებებოდა. ხელი ღონივრად ჰკრა (გამრჩე ცოლის ღონიერი ხელი), მკლავებიდან გაუსხლტა ზეზე წამოიჭრა (უფრო ლაღად,

ვიდრე დაქდა) და ტირიფებისკენ გაიქცა.

დავითი ზღაზენით წამოდგა და მბარბაცდა. ცხენიდან ახლად გადმოსულივით გაალაჯა მისკენ. გაოცებული თვალი გააყოლა. მერე სინანულმა შეიპყრო. ახლა ის სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ქალაქელი ქალის ხუმრობა მეძავის უხამსობად მიიღო. დარწმუნდა და თავი საყვედურებით აიკლო. გაქცეულ მაიკოს დაედევნა.

მაიკოს განიერი კაბა აბრკოლებდა, მაგრამ ცდილობდა ჩქარ-ჩქარა ევლო. ტირიფთა ტოტებს ქვეშ თავს ღუნავდა, ისევ წელში სწორდებოდა, კვლავ იღუნებოდა, გზას გაჭირვებით იკვლევდა და უკან არ იხედებოდა. ერთგან ფეხი დაგუბებულ წყალში ჩაუვარდა, ნაწუწი ტანსაცმელზე შეესხა, მაგრამ არ გაჩერებულა. გზისკენ იყურებოდა და ჩირგვებში გასასვლელს ეძებდა. გზატკეცილზე თითქმის სიბილით გავიდა და მხოლოდ აქ, სამშვიდობოზე გასულმა, შედარებით დინჯი ნაბიჯით მიაშურა ეტლს.

ხიდზე ტანწერილი ბიჭი იყო გადაყუდებული, ზურგიით იდგა, თავზე ქუდჩამოფხატებული. მაიკომ ის ვილაყას მიამაგავსა, მაგრამ მხოლოდ ერთ წამით შეაჩერა მასზე თვალი, ეტლში ავიდა და მეეტლეს დაუხვირა:

— გარეყ!

მეეტლემ მისკენ გულგრილად მოიხედა, თამბაქოს ღეჭვა შეაჩერა, გადააფურთხა და სახელეწილ ქალბატონს უტიფრად უთხრა:

— თუ ფულს თქვენ გადაიხდით, ვაეზატონს აღარ მოვუცდი.

მაიკო კურტანიძეს ფული თან არ დაჰქონდა, რადგან არსად არაფერს ხარჯავდა.

რაც კურტანიძეების ოჯახს სჭირდებოდა, ის ერთ ნოქარს მოჰქონდა.

მაიკოს ბრაზმა აპკრა სახეზე. ქალაქიდან შორს რომ არ ყოფილიყო, ეტლიდან გადმოვიდოდა და ფეხით წავიდოდა სახლისკენ. იძულებული იყო «ვაეზატონისთვის» მოეცადა.

ისიც მალე გამოჩნდა, ეტლში ასვლისთანავე ბოდში მოუხადა შუბლშეკრულ ქალს.

— მაპატიე, მაიკო!

მაიკომ ხმა არ გასცა.

— წავიდეთ.

ხრინწოდებული ხმით ასძახა მეეტლეს დავით გერმანოზიშვილმა.

#### 4. გამოსოვნება

მართალი მოგახსენოთ, არ ვიცი, როგორ ეტრფიან და როგორ იგებენ დაცის გულს.

უოწმებოთ ირვინგი, „მოვლემარე ზეობის ლეგენდა“.

ეტლი რახრახით დაიძრა ადგილიდან.

სწორედ ამ დროს ხიდზე გადაყუდებული ტანწვრილი ბიჭი მარდად მოტრიალდა, სწრაფი ნახტომით ეტლთან გაჩნდა, მის უკანა ლერძზე აბობლდა, გრძელი ხელები გაშალა, მოსაქიდებელს მოეჭიდა და ეტლის ზურგს ჭვარცმულ ქრისტესავით გაეკრო.

ეტლში მსხდარნი ჩუმად იყვნენ.

მაიკოს პირველი გაცეცხლება უნელდებოდა. მშვიდდებოდა. კაბის კალთების დალაგებით გაერთო.

ისევ თამაშის გუნებაზე დამდგარი უსაიდად ნირწამხდარი თავადისაყენ გაბოროტებული იყურებოდა და უბღეროდა.

დავითს ისეთი დაღრეჯილი სახე ჰქონდა, მაიკოს კინაღამ სიცილი წასკდა. თავი შეიმაგრა.

თავისებურად ლამაზ და ბრგე დავით გერმანოზიშვილს დაგვიანებული სიყვარულით გამოწვეული ჰქმუნვა არ უხდებოდა, რაღაცნაირად ამახინჯებდა, აბერებდა.

გახანგრძლივებული ღუმელი მან ვედრებით და მუდარით დაარღვია:

— სულო! თუ არ გინდა ჩემი ცოდო დაიდო, შემირიგდი და მაპატიე.

— თავადო დავით! — შეურაცხყოფილი ქალის ტონით უპასუხა მას

მაიკომ. — მე პატიოსანი კაცის პატიოსანი ცოლი ვარ. თვითონაც არ ვიცი რა დამემართა. მომწონდით და, ღმერთმა იცის, აჯყევით კიდევ. თქვენ რომ რიგიანად მოგვესურებინათ, ვინ იცის, ჩვენი ამბავი რითი გათავდებოდა. მაგრამ, იცოდეთ, ლოგინს ყველგან ვერ გამაშლევინებთ. ამნაირი ქალები მერია-მბევუმის სახლში მოიკითხეთ — და რაკი მაღალი წრის ქალების მდგომარეობა შურდა და თან ისინი სძაგდა კიდევ, ზიზლით დასძინა: — თქვენც გეკოდინებთ, იქ მაქანკლებს ქმარ-შვილიანი კნეინები დაჰყავთ!

კნეინების აუგად ხსენებამ ჩვეულებრივ ფიცხი დავით გერმანოზიშვილი არ გააბრაზა, პირიქით, მაიკოს პატიოსნება დაუდასტურა.

— ვიცი, ვიცი, მაიკო! პატიოსანი ქალი ხარ. ტირიფებს ქვეშ რომ გარბოდი და გიყურებდი, მაშინ ერთხელ კიდევ დავრწმუნდი. აკი ამიტომ შემეყვარდი კიდევ!

რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა სიყვარულზე დავითი, მით უფრო ბრაზდებოდა მაიკო. განზე გაიხედა. პირი აღარ უჩვენა.

იმის თავადობამ მის თვალში ძველი მიმზიდველობა დაეკარგა. იოტისოდენა ანგარიშს აღარ უწევდა.

სამაგიეროდ დავითს გაჭირვებით ნაპოვნი სატრფოს დაკარგვის შიში შემოენთო, მუხლებში ჩაუეარდა, შეჰღალადა:

— ნუთუ აღარასოდეს დამიბრუნდები მაიკო!

— არასოდეს!

გადაჭრით გადმოუღლო მაიკომ.

თავი დედოფალივით ასწია.

ასე ამაყად ვერცერთი გერმანოზიშვილი ვერ მოიღერებდა ყელს.

მის ფერხთით თავადი ეგდო.

მას, ვაჭრის ცოლს, ეს არაჩვეულებრივ სიამოვნებას ჰგვრიდა. მდამიო ქალი (შეუღარებლად მასზე მდიდარი, მაგრამ მაინც მდამიო) თავადზე

თავის გამარჯვებას ზეიმობდა. და რაკი ეტლიდან ჩამოსვლის შემდეგ ამას ველარსად ეღირსებოდა, გულში ეტლის სრბოლის გახანგრძლივებას ნატრობდა.

დავითმა ისევ მუდარით შესთხოვა:

— ნუთუ წელანდელ საქციელს არ შემინდობ, მაიკო!

ალაფის ცოლმა ისევ ერთადერთი სიტყვა გადმოუგდო:

— არასოდეს!

— გემუდარები, გეხვეწები.

მაიკომ მოკლედ მოუპრა:

— გათავებულ საქმეს აღარაფერი ეშველება, თავადო!

— მაინც ისეთი რა დავაშავე?

— ისეთი არაფერი.

გულახდლად უთხრა ეტლის ბალიშზე გადაღმერთილმა მაიკო კურტანიძემ, თან ენას კბილი დააჭირა, რათა არ გასცინებოდა.

ეცინებოდა, რადგან წელანდელი მისი საქციელის მიზეზს ყმაწვილივით შეყვარებული თავადი ვერასოდეს ვერ გაიგებდა.

წელან ვერის წყლის პირზე, მალალ ბალახებში, აშოლლანურად მკლავის ერთი მოქნევით დაბლა ვაგორებულმა მაიკომ მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მისი დახანებული მიჯნური ქალების უნახავი სრულიადაც არ იყო, როგორც ამას, აუცილებელი დასასრულის მოლოდინით მობეზრებულს, მისი სევდიანად ნათქვამი არსიყული სიტყვები აფიქრებინებდა ხოლმე. იქ პირველად მიხვდა და დარწმუნდა, რომ თავადს იგი თავდაიწიყებით უყვარდა. მიხვდა და ბრაზი წაეკიდა. დავით გერმანოზიშვილი მისგან იმას მოითხოვდა, რის უფლებაც მხოლოდ გრიგოლ ზანდაროვს ჰქონდა — სიყვარულს.

— მაიკო, შენი უკანასკნელი სიტყვა რა არის?

მოესმა ფიქრებში წასულ ალაფის ცოლს.

— ის არის, რაც ვითხარი. — ბრაზით უპასუხა მაიკომ.

მარცხს დავითი აღვიღლად ვერ ურბოდებოდა. იცოდა და გრძნობდა: ამ ქალთან განშორება მოსვენებასაც დაუქარავადა და ძილსაც დაუფრთხობდა. უკვე ახლა ისეთნაირად იყო გაოგნებული, რომ ვაჭრის ცოლის ბაგეზე ზიზღნარევი ღიმილის ვერ ამჩნევდა და მისი ჯიუტი ღუმილი შეურაცხყოფილი ქალის უსიტყვო საყვედურად ეჩვენებოდა.

როცა ქალაქის პირველი სახლები გამოჩნდნენ, მაიკომ ეტლის გაჩერება მოითხოვა.

— ჯერ ისევ შორსა ვართ, მაიკო! — დაბნეულად უთხრა თავადმა.

— არა უშავს, ფეხითაც კარგად ვივლი. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, თავადო!

ეტლიდან გადმოხტომა მოინდომა, მაგრამ გაუჭირდა, განიერი და გრძელი კაბის ბოლოები ფეხებში დაებლანდა. დავითმა ხელი მიაშველა. მაიკომ მას ისეთნაირად მოხედა და შეუბღვირა, თითქოს მის წინ დიდგვაროვანი თავადი კი არ ყოფილიყოს, არამედ ბართლომე კურტანიძის ნოჭარი.

დავითმა მრისხანედ შეჰკრა წარბი.

მხოლოდ ახლა მოაგონდა, რომ წელან ვაჭრის ცოლთან ირცხვენდა და იძაბლებდა თავს. მაგრამ ღირსების შელახვის გრძნობა დიდხანს არ შერჩა მის მკაცრ სახეს. როცა მაიკომ ორივე ხელით კაბის ბოლოები ერთი წამით ასწია და თავისი კობტა ფეხები გამოაჩინა, თავადს წელანდელზე უარესად შემოენთო მისი სიყვარული. მზის შუქით განათებული ლამაზი ქალი კიდევ უფრო მომხიბვლელად ეჩვენა. მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ ალაფის ეს პირმწყაზარი და თვალტანადი ცოლი ძალიან ჰკავდა სილამაზით განთქმულ კნეინა ვოსტაშაბიშვილს.

**5. მსტოვარი**

უნდა უყურო და არა უსმინო.

ჩარლზ დიკენსი, „ჩვენი საერთო მეგობარი“.

მაიკომ ეტლს უკანიდან მოუარა, რადგან ცხენების წინ გზის გადაკრა არ უნდოდა. უცებ ცხვირით იმ ტანწვერილ ბიჭს დაეჯახა, რომელიც წყნად ხიდზე იყო გადაყუდებული. მის წინ ბართლომე კურტანიძის ახალგაზრდა ნოქარი იდგა.

— აქ რას აკეთებ, ასლან? — შესძახა გაკვირვებულმა მაიკომ.

ნოქარმა ცუდლუტი ღრეჭით მიუგო:

— მე ყველგან დავდივარ, ქალბატონო!

ბართლომე კურტანიძე მას მართლაც ყველგან დაატარებდა: ქუჩებში, დუქნებში, მაღაზიებში, ქარვასლებში, საბაჟოებში, ქალაქთან მისასვლელ გზებზე და კარანტინებში. მის მსტოვარს ყველაფერი უნდა გაეგო, დაეყნოსა და მისთვის შეეტყობინებინა.

ამიტომ თითქოს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო მასთან ვერის ძველ ხიდზე შეხვედრა.

მიუხედავად ამისა, მაიკოს მაინც მოუსვენარმა აზრმა გაუელვა თავში.

დავით გერმანოზიშვილის ეტლი ისევ ერთ ადგილზე იდგა.

მაიკომ მისკენ აღარ მიიხედა. ფეხს აუჩქარა. შინ ოდნავ შეფიქრანებული დამბრუნდა. ყურადღებად გადაიქცა. სადილად ცოტა ხნით შინ მოსულ ბართლომეს ვერაფერი შეატყო. სადილზე ისე დასხდნენ, როგორც ყოველდღე სხდებოდნენ. უხმაუროდ.

როცა ბართლომე შინ იყო, მაიკოს ბიჭები გასუსულები იყვნენ. უფროს ბიჭს მუდამ სერიოზულად ეკიბრა თავი. შუათანას და პატარას ცელქობით ლოყები ჰქონდათ დაწითლებული, მაგრამ ახლა გატრუნული შეექცეოდნენ უგბილად მოხარშულ კერძს, ცხელ წყალში გახსნილ სისარსს.

ბართლომე თავჩადუნული ხერკდა წვნიანს. საკუთარი ხელით გათლილ ხის კოვზს ნელა ამოძრავებდა. საერთოდ ცოტას ჭამდა და ბევრს მუშაობდა.

მაიკო დროდადრო ფრთხილად ავლებდა თავს ჭმარს. უკმაყოფილების ნატამალს ვერ ატყობდა. ახლაც ისევე პირმოღუშული და დამუწვებელი იჯდა, როგორც მუდამ — შინ თუ გარეთ.

ერთი რამ ცხადზე უცხადესი იყო: დადევნებულ მსტოვარს მისთვის ყველაფერი უნდა ეთქვა და იმასაც ყველაფერი სცოდნოდა.

ასლანა ყველა ანგარიშს თავის რიგზე აბარებდა პატრონს. თან მართოდღეს არ უნდა დასდევნებოდა.

დავით გერმანოზიშვილთან ქალაქის ბულვარზე სეირნობის დროს ისიც ჩანდა, შორიახლო დაეხეტებოდა.

ერთი სიტყვით, შეყვარებული თავადის ყველა უგერგილო პაემანის მოწმე უნდა ყოფილიყო.

მაიკოს ჭმარის გაკეთებული კოვზი გაუჩერდა ხელში. ჩაფიქრდა.

ამჟერა იყო: ჭმარი ცოლს აღარ ენდობოდა.

მაიკო მათლავის კიდზე კოვზით სისირის მარცვლებს სრესდა და გამალებით ამის მიზეზს ეძებდა.

ჭმარს მისი გაკოტრებულ თავადთან კურკური არ უნდა მოსწონებოდა. არა, არა, რა თქმა უნდა, ეკვიანობის გამო არა (ეს სულ საფიქრებელი არ იყო, რადგან ჭმარი მისგან მხოლოდ გარჯას, ოჯახის მოვლას, დარეცხვა-დაკერებას და ღამ-ღამობით, ძილის წინ, გამთბარ წყალში ფეხების დაბანას მოითხოვდა, მის საყვარლებზე კი ყურს არ იბერტყავდა, არც თვითონ მაიკო უწევდა ანგარიშს მეზობლების ენის დაღდაღანს), არამედ იმიტომ რომ ცოლს ჩაბარებული ფული არსად შემოხარჯვოდა.

მართლაც, ზოგი გაკოტრებული თავადი

ვადი სოვდაგრების გარყვნილი ცო-  
ლების ხარჯზე ცხოვრობდა და ღამე  
ორთაქალის ბაღებში ათენდებოდა.

თავადი დროს ატარებდა, სოვდავა-  
რი იხარჯებოდა.

მაიკო ამ აზრს დაადგა.

ამაზე ფიქრობდა და თან გუნებაში  
ეცინებოდა, რადგან ქმრის საღაროს  
ცერბერივით დარაჯობდა, მონახვექ-  
მოგებულს ბართლომესავით ისიც ზედ  
დაჰკანკალებდა და ხელიდან გროშს  
ვერავენ ვააგდებინებდა. ეს მისმა ქმარ-  
მაც კარგად იცოდა, მაგრამ მაიკო  
მიანიც ქალი იყო და, ალბათ, ბართლო-  
მე სიფრთხილის თადარიგს იქერდა.

მაიკო შეფიქრიანდა.

გასაღებების ჩამორთმევა ისევე  
ძნელად გასაძლისი იქნებოდა მისთვის,  
როგორც ზანდაროვის გულგრილო-  
ბის ატანა.

თუ მის ქმარს ახლა არაფერი წა-  
მოსცდა, ალბათ სათქმელს საღამოს,  
ძილის წინ ეტყვის.

პასუხი მაიკოს უკვე მზად ჰქონდა.

იმ გატუტუტებულ თავადს ისეთნაი-  
რად გაასუფთაებდა, რომ თვით  
ბართლომე კურტანიძეს, რომელიც გა-  
ცინებული ჯერ არავის ენახა, გულია-  
ნად გააცინებდა.

საღამოს, ძილის წინ, ტახტზე ტო-  
მარასავით მიგდებულმა ბართლომემ  
ცოლს ზურგი შეაქცია და ხვრინვა  
ამოუშვა.

მაიკოს გაელიმა. პირჯვარი გადაი-  
წერა და თავი სასთუმალზე დადო. მის  
თვალებს ძილი მიანიც არ მიეკარა.

გათენებისას ქმარს დააკვირდა,  
მაგრამ ვერაფერი შეამჩნია.

იმ დღემაც ჩვეულებრივ გაიარა.

არც მეორე დღეს მომხდარა მნიშე-  
ნელოვანი რამ.

არც მესამე დღეს.

ერთი კვირის შემდეგ კი ისეთი ამ-  
ბავი დატრიალდა, რამაც კუკიის მთე-  
ლი ობანი ფეხზე დააყენა და ააყაყა-  
ნა.

## 6. ალაფის ბანაჩენი

ვანა შეაძლება იმაზე მეტე სიყრფე, იმაზე  
მწარე დაკინვა, რასაც ეს ოთხი სიტყვა გუ-  
ლისხმობს: კანონის წინაშე ყველა თანასწო-  
რია.

ვიდოკო „მემუარები“.

ბართლომე კურტანიძის კარ-მიდა-  
მოს ვედარ იცნობდით, გაიზარდა და  
გაფართოვდა.

წყლის წისქვილების გაყოლებით  
კუკიიდან ჩუღურეთამდე, გამდიდრე-  
ბულმა ალაფმა ნელ-ნელა შეისყიდა  
მიწა-ადგილი.

ქალაქის ფარგლებში შეუმჩნეველად  
შემოსულ კუკიასა და ჩუღურეთში  
ჯერ ისევე ცხოვრობდნენ ძველი გლეხ-  
კაცები.

ბართლომემ ზოგს ფული დაახარბა,  
ზოგი მოატყუა, ზოგი ქრთამით დაი-  
ყაბულა, ზოგს ძალა დაატანა, ზოგ-  
საც, ვინც მის ვალებში ყელამდე იყო  
ჩაფლული, მუქარით ნასყიდობის ქა-  
ლალზე ჯვარიც დაასმევინა და გა-  
მურული თითიც დაადებინა. მის მი-  
წაზე უბრალო, სახელდახელოდ აგე-  
ბული ქოხმახები და ზუზულები გაჩნ-  
და. შიგ ფეხზე მოვაჭრენი. ხელმოკლე  
ხელოსნები, დღიურად მომუშავენი  
და მათხოვრები ცხოვრობდნენ. მათ  
გან ბართლომე ქირას იღებდა. მალე  
შემოსავალი ეცოტავა. მათი აყრა-გა-  
ძევების თადარიგი დაიჭირა და ქოხ-  
მახების დაცლა მოსთხოვა.

ქრისტეს ტირილ: გაიმართა.

ბართლომემ არავინ შეიბრაღა.

მუდამ დამუნჯებული სხაპა-სხუპით  
ალაპარაკდა და ქაღილ-ძახილით იჭაუ-  
რობა გააყრუა. ხელში სასამართლოს  
ქაღალდები ეჭირა და ყველას ციხეში  
დაღობით ემუქრებოდა.

მუქარამ ვერ გასჭრა.

ღარიბებმა რკალი შეკრეს და ალა-  
ფის ნოჭრები ალიზით ნაგებ და ტა-  
ლაზით შელესილ ქოხებს დასანგრევად  
ვერსაიდან მიუდგნენ.

გააგებულმა ალაფმა ღარიბ მდგმურებს პოლიცია დააყენა თავზე. ღარიბები პოლიციას კეტებით და ქვებით დახვდნენ. თავიანთ ქოხმახ-ხუხულებთან ახლოს არ მიუშვეს და დაიფრინეს.

თავგზადაკარგული ალაფი საჩივლელად მეფისნაცვლის კანცელარიაში გაიქცა. თან წყევლა-კრულვით პატარა ბოხჩა წაიღო, რომელშიაც სინანულით გადათვლილი ასიგნაციები ელაგა.

მეორე დღეს პოლიციაც მოვიდა და ჯარისკაცების ოცეულიც ოფიცრის მეთაურობით.

ღარიბები ისევ კეტებს ეცნენ და ქვებით ბლომად აკრიფეს. უკან ატირებული ცოლ-შვილი ედგათ, წინ შეიარაღებული პოლიციელები და ჯარისკაცები. ჯიუტად იდგნენ, კეტებს ხელში ატრიალებდნენ, ქვებს სამიზნოდ იმარჯვებდნენ. ქოხმახების უბრძოლველად დატოვებას არ აპირებდნენ. არც ჯარისკაცების თოფებზე ამრიალებული ხიშტების ეშინოდათ.

ოფიცრის გაფრთხილებას არავინ ყური არ ათხოვა.

მაშინ ოფიცერმა ხელი მალა ასწია.

ჯარისკაცებმა თოფები პაერში დასცალეს.

არავინ ფეხი არ მოიცვალა. არავინ არ შეირყა. ოღონდ გაშმაგებულებმა კბილთა ღრკენას მოუმატეს და თვითონაც პაერში კეტები დაატრიალეს. ეტყობოდათ, მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი თავიანთ ქოხებთან დახოცილიყვნენ, ვიდრე ცოლ-შვილიანად ღია ცის ქვეშ დარჩენილიყვნენ.

ერთმანეთზე მჭიდროდ მიკრული კაცები განზე გადგნენ, როგორც ლახტის თამაშის დროს აკეთებენ ხოლმე, კეტის თავები მიწაზე დასდეს და მოსაქნევად მოეშაბდნენ.

ოფიცერმა ისევ ამართა მალა ხელი.

ჯარისკაცებმა თოფები კეტებით და

ქვებით შეიარაღებულ ღარიბებს დაუმიზნეს.

მაიკომ ხელები აიფარა თავლებზე.

ბართლომე გაუნძრევლად იდგა. მხოლოდ გრძელი უღვაშების ბოლოები უკანკალებდა ოდნავ, ხოლო სქელ ტუჩებში ჩახლართული ბოროტი ღიმილი ისეთნაირად გაქვავებოდა, რომ ერთი წამით შემკრთალი დამფრთხალი უფრო ჩანდა, ვიდრე გაბოროტებული.

ოფიცერი დინჯი ნაბიჯით გაემართა იმათკენ, ვინც მზად იყო ძაღლისთვის ძალა დაეხვედრებინა.

ერთხელ კიდევ გააფრთხილა ისინი.

პასუხად ზიზღში გაღესილი ღუმილი მიიღო.

შეუოყმანდა. თავი უკმაყოფილოდ გადაიქნია. სწრაფად შეტრიალდა და გან-განზე სიარულით და ჩქარი ნაბიჯით უკან გაბრუნდა, რათა ბურთი და მოედანი თოფმომარჯვებული ჯარისკაცებისათვის დაეცალა.

ჯერ საშინელი, მტანჯველი სიჩუმე ჩამოწვა, მერე დედაკაცი და ბავშვები დასაკლავი საქონელივით აბლავდნენ.

ოფიცერს მალა აწეული ხელი გაუშეშდა.

შეშინებული მაიკო ქმარს უნებურად მიეყრდნო და მყისვე იგრძნო, რომ ისიც შინაგანად ცახცახებდა.

იმათ, ვინც აქამდე გაეკრპებული იდგნენ და მზად იყვნენ სიკვდილს დახვედროდნენ, უკან მოიხედეს და აბლავებული ცოლ-შვილი რომ დაინახეს, თითქმის ერთდროულად დაყარეს კეტები და ქვები.

მაიკომ შევებით ამოისუნთქა.

ბართლომემ უღვაში ბოროტი ღიმილით გადაიგრიხა.

დამარცხებულ ღარიბებს პოლიციელებმა და ჯარისკაცებმა ხარახურით და ჯამ-ჭურჭლით გავსებული ბოხჩები და ძველი ტომრები ზურგზე აკვიდეს და ცოლ-შვილიანად წინ გაირეყეს.

ქონხაზე და ხუხულები ბართლომე კურტიანიძის ნოქრებმა და მუშებმა დაანგრეს, მიწასთან გაასწორეს.

მეორე დღეს ამ ნაპარტახალზე, რომელსაც მდიდარი ალაფი უკვე ღობეს ავლებდა, გუთნეული გაატარეს და სულერთიანად გადახნეს.

— აქ ვაზს ჩაეყრიო, მაიკო! — უთხრა ცოლს აივანზე გადმომდგარმა ბართლომემ, მტკვრისკენ ხელი გაიშვირა და სივრცეში ფართო წრე შემოხაზა. თავის თავს ხმამაღლა უთხრა:

— ესეც შენი საკურტიანიძეო, ბარაქალა, ბართლომე!

მაიკომ მორიდებით შეხედა მას. პირველად იგრძნო შიში ქმრის მიმართ.

უცებ ბართლომე მისკენ მოტრიალდა და, სხვათა შორის, გადაულაპარაკა:

— გაიგე, ქალო? ზანდაროვი ცოლს ირთავს.

მაიკო პირველად არ გებულობდა ამ ამბავს, მას მხოლოდ ის გაუცვირდა, რომ ეს დამუნჯებულმა და დაყრუებულმა ბართლომე კურტიანიძემაც იცოდა. ცნობისმოყვარეობამ წასძლია:

— ეგ შენ საიდან იცი?

— ვაჭარმა ყველაფერი იცის. — უბრალოდ მიუგო ბართლომემ და ისევ თავის საკურტიანიძეთს გადახედა.

დიდხანს იდგა და უყურებდა. რადაც აზრით შეპყრობილს ღონიერი მუშტები დასტანდაზე ისეთნაირად დავლაგებინა, თითქოს ვინმეს დარტყმას უპირებდსო.



# მოსაბრუნო

მედიკალიზაცია

1

ფერის ქალაზე ტყე-ბუჩქნარის გამოზრდას ფეხდაფეხ მოსდევს იალღებდაკენ დაძრული თეთრი ცხვრის ფარებიც. გარე კახეთისა და სამუხეღვარის საძოვრებიდან აყრილი ცხვარ-ბატკანი პირდაპირ ხეობით შემოდის, შავმთისა და შირვანის მობინადრენი კი ალაზნის ველს შემოჰყვებიან და ივრისა და არაგვის ხეობებში ზოგი გომბორის უღელტეხილით გადადის, ზოგი ნარიანველის გზით, ხოლო ზოგი ორვილის გავლასა და ინგეთ-კვერნაძეულის ზეკარზე გადასვლას ამჯობინებს.

ყველა მეცხვარეს თავისი გზა აქვს. თავიზნა მარტილსაც აქვს საკუთარი გზა-სავალი. დაძვრება თუ არა სოფლიდან, პირს მაშინვე საბუე-შახვეტილის სანახებისაკენ იზამს და რქაგადავრებილ ქეჩებს საყორნის უღელტეხილისაკენ შეაბრუნებს. ეს გზა ყველა სხვა გზას ურჩევნია, ზეპირად იცის მისი ყოველი მოსაბრუნო, სახვევი და გასადევარი. გარდა ამისა, ხალვათი და უხიფათოც არის — დღეს აქ მიწას აღარავინ ხნავს, სათიბებს აღარავინ აყენებს და მეტყვე-მეველეები ისერივად არ აწუხებენ. შემოფენს ფარას ხეგვრძელზე, გაივლის

კვეტარს, მერე ვანხევს აყვება, ავა ტყე-ბუჩქნარიან სერზე და ივრისა და ერწო-ვალურის კირნახულით მოხატულ ველებს გადახედავს.

აგე, რამდენი ხანია, რაც მარტილო უცვლელად ამ გზით დადის, — ორმოცი წელი მაინც იქნება, მაგრამ საყორნის გორის ტყე-ველიან ფერდობებს გულგრილად ერთხელაც ვერ აუვლის. აქედან იწყება ცხვარ-მეცხვარის საიალადე გზა და სანახავი და თვალსაწიერიც ყოველ ნაბიჯზე უცხო და ლამაზი ელოდება: ყვავილეები თითქოს მის თვალწინ იფურჩქნებიან, ახლად გამოჩირთული ფოთოლიც თითქმის გასაგონად ფშვინავს, ჯოტოდ მოძვრება ნახამთრი ბუდიდან და ირგვლივ სინედლის მსუყე სურნელს აფრქვევს. ფერად ყვავილებზე მუშა ფუტყრები და ფერადფრთიანი პეპლები ბუდეს იდგამს, მერცხალი ეს-ეს არის მოფრენილა და ლაქვარდ ცაში ქღურტულით მიმოქრის. და ყველაფერ ამას ერთვის ცხვარ-ბატკნის გაუთავებელი ბლავილი, ბოყირი, კუნტრუმი. დედა ბატკანს უხმობს, ბატკანი — დედას. იპოვიან ერთმანეთს და უტყვი სიყვარულით მიეფერები-

ან — დედა ლოკავს, ბაბის ქულასავით თეთრი და ხუჭუქა ბატკანი კი პაწაწინა მუხლებზე დაჩოქილა და სავსე ჭიქანს ეფუჩინება. ჩაიტკბარუნებს პირს დედის რძით, ტუჩებს მოილოკავს და გატიყნული და გაღლებული კალმახივით შეისხმარტალებს. მარტილოს სიტყვებითვე რომ ეთქვათ, ამ დროს ცხვარ-ბატკანში ღვთის თვალი ტრიალებს. სადმე მალღობზე შემდგარი და ჯონსდაბჯენილი თავიზნაბანი ღამილით დაჰყურებს ფარას და ვინ იცის, გულში მერამდენედ იმეორებს: — ლამაზია, ღმერთმანი, იი! ძალიან ლამაზია!

მაგრამ ამ ლამაზი სანახაობით დატკობა წელს აღარ ელირსა — ამინდმა უღალატა. საბუიდანვე აირია, ზენა ქარმა წამოუბერა და ხევგრძელას ვიწრო ჭალა, ვანხევი, მსხლიანსერი და ხესაქცევი თვალგაუმტარ ბურუსში გაახვია. ბურუსსა და ჯანლს ჯერ წვრილი წვიმა მოჰყვა, მერე უცხად აცივდა და თოვლიც გამოურია.

დასაბალნებულ სახედრებს ბრეზენტის საწვიმარი ბაკოები დახსნეს და თქებზე შემოიცივეს. ძნელია ასეთ დროს ცხვრის მოვლა: ფარა ქეჩებს ველარ ხედავს, იფანტება და გზა-კვალარეული ტყე-ღრეს ეღვება. კიდევ უფრო ძნელია, თუ მწყემსები არ გყოფნის. ორიათასსულიან ფარას სულ ცოტა, ხუთი კაცი მაინც უნდა მიაცილებდეს, მარტილოს კი ორის მეტი არ მისცეს, არავინ იყო და ვის მისცემდნენ? თუმცა, როგორ არა, მესამეც დაუმატეს, — ახლად სკოლადამთავრებული, უწვერულვაშო ბიჭი, მაგრამ ის ჯერ სათვალავში ჩისაგდები არ არის, — სანამ საქმეს არ გაიგებს, არ ისწავლის და არ გამოიწრთობა, მეცხვარედ არ ჩაითვლება. ჯერ თვითონვე ჭირდება მწყემსვა და თვალყურის დევნება. ეს ყველაფერი გუშინვე უთხრა კანტორაში, მაგრამ უფროსებმა მხოლოდ სიტყვით ანუგმეს, — როგორმე გაიჭირეო. და აი, მარტილომაც გაიჭირვა: გიგო მარჯვნივ ამოუყენა ფარას, ელიზბარა —

მარცხნივ, ხოლო თვითონ უკან მიყოლა ითვია. ახალბედა მწყემსი ზაზაც თავისთან დაიტოვა.

გიგო და ელიზბარა ნაცადი და მარჯვე მწყემსები არიან, მაგრამ ორი კაცი მაინც ორია. ცხვარს კი ერთი მწყემსწინაც უნდა მიუძღვოდეს, რომ ქენს თავი გაუხაროს, გეზი უჩვენოს და გზა სწორად გაატანინოს. გარდა ამისა, ქურდსა და ნადირზეც თვალი უნდა დაიჭიროს, მაგრამ რაკი ზაზამ ჯერ გზა-კვლიც არ იცოდა და სხვა კი არავინ იყო, მარტილომ ეს ტვირთიც გიგოს და ელიზბარას აჰკიდა.

— აბა, ბიჭებო, თქვენს გაზრდას, — უთხრა წასვლისას, — ერთი თქვენებურად გაუარეთ, ყოჩაღად. ნოტო არ აგვისხლტეს, ან ნადირი არსად დაგვეცეს.

ეს „გასაზრდელი ბიჭები“ უკვე სამოც წელს გადაცილებული კაცები არიან, მაგრამ საქმეში, როცა საჭიროა, წელთა სიმრავლეს აღარ იმჩნევენ. აგე, ახლაც, მგლური ძუნძულით მიმორბიან აღმა-დაღმა, ძვრებიან სველ, თქორდაყრილ ეკალ-ბარდში, მიჰკივიან, მიუსტევენ და ფარას გაფანტვის ნებას არ აძლევენ. ჯერ-ჯერით გადიან წინ, ქეჩებს გზაზე შემართავენ და ჩქარი ნაბიჯით ისევ ბუნქნარიან ფერდობებს მოდებულ ცხვარ-ბატკანს უბრუნდებიან.

— ბეე, ბაა! — ბლავის გათოშილი ცხვარ-ბატკანი.

— ჩი-ჰეე, რრრრრრ! — მიჰკივიან მეცხვარეები და თან ერთმანეთსაც გასძახიან, ეხმიანებიან:

— ელიზბარო! გიგოო!

— აჟა ვარ, აჟა!

— მეც აჟა ვარ!.. ქეჩი რას შერება, ქეჩი?

— მიდის, სწორად მიდის! ეს-ეს არის, შეემართე.

— ჰოდა, ახლა მე მივხედავ, შენ ბოლო დაუარე!

— ჩი-ჰეე! რრრრრრ!.. მგლის კერძო, დათვის ვახშამო!.. სსიუ-სსიტ! გაიგონებს მარტილო მწყემსების

ძახილს და გასამხნევებლად თვითონაც ხმას მიაწვდენს:

— ეგრე, ბიჭებო, ეგრე!.. ჩვენც აქა ვართ, აი! ყველანი აქა ვართ!

ჯანღი სულ უფრო მკვრივდება, წინ, ორ ნაბიჯზე აღარაფერი ჩანს: სად არიან თვითონ ან ცხვრები — ამას გაძახილ-გამომძახილითღა იგებენ. ქრის ცივი, სუსხიანი ნიავე და თოვლნარევი ღვართქაფივც სულ უფრო მატულობს. ბრეზენტის ბაჭკოები ხის ქერქივით გახრიოკდა, მიწა დაღბა, ატალახდა და სიარული გაჭირდა. უფრო ჩვილი ბატკნები და ჯანდაგი ცხვრები მოდიდებულ, მღვრიე რუბებზე უკვე ხელით გადაპყავთ. მარტილო დაიდუნება და გაკრკრემებული თავსაფრის ნაკეციბიდან წყალი თქრიალით ჩამოვლვრება. ჰალარა უღვამსა და ბუჩქა წარბ-წამწამზე ოფლის ხშირი თქორი დასდებია, დაღლილს სუნთქვაც უქირს, მაგრამ ხალისს არ კარგავს, ნაოკიანი სახე უღიმის და ცისფერ თვალებში მხნე შუქი უკრთის. ცხვრებს ახალგაზრდულად დასწყვივის და ზაზასაც ამხნევებს:

— ძნელია, მეცხვარეობა, აი, ძალიან ძნელია, მაგრამ ბიჭობაც ეს არის. წიგნშიც ზომ ეგრე გიწერიათ; ჰირსა შინა გამაგრებო! ჰოდა... ეგ არი, აი! ზაზამ დრო შეუტრია და ჰკითხა:

— ძია მარტილო, რა არის საჭირო, რომ კაცი კარგი მეცხვარე გახდეს?

— ძალიან ბევრი და ძალიან ცოტა! — ჭარაგმულად მიუგო მარტილომ.

— მაინც, — ზაზამ ჯოხი იღლიაში ამოიღო და გათოშილ-გალურჯებულ თითებზე დაიორთქლა.

მარტილო მთელი ტანით შემობრუნდა, ცისფერი თვალებით ზაზას ხანგრძლივად დაამტერდა და კვლავ მოკლედ მოსპრა:

— გული! კაცური გული და სიმამაცე! გული საქმეს უნდა, სიმამაცე — შენ, რომ გასაქირში არ გატყდე, არ შეშინდე, აი, არ დაძაბუნდე. უგულო მწყემსა ცხვარს დაღუპავს, ლაჩარი — თავის თავს და საბოლოოდ ორივე დაღუპულია. ეგ არი, აი! — ცხვარს რუ-

ზე გადასვლაში ხელი შეაშვედნა. რუსი გალმიდან ისევე შემობრუნდა და მხარეს მალლა გამოსძახა: — ჰოდა, იცოდე!.. თუ მეცხვარეობას ბოლომდე აპირებ... აქედანვე, აი, ამთავითვე!

## 2

მკვრივ, მღვრიე ბურუსს მზის გადახრა რომ დაეტყო, მეცხვარეებმააც უწიეს საყორნის გორს. კარგ ამინდში, ალბათ, პირიქით გადასვლასაც მოასწრებდნენ, მაგრამ ახლა საამისოდ არ ეცალათ. ასეთ ამინდში ბინას ჰაიპარად ვერ დაიდებდნენ. ადგილი საგანგებოდ უნდა შეერჩიათ, თავიანთვისაც და ცხვრისთვისაც, ყოველმხრივ ხელსაყრელი, მოხერხებული — უშიშარი, მყუდრო და შეშინ-წყაროიანი. შეშა ბლომად უნდა მოეზიდათ, რომ ფარის ირგვლივ ჩვილი ბატკნების გასათბობად რამდენიმე კოცონი დავანთოთ. ეს უპირველესი საზრუნავი იყო ახლა და არ ელაღატებოდა. ფარის ირგვლივ სამგლე ადგილებიც ფიჩხით უნდა ჩაეხერგათ. ძაღლის ჭერიც უნდა მოემზადებინათ, სახედრებისათვის მიეხედათ და სანამ ბინას დაიდებდნენ, დაისადგურებდნენ, ცხვარსაც ზომ მოვლა სჭირდებოდა. და ყველაფერი ეს ოთხ კაცს — გათოშილს, დაღლილ-დაჭანტულსა და ფეხის ფრჩხილებამდე გალუმბულს — უნდა გაეკეთებინა, მოესწრო.

ადგილის ძებნა დიდხანს არ დასჭირვებიათ. მარტილომ კარგად იცოდა ვანხევისაკენ წაწვდილი სერის გრძელი კიღური, რომელსაც თავიდან ბოლომდე ასწლოვანი წიფლების მწკრივი გასდევდა და ძირს დაცემულ ვაკე ტაფობს მალლიდან ქვიტყირის გალავანივით დაჰყურებდა. აქ ჭარი ვეღარ სცემდა და სასამელი წყალიც ახლოს იყო — კიღურის ზედა დავაკებაზე, სულ ახლახან აყრილ ნასოფლარში, რამდენიმე ადგილას კოდის წყაროები ამოჩუხჩუხებდა. მაგრამ ყველაზე დიდი სიკეთე მაინც ის აღმოჩნდა, რომ ჭარს ერთი ორყბა წიფელი შუაზე გაეხლიჩა,

ერთი ნახევარი ტოტიან-ნაწვერალიანად კიდურის ძირას ჩაეჩხება და შეშად ექცია. მართალია, მთლიანად ვერ ეყოფოდათ, მაგრამ ჯაფას კი შეუმსუბუქებდა და შეღავათსაც საკმარის მისცემდა.

ბინა სწორედ ამ ჩაჩხილ ხესთან დაიდეს. სახედრებს ბარჯი ჩამოხსნეს, კეხებიც მოხადეს, ქეჩის თოქალთებზე მოსართავეები გადაუჭირეს და მარგილები დაუტყვეს. მარტილომ პრელი ხურჯინიდან საგზაო ტიკვორას ამოაყოფინა პირი, ხურჯინის იმავე თვალში ასგრამიანი მოზერის ყანწიც მონახა და თითო ცინცხალი ჰაპა ყველას გადააკვრევინა, ბოლოს ერთი თვითონაც გადახუხა და ტიკვორა ისევ ხურჯინში ჩააბრუნა.

— აბა, ბიჭებო, ახლა ერთიკ კიდევ გაეჭირვოთ, ერთიკ და... სულ ეგრე კი არ იქნება, გამოიღარებს.

სამოცი წლის ბიჭებმა ტარმოკლე ნაჯახები მოიღარჩვეს.

— ცხვართან რომელი დავრჩეთ? — იკითხა გიგომ და მარტილომ შეხედა. ელიზბარამაც მარტილოს შეხედა. ახლა ცხვართან დარჩენა და აბოჯირებულ-აწრიალებული ფარის შეკავება ყველაზე სარისყო საქმე იყო და იგი სარქალს უნდა გადაეწყვიტა. მარტილომ ზახას გახედა და წყნარად თქვა:

— ფარას ახლა ძალიან ფეხმარდი, მუხლმაგარი და გულადი ბიჭი უნდა.

გიორგიმ და ელიზბარამაც მზერა ზახასკენ გააპარეს. ზახამ იგრძნო უფროსი ამხანაგების საეჭვო თვალთვალი და გაბედულად თქვა:

— მე დავრჩები!

— რომ გაეჭირდეს? — უფრო გამოსაცდელად ჰკითხა ელიზბარამ.

ამ კითხვამ ზახა, ცოტა არ იყოს, შეაერთო, მაგრამ რაკი თქვა, უკან აღარ დაიხია:

— არ ვიცი... მაგრამ დავრჩები.

— ეგ არი, აი, ეგა! — მოუწონა მარტილომ, — უნდა გაიჭირვო. გაუჭირვებლად არაფერი ისწავლება, — ტალახიანი ფეხები დაიბერტყა, — არც

რამე გაკეთდება, — დაუმატა ბოლოს და სისველისაგან გაფხტოკვებულ საწვიმარი ამოიკვალთა, ნაჯახიც ჰამარში გაიყარა, დახუთული მკლავები რამდენჯერმე ჰაბუკურად გაშალა და გიგოსა და ელიზბარას ძენძულთ აედევნა. თან ხმაილლა ლექსი წაიკაფიავა: როსტომ თქვა, — სიბერეკაცითა სიტყვა სათქმელად გაჭირდა, ჯაჭვი პერანგად გავცვითე, ახლა აღება გაჭირდა.

დაბინდებამდე ყველაფერი მოასწრეს: ტაფობის ოთხივე კუთხეში შეშის ყონდები ააგეს და მათარებით სასმელი წყალიც მოიმარაგეს. ზახამაც აასრულა დანაქანები. მართალია, გაუჭირდა, ძალიან გაუჭირდა, — ორი საათი სულ მოუთქმელად ირბინა აღმა-დაღმა, იკივლა, იყვივლა, იძრომილა ტყე-ბარდში, მაგრამ გაუძლო, კარგად გაუძლო და ქანცაფყვეტილმა და აქოშინებულმა ორიათასსულიანი ფარა ტაფობში უღანაკარგოდ შემორეკა.

ცხვარი დადგა. მწყემსებიც დადგნენ. ჩაჩხილ წიფელთან ცეცხლი აანთეს, და ძაღლები დააბურეს. თვითონ ისევ ფეხზე წაიყვანა. ყველა და პურს სახლებიდან წამოღებული ცივადმოხარული ქათმის ხორცი მიაყოლეს და თითო-ორთარი ჰაპაც კიდევ გადაჰკრეს. შეთბენ, შესურდნენ, სახსრებში გაიშალნენ და ალაპარაკდნენ.

— ახ, რა იქნებოდა ახლა თბილი ლოგინი... — ინატრა ელიზბარამ. მარტილომ უღვაშებში ჩაიკინა და თვალმოშუტულმა ცერად გახედა:

— სხვა რამეც ხომ არ მოგინდა? აბა კარგა დაფიქრდი.

— რატომ არ მომინდა, რა, შენსაკვით ბებერი კი არა ვარ.

მარტილომ უფრო უმატა ხითხითს: — აბა, ერთი იმ შენს კვრივ ნათლი-დედასთან გადამიყვანე და... მერე ჰკითხე, აი, მერე.

— ძალიან უტრიალებ ჩემს ნათლი-დედას, ბებერო, მაგრამ არაფერი გამოგივა.

— ეხ, ძაო, — ამოიოხრა გიგომ, — რა გინდა რა თქვით და... მწყემსის

ყოფა მაინც დაწყევლილია. ხალხს ჰერ-  
ქვეშ სძინავს, თბილ ლოგინებში წვა-  
ნან და ჩვენ კი აი სადა ვართ, რასა  
გვევართ.

— გაჩუმდი, ბალო, — გაუწყრა  
მარტილო, — დაწყევლილი თუა, და-  
ლოცვილიც არის. აბა ხეაღე ნახე, ჯერ  
გადავიდეთ იქა, ამის ნათლიდელათა-  
ნა... ეგ არი, აი!

— გადახვალ, თორამ ქადა-ნახუქი  
და ბუმბულის დომეკები არ დაგიხვედ-  
როს — უთხრა ელიზბარამ.

— რატომაც არა, რა, ჩემზე კარგს  
ვის დაახვედრებს. — მიუგო მარტილომ  
და მესამე ყანწი მიაწოდა. ელიზბარა  
წინ წამოდგა და ქანწი მალა ასწია.

— მაშ, გაუმარჯოს თბილ ლოგინს...

— თბილ ლოგინს და... ლამაზ ქალს,  
— ჩაურთო გიგომ.

— ჰო, იმასაც, — დაეთანხმა ელიზბა-  
რა და ორივემ ხმამალა გაიცინეს.

— გაჩუმდით, თქვე ღმერთგამწყურ-  
ლებო, — დატუქსა მარტილომ, — ბა-  
ლისა მაინც შეგრცხვეთ.

— ბაღმაც უნდა ისწავლოს...

— ჰო, უნდა იცოდეს, გაიგოს...

— აბა, როდისღა?

— რაკი ჩვენ ფერხულში ჩადგა, ქუ-  
დიც ჩვენებური უნდა დაიხუროს.

ზაზა გაოცებული შეჰყურებდა მეც-  
ხვარეებს, უზომოდ უკვირდა ქალბა-  
კაცების ასეთი სიმხნევე და დაუჩივ-  
ლელობა — არც კმუნეა, არც წუწუნია,  
თითქოს უხაროდათ კიდევ, რომ ასე-  
თი ავი ამინდი დაუღვათ უკვირდა  
ისიც, რომ მათს გვერდით თავს თვი-  
თონაც მხნედ გრძნობდა, მათსავით ხარ-  
ხარებდა და თავიანდაქნებურად სიტყ-  
ვა-მასუხშიც ბამავდა:

— ჰო და ჰო, აბა როდისღა? უნდა  
ვიცოდე, მაშა, ვისწავლო....

მწყემსებმა ვახშამი მოათავეს, ცეც-  
ხლების ასანთებად თითო ნაკვერჩხ-  
ლიანი მუგუზალი წაიძვანინეს და თე-  
რებზე გაიკრიფნენ. ზაზამაც უფროსებს  
მიბამა, — გაღვივებული მუგუზალი  
აილო და თავის საგუშაგოზე გავიდა.  
მარტილომ, როგორც თავჩობანმა, თე-

ოზე გასვლის წინ ყველანი ერთხელ  
კიდევ გააფრთხილა.

— აბა, თქვენ იცით, ბიჭებო, თბი-  
ლად იყავით და... შეშა დაზოგეთ, აი,  
შეშა. შუალამემდე არა გვიშავს, შუალა-  
მიდან კი ყინვა იმატებს და ნადირიც  
უფრო მაშინ იტანება.

3

მალე ფარის ირგვლივ სამი კოცონი  
კიდევ აინთო. ზაზას ზედა მხარეს უწია  
მორიგეობამ, მარჯვნივ და ქვემოთ  
ელიზბარა და გიგო იდგნენ. ცხვარ-ბატ-  
კანი ცეცხლს მიეფიცება და საცობარი  
ამოივლო. ელიზბარა და გიგო ჯობებ-  
ზე ჩამოეყრდნენ, სიგარეტებს მოუცი-  
დეს და წვიმას რომ არ დაესველებინა,  
მხრებში წალუნულები ეწეოდნენ. თო-  
კლნარევი წვიმა კვლავ გაბმით ასხამ-  
და. ტულაშენობდა საწვიმარზე, ნაკე-  
ციებიდან ღვარად დიოდა და ახლად  
გაღვივებულ ნაკვერცხალში შიშინებ-  
და. სველი შეშაც გაბმით შხიოდა.  
დროდადრო ცივი ქარი წამოთებრავ-  
და, ჯაფრიანად გაისისინებდა ხის ტო-  
ტებში და კოცონის თავზე დაკიდულ  
პოლურჯო კვამლს მზრალ, უფერულ  
ბურუსში არევედა. ფარაში ხან აქ, ხან  
იქ ძილგამკრთალი ბატკანი წამოიბლა-  
ვლებდა. ან ძალლი დაიყვებდა და  
იმავე წამს მარტილოს ძახილიც გაის-  
მოდა:

- ფეხზე ხართ, ბიჭებო?
- ფეხზე ვართ, ფეხზე?
- ძილი ხომ არ მოგვრიათ?
- ჯერ არა!
- ზაზა რას შერება?
- მღვიძავს, ძია მარტილო, მღვიძავს,  
არ შეძინება!
- ეგრე, ბიჭებო, აი, ეგრე! მეც ეგრე  
ვარ!

მიწყდებოდა ძახილი, ბატკანიც გა-  
ყუჩდებოდა, ძალლიც და გაზაფხულის  
გრძილი, ჯანლიანი ღამე კვლავ თავსხმა  
წვიმის გულის გამაწვრილებელ ხმაურ-  
ში გაირინდებოდა.

ასე გაგრძელდა შუალამემდე შუალა-

მისას წვიმა შეწყდა, ნისლი აიკრიფა და განთიადის წინ მელნისფერი ვარსკვლავიანი ცაე გამოჩნდა. სიცივემ იძალა, ჩაწოლილ-ჩათბუნებული ფარა აიშალა და მიმოდენა დაიწყო. მწვემსებსაც შეამცივნა და ძაგძაგი დააწყებინა. ბინაში გავიდნენ, სველი საწვიმრები გაიხადეს და მშრალი ნაბდები წამოისხეს, ისევე უკან, თეოზე დაბრუნდნენ და აკანკალებულები მბეუტავ კოცონებს მიეფიცხნენ.

სითბომ თვლემამ მოკვავარა და ძილი მოანდომა. ძალლი აღარ ყეფდა და აღარც მარტილოს გამაფხიზლებელი ძაბილი ისმოდა, ეტყობოდა, სითბომ და ნასიციერობამ იმასაც ხელი დაპრია.

იტყვიან, განთიადის წინ ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვავ, მაგრამ მეცხვარეთა ბანაკს ყველას წილ-ხედრი ეს წამიერი სულის მოთქმაც არ დასცალდა. ქვედა მხარეს, სადაც ელიზბარა დარაჯობდა, გაყუჩებულ ცხვარ-ბატკანს უცხად თითქოს მეხი დაეცა, — აიშალა, აირია და აბღავლებულ-აბოყირებულ ფარის შუაგულისაკენ გაიდვარა.

აყეფდა ძაღლები და იმავე წამს ელიზბარას ყვირილიც გაისმა:

— ჰა-ჰაიტ, შე პირძაღო! დააგდე, დააგდე-მეთქი, — გაგიწყრა ღმერთი! — და ყვირილ-კივილით აყეფებულ ძაღლებს გაეკიდა.

ელიზბარას გიგომ და მარტილომაც ხმა მისცეს, ავიღდნენ და ჯონშემარათულები ფარის ბოლოსაკენ დაეშენენ. ზაზამაც ჩაირბინა. ელიზბარა სადღაც ტყის სიღრმეში ყვიროდა, მარტილო და გიგო აქედან გაკოცდნენ. მერე ყვირილი შეწყდა, აღარც ყეფა ისმოდა. გიგომ ელიზბარას ნაბადი აიღო, გვერდზე გადადო და მიმქრალ კოცონს წვრილი ჩინჩხვარი დააყარა.

კოცონი აინთო, აპრიალდა და ფარის ერთი ნაწილი გაანათა.

ფარა თანდათან დალაგდა. ბატკნები დაწყნარდნენ. დედაცხვრებს კი თვალეზში ჭერ ისევე შიშის ელდა უკრთოდა, პირით ტყისკენ შებრუნებულები

ატრეციით იდგნენ და კერპისფერ უკუნს დაძაბული მოლოდინით ამტყუნებოდნენ.

გიგომ იტყვიან

ცოტა ხნის შემდეგ ძაღლები და ელიზბარა დაბრუნდნენ. ელიზბარას თავპირი ჩამოსტიროდა და ნაწყენი და ნარბენალი მიმედ ქშინავდა ძაღლებიც დაღლილები ჩანდნენ, თითქოს მარცხსაც გრძობდნენ, ყელში ნელა ღრინავდნენ და დარცხვენილები პატრონებს თვალს არიდებდნენ.

— წაილო? — ჰკითხა მარტილომ.

წაილო, — ქშენით უპაუხა ელიზბარამ.

— დედაცხვარი თუ ბატკანი?

— დედაცხვარი... ჩემი თვალით დავინახე. — გვერდზე გაიხედა და გაჯავრებით დაუმატა, — ცხვირწინ ამაცალა და როგორ არ დავინახავდი!

— ასჯერ მითქვამს და აი, კიდევაც ვამბობ, — აყვირდა უცხად მარტილო, — არ შეიძლება-მეთქი ორიათასსულიანი ფარა ორი ძაღლის იმედით, არა გაგონილა, ეს გაგონილა? ბულალტერს ჭერი ვერ გამოვაწერიან... ძაღლებს შენახვა ისედაც ძვირი გვიჯდებაო, ზედმეტ ხარჯს მოითხოვსო და... ჯანდაბა და დოზანა! ვითომ ხალხის დოვლათს უფრთხილდება, ზოგავს რაღა, — მაგრამ ვისთვის?

მარტილო როგორც უცხად გაწყრა, ასევე უცხად დაწყნარდა, ელიზბარას მხარზე ხელი მოჰკიდა, შეანჯღრია და სიცილით უთხრა:

— რა თავპირი ჩამოგტირის, ბიჭო, წაილო და ღმერთმა შეარგოს! იმას კი რა, ჰამა არ უნდა? მა რა ქნას? განა იმან კი ჩვენსავით ფარის ირგვლივ არ გაატარა ეს ღამე — იწვალა, იშრომა და... თავისი გასამრჩელო წაილო. ეგ არი, აი! ჩვენც მოგვასვენა და თავისი თავიც, ახლა თუნდა დავწყვეთ და დავიძინოთ, ის აქ აღარ მოვა.

— იქნებ სხვა მოვიდეს? — იკითხა ზაზამ.

— არ მოვა, რომ ყოფილიყო, აქამდე მოვიდოდა, ერთად მოვიდოდნენ. ასეთ დროს შეერთება იციან და ნადავ-



ლსაც სწორად იყოფენ... ასე რომა, ვი-  
საც ძილი ვინდათ, დაიძინეთ.

ძილი ყველასაც უნდოდა, მაგრამ  
დრო აღარ იყო. ცის კიდურს უკვე  
იისფერი მოეძალა და რიყრავის მეწა-  
მული ბზარიც დააჩნდა. ტყე-ბუჩქნარი  
ვასინათლდა. ხელპირის დაბანა, საუბ-  
მე, სახედრების დაბარგება და მზეც  
ამოვიდოდა. ცხვარი თვითონ გაქეჩავ-  
და თავის თავს და მწყემსებიც კვალში  
უნდა ჩასდგომოდნენ.

ყველაფერს რომ მორჩნენ, ფარაც  
აიყარა. ცხვარ-ბატკანი ბლაველითა და  
ზორკებით დაიძრა ტაფობიდან. უდე-  
დოდ დარჩენილი ბატკანი გაბმით და  
შესაბრალოსად ბლაოდა. მასთან ერთად  
კიდევ სხვაც ბლაოდა, მაგრამ რა აბ-  
ლაელებდა, ვერ იგებდნენ. მხოლოდ  
ნაშენ მიხედნენ, როცა ფარა მთლიანად  
ვაიკრიფა ტაფობიდან და ნასადგომარ-  
ში მიწაზე დაგდებული დედაცხვარი  
დაინახეს.

ცხვარი გვერდზე ეგდო, თავი მკერ-  
დთან ჰქონდა ჩამოვარდნილი და შო-  
რიდან გაღვერილ-გამვალტყავებული  
და ტალახით დასერილი ნეკნები მოუ-  
ჩანდა. მწყემსებს ცხვრის ფეხით გათ-  
ქერილი ეგონათ, მაგრამ ახლოს რომ  
მივიდნენ, ისიც მგლის ნაგეში გამოდ-  
გა. ყანყარათ მთლიანად გამოგლეჯილი  
ჰქონდა, ნაკბილარებიდან გაცრეცილ-  
გაუფერულებული სისხლი მოწვეთავდა  
და დამბალ მიწას შავად ალაქავებდა.

— ჯერ ამისთვის გამოუტყრია ყელი,  
— თქვა ელიზბარამ, — მაგრამ აჩქა-  
რებულს ისევე დაუგდია და სხვა წა-  
ულია.

— ახლა რა ვუყოთ? — იკითხა ვი-  
გომ და მარტილოს შეხედა.

— რა კითხვა უნდა. ზორცი ამას არ  
უვარგა. ტყავი შევინახოთ და ზორცი  
ძაღლებს ვაჭამოთ.

ქარქაშებიდან ურსა დანები დააძრეს  
და თვალის დახამხამების უმალ შემო-  
ატყავეს. ტყავიც და ზორციც ვირებს  
აკიდეს. ფარიდან დაობლებული ბატ-  
კნები გამოიყვანეს და ადრეულა, უფ-  
რო თამამი ბატკნების დედებს დააწო-

ვეს. მერე მარტილომ ბატკნები თექის  
შიგნით, უბეში გადაისხა — ერთი მარ-  
ჯენიც, მეორე მარცხნივ, დაჯახა გაუდ-  
გნენ.

მთას რომ გადახდნენ, მზეც ამოვი-  
და. უჯარმის მზრიდან ნატყორცნი და  
გორებს შუა ბრტყელ ზოლად შენოქ-  
რილი ოქროცურვილი სხივი მარშა-  
შივით გამოეფინა ქალას და მთელი  
ხეობა დაფარა. ბალახზე ნამი აციმციმ-  
და, ნაწვიმარი მიწა თითქოს შეიშმულა,  
თვალი გაახილა, გაიშალა და ამოძრავ-  
და: ჩიტები აეიფევიდნენ, ბორა-ბუხა-  
ნკალი აიშალა, ბატკნებმა ისევე ლაღად  
და მსუბუქად შეიკუნტრულეს და ახ-  
ლად გაშლილმა, წვიმისაგან თავდახრი-  
ლმა ყვავილებმაც პირი კვლავ მზისკენ  
იბრუნეს.

მარტილომ გიგო გვერდით ამოიყენა  
და იორს გაღმა, ერთურთს წაბმული  
სოფლოვანისაკენ გაახედა.

— აბა, აგე, გახედე! რა შედარება  
აქ ყოფნას და ამ ნაკურთხი მიწის ცქე-  
რას? ახლაც იტყვი, მწყემსის ყოფა  
დაწყველილიაო?

მდინარის ორივე მხარეს მწვანე ტყე-  
ბუჩქნარის არშიამოვლებულ ყანებს  
თეთრი მსუბუქი ორთქლი ასდიოდა.  
შუაზე ივრის მოლილისფრო, ჩქერალი-  
ანი ზოლი მიიკლავებოდა, შორს, ტყე-  
ანი გორების მიღმა წუხელ დაყაყუ-  
ლი კავკასიონის მწვერვალები წამო-  
მართულიყვნენ, ხოლო მაღლიდან მწვე-  
რვალებსაც და „ნაკურთხ მიწასაც“ ასე-  
თივე ნაკურთხი, ღრუბლის ქერკვით  
მოზარნიშნული ლაევარდი დაჰყურებ-  
და.

— ჰა, აბა, ეხლა რაღას იტყვი?

— კარგია, — გამოტყდა გიგო, —  
რაც კარგია, კარგია, — ხელი დათოფ-  
ლილი მწვერვალებისაკენ გაიშვირა და  
დაუმატა, — მაგრამ აი, იქ ჯობია.

— ჰოდა, ეგ არი, აი!.. ერთი ღამის  
გაჭირვებამ ყველაფერზე აუგი არ უნ-  
და გათქვევინოს.

ღიშნარევი საყვედურით უთხრა მარ-  
ტილომ და აჩქარებული ქვევით, მდი-  
ნარის მაღალ კიდურზე გასული ცხვრე-



ბისაყენ წავიდა, რომ შემოებრუნებინა და წყალში არ გადაცვენილიყვენ. ცხერებს ბოლო გაუარა, ზოგს ხელით, ზოგს მუხლით უბიძგა და ხიფათს აარიდა, მაგრამ მარცხი აქ თვითონ შეემთხვა, ჯიკავ-ჯიკავში მოლინჭულ მიწაზე ფეხი დაუსხლტა, ტანი ვეღარ შეიმავრა და მოწყვეტილი კიდურს-მომღვარ მღვრიე მორევეში ჩაეშვა.

ეს ძალიან სწრაფად და მოულოდნელად მოხდა. მოშავო, არდოლაგი წყალი მარტილოს მხრებამდე შემოსწვდა და ზედაც გადაუარა. საბედნიეროდ მარტილო არ დაიბნა და პირველი წუთიდანვე თავი ხელთ იგდო. ცალი ხელი მკერდზე იტაცა, რომ ბატკნები არ გადმოვარდნოდნენ, მეორით ჯოხი დაიბჯინა, ტანი გაიმავრა და დინებას ბარბაც-ბარბაციით გამოჰყვა.

— არ შეშინდე! არ დაიბნე! — უკიოდნენ გიგო და ელიზბარა და მდინარის ნაპირ-ნაპირ თავქვე გარბოდნენ. ზახაც მათთან გარბოდა, მაგრამ რა გაეკეთებინა არ იცოდა, ჯერ ვითომ წყალში გადახტომა დააპირა და თქვამს კი გაიხადა, მერე უაზრობად მოეჩვენა და გადაიფიქრა. მარტილოს რატომღაც თვალს არიდებდა და თავზარდაცემული უფრო აქე-იქით იყურებოდა.

მარტილო ხან ყელამდე ჩაიმაღებოდა წყალში, ხან ამოტყეტივდებოდა და ნეშომპალით დასვრილი მხრებიც ისევ გამოუჩნდებოდა.

— ნუ გეშინია, აქა ვართ!.. არ წაიქცე! გაუშვლი, გამაგრდი! — ჩასძახოდნენ კვლავ გიგო და ელიზბარა და თან წინ გარბოდნენ, რომ ჩასაკეტად სამარჯვი ადგილი შეერჩიათ. ბოლოს იპოვეს მდინარის უფრო დაბალი კიდური და ჩაკვეთურზე ჯოხები გადაუწყეს.

— გამაგრდი!.. ცოტაც, ცოტაც!.. აქეთ ეცადე, აქეთ!..

მარტილო მართლაც ცდილობდა, მღვრიე ტალღა აქეთ-იქიდან ძლიერად აწყვდებოდა, მაგრამ წონასწორობას არ კარგავდა. გრძელ ჯოხს ორთავიერივით მოიქნევდა და დინებას ხერხიანად მოჰყვებოდა. კიდევ კარგი, ნაღელიც

აქეთ სცემდა, თორემ შუაგულისყენ რომ გაეტაცნა, ვინ ეცქერებოდა. ასე ბარბაც-ბარბაციით კიდურს იქნა, კიდურამდე მოაღწია და ელიზბარას ჯოხს მოეჭიდა. თავისი ჯოხი გიგოს შემოაწოდა და კიდურზე მუხლუბით შემოფოფხდა.

ელიზბარამ და გიგომ მხრებში ჩაჰკიდეს ხელი, წამოაყენეს და აქეთ-იქიდან ამოუდგნენ.

— ღმერთო, ღმერთო, ეს რა დაგვემართა, — ვიწვიშებდა ელიზბარა, — მონიკედეს თავი... რას გადავრჩით, რა ჩარჯებს გადავრჩით...

წიშისა და სიცივისაგან მარტილოს პიელი ტანი უთრთოდა, გაყვითლებულ-გადაფითრებულ სახეზე ცვაოცლის მსხვილი გუგუმი დასდებოდა, დაღლილ ფეხზე დგომაც უჭირდა, ჩქქქის ყვლებიდან წყალი ბუყბუყით ამოსდიოდა და გაბერილი შარვლის ტოტები ნელ-ნელა ეფუეკებოდა. ავანკალებულ, ფერდაკარგულ ხელებს უბიდან თავგამოყოფილ ბატკნებს უთათუნებდა და დაბნეულად, ნაძალადევად იღიმებოდა:

— ანათი ჯავრი მქონდა, აი... ყინულივით ცივია და... ვერ გაუძლებდნენ. მე გავლალე, ესენი ვერა... პაწაწინები არიან... ოზლუბი, ალუები...

— ოხ, ოხ, რა დროს ეგ არის — ბატკნები... კაცი სიკვდილს პირიდან გამოგტაკეთ და! — გიგო და ელიზბარა განოერკენენ და დაფაცურდნენ. ბატკნები უბიდან ამოუსხეს და გაუშვეს. მერე ჩალუმპული ტანსაცმელი გახადეს, დედიშობილა ნაბაღზე დასვეს და ჩაცმითაც თავისივე ხელით ჩააცვეს, — მშრალი საცვლები, შარვალ-ხალათი, წინები. თქვამს მშრალი წამოასხეს და ვასასურებლად ერთი არაყიც გადააყვრევენ.

— ერთი კიდევ დამისხით და თითო თქვენც დალიეთ, — ღიმილით უთხრა მარტილომ — გადარჩენა მომილოცეთ.

— ახლა როგორა ხარ? თავს როგორ გრძობ? — ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ ელიზბარამ.

— არა მიშავს,... ახლა არა მიშავს,  
 — მარტილო წამოდგა და გაიარ-გამო-  
 იარა. — მაგრამ აი, ღონე აღარა მაქვს.  
 — ისევე ნაბაღზე დაქდა და შემღვრეულ  
 მდინარეს გახედა, — ღონე წამართვა,  
 წყვეულმა.

შიშის ელდამ გაიარა. მარტილოს  
 ფერი შოეცა. გიგო და ელიზბარაც დამ-  
 შვიდდნენ. ცოტა არაყმაყ გასქრა და  
 სამთავეს ოხუნჯობა მოაწადინა. თავის  
 პარცხზე პირველმა თვითონ მარტილომ  
 გაიცინა, თევზები დაეფრთხეო:

— ისე გაფრთხნენ, აი, ისე, რომ ერთ  
 თვეს ამ მორევეს აღარ მიეყარებოიან.

— არა, ძმაო, — უთხრა ბოლოს  
 ელიზბარამ, — კაცი რომ დაბერდება,  
 ცხვარში აღარ უნდა დადიოდეს... თო-  
 რემ ავე, რა მოგივიდა, — ცხვართან  
 წახვედი და წყალში კი მოადინე ტყა-  
 პანი. ჭანი აღარა გაქვს და აღარც  
 ფილფო მოგდევს.

ელიზბარას ნათქვამი გიგომ უცბად  
 ლექსად გარდაქმნა და თვალმოკეტულ-  
 მა ქილიკი ხმით წაიკაფიავა:

— მარტილო ცხვართან გაიქცა,  
 წყალში მოიღო ტყაპანი.  
 დაბერდა, ფილფო აღარ აქვს,  
 გაუწყდა მუხლის კპანი.

ელიზბარა თითქოს ამას ელოდა, მა-  
 რტილოს მეორე მხრიდან მოუარა და  
 ყურის ძირში მიუმღერა:

— შენ მწვემსად აღარ ივარგებ,  
 ძლივს ამოგთარეთ ზელითა.  
 კლდე არ გადაგვივარდვ,  
 უნდა დაგაბთ წნელითა.

მარტილო ჭერ იღიმებოდა, მერე უც-  
 ბად გაგულისდა, — არც ისე მიკირს,  
 რომ თქვენ დამჭაბნოთო, — მუხლებ-  
 ზე წამოიმართა და პასუხი ორივეს  
 ერთად მიუგო:

— აი, თქვენ ჭავრი, ელიბო,  
 რა მწარედ მსენავთ ენითა.  
 თქვენც მოგეწევათ სიბერე,  
 ნაბიჯით გავლევთ ძნელითა,  
 ღმერთმა ჩემდროთა მოგვაროთ,  
 მერე დაგხუთოთ წელითა.

ზაზას თავი სიზმარში ეგონა და

მეტისმეტი გაოცებისაგან ხმას ვერ  
 იღებდა. ჰმ, ბატყნები არ დასველდნენ  
 და არ დაცივდნენო?! თვითონ რომ იბ-  
 რჩობოდა... ან ეს გიგო და ელიზბა-  
 რა... რა აცინებთ? თვითონ ჭერაც გონ-  
 ზე ვერ მოსულა... განა ადვილია, შენი  
 თვალით უყურო, როგორ ილუპება ად-  
 მიანი? ესენი კი... თითქოს აღარც ახ-  
 სოვთ... იცინიან და ლექსაობენ. გეგო-  
 ნება არაფერიც არ მომხდარიყოს, თით-  
 ქოს წყალს ერთი ხმელი ნაფოტი წაე-  
 ლოს და არა ადამიანი... მართლაც, რომ  
 საკვირველი ხალხი ყოფილან ეს მეცა-  
 ვარეები...

4.

როგორც ფერმის გამგისაგან ჰქონ-  
 დათ ნათქვამი, არაგვზე უსათუოდ  
 ზეალვე უნდა გადასულიყვნენ. თვალთ-  
 ში დაგელოდებითო, უთხრა, სხვა ბრი-  
 ვადებიც იქ მოიყრიან თავს და მთისკენ  
 ყველა ერთად წახვალთო. თან ისიც  
 დაუბარა: თავმჯდომარეს ახალი მდი-  
 ეანი მოჰყავს, ჩვენი ფერმა უნდა დაათ-  
 ვალიეროს, ამ დღისთვისა ვარ შეპი-  
 რებულნი და არ დამალალატოთო.

მაგრამ ახლა აჩქარება აღარ ივარ-  
 გებდა. ერთი დღე-ღამის ავდრობამ ნა-  
 ზამთრი, დაჯანდაგებული ცხვარი ისე  
 დაასუსტა, დააბეჩავა, რომ უსასვენოდ  
 სიარულს ვეღარ შესძლებდა. საფიჭრა-  
 ლა იყო ისიც, რომ ჭიჭეთს იქით, სა-  
 არგავოსკენ, გზა ტყიან ჩრდილზე მი-  
 უდიოდათ, ჩრდილი კი ატალახებული  
 იქნებოდა და ჩვილ ბატყნებს სიარული  
 გაუჭირდებოდა. შეიძლება ცხვრებიც  
 დავარდნოდათ და უფრო ხანგრძლივ შე-  
 ფერხებულყვნენ. ყოველცე ამის გა-  
 მო ფარა ერთი დღით მაინც უნდა და-  
 ესვენებინათ, ხოლო დასასვენებლად  
 ამაზე უკეთეს აუგოლს ახლო-მახლო  
 სხვას ვერ მონახავდნენ — წყალიც  
 იყო, ბალახიც და შეშაც. ცხვარი მოძ-  
 ლებოდა, მოღონიერდებოდა, თვითონაც  
 დაისვენებდნენ, დაირეცხებოდნენ და  
 დილაზე გზას უფრო ხალისით და და-  
 უბრკოლებლად გაუდგებოდნენ. მარ-

ტილომ ასე გადაწყვიტა და გიგო და ელიზბარაც დათანხმდნენ.

მზემ აიწია, მოდღევედა და ჩამოცხა. ნამი აიკრიფა, ღედამიწასაც პირი შეუშრა და ცხვარმა უფრო გულმიდებით და ყინჩად მოძოვა. შუადღემდე მოძლა, დაშუროვდა და ბუჩქნარიან დაეკებაზე დაეყარა. ბატყნებიც მოიღალნენ ხტუნვა-კუნტრუშით და ღედებს მიუწვენენ.

მწყვესებმა წუხანდელი ნაწვიმარი ტანსაცმელი დარეცხეს და მზეზე გათინეს, ნაბდები, საწვიმარი ბაჭკოები და თქებიც გათინეს. ფშანზე და ხელ-ფეხი დაიბანეს და მშრალი ტანსაცმელი გამოიცვალეს.

ყველაფერს რომ მორჩნენ — დაისვენეს და თითო პაპიროსიც გააბოლეს, მარტილომ გიგო და ელიზბარა დაბაში გაგზავნა პაპიროსის, მარილის, ასანთისა და სხვა ამდაგვარი წვრილმანის საყიდლად. წასვლისას ელიზბარამ თქვა, ბარემ ჩემს ნათლიდედასთან შევივლით და ცოტა თუ შეგვაგვიანდეს არ შეწყუხდეთო.

— მერე, ნათლულებთან ასე ხელცარიელი მიდიხარ? — ჰკითხა მარტილომ.

— ხელცარიელი რად მივალ, ვიყიდი რასსეს.

— ეგ ჰო, მაგრამ შენი საკუთარი რა მიგაქვს?

— ჩემი საკუთარი — რა?

— რა და, ბატყანი!

ელიზბარამ იუარა, ჩემი მიზეზით წუხელაც ორი სული დაგვაკლდაო, მაგრამ მარტილომ არ დაიშალა, თვითონ შევიდა ფარაში, ყველაზე ქორფა ბატყანი გამოუყვანა და ხელში მისცა. — ნათლულები გაახარეო, — უთხრა და ტუქსევით დაატანა, — დაგვაკლდა რას ჰქვია? მეცხვარე კაცი ხარ და... სირცხვილია, — ხალხი, მეზობლობა გნახავს.

გიგო და ელიზბარა წავიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მარტილომ ზახას უთხრა:

— ისინი იქ ისადილებენ. ბარემ

ჩვენც დავნაყრდეთ, თორემ მერე ცხვარი აიშლება და ველარ მოვიცლით.

საგზალი ბრუნენტის ბაჭკოზე გაშალეს და წყლიანი მათარებიც გვერდით მოიდგეს. მარტილომ შოთი გატეხა, — ღმერთო უშველე ცხვარ-მეცხვარესო, — დაილოცა, შოთის ნახევარი ზახას მიაწოდა და დააყოლა:

— აი, ასეთია, ჩემო ზახა, ჩვენი მეცხვარული ყოფა: ავიც საკმაოა, კარგაც, ხან გვიკირს, ხან გვილხინს, ბევრი რამ კიდევ გვაკლია, მაგრამ... მინც ვართ, ვარსებობთ.

— მართალია, ძია მარტილო, რომ ამბობენ, საძოვრები გვაკლიათ? — ჰკითხა ზახამ.

— ვინ ვითხრა? — ყური ცქვიტა მარტილომ.

— წამოსვლის წინა დღეს, კანტორასთან, თავმჯდომარე ეუბნებოდა რაიკომის მდივანს, საძოვრები არ გვეყოფნის და ცხვარს იმიტომ ვერ ვამრავლებთო.

— ეგ ტყუილია! — გაჯავრებით თქვა მარტილომ.

— აბა, რატომ ამბობდა?

— ჭირდება და იმიტომ... აი, რატომ.

ზახამ დაბნევით შეხედა, მარტილომ განაგრძო:

— საძოვრების მეტი რა გვაქვს, რამდენიც გინდა! შენ სხვა რამე თქვი, თორემ... — და ცივად, უკმაყოფილოდ ჩაიცინა.

— სხვა რამე — რა? ცოტა მოგვიანებით ჰკითხა ზახამ.

მარტილომ თითქოს შეკითხვა ვერ გაიგონა, ისევ თავის აზრს გაჰყვა:

— ეს საძოვრები ორმოცი წლის წინაც ამდენივე გვეკირა, ცხვარი კი ორჯერ მეტი გვეყავდა. როგორ ჰყოფნიდა?

ზახამ ყურადღება დაიბაძა. უფრო ახლოს მიიწია, იდაყვზე დაეყარნო და სახეში მოლოდინით მიაშტერდა.

— გასწორდი! — ბრძანებასავით უთხრა მარტილომ და წარბეჭქვეშიდან მწყრალოდ გამოხედა, — რა წე-

სია სუფრასთან წოლა. განა რაკი მინდორში ვართ... პურს კრძალვა უნდა, ვაჟაკს კი თავი ველზეც ხელში უნდა ეჭიროს. — ლუკმას წყალი მიაყოლა და კვლავ სათქმელს დაუბრუნდა. — ჰო, მაშინ ჰყოფნიდა, ახლა აღარ ჰყოფნის. რატომ? იმიტომ, რომ არ ვუვლით, მიწა აღარ გვიყვარს, საჩვეწოდ აღარ მიგვაჩნია და... არ ვუვლით, პირიქით, ვაფუჭებთ. ათ სულს ასი სულის სამყოფს ვაფუჭებინებთ. თითქოს ბეგარას ვიხდიდეთ, ოღონდ გამოვრჩეთ რასმეს, გამოვგლიჯოთ და... სახვალისოდ აღარ ვფიქრობთ, მიწა კი ხვალაც გვინდა, ზეგაც და ასი წლის შემდეგაც...

— მერედა, რატომ არ ვუვლით? — ჩაურთო ზაზამ.

— ვინ მოუაროს? ახალგაზრდობა გარბიხართ მე და ჩემისთანებს კი, რაც გვაბარია, იმასაც ველარ ავუღივართ. ჩვენც წავალთ და... აღარც ეს იქნება. აი, წუხელ ღამე რომ გავათიეთ, ნასახლარები ზომ ნახე? იქ სოფელი იყო, — მხენელ-მთესველიც იყო, მესაქონლეს და მეცხვარეს. მიწას პატრონი ჰყავდა და საქონელიც იყო. დღეს აღარცერთი აღარ არის. რა იქნა ის ხალხი? სად წავიდა? არსად, აქვეა, მაგრამ იქ აღარ არის, სადაც უნდა იყოს. დღეს ერთი, ხვალ — მეორე. ზეგ მესამე და... დაცარიელდა. მიწა კი დარჩა, მაგრამ რა ყრია? — აღარც მტრისაა, აღარც მოყვრისა. ჰოდა... ეგ არის, აი! — ერთ ნაწილს მოუვლელობით ვაფუჭებთ, მეორეს გამოუყენებლობით და... ვავიძახით კი საძოვრები არ გვეყოფნისო.

— მაშ, ცხერის გამრავლებას რაღა უშლის ხელს? — ჰკითხა ზაზამ.

— გეტყვი. — მარტილმ იხვე მოსვა წყალი. ლუკმა გადაუღებდა და განაგრძობ, — ისევ ხალხის უყოლობა! ცხვარი, ალბათ იცი, საზამთრო საძოვრებზე მრავლდება, ბატკანი იქ იბადება. ჰოდა... აი, დაიწყო დოლი, მოდის ბატკანი, ხალხი კი არ არის. ზოგჯერ ათი, ოცი, ორმოცდაათიც, ერთდროულად

იგებს. მშობიარე ცხვარს კი კაციც გვერდით უნდა ედგეს, რომ დაბადებისთანავე ბატკანი დედას მოუსუნას და მოაწოვოს, თორემ დაიძვლება და... ბევრი კი არ უნდა, წუთი ჰყოფნის; დაუგვიანებს მოწოვას და მორჩა, მკვდარია... ჰოდა, გეკითხები, რა ქნას სამმა და ოთხმა კაცმა? რომელ ერთს გასწვდეს?

— ასეთ დროს ხალხი უნდა გეხმარებოდეთ, ასე როგორ შეიძლება? — გულუბრყვილოდ თქვა ზაზამ.

— ვინ დაგვეხმაროს თუკი არავინ არის?

— როგორ არ არის?

— როგორ და კარგად! თქვენა ხართ, ახალგაზრდობა და... აკი გეუბნები, გარბიხართ-მეთქი. სოფელი და სოფლის საქმე აღარ გინდათ, შეიძულეთ... ეგ არი, აი! მიღიხართ, ტოვებთ...

მარტილოს ხმაში აშკარა საყვედური გაისმა და ზაზამაც ცოტა არ იყოს, წყენით ჰკითხა:

— ხომ არის კიდევ ხალხი სოფელში? ჩვენს გარდა ხომ არის?

— არის, მაგრამ... არც არის!

ზაზა ნათქვამს ვერ მიუხედა და ისევ მოლოდინით შეხედა.

— ე-ეხ, შეილო და მამაც, — ამოთხვრით თქვა მარტილმ და ზაზას თვალი აარიდა, — ხალხი კი არის, მაგრამ რა ყრია. ცხოვრება გაადვილდა და ყველა უხესა და იოლ საქმეს ეტანება, ეგ არის, აი! გარჯა, ოფლის მოღვნა აღარაქვს უნდა. ცხვარი და დოლობა კი ისეთი საქმეა, რომ... სწორედ გარჯა და ოფლი უნდა: ვერც დაჭდები, ვერც თვალს მოხუჭავ. — თვიდან თვემდე და უფრო მეტიც და მთელი ეს გასაქირი ისევ ჩვენს კისერზე გადადის, მწყემსების კისერზე.

— ხელმძღვანელობის ბრალია, — თქვა ზაზამ წყენით, — ხელმძღვანელობა უნდა ზრუნავდეს, უნდა დაავალოს, ხალხს უნდა დაავალოს და გააკეთებინოს.

— კი, უნდა ზრუნავდეს, მაგრამ... აი ერთ ამბავს გეტყვი: ამ ხუთიოდე

წლის წინათ, ყიზლარში ვართ, საზამთრო სამოვრებზე. თებერვალი მიიწურა და ცხვარიც მოიწიფდა, საცაა დოლი მოგვიკაუნებს. გამოვგზავნეთ დეპეშა და... ველოდებით. გადის ერთი კვირა, მეორე, არც ხალხი ჩანს, არც — პასუხი. ფარაში კი უკვე მეკვლემ დაიბღავლა. პირველს მეორე და მესამე მოჰყვა. ვაფრინეთ ხელმეორედ სასწრაფო დეპეშა და... როგორც იქნა, გვალისსეს პასუხი. ახლა არ იკითხავ, შიგ რა ეწყერა? ხალხი არა გვყავს და დოლი შეაჩერეთო!

ზაზამ გადაიხარხარა:

— მაშ, დოლი შეაჩერეთო?! ხა-ხა-ხა!.. კაი ამბავია!

— ეგ არი, აი!.. არიან ასეთი ხელმძღვანელებიც, ზოგჯერ არიან. — თქვა თავის კანტურით მარტილომ და ისევ სათქმელს მიუბრუნდა, — ჰო, იმას გეუბნებოდი, — მთელი გასაქირი ისევ მწყემსის კისერზე გადადის-მეთქი, და პირველი ზარალიც აქედან მოდის... აი თუნდაც ჩვენი ფარა ავიღოთ: ათასი სული დედაცხვარი გვყავს და ბატკანი კი ცხრაასიც ვერ შევიწარხუნეთ... წესით, ნამატი თავნს უნდა სქარბობდეს, იმდენი ზომ მიინც უნდა იყოს და იყოს. ჩვენ კი არა გვყავს, გვაკლია. რატომ? აი, მაგიტომ!

შტლო სიტყვები ხმამაღლა, გულმოსულად თქვა და გაჩუმდა. ერთი წუთის შემდეგ ისევ ალაპარაკდა:

— მოვითავებთ, ასე თუ ისე დოლს და... ახლა თივა აღარ აღმოგვჩინდება ისეთი, როგორიც საქირია. ჩვილ ბატკანს თივაც თავისებური უნდა — უჯოყრო, წმინდა და აბრეშუმით რბილი. დამამზადებლები კი უფრო რაოდენობაზე ზრუნავენ... და კიდევ — საკუთარ ჯიბეზე: რა ჩაიღონ, რა ჩაიტენონ... და ზარალიც მატულობს.

ისევ მოიყუდა მათარა. ამჯერად წყალი მიადრისად დალია, დიდი, გაგრძელებული ყლუპებით, მათარას საცობი ჩაახრახნა და მზერა ერთ წერტილს გაუშტერა.

— ეგ არი, აი, ეგა! — თქვა უცხად

ხმამაღლა. თავი ასწია და ზაზამ ისევ პირდაპირ შეხედა. — და განა მარტო რაწაში ათი ასეთი... ამდენი ყველას აკლია; აბა, იანგარიშე, რამდენი გამოდის საბოლოოდ?

— ათასი სული.

ავაშენა ღმერთმა! შერე და, ცოტაა განა წელიწადში ათასი სული?

— პირიქით, ძალიან ბევრიც კია.

— ახლა სხვა ფერმებიც მიუმატე, რამდენი ამისთანა ათასი სული ილუპება ყოველწლიურად მოუვლელობით?.. მხოლოდ მოუვლელობით?

— ოო, ეს მართლაც დამაფიქრებელია, — თქვა ზაზამ.

— რაც რჩება, იმას რომ მაინც ვუფრთხილდებოდეთ, — რიგინად, მომჭირნედ, უდანაქარგოდ ვიყენებდეთ, კიდევ რა უჭირდა, მაგრამ... ჩამბარებულს თავისი უნდა, მიმღებს თავისი, უფროსს თავისი... ათას ძალსა და მამაძალს, ყვავს, ყორანს, მგელს... გააქვს და გამოაქვს — დღეს, ხვალ, ზეგა და... დაიყარვა ბარაქა, გაქრა.

— როგორ, გააქვს და გამოაქვს, — აღშფოთდა ზაზამ, — უპატრონო ზომ არ არის?

მარტილომ ქვევით, მდინარისკენ გაიხედა, ცალი წარბი აწიდა და ნელა, ჩაფიქრებით, თავისთვის ჩაილაპარაკა:

— აბა, რა ვიცი... ყველა ვებატრონობთ და პატრონი კი არავინა ვართ.

ორივენი გაჩუმდნენ. მარტილომ უბის ჯიბიდან „პრიმის“ კოლოფი ამოიღო, ორი თითით ცალ მხარეს გადაკეპული სიგარეტი ამოიღო, გაასწორა და მოუკიდა ბოლო ენის წვერით დაწერწევა, იდაყვს დაეყრდნო და კვამლი რამდენჯერმე ხარბად და გაჟაფრებით შეისუნთქა.

— არ ვიცი, ძია მარტილო, ვერაფერს ვიტყვი, — უთხრა საბოლოოდ ზაზამ და მხრები აიჩეჩა, — ჯერ ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ერთ რასმეს კი ცხადად ვხედავ და ვგრძნობ: ამ ცხვარ-მეცხვარეობას რაღაც აკლია,

რალაც უჭირს... და ისე არ არის, როგორც უნდა იყოს.

## 5

ერთხანს ისევ უბრად ისხდნენ. მერე ზაზამ საგზლის ნარჩენები გულში ჩააბრუნა, გულა და მათარები ბარჯზე მიაწყო და ზედ ბრეზენტის საწვიმარი წააფარა.

მზე გადაიხარა, გამოუვრილოვა და ცხვარ-ბატკანი აიშალა. მარტილოც წამოდგა, გაიზმორა, აშლილ ფარას გახედა და თქვა:

— ცხვარმა კარგა დაისვენა, მოლონიერდა კიდევ... ხეალ აღარ გაუჭირდება, სიარული არ გაუჭირდება.

ზევით, მდინარის შეყოლებაზე პური-სა და სიმინდის ნათესები მოჩანდა. მარტილომ ყანებისაკენ ზაზა გაგზავნა; კირნახულში არაფერი შეგვივლეს და შარში არ გავეხვიოთო, — გააფრთხილა. თვითონ ზევით შეემართა, გორს იქით გადაეხებდავ და მეც შენთან ჩამოვალო.

ზაზამ ფარას ბოლო გაურა, მდინარის კიდურზე გასულ ცხვრებს ჯობი გაუქნია, გაურილა და ზევით შემოაბრუნა. თვითონაც ზევით შემოუხვია, აღმართი აირბინა და შიშველ, შეშალ-ლებულ ბორცვზე ჩამოჯდა.

დასვენებული ცხვარ-ბატკანი ბუჩქნარიან ფერდობს შემოეფინა და ნელ, საქონლის პირდაუკარებ თოთო ბალახს მადიანად მიეძალა. ცხერის ფშვენა, ფრტუნო, ცოხნა და კბილების გამ-მული კრაწა-კრტუი იერის ჩქარ, თანა-ბარ ჩხრიალს ერთვოდა. მდინარის გაღმა აფუსფუსებული დაბა ხმაურობდა, რომელსაც ირგვლივ ხეზილის სიძწე-ნეში ჩაფლული, ასეთივე ხმაურიანი სოფლების მკიდრო რკალი შემორტყ-მოდა. უფრო ზევით კი, ტყის სარტყ-ლის გასწვრივ, დანგრეული ნასოფლა-რები და წვრილ-წვრილ სერელებად დაყოფილი, ბარდმოდებული ნაყანო-ბები მოჩანდა. პარტახად ჭკეული ხალ-ხის ნასადგომარი — ჩუმი, დაღვრე-მი-

ლი და დამწუხრებული, თითქოს სი-ცოცხლით მაძღარ, გამხვივებულ სოფ-ლოვანს დაპირისპირებოდნა და მის თონზე საკმაოდ მკვეთრ, ზეველის მომ-გვრელ კონტრასტს ქმნიდა. ზაზა გაპ-ყურებდა ნასოფლარებს და მარტილოს წედანდელი ნათქვამი აგონდებოდა: „იო სოფელი და აღარ არის სოფე-ლი“... რამდენი ამისთანა ნასოფლარი ნახა ზაზამ ამ ერთი დღე-ღამის გზაზე? სამი თუ ოთხი და, ვინ იცის, წინ კი-დედ რამდენს ნახავს. მიდის ხალხი, სულ მიდის და მიდის. მაგრამ სად მიდის? ან რატომ მიდის? რა აკლია აქ და რას ეძებს სხვაგან? ნუთუ ისე გაქირდა სოფლად ცხოვრება რომ?.. მიწა იგი-ვეა, შრომაც იგივე კირდება და მოსა-ვალსაც ისეთსავე იძლევა. მაშ, როგორ ცხოვრობდა ხალხი საუკუნეების მან-ძილზე? იქნებ არაფერიც არ გაქირდა და ძია მარტილო მართალს ამბობს, — ყველა იოლ საქმეს ეტანება და ოფლის მოდენა აღარავის უნდა?.. მერე, რა მოხდება, ასე რომ გაგრძელდეს? რა იქნება ოცი, ორმოცი და... ორმოც-დაათი წლის შემდეგ?..

ჯობი გვერდზე გადადო, იდაყვზე და-ეყრდნო, ლოყა ხელის გულზე ჩამოლო და ფიქრს უფრო ჩაულრმავდა.

„ახალგაზრდობამ სოფელი შეიძულა, ახალგაზრდობა სოფლიდან გარბის.“ იქნებ უფროსების ეს საყოველთაო საყვედურიც მართალია? აი, თუნდაც მე... ხელში ბატკანი დამაჭირინეს და გაზეთშიც კი დამხატეს: „კომკავშირე-ლმა ზაზა იმედიტემ სკოლის დამთავრე-ბისთანავე ფერმას მიაშურა და მეცხვა-რეობა ითხოვაო...“ და სურვილები, იმედები ქება, გზის დალოცვა. მე კი... ერთი წელიწადი და — ჰაიდა! ავიღებ შრომის სტაჟს და — თბილისში, უშა-ლლესში! და, ვინ იცის, გამიმართლებს კი? ან სად გამიმართლებს? როგორც საშუალო კურსდამთავრებულთა უმე-ტესობამ, მე ხომ ჯერ ისიც არ ვიცი, რა მინდა, სად მინდა?..

— ჰე, — გაეცინა უნებურად თავის



თავზე, ცხვარს გახედა და ისევ ფიქრს გაჰყვა:

„უთქვით და, გამიმართლა... ვთქვით, გავხდი მშენებელი, დიდი ხუროთმოძღვარი, ავაშენე ლამაზი სახლები, დავასახლე ხალხი.. კი, კარგია, დიდად სასახელოც არის, მაგრამ სოფლის კაცი — ჯმუხი, დაჭირკვეული და პირმოცინარი, გამარჯე მეურნე და მუყაითი, განა ნაკლებ სილამაზეს ქმნის? და განა სოფელი თვითონვე არ არის ერთი დაუსრულებელი სილამაზე?... აი, წუხელ დამე რომ ვათიეთ, იქ რომ ისევ სოფელი ყოფილიყო... ტოტებგაშლილი, ასწლოვანი წიფლები, თხილნარის ბუჩქები და პანტა-მაჟალოს კორომები... ხეებს შორის მიმოფანტული ნახევრად მიწური, ყვებით გადახურული, დერეფნიანი სახლები... ირგვლივ უძრავი ბურუსია, წვიმს და სოფელში ჩამიჩრუმი არ ისმის. მაგრამ აი დაიყუდა ძალღმა, ცხენმა დაიქიხვირა, ცხვარმა დაიბღაველა და.. კაცმაც ხმა გაიღო — პირუტყვს თავისი იქ ყოფნა აძენო. მაშასადამე, ბუნება მარტო არ ყოფილა, მიწას პატრონი ჰყოლია... ამას თითქოს ამინდიც გრძნობს — ბურუსი იფანტება, წვიმა უკან იხევს და აღვივს მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს უთმობს... დერეფნებში კოცონები ანთია, კოცონებზე ვახშმის ქვაბები თუხთუხებს და ირგვლივ ადამიანთა მკრთალი ლანდები ირხევიან — ჯალაბი კარში გამოსულა და ცეცხლს შემოსხდომია. ისმის საუბარი, ხველა, სიცილ-კისკისი... ვიღაც აკვანს არწევს, ვიღაც ჩონგურს უკრავს და ღლინებს. იქვე პირუტყვი ფშინავს. წყარო რაკრავებს, ფოთოლი შარიშურობს და გარსშემომდგარი ხშირი ტყეც უფრო მშვიდად და ძლიერად გუგუნებს...“

ფიქრი ოცნებად ექცა, მაგრამ ეს პოეტური სურათი მალე ისევ ნასოფლარების ხელახალმა ხილვამ გაუფუქა. ქვიტკირის კედლების ნანგრევები, გადათხრილი ლიბო-საძირკვლები, ნაღობარ-ნაყორალები და აქა-იქ ობლად მდგარი, ტოტებშემომხმარი კენტი ხე-

ები გაშიშვლებულ სენს მთელ სივრცეზე გასდევდა და ლამაზ მიწას მახინჯი ნაიარევივით დამწვრილად წაფერდებულო, უჭირისუფლო სიფლავის ჯვრები და ქვა-ღორგადავლილი ნაბალარ-ნაეზოვრები უთქმელი საყვედურით იმზირებოდნენ და ზაზას ფიქრს, ოცნებასა და სურვილს ხელალებით უარყოფდნენ, თითქოს დასციროდნენ და აქილიკებდნენ. ზაზამ ეს იგრძნო და გულზე სირცხვილის ტლანქი გრძნობა შემოაწვა, ყველას მაგიერ შერცხვა — თავისი თავისა, თანატოლებისა და კიდევ ვიღაცების მაგიერ და აღმფოთებულმა ხმამალა წამოიძახა:

— არა, არა! ასე არ შეიძლება! ეს რაღაც ზედმეტი ღმობიერებაა, მიშვება... მე რომ ვიყო, ყველას ხმამალა ვეტყოდი, ვეტყოდი კი არა. ვუბრძანებდი: იყავი აქ! მოხანი მიწა, გაზარდე ცხვარი, ძროხა და... იცხოვრე! მაშ ვინ შეცვალოს ძია მარტილო, გიგო, ელიზბარა და ათასი კიდევ სხვა? ვინ დატყბეს ამ ლამაზი თვალსაწიერით? ვინ შეხედოს ლაქვარდ ცას? ვინ ისუნთქოს ეს ჭანსალი ჰაერი? ვინ ეპატრონოს ამ მთა-ბარს — ტყეს, ველს, მდინარეს? და შესვას ცივი, ანკარა, მოჩუხჩუხე წყაროები?..

ისევ წაიღო ფიქრმა და თვალწინ კვლავ აერიამლებული სოფლები წარმოუდგა — ცადასული ლურჯი კვამლი, გასადევარზე შეფენილი ცხვარძროხა, კანგარუჯული, ხელთოხიანი ვაჯაკები და მხარზე კოკაშემოდგმული, თავსაფრიალი და წვივმაგარი სოფლელი გოგოები... თითქოს ცხადად იგრძნო, გაფხვიერებული მიწის სურნელი, ბაღნარის შარიშური და წყაროების უწყვეტი რაკრავიც გაიგონა. ივრის ჩხრიალი და ცხვარ-ბატენის გაუთავებელი ფაჩუნები თანდათან ამ წარმოსახულ ხმებს შეერწყო და ლანდი და ნამდვილი ერთმანეთში აერია. მზის სითბომ და წუხანდელმა უძილო ღამემაც თავისი ქნა: არ გაუგია, როდის ჩამოაწვა რული წამწამებს, როდის და-



ეხუტა ქუთუთოები და როდის ჩამოუვარდა ლოყაზე მიბჯენილი ხელი — თათი გაშლილ მკლავზე მიდო და გრძლად და მსუბუქად აფშვინდა.

ნაფიქრი ძილში ჩაპყვა და სიზმრად გაგრძელდა: ჯერ ცხვარ-ბატკანი ეზმანა, მერ ბალ-ვენახებით დაჩრდილული სოფელი. სოფლის წყაროსთან თავმოყრილი გოგო-ბიჭები ჩონგურებს არაკრავებენ, ცეკვავენ, მღერიან... თვითონაც მღერის... უცბად გრუხუნი ატყდა და სოფელს ოთხივე მხრიდან უზარმაზარი შავადგაზინებული რკინის მანქანები მოადგა... მანქანებმა გადათელეს ბალ-ვენახები, ორღობეები, დეტაქენ სახლებს და მიანგრ-მოანგრიეს... დაწოკებული ხალხი, პირუტყვი, აქეთ-იქით გარბის, ისმის გაბმული წივილ-კვილი... წივილ-კვილში უცბად მარტილოს ხმაც გამოერია. მერე თვითონაც გამოჩნდა; ნანგრევებზე, მტვერში, ამოიშართა — თეთრ თმა-წვერიანი, მალალი, და ხმამალა აყვირდა:

— წყულებო!.. შეჩვენებულეზო!.. რას შერებით... რას ჩადიხართ?!

ყვირილზე გამოეღვიძა. სიზმარი შეწყდა, მაგრამ ყვირილი არ შეწყვეტილა. ზაზამ თვალეზი მოიფშვნიტა და წამოდგა. ვიღაც კაცი ნათესების მხრიდან დამფრთხალ ცხვარ-ბატკანს მოსდევდა და პატრონის დედის გინებით მოჰკიოდა. მსუქანი და ტანმოსული ახალგაზრდა კაცი იყო, ფეხზე სალდათის ჩექმა ეცვა, კოლბოხებზე ხენეშით მოაბიჯებდა და აყუფებულ ძაღლებს ქვა-ლორღს ესროდა. ზაზა რომ დაინახა, უარესად აყვირდა:

— სადა ხართ, თქვე... გძინავთ, თუ რა არის? დაღუპა ცხვარმა პირნახული, გაოხხრა!

ზაზა შეკრთა, მაგრამ შიშის გამო კი არა — საკუთარმა დამნაშავეობამ შეაკრთო და ენა დაება. კიდევ კარგი, მარტილო დროზე გამოჩნდა, სერზე გადმოდგა და კაცს ხაფი ხმით ჩამოსძახა:

ჰე-ჰე, აბა, ბაღთან რა გინდა? აქ მო და მე მელაპარაკე!

— თორემ ვერ მოვალ, აი, შეშეშინდება! — კაცმა მარტილოსაკენ გაცერა და ისევ ქშენითა და ყვირილით გააზიჟა, — გავონილა, პირუტყვის ისე უპატრონოდ ვაშვება, გავონილა?

— რა იყო, რა გაყვირებს? — ნელა, აუჩქარებლად ჰკითხა მარტილომ, როცა კაცი ახლოს მივიდა, და თვალი თვალში გაუყარა.

— როგორ რა მაყვირებს, არ გესმის? ყრუ ხომ არა ხარ?

— არც ყრუ ვარ და რაც თვალაბმული. ჯერ მაჩვენე... წანახედი მაჩვენე...

— წამო და, დაინახე, — ყანა ძირიანად არის ამოღებული!

კაცი გაუძღვა, მარტილო გაპყვა, ზაზაც უკან აედევნა. ცხვრები სიმინდისა და ლობიოს ნათესში შესულიყვნენ და ნაპირი გაეკორტნათ. დიდი ადგილი არ იყო, ერთი კალოსტოლა იქნებოდა.

— აბა, აი, ნახე! დაითხარე თვალეზი!

— თვალეზს არ დავითხრი, ნახვით კი ვხედავ, — კვლავ ღინჯად, აუღელვებლად უპასუხა მარტილომ.

— მერე, რას ფიქრობ?

— სალაპარაკოდ არ ღირს.

— აბა, თუ არ ღირს, მაგასაც ვნახავთ, — კაცმა უბიდან შუაგაყვიცილი სასკოლო რვეული და წვერწაჩორკინი ფანქარი ამოიღო, ცალ მუხლზე დაიხოქა და აქტის წერა დაიწყო.

მარტილომ მხარზე მოქაჩა.

— მოიცა, არ გინდა... ყური დამიგდე. აქ იმდენი არაფერია, აბა, აი, თუმანი და... — ხელი ჯიბისაკენ წაიღო, — ეგ არი, აი, მეტი არა ღირს.

— რაო? თუმანიო? — კაცმა თვალეზი გადმოკარკლა, წამოდგა და მსუქან მკერდზე მსუქანი მუშტი დაიბაჯუნა.

— ეინ გგონივარ, თუ იცი? მე საზოგადოებრივი საკუთრება მბაბრია, მე... ეს ხალხის შრომაა, ხალხის ოფლია და... ხალხი კი მე მენდობა! ჰმ, თუმანი! — ჩაიციანა დაღრეჯით და ხმას უფრო აუწია, — აბა, გადი ბაზარში და იკითხე, რა ღირს მქადი? კილო მანეთად

ფიდეზა, მალე ორიც ვახდება. ახლა ლობიო?.. ჰმ, თუშანი! კარგად შეინახე, არსად დაგეკარგოს.

— ეგრე არ ვარგა, აი... არ ვარგა, — კვლავ დათმობით უთხრა მარტილომ, — სირცხვილია, სხვაც არა იყოს რა... ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო.

— შენ გინდ ღმერთს შეხედე, გინდ — ეშმაკს. მაგრამ მე ჩემი საქმე ვიცი: ხალხის შრომა და დოვლათი ხელ-შეუხებელია, წმინდათა წმინდაა და... ძმაც რომ იყოს ჩემი, არ ვაპატიებ. წესია და კანონი, დაეწერ აქტს, გადაეცემ უფორსებსა და... აი, ეს ვიცი! — თავი მუქარით ჩაიქნია და კვლავ ცალ მუხლზე ჩაიჩოქა.

მარტილომ ზახა განზე გაიხმო და ყურჩი უჩურჩულა:

— გაიქეცი, ერთი მამალი ბატკანი დაიჭირე და მომიყვანე.

ზახა ფარაში შეერია, კაუჭიანი ჯოხი ბატკანს ფეხში გამოსდო და აყუთებული მარტილოს მოუყვანა. მარტილომ ბატკანი მეველეს ჩასჩარა კალთაში და შეკავებული ბრაზით დააყოლა:

— აჰა, აი, დაიჭი და... წადი.

მეველე უცბად თითქოს დაიფუკა. წვლან თუ გაბერილ ტიკს ჰგავდა, ახლა ნელ-ნელა ჩამოცხრა, მოჩვენებითი გულისწყრომა ჩამორიყვანა და, მსუქანია და ღიბწამოზრდილი, მოშვებულ ტომარას დაემსგავსა. ხმაც თვინიერი და უწყნარი გაუხდა:

— შენი ხათრი, ბიძაჩემო, თორემ... შენს ჭალარას ვსცემ პატივს... — სამადლოდ გაღიმებაც კი სცადა, ბატკანი გულზე მიიხუტა, ისევ ნათესებისაკენ გაბრუნდა და ყანისპირა კობლოხებზე ღონღლოდ და უნდილოდ ჩააბიჯა.

მარტილომ ჭაერინი მხერა გააყოლა. — ჩემს ჭალარას სცა პატივი, აი... ჩემს ჭალარას! — გამოსკრა კბილებში და ზურგი შეაქცია. სახეზე მიწის ფერი ედო, ნიკაბი უკანალებდა და ხმაც უთრთოდა.

შემკრთალი და გაოგნებული ზახა

მარტილოსაკენ მალულ მხერას აპარებდა, მისი ეს უზომო გაბრუნება ვერაფრით აეხსნა. წუხელ მგელმა, თორი დედაცხვარი გამოაცალა ხელისა და თითქმის არ სწყენია, პირიქით, გაიცანა და ელიზბარაც თვითონვე გაამხნევა. ახლა კი რა მოხდა? სახეზე თითქოს ცეცხლი უკიდია და მსხვილი წარბებით მოჩრდილულ თვალებსაც გაღვივებული ნადვერდალივით აბრიალებს? მაგრამ სცხვენოდა, თავისი მიზეზით ამდენ უსიამოვნებას გადაჰკიდა და კითხვა ვერ გაუბედა.

6

რეკრატზე გაიღვიძეს. ნაბაღწამოსხმულეები თქოებზე წამოსხდნენ და სიგარეტები გააბოლეს. ცოტა რომ მობინდდა, ხმელი საგზალი გაშალეს და ელიზბარას ნათლიდედის გამოგზავნილი ბოთლიდან თითო „ქებოტაური“ წანწარაქაინიც გადახუხეს.

— რაო, ნათლიდედამ, რა დაგაბარა? — ჰკითხა უცბად მარტილომ ელიზბარას, ვითომ უბრალოდ, სხვათაშორის და ცბიერი ღიმილით განზე გაიხედა.

ელიზბარამ არ უპასუხა, ვითომ ვერ გაიგონა. ხორცის ნაჭერს გადასწვდა და ჭამა განაგრძო.

— რას შერება, როგორ არის? — კითხვა გაუმეორა მარტილომ.

— ძალიან კარგად.

— ხომ არა უჭირს რა?

— არა.

— ან იქნებ უნდა რამე?

— ბებრები არ უნდა, — კვლავ მოკლედ მოუჭრა ელიზბარამ და ნიშნის მოგებით შეხედა.

— აჰა, ეგეც შენ, — გაიცინა გიგომ, — თავგმა თხარა და კატა გამოთხარაო.

დანაყრდნენ, სახედრები დაასაბალნეს და მზის ამოსვლისას ფარაც აშალეს. ჭერ ცოტა წაადილაურეს, მერე ქეჩებს გაუსტკინეს და დიდ გზაზე გავიდნენ. წინ ახლა მარტილო გაუძღვა და როგორც ახალბედა შეგირდი, ზა-

ზაც გვერდით ამოიყენა. ვიგო და ელიზბარა უკან გამოჰყვნენ.

ფართო, მოასფალტებულ გზაზე ფარა თანდათან შენივთდა, გაიმართა და რეზინივით გაიწელა. ცხვარ-ბატკანი ფეხის სწორი კაყუნით მიაბიჯებდა. მეცხვარეები ჩვეულებრივ მიჰქიოდნენ, მიუსტვენდნენ, ჩი-ჰეე, რრრრრრ! სიუტა-სიი! — და სტვენა-კივილს ღროდა-ღრო ნელი ხმით სიმღერასაც წააბამდნენ:

— ცხვარო, გამშვენებს ვაე-ვერძო,  
ვაე-ვერძო — თავრქიანობა,  
ქალო და რძალო, ჰკეა-გონი,  
ჯალაბში გემრიალობა.

უხაროდით მეცხვარეებს, რომ ავამინდს უხარალოდ გადარჩნენ, უხაროდით, რომ ცხვარ-ბატკანმა დაისვენა, მოღონიერდა და ამინდიც ხელსაყრელი დაუდგათ, უხაროდით ისიც, რომ ხვალე არაგვის ქალაზე გადავიდოდნენ და პირს უკვე იალაღებისაკენ იზამდნენ, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ახალი ხიდი უხაროდით: წუხელ ელიზბარამ და ვიგომ ამბავი მოიტანეს, იორზე უზარმაზარი ბატონის ხიდა აუგიათ და გზაც გაუფართოებიათო. წყალში აღარ მოუწევდათ გატოპვა და ცხვარ-ბატკანსა და ბარგსაც მეორე მხარეს მშრალად გაიტანდნენ. ვაცივებასაც რომ თავი დაეანებოთ, განა ცოტა ჯაფა და წვალება უნდა ჩქარი, ყინულოვანი ტალღებიდან ხაშალი ცხვრებისა და თოთო ბატკნების სათითაოდ ხელით თრევას?

ახლა კი არც წვალება, არც მსხვერპლის შიში და არც ზედმეტი შეფერხება — შედგებიან ხიდზე და უხიფათოდ და დაუბრკოლებლად გაივლიან.

— რრრრრრ-ჰეე, სსიი!.. ჩიი-სიიუტ!

მწყემსი ვარ, მთაში დავდივარ, ტყე-ღრეში დავხეტიალობ, ვარალოო.

აგე, ხიდიც! მსხვილ ბურჯებზე დაბჯენილი, ფართო, ვრძელი და თალიან-მოაჭირიანი, მგზავრს თითქოს გასავლელად მოუხმობდა. თითქოს ეს

ცხვრებმაც იგრძნეს, — ფარის წინა ნაწილი სოლოვით წაგრძელდა და ნაბიჯიც ააჩქარა. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა ცხვარიცა და მწყემსებიც ხიდის ყურზე უნდა შემდგარიყვნენ, გაღმიდან არღნის ჩიტვიით აკრელებული ნავიანი მოტოციკლეტი გამოჩნდა, სწრაფად გადმოჰრა ხიდი და ზედ მისასვლელთან გარდიგარდმო დამუხრტქდა.

მოტოციკლეტიდან ფორმიანი ავტონისპექტორები გადმოვიდნენ და ცხვარს წინ გადაუდგნენ. ორივენი ჯერ სერაშეურვეი ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ ფორმის ტანსაცმელი ხნოვანებას მატებდა და თვითონაც მრავალნაცადი, ხანდაზმული კაცების ცევ სიღარბაისლეს ჩემულობდნენ. ერთი სრული, მაღალი და მხარბეკიანი იყო, მეორე — ჩია და დაგვალული.

— რა გინდათ? — ჰკითხა მარტილომ.

— ცხვარი უკან გააბრუნე!

— რათა, კაცო?! — გაოცდა მარტილო.

— გააბრუნე-მეთქი! — უკვე ბრძანების კილოზე გადავიდნენ.

— როგორ, გავაბრუნო? — ხმას აუწია მარტილომაც, — გავაბრუნო, რა, ის კი არ არის... ცხვარია.

— მართლა ცხვარია? — დასცინა მაღალმა, — რას მეუბნები! მე კი აქლებების ქარავანი მეგონა.

ხოლო მეორემ კვლავ ბრძანებით უთხრა:

— დააბრუნე, დააბრუნე, ბევრს ნუ ლაპარაკობ... და გზიდანაც გადარევე.

— ჰოდა, რათა-მეთქი, რათა?

— ვერა ზედავ, ხილია, გზა არის და... მანქანები დადიან.

— მერე, ცხვარმა აღარ გაიაროს?

— არა.

— აბა, სად წავიდეს?

— ეგ ჩვენი საქმე არ არი. აქედან გარეკე და პირი საითაც გინდა, იქით უყავი. — ეს დაბალმა უთხრა მაღალმა კი უფრო ლმობიერად მიმართა. — ბერიკაცო, დროს ნუ გვაკარგვინებ და

მუშაობაში ხელს ნუ გვიშლი! გითხარით, ცხვარს ხიდზე ვერ გაუშვებთ-მეთქი და... მე მგონი, გასაგები უნდა იყოს.

— დიდება შენდა, ღმერთო! — მარტილომ ხელები გაშალა და უფრო გაოცდა, — სად გაგონილა, ცხვარს გზას უკრძალავდნენ. პირიქით, წინ — პირველში ეთმობოდა. ეგრე იყო აი!.. და ახლაც ეგრეა.

— წინათ რა იყო, არ ვიცი, — უთხრა ისევ მაღალმა, — ახლა კი გზა მანქანებს ეკუთვნით. ჯერ ტექნიკა! — ასეთია მთავრობის კანონი. ავე მოდიან კიდეც... ჰა, ჩქარა, ჩქარა, გადადექი, ჩამოეცალე.

ხილს გაღმიდან მართლაც მოადგნენ ავტომობილები — თვითმცლელები და მსუბუქები, და პიპინი ატეხეს. ცხვარბატკანიც შეწყუხდა ადგილზე დგომით და მოუთმენლად აბღავლდა. მარტილო დაექვდა, ემანდ მართლა რალაც კანონი არ იყოსო. «ვინ იცის, კანონები ისე ხშირად იცვლება, რომ...» და მორიდებით ჰკითხა:

— რა კანონია ასეთი? სად არის? აბა მიჩვენეთ.

ეს მოთხოვნა არცერთს არ მოეწონა, მაგრამ მარტილოს მხოლოდ დაბალმა უპასუხა:

— ეგ შენი საქმე არ არის. შენ რასაც გუბუნებია ის გაიგონე: გზა გაანთავისუფლე და მანქანები გაატარე, წესრიგს ნუ არღვევ. მორჩა და გათავდა!

მარტილო ახლა კი მიუხვდა, რა მუცლის გვერმაც ალაპარაკებდათ. — «ჰა, მაშ, არავითარი კანონი არ არსებობს. რომ იყოს, ხელთ ექნებოდათ. მაშ, ბატკანი უნდათ». მაგრამ ინსპექტორებს არაფერი შეამჩნევინა, მათს ახალგაზრდულ თავმოყვარეობას მოერიდა და ისევ ტკბილი სიტყვით, დანამუსებით სცადა გზის გატანა. — შეილო, იმას მაინც ეციო პატრივი, რომ ეგ ლაშაზი ტანსაცმელი ამ ცხვრისა გაცვიათო, — უთხრა, მაგრამ მათ სიცოლად არ ეყოთ. ჯერ ერთმანეთს შე-

ხედეს და ვითომ გაიოცეს, ეს რა გვესმისო, მერე მაღალი მოუბრუნდა და ავღებით უთხრა:

— ნეტა, რა თავი მოგაქვს მაგ შენი კურკლიანი ცხვრებით, დღესვე ერთიც რომ არ დარჩეს, ჩვენ ამ ტანსაცმელს მაინც ჩავიცმევთ.

ავტომობილებმა პიპინს მოუხშირეს, ფარაც უფრო აირია და აბღავლდა. მარტილოს კიდეც რალაცის თქმა უნდოდა, მაგრამ დაბალმა აღარ დააყადა. ხელი აუქნია და თვალები დაუბრიალა. — მუშაობაში ხელს ნუ გვიშლი-მეთქი, არ გესმის? მოაშორე ეს ცხვრები აქედან და... შენც მოშორდი! — დაუყვირა ღრენით და წინ წამოსულ ლეგა ქეჩს წიხლი ღონივრად გაუქნია.

«ჰე-ჰე... ეს.. ეს რა არი?! დაყვირებაც გაუბედეს? მარტილო კირკონაძეს გაუბედეს?» — სახე ისევ გუშინდელივით წამოეკარხლა, ჯოხი ჩაბლუჯა და ფეხიც წინ წადგა, მაგრამ უცბად ისევ სძლია თავს, ბრაზი დაიოკა და წამით თითქოს გაიჩინდა. მერე უკან მობრუნდა და ზაზას ჩუმი ხმით უთხრა:

— წინ წადი და ხიდის ყურზე დადექი...

— რა უნდათ? — შეაწყვეტინა ზაზამ ჩურჩულით.

— ბატკანი უნდათ, წყეულებს. დღეს კვირაა და... ეტყობა, ქეიფს აპირებენ. მაგრამ ვერ მივართვი... შენ იქ დამელოდე და დანარჩენი მე ვიცი. — თვალი ჩაუკრა და დაუმატა, — სეირი იქნება, აი, კარგი სეირი.

ზაზა წავიდა. მარტილომ ქეჩს გადაჯვარედინებულ რქებში ჩაავლო ხელი და ძაღლს გასძახა:

— ბასარ, აქ მო!

პატრონის ერთგული ძაღლი — ფეხმაღალი, პირმურა, გაწვრთნილი და ათას კირსგადანაყარი — იმავე წამს წინ დაუდგა და თვალებში მოლოდინით შეაშტერდა. მარტილომ ქეჩს წინ უბიძგა, — მიჰყევი! — უბრძანა ძაღლს, თვითონ ჯოხი მოიმარჯვა, ფეხები გან-

ზე გაჯგემა და ხიდის ყურზე იმ ხიდის საბრჭენი ბურჯივით ჩამოდგა.

აბა, ქეჩი წაივიაო — ფარამ უცბად ჩებირგარდვეული საგუბარივით იხველა, და ხიდზე მღვრიე ტალღასავით გაიღვარა. ამოვირებულმა ცხვრის ნაკადმა ინსპექტორებიც თან გაიტაცა. ამოვალა გაიწიეს მოტოციკლისაკენ. ატივტივებულები წყალწალებულებივით ფართხალებდნენ, ხელებს იქნევდნენ და შორიდან რაღაცას უყვიროდნენ, მაგრამ ცხვარ-ბატენის გაბმულ ბლავილში მარტილოს არაფერი ესმოდა. გაგონებას არც თვითონ ცდილობდა — იდგა ჯოხდაბჯენილი, თავაწეული და მათს უმწეო ფართხალს დამციბავი ღიმილით გაჰყურებდა.

სანამ ფარა მთლიანად არ ჩამოთავდა, ადგილიდან არ დაძრულა. არც მერე აჩქარებულა, ჯოხი მხარზე გაიღო და ნელი ნაბიჯით წამოვიდა.

ავტონისპექტორები ხიდის თავში, მოაჯირთან მიმდგარიყვნენ და ტალახით, ნეხვითა და მატყლით დასვრილ შარვლის ტოტებს იბერტყავდნენ. თან იფურთხებოდნენ და ჯაერაიანად ბურტყუნებდნენ.

— ეგ არი, აი, ეგა! — გასძახა მარტილომ აშკარა დაცინვით, როცა დაუპირდაპირდა და ნაბიჯი უფრო შეანელა.

პასუხად მალაღმა ზურგი შეაქცია. დაბაღს კი მოთმინება არ ეყო, მძულვარედ გამოხედა და კბილების კრაკუნით დაემუქრა.

— დაგვაცადე, კიდეც გნახავთ სადმე... შეგზვლებით.

— შემზვლებით, თორემ, ემანდ ვორებს ნომრები არ დამიხსნათ!

გიგო და ელიზბარა ჩაბვირდნენ, მარტილოს კი მხოლოდ გაეღიმა.

კაბინებიდან თავგამოყოფილი თუ ძირს ჩამოსული შოფრები მწყემსებს გამამხნეველად უღიმოდნენ, ხელის გულებს ერთმანეთზე აჭობდნენ და ისე რომ, ინსპექტორებს არ დაენახათ, მარტილოს პაეროვან კოცნას უგზავნიდნენ.

მალე ფარამ მთავარი გზიდან ხელ-

მარტენიე გადაუხვია და სოფლებშუა გამავალი თემშარით არაგვზე გადასასვლელი უღელტეხილისაკენ შევეშართა. სოფლის ბაღლობა თემშარის წინაფრთხეზე გამოქუჩდა და ერთი გზისაკენ დაქროილი ატვნა:

— ცხვარი! ცხვარი! ცხვარი მოდის!... ცხვარი!

ბავშვებს უფროსებიც გამოჰყვნენ, ესალმებოდნენ მეცხვარეებს და სადაურობას ეკითხებოდნენ.

გზა ნათესებშორის გადიოდა და ცხვრის გატარება ისე, რომ არაფერი წაეხდინა, საკმაოდ ძნელი იყო. პირველმავე სოფლის ბრიგადირმა შეიღირა ტანტალიკა ბიჭი ამოარჩია, თვითონაც მათ შეუერთდა და სანამ პირნახული სულ არ ჩამოთავდა, გამცილებლები გვერდიდან არ მოსცილებიან. კინაღამ ნახევარი დღის სავალზე გაუყვნენ. ცხვარ-მეცხვარე გზაზე დააყენეს, გამართეს, მგზავრობა დაულოცეს და ხელის ჩამორთმევით დაემშვიდობდნენ.

მწყემსებს უზომოდ ეამათ ბრიგადირის — უცნობი კაცის ასეთი თავგამოდება. ეს რაღაც სიახლე იყო, აღამიანებს შორის გაჩენილი სიახლე, რომელმაც კერძობითი შენ-ჩემობა უკან გასწია და უანგაროდ, უვალ-უბრალოდ და ძალდაუტანებლად ხელი უფრო დიდი საქიროებისაკენ გაიწოდა.

მარტილოსაც დაავიწყდა დილანდელი შემთხვევა, წყენაც მთლიანად გაქრა, მაგრამ გიგომ და ელიზბარამ მალე ისევ გაიხსენეს და მთელ დღეს ინსპექტორების მუქარასა და მარტილოს მოსწრებულ პასუხზე იქილიყეს.

ცხვრის ფარა ნელი ძოვით მიჰყვებოდა ტყე-კორდიან აღმართებს. წინ მარტილო მიუძღვოდა, უკან ზახა მოსდევდა, აქეთ-იქიდან გიგო და ელიზბარა ედგნენ, ურბენდნენ განზე გასულ ცხვრებს, აბრუნებდნენ ფარაში და თან მალმალე ერთმანეთს გასძახ-გამოსძახობდნენ:

— მაშ, კიდევ სადმე შეგხვდებითო, განა?

— ჰო, ვირებს ნომრებს დაგიხსნიათო!...

— წიგნაკებსაც ჩამოგართმევთო!..

— ხი-ხი-ხი, ხა-ხა-ხა!..

სასიამოვნო გუნება-განწყობას ლამაზი თვალსაწიერი და ამინდიც ხელს უწყობდა. მზე ზომიერად ათბობდა და გაზაფხულის ფრთამალი სიოც ამოდ და ზომიერად მიმოჭროდა. მდელო-ყვავილოვანი დედამიწა თითქოს მათს თვალწინ იფურჩქნებოდა. ბუჩქებში გულწითელა ჩიტები და ქერონები ფუთფუთებდნენ, ცაში ტოროლა გალობდა, მერცხალი კიციკებდა და მწვანედ შექოჩრილი ტყიდან ქედნების შეწყობილი ლულუნი ისმოდა.

## 7

მზის ჩასვლისას უკვე წყალგამყოფი ქედის ვიწრო ტეხილზე იყვნენ. ცხვარი დაქუჩჩეს და ბინა ხშირი ტყით გარშემორტყმულ პატარა ველობში დაიდეს. ჩვეულებრივ ჩამოხადეს ვირებს ბარგი, შეშა და წყალიც ჩვეულებრივ მოზიდეს, კოცონი დაანთეს და ცხელი ვახშმის სამზადისს შეუდგნენ.

გიგომ და ელიზბარამ ვედროები აიღეს და უბატნოდ დარჩენილი ცხვრების დასაწველად ფარაში შევიდნენ. მარტილომ ზაზა მოიხმარია, კოცონს აქეთ-იქიდან ორკაპა მარგილები დაურტო, მარგილებზე ხარიხა გადო და წყლიანი ვედრო შემოჰკიდა. მერე ქუმელის ქეშლურა გუდაში გაკრილი მკადის ფქვილი ჩაყარა, ერთი მწიკვი მარილიც ჩაუმატა, ალუმინის ჭამით ნელ-თბილი წყალი მიაცოლა და ზაზას უთბრა:

— გუგლუმა უნდა გაკაპო, აი! მეცხვარული გუგლუმა.

ზაზას ცომის გუდაში მოხელა არასოდეს ენახა და გაუკვირდა. მარტილომ აუხსნა:

— ეგ არი, აი! გუდაა მეცხვარის ვარცლი და ოროში, ხალსაც ამაში

ვზელთ და ცომსაც. და კარგიც არის, — ხელი არ გესვრება და არც ხედმეტი ფხეკა და საფანელი ქირდება. გაიქნ-გამოიქნევ, რომ ფქვილი და წყალი კარგად აირიოს. ერთმანეთში და დაზელ. აი, ასე. — გუდა მუხლებშია ამოიდო და ღონიერად მითელ-მოთელა.

გიგომ და ელიზბარამ ცხვრები დაწველეს, ხელები გადაიბანეს, რძე სუფთა ვედროში ჩაწურეს და გასათბობად კოცონს გვერდით მიუდგეს. ცოტა რომ შეთბა, დვრიტა ჩაწურეს და დელამა შეადედეს. მარტილოც მორჩა ცომის ზელას, მაგრამ წყალი ჭერ არ აღუღებუიყო და გუდა გვერდზე გადადო.

კოცონს ფეხმორთხმით შემოუსხდნენ და სიგარეტები გააბოლეს. ტყის წვერებზე გაბნეული ყვითელი მზის ლაქები თანდათან გაბაცდა, გაუფერულდა და ბოლოს მთლიანად გაიკრიფა. მზის ლაქები შორეული მწვერვალებიდანაც გაიკრიფა და ტყეში მოიხსტრო თხელი ბინდი ჩამოწვა. ტყე გაყუჩდა, გაინაბა, ცოტა ხნის შემდეგ ბინდი ველშიც გამოვიდა, ტყიდან ნელა, შეუმჩნევლად გამოცოცდა და ბალახებში ჩაბუდებული კრიკინები და კუტალიები ააბლერა.

ელიზბარა მხართეძოზე შემოწვა, ნაწწვი ცეცხლში მოისროლა და კოცონს იქით მარტილოს გასძახა:

— რას იტყვი, მოგვითავებენ წელს ახალ სადგომს, თუ ისევ ამ ფარლიატ ფარებში მოგვიწევს გამოზამთრება?

მარტილომ მხრები აიჩეჩა.

— ენახოთ... ალილო და ზვალეო.

— მე მგონი, მოგვისწრებენ, — ჩაერია გიგო, — კი, ნამდვილად მოგვისწრებენ.

— საიდან იცო, ასე დაბეჯითებით? — უნდობლად ჰკითხა მარტილომ.

— ვიცი... გავიგონე და ვიცი.

— გავონებით მეც გავიგონე, მაგრამ...

— რა, მაგრამ?

— რა და... დაპირება, იცოცხლე,



უყვართ, გულუხვად უყვართ, მაგრამ აი, საქმე კი...

— კარგი ერთი, ნუ ხარ ურწმუნო თომა.

— მე ურწმუნო თომა არა ვარ, მაგრამ არც ცარიელი დაპირებებისა მჭერა... ეგ არი, აი. არ მჭერა.

— რატომ ცარიელი? აგე, მთავრობამ უკვე ჩვენსენაც მოიხელა: გაზეთებში წერენ, ლაპარაკობენ... მაშასადამე, ზრუნავენ.

— მთავრობა თვალს არც წინათ გვაჩინებდა, გაზეთებშიაც ბევრს წერდნენ, მაგრამ საქმე? საქმე სადღაა?

— საქმეც იქნება, ჭერ...

— როდისღა? — უემპოფილოდ შეაწყვეტინა მარტილომ, — აგე, რამდენი წელიწადია, რაც ეს ათასწლიანი დედაცხერის ფარა გვყავს და ერთი ციკის უური ველარ წავუმატეთ. მრცხვენია, ღმერთმანი, აი, მრცხვენია... წლები გადის, საქმე კი სულ ზარალდება და ზარალდება. რაღა? რისთვის?.. ან როდემდე?

— გამოსწორდება, მარტილო, ყველაფერი გამოსწორდება, — ანუეგმა ელიზბარამ, — აი, დაიცადე, თუ არა... ამ ორ-სამ წელიწადში იმდენი რამ გასწორდა, რომ... ჩვენთვისაც მოიცლიან, მალე მოიცლიან.

— როცა მოიცლიან, მეც დავინახავ, — კვლავ კუშტად თქვა მარტილომ და უტბად სიცილი აუტყდა, — ჭერჭერობით კი ვილაც ჰქვიანს ჩვენთვის საგანგებო საწოლები მოუგონია. — სიცილით გული იჭერა, მუხლებზე წამოიმართა და ორივე ხელი წინ გამოშალა, — ერთი შითხარით, თუ ღმერთი გწამთ, რომელმა მწყემსმა თქვა, საწოლები გვჭირდებათ? ან როდის თქვა? მწყემსს საწოლი კი არ უნდა, სხვა რამე უნდა — კარგი ბინა, სამყოფი საკვები, დამხმარე ხალხი, როცა ეს საჭიროა, ძაღლის ჭერი და თავის საგზალი! — აი მწყემსის მთელ საწუხარი. — და ისევ სიცილით დაბოლოვა, — ჰმ, საწოლი... ქვეყნად საწოლების მეტი რა არი.

ცეცხლს მუგუზლები შეუსწორა, იდაყვით კეხზე მიფენილ ნაბადს დაეყრდნო და ახალი სიგარეტი მოსრისა.

— სხვა ყველა-ყველა და — ჭერის შოვნა მაინც რაღად უნდა იყოს ჩვენი თავსატეხი? — განაგრძო ცოტა ხნის შემდეგ, — წინათ ვირებით ეზიდებოდნენ და ძაღლის ჭერიც კი არ დაგვეკვლებია, ახლა მანქანებია, — ავტომობილები, ათსნაირი საზიდრები, თვითმფრინავებიც არის, მაგრამ... მყუფარს ვინ ჩივის, ზანდაზან კვირით კვირამდე მწყემსები ვართ უყვართ. ეგ არი, აი! — დაუმატა ბოლოს, — საწოლების ნაცვლად ამაზე რომ იფიქრონ, არ ჯობია?

— მაგაზეც იფიქრებენ, — უთხრა ისევ ელიზბარამ, — ახლა ყველაფერი მანქანებით კეთდება და არ ჰყოფნით, ყველაფრისათვის არ ჰყოფნით.

— კარგი ერთი, არ ჰყოფნით, არ ჰყოფნით! — გამოაჯაერა მარტილომ, — აზირ ისა სთქვა, რომ არ აწუხებთ. როცა აქედან მატყლი და ყველია გასაზიდი, მაშინ როგორ ჰყოფნით, ჰა? ჩვენი თავმჯდომარე მაშინ მისხალ-მისხალ წონის და ანგარიშობს ყველაფერს და მოსატანად რატომ სწყდება წელი?

— აი, ეგ კი მართალია! — დაეთანხმნენ გიგო და ელიზბარა.

— ეგ არი, აი! — თქვა მარტილომ და წამოდგა, — ადექით, ადექით, დელამას მიხედეთ. აი წყალიც დუღდება. ამ ლაპარაკს ის ჯობია, ვახშამი ნათლით მოვისწროთ.

— ჰო და ჰო! ტყუილად რა ყბებს ვიღლით, ვინ გვისმენს.

— ტყუილად რათა? — მობრუნდა ისევ მარტილომ, — ჩვენსას ზომ ვამბობთ, გულს ვიფხანთ. ესეც კარგია, აი ვთქვი და... თითქოს აღარაფერი აღარ მაკლია. ახლა ისეთ გუგლუმას გაუმევეთ, რომ თქვენი მოწონებული... ასეა ადამიანი, გულს ზოგჯერ ჯავრი შემოგაწვება და ყველაფერი შავად გჩვენება. იტყვი და — გაქრება, თითქოს ჩაირეცხება, თვალში ისევ ნა-



თელი ჩაგიდგება და... ხალისიც ისევ არის.

სამივენი ისევ კი ხასიათზე დადგნენ, ისევ გახალისდნენ და საქმესა და მიხვრა-მოხვრაშიც სიმსუბუქე დაეცოთ. მარტილომ ბალახზე გასანთლული მუშაბის ნაქერი გაფინა, ზედ ცოტა საფანელი გადმოყარა და გუგულუმების გაბრტყელება დაიწყო.

— მე რაღა გავაკეთო? — იკითხა ზაზამ.

— შენ არაფერი, დაჯექი და გვიყურე, ისწავლე. — უთხრა გიგომ და ზურჯინიდან მარლის პარკი ამოიღო. ელიზბარამ დელამას მოურია და შედღებულ, მსუქანი ყველი შრატში მოათავსა. შრატი ძირს რომ არ დაღვრილიყო, გიგომ პირგაჭიმული პარკი ცარიელ ვედროზე დაიჭირა, ელიზბარამ დელამიანი ვედრო მოაპირქვეა. პარკი უცბად აივსო და შრატი გიგოს ხელეზე გადაესხა.

— ნელა, ე, აჯამო, ნუ ღვრი.

— აჯამი — ეგ სახელი შენი, გვარი?

— ჰო, ჰო, კარგით, — გადმოსძახა მზარუქე მარტილომ, — არცერთი არა ხართ პროკლოვი და ბულანტერი.

ელიზბარას კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს ველის ქვედა მხრიდან ცხენის ფეხის ხმა და ფრუტუნი გასმა. ძაღლები აყეფდნენ და ტყისკენ გავარდნენ. მალე მხედარიც გამოჩნდა, ცხენი მოღრიცა და პირდაპირ ბინისკენ წამოვიდა.

გიგოს და ელიზბარას მხედრის გამოჩენა გაუხარდათ, — კი ხასიათზე იყვნენ, ვახშამი, ასე თუ ისე, მზადდებოდა და ტიკტორაში საგზაოც ეგულდებოდათ. კარგია ხამი, უცხო კაცი სუფრაზე, რაღაც ახალს გეტყვის, გაგაგონებს და შენს ამბავსაც წაიღებს. მარტილოს კი არ მოეწონა, გულმა რაღაც უგრძნო, ძაღლები მოიხმო და თვალმოკუტულმა თავისთვის ჩაილაპარაკა:

— საკაიკაცოდ არ უნდა მოდიოდეს, აი... ვატყობ, სიარულზე ვატყობ.

— დაიცა, კაცო, იქნებ სტუმრად მოდის, — უთხრა ელიზბარამ, — დელამა ვაჭამოთ.

ელიზბარას გიგომაც მზარი აუბა:

— ჰო, ჯერ რა იცი, ჯერ მოვიდეს, ვნახოთ.

— სტუმარს გზა ხსნილი აქვს, — მხედრისთვის თვალი არ მოუცილებია ისე თქვა მარტილომ, — მაგრამ თუ... იცოდეთ, ჯოხს დაეცებ, აი, თავში დაეცებ.

ამასობაში მხედარიც მოახლოვდა. მეცხვარეებს მისი გამოცნობა არ გასჭირვებიათ, ბინდშიც კარგად ჩანდა მეტყვევის მწვანე კილიტებიანი სერთუკი და ასეთივე ფერის ემბლემიანი ქუდი. მაგრამ რა უნდა? რისთვის მოდის?

მარტილომ გიგოს და ელიზბარას გადახედა:

— ერთ-ერთი წადით და გაიგეთ, რა უნდა? — და ისევ თავისთვის ჩაილაპარაკა, — თუმცა კარგად ვიცი, რაც უნდა და რისთვისაც მოდის.

— ძია, მარტილო, მე წავალ, და თუ რამე გაბედა... — უთხრა ზაზამ დამუქრებით.

— შენ გაჩერდი, ბალღი ხარ და... არ იცი.

მეტყვევს ელიზბარა შეეგება. არც სალამი, არც მოკითხვა. ცხენიდან ჩამოხტა და, რომ იტყვიან, პირდაპირ საქმეზე გადავიდა — მკვებელ, მზრდა-ნებლურად იკითხა:

— ცხვარი ვისია?

— ჩვენია, — მიუგო ელიზბარამ.

— სარქალი რომელი ხართ?

ელიზბარამ კოცონისაკენ გამოიხედა, მაგრამ უმალ გაახსენდა, რომ ახლა მარტილოსთვის დალაპარაკებაც არ შეიძლებოდა და, საქმე რომ არ გაერთულებინა, პასუხი ისევ თვითონ ითავა:

— მე ვახლავართ.

— სარქალი ხარ და არ იცი, რომ ტყეში საქონლის ძოვება კანონით აკრძალულია?

— ტყეში არც გვიძოვებია, გზიურ ბოვრეკეთ.

— მერე, ვინ მოგცათ ნება? ან სად ხელად აქ გზას? კარგი, თუნდაც ეგრე იყოს, ახლა ხომ ტყეში ხართ? ჰა, ხომ ხართ?... და აგე, კოკონიც დაგინთიათ. ეს დანაშაულია, დიახ... და პასუხი უნდა ავოთ, არც მეტი, არც ნაკლები!

შუახანის დაბალი, ჯმუხი კაცი იყო, სხაპასხუპით ლაპარაკობდა, ლაპარაკის დროს ფეხებს ინაცვლებდა და სულ ცმუკავდა.

— ბუნების დაცვა მთელი ხალხის საქმეა, სახელმწიფო მილიონ ფულს ხარჯავს, მილიონზე მეტსაც, ტყეს რგავს, იცავს...

— ეგ ჩვენც ვიცით და ჩვენც...

ჩვენც ვუფრთხილდებითო, ელიზბარას ამის თქმა უნდოდა, მაგრამ მეტყვევებ სიტყვა პირდაპირ პირიდან გამოპგლიჯა და ისევ სხაპასხუპით მიაყარა:

— როგორ, იცით? რა იცით? მაშ, სახელმწიფო თანხა ტყუილად დაიხარჯოს? მაშ, საზოგადოების საკუთრებას არ გაეუფრთხილდეთ? არ დავიცვათ? რას გვეუბნება კანონი? ინსტრუქცია?

— მერედა, ჩვენ...

— რა, თქვენ? რა? — მეტყვევებ ხმას აუწია, ჯიბეები ისე მოიჩხრიკა, თითქოს იქეჭებოთ და უფრო აცმუკადა, — ჰა, რა? აი, თქვენ! — უბიდან წელში გაწყვეტილი ბლოკნოტი ამოიღო და მალლა ასწია, — ჰო, აი! შეგიღვენთ აქტს და გადაეცემ... სასამართლოს! პირდაპირ პროკურორს გადაეცემ...

ელიზბარას კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამჯერად მარტილომ არ ათქმევინა. დაუძახა და თავისთან მიიხმრა:

— აქ მო! მოვიდა.

— წადი... ერთი ბატკანი დაუჭირე და... მოიწყვიტე თავიდან! — უთხრა ნელა, მაგრამ ისეთი ხმით და ისეთ კილოზე, რომ ელიზბარამ კრინტის დაძვრა ველარ შეებდა.

და მოხდა ის, რაც გუშინ როგორც იმ მსუქანმა მეველემ, ბატკნის დანახვაზე მეტყვევებამ უმაღლესი დანიშნულება, ისევე უცხად ჩამოცხრა, ჩამოშვავდა, ცმუკვა მოიშალა, გალიმებაც იმგვარადვე სცადა და დამადლუნებითაც იგივე დაამადლა, რომ მეცხვარის შრომას დიდ პატივს სცემს და ხათრით აპატიებს, რომ სხვა ამას არ იზამდა, რომ მასაც უფროსები ჰყავს და პასუხს სთხოვენ, რომ... და ათასი ამისთანა რაღაც მოჩამხა.

— ძალიან გეწყინა? — ჰკითხა ელიზბარამ მარტილოს, როცა მეტყვევ გააცილა, კოკონთან დაბრუნდა და მოღუშულ თვალწარბზე შეხვდა.

— მოდი და — ნუ გეწყინება, — ხმის კანკალით თქვა მარტილომ და ხელში შერჩენილი ცომის გუნდა ძირს დააგდო, — მძარცვავენ, მართმევენ და... მევე მამადლიან... დღისით, მზისით!

— კარგი, დაწყნარდი... რა ვქნათ, ასეთია ცხვარ-მეცხვარის ბედი, ათასი ვინმე უტყვრეცს თვალებს, ადამიანი, ნადირი, მგელი... მეც ძალიან მეწყინა, მგელმა რომ...

— არა, მე ის არ მწყენია! — შეაწყვეტინა გაჯავრებით მარტილომ — მგლის წილკერძი მეცხვარეს ვერ აზარალებს. მა რა ქნას? ღმერთს ეგრე გაუჩენია — თავს ამით ირჩენს, ამით საზრდოობს და არსებობს, მაშასადამე, ცხოვრობს. ესენი კი ყაჩაღობენ, ტაციაობენ და... ჯიბგრობენ. ეგ არი, აი!.. და საწყენიც სწორედ ეგ არის.

— დაბარებულებით არ მოგვადგა ის ოხერი! — თქვა გიგომ, — მიინც საიდან გაჩნდა, ჰა?

— ალბათ, ტყიდან. დაინახა ცხვარი და... შინ ხელცარიელი რად მისულებო? ცოლ-შვილს ბატკანს მიუყვანს და... გაახარებს... ნაქურდალით, ნამათხოვრალით... და თავსაც მოიწონებს. ჰმ, რა დრო დადგა. — მარტილომ წელან დაგდებული ცომის გუნდა აიღო, გააბრტყელა, შემოამრგვალა

და გუგლუმების კოკოლაზე შემოდო.

გიგომ გაწურული დელამა მარლის პარკიდან ალუმინის ჯამებში გადაანაწილა, შრატში ხმელი პური ჩატეხა და ძალღებს აქამა. მერე თვითონაც კოცონთან მოვიდა, ელიზბარას გვერდით ჩამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა.

ბინდი თანდათან გამოქდა, გამკვრივდა, კოცონს ვიწრო რკალად შემოერთვა ირგვლივ და მელნისფერ ცაზე ვარსკვლავებიც გამოსხდა. მოცისფრო, მეწამული ალი თითქოს ღამის ჩრდილებს ეთამაშებოდა. ხან ყვითლად აპარპალდებოდა და განზე გაფანტავდა, გააფრთობდა, ხან ისევ ახლოს შემოიკრებდა და თვითონაც მუგუზლებში ჩამალდებოდა. ნაადრვი შეშა გაბმით შხიოდა, ნაკვერჩხალი ტაკუნობდა, კოცონის თავზე ღამურები და შავი ხოქოები დაფრინავდნენ დროდადრო რომელიმე მოზრდილი ღამის ფრინველიც გადაუფრენდა, სინათლეზე ერთხელ შეიფრთხილებდა, ფრთებს ირიბად შეარხებდა და ბნელით მოცულ ტყეში ჩაიკარგებოდა. ტყე გაუჩერებლად ფუთფუთებდა, ქშინავდა და კოცონის ირგვლივ მსხდომებს თითქოს რაღაცას შემოსჩიოდა. ზაზასთვის აქ უცხო არაფერი იყო, სოფლის ტოლ ბიჭებთან ბევრჯერ მჯდარა ღამით კოცონთან, უნახავს შექრდილების ეს ქაღალსური თამაში და ტყის იღუმალი ხმებიც ბევრჯერ სმენია. მაგრამ აი, ხანდაზმული, ჭარბავი კაცების — მეცხვარეების საუბარს კი პირველად ისმენდა და ყურს გაფაციცებითაც უგდებდა.

— საწყენი უფრო ის არის, რამა — თქვა ბოლოს მარტილომ, — ყველა ამ მეველეებს, მეტყველებს, ინსპექტორებსა და ათასი ჯურის წვრილფეხა ქურდაცაცებს, წამგლეჯებს, მათხოვრებს პირზე სულ კანონი, სახელმწიფო, ხალხი და საზოგადოება აკერიათ. თითქოს სწამთ რაღა, და ფარად კი იყენებენ, წყველები. ეგ არი, აინთორემ ერთი და ორი ბატკანი

ფარისათვის დიდი არაფერია, დანაკლისადაც კი არ ჩაითვლება.

— რომ არ მივცეთ, ვითომ რას გვიზამენ? — იცითხა ზაზამ გულბრყვილოდ.

— გაგვაწვალებენ... ოხრებია. — მიუგო მარტილომ და ადუღებულ ვედროში გუგლუმების ჩაყრა დაიწყო.

— ინსპექტორებს რომ არ მივცით? რა დაგვაკლებს?

გიგოს და ელიზბარას გაეცინათ, ზაზას ისევ მარტილომ უპასუხა. კოცონთან წინ წახრილი იდგა, სათითაოდ ყრიდა ვედროში გუგლუმებს, მეორე ხელს სახეზე იჩრდილავდა და ზაზას ისე ელაპარაკებოდა:

— ისინი ვერც დაგვაკლებენ, — ჩვენზე ხელი არ აქვთ. მეტყვევ და მეველე კი სხვა საქმეა, მიწა აპარიათ და... ჩვენც მიწაზე ვართ. დაწერს აქტსა და... ბევრი კი არ უნდა, სულ მცირე მიწები ყოფნის, რომ შარი მოგდოს, ეგ არი, აი! და თუ რამ წანახედი აქვს — ძველიც და ახალიც, ყველაფერს შენ მოგაწერს. დაწერილს კი სიმართლის ძალა აქვს, ზოგჯერ ჯობნის კიდევ. ჰოდა, წადი მერე და ამტკიცე, რომ მართალი ხარ... დავიბარებენ, გატარებენ, და... იმათ რა ენაღვლებათ, შენ კი გაწვალდები და ხარჯიც მეტი მოგივა. — მარტილო. მორჩა გუგლუმების ჩაყრას, ვედრო საკიდიდან გადმოიღო და სახელურით რამდენჯერ შეატრიალ-შემოატრიალა, რომ გუგლუმები ძირზე არ მიჰკვროდა. ისევ თავის ადგილზე გადამოქდა და დაუმატა — ჰოდა, ჯობია, დროზე მოიწყვიტო თავიდან.

— ჰოო...

— აბა, რა გეგონა? ეს რომ არა, ისე დაუფრენდით, რომ უკან მოხედვასაც ვეღარ გაბედავდა.

— ერთი დრო არც მაგათ შერჩებათ, არა! არ შერჩებათ, — რწმენითა და ნიშნის მოგებით თქვა ელიზბარამ და ნაბაღზე გულაღმა გადაწვა. — დაცათ ჯერ მორჩნენ მსხვილებსა, მოითონ... ისეთ კაპს ამოსდებენ, რომა!..

— მაინც, რა ქორივით დაგვაცხრა, ჰა? — თქვა ცოტა ხნის შემდეგ გიგომ, — გეზელქორივით! — და გაიცივნა.

— აბა, ბიჭო, აბა, — კვერი დაუკრა ელიზბარამ და ისევ წამოჭდა, — ლაპარაკიც არ მაცალა. დაგვიკვლა და დაგვიკვლა, — ამას და იმას ვიზამთო! ცოტა ხნის შემდეგ მარტილოსაც გაელიმა:

— მაგათ დამაბერეს, მაგათ, გაუწყურეთ ღმერთი!.. თორემ ცხვარში რა დამლლიდა, რა გამაქალარავენდა.

მერე გაიხსენეს მეტყეას თვითეული სიტყვა, ხმა, ბღვერა, ფაფხური, მსგავსი შემთხვევები წინანდელიც მოიგონეს და სიცილ-ჭილიკი და ოხუნჯობა ბოლოს ლექსად ჩამომარცვლეს. ზაზამ ვერ გაიგო, როდის ან რომელმა თქვა პირველად, მგონი, თვითონ მარტილომ წამოიწყა:

— მანდორში ბინა დავიდეთ,  
სადაც თავდება შთის უელი.

მარტილომ ჩაახველა და კოცონის მეორე მხარეს გიგოს გახედა. გიგო მხრებში შეიშმუშნა, ნელა ჩაიცივნა და ლექსს გზა გაუკვლია:

— მეტყევემ ჩამოგვიქროლა,  
ტანთ ჩოხა ეცვა მგლისფერი.  
— ქულზე მოუჩანს ნიწანი,  
როგორც ტალახის წინწყალი.

დაასრულა გარეგანი სურათი ელიზბარამ და ერთი ფრთა საბასიათოც გაპოუშალა:

— აქტის შედგენას ვეპირებს,  
მაგრამ არ იცის იმდენი..

იციენს, იხარხარეს, ილაღლანდარეს. ამასობაში გუგლუმაც მოიხარშა. ბუერებზე ამოყარეს. ეს ბუერები წელან საგანგებოდ ამისთვის დაგლიჯა გიგომ დელის პირზე. ბუერებს შუა და შუა დელამიანი ჯამები ჩამოდგეს და ცხელ გუგლუმასა და ერბოცურვილ ქმარილო უველს მაღიანად შეეჭკნენ.

ვახშმის შემდეგ ძაღლები თეოზე გაუშვეს, თვითონ ისევ კოცონის ირგვლივ გადმოსხდნენ. ისაუბრეს იქითურზე — აქეთურზე — წლის მოსა-

ვალზე, განაწილებაზე, გეგმებზე და ცხვრის დალიანობა-უდალიანობაზე. ბოლოს მწყემსის განუყრელი თანამგზავრი და სულის საზრდო — ზლაპარიც გაიხსენეს. გიგო მხართმძოზე შემოწვა, „პრიმას“ მოუკიდა და დაიწყო:

— იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ობოლი მეცხვარე...

კოცონი ჩაიფერტლა. გაფუებული ნაღვერდალი ნაპირებზე შემოინაცვლა და შუაგულში ნელი თრთოლვით აღულუნდა. ლილისფერ ცახე მოხშირებული ვარსკვლავთ კრებულიც თითქოს ასევე თრთოდა, იფერფლებოდა და ღულუნებდა. სიბნელემ გასახედი გააშიშვლა და დაყრილი ფარა და ტყის შავი სარტყელი მკაფიოდ გამოაჩინა. ცხვრის ფშინვა, საცობარი და ღამის ნელი ფაჩუნე ერთმანეთს ერთვოდა და ჩქროიან ღუმლის უფრო ამძაფრებდა. ტყიდან ოლოლების მოძახილი ისმოდა. სიწყნარეს დროდადრო ნიავიც არღვევდა, ველს ფარფატით გადაუქროლებდა და ტყეს ააშრილებდა. დროდადრო გიგოც წყვეტდა თხრობას, ჩამქრალ სივარეტს მოუკიდებდა, ან მხარს მოინაცვლებდა და მერე განაგრძობდა.

ზაზას სოფელში ზღაპრის მეტი რა გაეგონა, მაგრამ ასე გულდასმით და ყურადღებით წინათ არასოდეს მოუსმენია. არც ასე ძალიან როდისმე მოსწონებია. აქ ზლაპარიც სხვანაირი ჩანდა. სოფლებს დაშორებულ, ტყით გარშემორტყმულ ამ პატარა ველში, ხნიერი, უცნაური კაცების გვერდით, მიმქრალ კოცონთან, იგი უფრო ღამაში ეჩვენებოდა — უფრო ნამდვილს ჰგავდა, თითქოს იმასვე იმეორებდა, რაც ორი დღე-ღამის მგზავრობის დროს თავისი თვალთ ნახა და განიცადა. ოლონდ, ეგ იყო, რომ გიგო უფრო ამოკლებდა და უველაფერს ბოლომდე არ ამხელდა. ნანახსა და მონაყოლს შორის კიდევ რჩებოდა რაღაც, რაც ზაზამ ჯერ არ იცოდა. რაც დრო გადიოდა

ოდა, რაც უფრო მეტად აკვირდებოდა მეცხვარეთა ქცევას, ისმენდა მათს სიტყვა-პასუხს, ხედავდა სიხარულს, წყენას, ეს დაფარულიც სულ თვალსაჩინო ხდებოდა. შესაბამისად მეცხვარეთა ყოფაც თავისებურ ემშხა და ლაზათს იძენდა და ზაზას თანღატან თავისკენ იზიდავდა. მართალია, ჯერჯერობით სალალობოს და გულისგადასაყოლებელს ვერაფერს ხედავდა, მაგრამ მასში იყო რაღაც ისეთი — კარგი, საამაყო, თავმოსაწონარი, რისთვისაც ღირდა აქ ყოფნა, ღირდა სიცოცხლე, არსებობა და, თუ გნებავთ, თავგანწირვაც.

## 8

ცხვარ-ბატენის ფარებით ჰირთამდე გაქედლი არაგვის ვიწრო ქალა თეთრი ზამბით გადაპენტლი ველს დასვავსებია. ისმის გაუთავებელი ხმაური — ბლავილი, კივინი, სახედრების ყროყინი, ცხენების ჭიხინი, ძაღლების ყეფა და მწყემსების სტეენა, კივილი, სიმღერა და სიცილ-ხარხარი. მიდის ცხვრის ფარები საზაფხულო იალღებისაკენ, მიიზლანება, ფარა ფარას მისდევს, რიგო—რიგს. და დასასრული კი არ უჩანს, მიდის, მიბლავის, მიკუნტრუშობს და მდინარის ნაპირებზე წამოზრდილ ეკლის ბუჩქებს მატყლის თეთრი კეჭებით აქუჩუჩებს.

მთელ ზამთარს ხალხს მოწყვეტილი და ერთურთის ნახვას დანატრებული მეცხვარეები შორიდანვე ესალმებიან ერთმანეთს, გასძახიან გორიდან გორზე, მოკითხულობენ ცხვარ-ბატენის ამბავს, მწყემსთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ერთიმეორეს მშვიდობიან გამოზამთრებას ულოცავენ და შიგა და შიგ მეცხვარულ ლექს-კაფიებსაც გამოურევენ. მათი ხორხოცი და გაძახილ-გამოძახილი ძლიერ ექოდ აწყდება ტყით შექოჩრილ, კლდოვან ფერდობებს და მოდიდებული არაგვის დორბლიან ღრენასაც კინაღამ ფარავს...

ფერმის გამგე მართლაც შეპირე-

ბულ ადგილზე დახვდათ. თავმჯდომარე და მდივანიც თან ახლდნენ. ავტომანქანები — „კოლხონები“ და „მწველ-გა“ გზის ზემოთ, დიდრონი კაკლების ჩრდილში შეეყენებინათ, თვითონ მომალლო კიდურზე გამოსულიყვნენ, ნაბდეებზე ისხდნენ და ხეობაზე შემოფენილ ფარებს გადმოჰყურებდნენ. ფერმის ყველა ფარა გაესტუმრებინათ და ახლა მარტილოს ბრიგადასა ელოდნენ.

თვითონვე ჩამოეგებნენ გზაში, ჯერ ფერმის გამგე, მერე თავმჯდომარე და მდივანი, მიესალმნენ და მწყემსებს ხელი ჩამოართვეს. ზაზასაც ჩამოართვეს ხელი, მოიკითხეს და მგზავრობის ამბავი და დაგვიანების მიზეზი გამოაკითხეს. მარტილომ უთხრა, რატომღაც დაავიანდათ და მოზოდინებით დაუშავა:

— ჰოდა... ეგ არი, აი, გალოდინეთ, — მდივანს ვახედა და გაიმეორა, — გალოდინეთ და... დრო დაგაქარგვინეთ.

— არა, ბიძაჩემო, არა ხართ მართალი, — ღიმილითა და უმცროსის თავაზიანი სიტყვებით შეეპასუხა მდივანი, — დრო, რომელიც საქმეს ხმარდება, დაქარგულად არ ჩაითვლება. ცხვარი უდანაქარგოდ გადმორეკეთ, არ დაზარალებით, მაშასადამე, დრომ თავისი თავი არ დაქარგა. საჭიროებას მოხმარდა და... დანიშნულბაეც ხომ — ერთადერთი — ეს არის.

— ჩვენ კი, მაგრამ, თქვენა?

— ჩვენი და თქვენი ვინ გაყო? რაც ჩვენია, ის თქვენიც არის.

თავმჯდომარემ ზაზას ვახედა და მარტილოს ჰკითხა:

— ეს ჭეელი რას შერება?

— კარგია. — მოკლედ და უყოყმანოდ მიუგო მარტილომ.

— სამერმისო რქა როგორიღა უჩანს?

— რაც მართალია, მართალია, სწორად მიდის. და თუ ეგრე იარა... წავა, აი, წინ წავა.

— ივლის, — წამქეზბლურად თქვა თავმჯდომარემ, — ზაზა ჩემი კანდი-

დატურაა, ჩემი ფალავანია და... მე მგონი, არ შემარცხვენს, არ მიღალატებს.

ცხვარი ნელი ძოვით მიჰყვებოდა გზის ნაპირებს. თვითონაც ჭგუფად მიდიოდნენ. ზაზა გიგომ და ელოზბარამაც შეაქეს — ხამად არის, მაგრამ წადილითა და მიხედრილობით ჩვენ არ ჩამოგვრჩებაო. საუბარში ბოლოს მდივანიც ჩაერთა. იგი შუახანს გადაცილებული კაცი ჩანდა, მაგრამ საკმაოდ ჭარბაგად და ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. სიმსუქნე ჭერ ისერივად ვერ მოჰკიდებოდა, ხშირი, ოდნავ ტალღოვანი თმაც ზომიერად ჰქონდა გაჭლარებული და უკან გადაეარცხინილი. ზაზას გვერდით გამართულად მიიბიჯებდა და ახალგაზრდობის საქმიანობასა და მოვალეობაზე ლაპარაკობდა. მწითურ სახეზე თავისი საქმით კმაყოფილი და დაჭერებული კაცის მძლარი ღიმილი გადაჰკარავდა, მაგრამ სიტყვებს დაფიქრებით, გამოზომილად და თითქმის ფრთხილადაც კი გამოთქვამდა. ბოლოს ზაზას მხარზე დაადო ხელი, არაგვს ვაღმა, კინჩხ კლდეზე წამომართული ციხებურჯისაკენ გაახედა და ხმას აუწია:

— დიდებულად ნაშენია! მაგრამ ვინ ააშენა? ჩემი ხნის კაცი, ცხადია, იქ ვერ ივარგებდა, მაშასადამე, ახალგაზრდობამ ააშენა. ხალხს, ქვეყანას დასჭირდა და ააშენა... გუშინ ის იყო, დღეს აი ეს გვეჭირდება... ასეა ქვეყანა — თაობა თაობას ცვლის და საქმეც ხელიდან ხელში გადადის, ერთი იწყებს, მეორე აგრძელებს და თუ დამწყებს გამგრძელებელი აღარ ეყოლა... რა იქნება? არაფერი... აღარაფერი. — თვითონვე უპასუხა თავის თავს, მკირე ხანს იყუჩა და კვლავ კითხვით დაუმატა, — მამ რისთვისღა გვინდა სწავლა-განათლება, სიმდიდრე, ქონება?.. სად წავიღოთ, რას მოვახმართო? — ისევ გაჩუმდა, პირდაპირ, თეთრმანდილიანი მწვერვალებისაკენ გაიხედა და თავაწეულმა ოცნებით და ჩაფიქრებით განაგრძო, — მცხეთა, გელათი, ალავერდი, ვეფხისტყაოსანი,

ოპიზარები და ათასი სხვა ამათთანა... დიახაც, თავმოსაწონია, მაგრამ ვინ იცის... მცხეთის ამშენებელთა იქნება ტან-ფეხშიშველიც დადიოდა და ვეფხისტყაოსნის დამწერს ლუქმაპური უჭირდა?.. ვინ იცის! — ისევ ზაზას შეხედა, ისევ დაადო მხარზე ხელი და ნათევრად ხუმრობითა და ნახევრად გულთ დააბოლოვა, — ხომ გახსოვს, რა უთხრა ხევისბერმა ონისეს? ჰოდა, შენც გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!

ასე საუბარ-საუბრით გაიარეს ვიწრო ღელეზე გადებული ბოგირი და მდინარისკენ წაიღულ, შიშველ გორზე გავიდნენ. აქედან გზა მარჯვნივ უხვევდა და თავდაღმართს ქცეულებად ჩასდევდა. ცხვარი მოტიტვლებულ ფერდობებს ჩაეკიდა, თვითონ კიდურზე გადადგნენ და არაგვის ჭალას გადახედს. ჭალაზე ორი მდინარე დაპირისპირებოდა ერთმანეთს, ერთი — რუხი, აქაფებული, მძიმე, ურჩი და ბრაზიანი ცოფმორეულ ტალღებს თავქვე მიაქანებდა, მეორე — თეთრი, მსუბუქი, მორჩილი და უწყინარი ზევით, სიმწვანემოდებული ქედებისაკენ მიიგრავებოდა.

— საშენი მასალა — ხე-კოჭი და შიფერი გუშინწინვე გავაგზავნეთ, — უთხრა მდივანმა მარტილოს გამომწვიდობებისას, — ხელოსნებიც გავაყოლეთ. ისინი უკვე მუშაობენ. ახლა ჩვენც ავალთ, დაგზავნეთ და... გამზადებულ ბინა-სადგომებს დაგახვედრებთ კიდევ რა გჭირდებათ, რა გიშლით ხელს. რა ვაწუხებთ? გვითხარით... აქ, ან იჯახებში... ნუ მოგვერიდებით.

მარტილომ მხრები აიჩეჩა და გამგეს გახედა.

— მე რა გითხრათ, აი გამგე, უფროსია და... იცის, თვითონ იცის.

— გამგე კი... მაგრამ მე უფრო თქვენი, მწყემსების პირადი აზრი მინდა. თვითონ სამი წელიწადი მაქვს სიკაბუკისას ცხვარში გატარებული და... ვიცი. მწყემსი თვითონ არის საქმესთან და საჭიროებაც უკეთ იცის, გარდა



ამისა, ზოგჯერ პირადადაც რაღაც აწუხებს, უჭირს კიდეც, მაგრამ საწუხიცი და გასაჭირიც შორია და არა ჩანს, გარე თვალისათვის არა ჩანს. საქმეს კი აბრკოლებს, გულზე ლოდოდ აწევს და... აბრკოლებს, ჰოდა, თქვით, პირდაპირ, გულახდილად, მოურიდებლად... თორემ ართქმამ, დაფარვამ. ერთმანეთის მამებლობამ, ხომ ხედავთ, რა გვიყო? ჩამოვრჩით და... ჩამოვრჩენა კი სირცხვილია.

— ეგ არი, აი! — კვერი დაუკრა მარტილომ — სირცხვილია, მამ ძალიან სირცხვილია!

— ჰოდა, ნულარ ვინამთ. თქვენ თქვენს გვითხარით, ჩვენ ჩვენსას გეტყვით და... გავაკეთოთ.

— აბა, რა გითხრათ, — ისევ მხრები აიჩეჩა მარტილომ, — მეწველში ხალხი მოგვაშველეთ და... ჯერს ნუ მოგვაკლებთ... აი, ეს არის სულ.

— ეგ აქ, მაგრამ ოჯახებში? ოჯახებში როგორა გაქვთ საქმე?

— ჩვენ არა გვიშავს, აი, ელიზბარას კი... მეუღლე ვერა ჰყავს კარგად.

— რატომ? რა სტკივია? — მდივანმა თვითონ ელიზბარას ჰკითხა.

ელიზბარამ უცბად ვერ უპასუხა. თავის სიცოცხლეში პირველად ხედავდა მდივანს, ასეთ „დიდ კაცს“ და მისმა თანატოლივით მიმართვამ უზომოდ დააბნია. ჯერ ქულის მოხდა დააპირა, მერე ისევ გადაიფიქრა. აღვიღზე უხერხულად მიდგა-მოდგა და გაკირვებით ამოღერდა:

— აბა, რა ვიცი, შენი ჰირიმე.. კუჭი აწუხებს, წყლული აქვს.

— ექიმთან არ გყავდა?

— როგორ არა, შენი ჰირიმე, ორჯერაც მყავდა.

— რაო? რა გითხრა?

— ჯავში უნდა წაიყვანო, წყლებზეო...

— მერე?

ელიზბარა ისევ უხერხულად შეიშმუნა და მდივანს მარტილომ უპასუხა:

— მერე, არაფერი; — უთხრა პირ-

დაპირ და თითქმის გამოჰწვევდაც, — ეს ზამთარ-ზაფხულ, დღე და ღამე აქ არის და... აბა, ვინ?

მდივანმა ნაცრისფერი პიჯაკის უბის ჯიბიდან ბლოკნოტი და პასტის კალამი ამოიღო და ელიზბარას გვარ-სახელი ჩაიწერა, მისი გასაჭირიც ჩაინიშნა და თავმჯდომარეს ცოტა არ იყოს, საყვედურით შეხედა. თავმჯდომარემ თავი იმართლა:

— აი, ახლა მესმის პირველად!

— მამ, ახლა ნულარ დააყოვნებ, — უთხრა წყნარად მდივანმა და კალამი და ბლოკნოტი ისევ უბეში ჩაილაგა. — ჩასვლისთანავე გამოუწერე საგზური, ექიმს მიმართვაც გააფორმებინე და... რაც საჭიროა. მანქანა მიეცი და კაციც გააყოლე, რომ მიჰყვეს და დააბინაოს. სახლსა და ეზო-კარმიდამოსაც მიუხედე და, — ელიზბარაზე მითითა, — ამბავი დროზე შეატყობინე.

მდივანი, თავმჯდომარე და გამგე მანქანაში ჩასხდნენ და მთისკენ წავიდნენ. მწყემსებმა ფერდობზე მიმოფანტული ცხვარ-ბატკანი ერთად დააქუჩეს და ჰალისაკენ ჩამართეს. ვაკეში რომ ჩავიდნენ, მარტილო გიგოს და ელიზბარას ამოუდგა გვერდით და აღელვებულმა ხმაჩახლჩით თქვა:

— ეგ არი აი! კი სიტყვა გულს გაგიხარებს... ახლა არაფერია არ მინდა, — არც დამხმარე, არც მშველელი. ისეთ ხასიათზე ვარ, რომა... თუნდა მთას გავანგრევე, აი, მთას!

— აი სიტყვისა არაფერი მწამსო? — მოაგონა გიგომ წუხანდელი.

— ლიტონი სიტყვისა არცა მწამს, — გაწყრა მარტილო, — მაგრამ აქ გულიც არა, აი, მართალი გული!... აბა, გახსოვთ, როდისმე ოჯახები მოვიტოხოთ? ჰო, აი, ეს არის, აი, საქმე ეს არის! თვითონ მუშაკაცია. მშრომელი და... იცის... ავიც, კარგიც... საჭიროებაც, საზრუნავიც.

— მე კი როგორ შემრცხვა, — თავი გაიქნია ელიზბარამ, — თავმჯდომარეს რამ უთხრა, მამინ უფრო შემ-



რცხვა... მიწა, რომ გამხეთქოდა, ის პერჩინა.

— თქვენ თუ შეატყეთ, თავმჯდომარეც ისეთი აღარ იყო, რალაც სხვანაირი ჩანდა, არა? — იკითხა გიგომ, — თითქოს დადინჯებულა და... უფრო კაცს ღამგვანებია, ნამდვილ კაცს.

— შევატყვე, მაშა! — დაემოწმა მარტილო, — და არც გამკვირვებია: უფროსის ყოფაქცევა უმცროსზეც გადადის. ხარი ხართან დააბიო... ეგ არი, აი! რაც თავია, ბოლოც ან არის!

— კაი ბიჭია და, ნუ გადავა. — სიცილით ჩაურთო გიგომ.

— ჰო, — გააგრძელა მარტილომ, — დანახვას, დაფასებას თავისი მაღლი აქვს. და როცა ზურგსუკან ასეთი კაცი გეგულება, საქმე რაა? ან ვასაჭირი? თავი შენც რალაცის ბატონ-პატრონი გგონია და მკლავიც და გულიც ერთნაირად გერჩის. — ნერწყვი გადაყლაპა და თავისებურად ხმამაღლა დააყოლა, — ეგ არი, აი, ეგა!

მაღე ფარებს შორის ადგილი მოიხელთეს და თავიანთი ფარაც ცხვარბატონის საერთო რიგში ჩააყენეს. მარ-

ტილომ უკან მიყოლა ახლა გიგოს დაავალა, ზაზა და ელიზბარა აქეთიქიდან ამოუყენა, თვითონ წინ გავიდა და რქადაგრეხილ ქეჩს გაუსტვინა...

მიდიოდა ცხვარი, მიბლაოდა, მიიჩქაროდა. მიჰკიოდნენ კანგარუჯული თეჭიანი მეცხვარეები, მიუქნევდნენ კაუჭიან, ნაჭდევ ჯოხებს და და მიიმღეროდნენ:

ცხვარი, გამშვენებს ვაც-ვერძი,  
ვაც-ვერძო, თვრჭიანობა...

თავჩობანი მარტილოც მიიმღეროდა, ღიღი ხანია, თავი ასე ლალად და ხალვათად არ უგრძენია. შეჰყურებდა გორებშუა ამოზიდულ საორბე მთას და თავაწეული გრძლად და მსუბუქად მიაბიჯებდა. ხანდახან შემობრუნდებოდა, ფარას თავიდან ბოლომდე გაათვალიერებდა და მზერას კვლავ საორბე მთას გაუშტერებდა. ახლა მთაც სხვანაირი ჩანდა, მზის გულზე თითქოს იზმორებოდა, სიმწვანეგადავლილ, ყვავილოვან მკერდს ფართოდ აჩენდა და ქალაზე შემოსულ ცხვრის ფარებს სიალაღედ თითქოს თვითონვე იწვევდა.



უილიამ ზეჰსნირი

## ბრილიანტი და კენიდა

მთქმელმა მთქმე

სურათი I

ბურძენთა ბანაკის სხვა კუთხე.

(შემოდინ აიაქსი და თერსიტე)

აიაქსი

თერსიტე!

თერსიტე

რა იქნება, ავამემნონს რომ მუწუკები დააყაროს? მთელ ტანზე, თავიდან ფეხ-  
ბამთა?

აიაქსი

თერსიტე.

თერსიტე

მერე ეს მუწუკები რომ გასკდეს? ვთქვათ, თვითონ სარდალიც რომ გასკდეს?  
აბა, ხეირი მაშინ იქნება!

აიაქსი

ძალლო!

თერსიტე

იქნებ მაშინ მაინც რამე ხეირი გამოსულიყო მაგისაგან. ჯურჯურობით კი ვერა-  
ფერს ვხედავ.

აიაქსი

შენ, ეი. ძალღიშვილო, არ გესმის? მაშ ახლა გაიგე! (სცემს).

თერსიტე

საბურძნეთის ჭირი გეცეს, შე უჯიშო, ბატისტენინა ბატონო!

აიაქსი

ილაპარაკე, შე დაობებული საფუარო, ილაპარაკე. იმდენს გცემ, რომ, ბოლოს  
და ბოლოს, გაგალამაზებ.

თერსიტე

მე კიდევ იმდენს გლანძღავ; რომ უფრო ადრე მოგაჭკვინებ. თუმცა რა, შენი

ცხენი უფრო მალე ისწავლის ქადაგებას, ვიდრე შენ ლოცვის დაზუპირებას. ცემა კი  
 ათ, ჯ-გლაგო, ჭირმა კი წაგიღოს!

ა ი ა ქ ს ი

შამასოკო, გამაგებინე, რა გამოაცხადეს?

თ ე რ ს ი ტ ე

ასე რომ მიტყაპუნებ, გგონია ვერაფერსა ვგრძნობ?

ა ი ა ქ ს ი

რა გამოაცხადეს-მეთქი?

თ ე რ ს ი ტ ე

მე გგონია, შენ გამოგაცხადეს სულელად.

ა ი ა ქ ს ი

გაჩერდი, შე მანუზღარბა, გაჩერდი, ხელები მექავება.

თ ე რ ს ი ტ ე

ეგ რაა, ასევე დაგმართნია, თავიდან ფეხებამდე აგქავებია ტანი! აი, მაშინ კი  
 დაგფხანდი, გაგიხარია! ყველაზე საზიზღარ ჭეცვიანად გაქცევედი მთელ საბურძნეთ-  
 ში. ბრძოლაში რომ გადიხარ, მაინც ვერაფრის ჯობნი.

ა ი ა ქ ს ი

გეკითხები, რა გამოაცხადეს-მეთქი!

თ ე რ ს ი ტ ე

წამდაუწუმ აქილევსს უღრენ და აგინებ და თანაც მისი შურით გასიებულხარ,  
 როგორც ცერბერი ბროზურპინეს სილამაზის მიზეზით. სწორედ ამიტომაც უყუფ აქი-  
 ლევსს.

ა ი ა ქ ს ი

თერსიტე, დედაკაცო!

თ ე რ ს ი ტ ე

აბა, ერთი იმას დაარტყი!

ა ი ა ქ ს ი

ლუკმადაც არ მეყოფა!

თ ე რ ს ი ტ ე

ერთი მუშტის დარტყმით გაგბეთქავეს შუაზე, როგორც მუზღუერი — ნამ-  
 ცხვარს.

ა ი ა ქ ს ი

შენ, ეი, კახპისშვილო, ძაღლო! (ხცემს)

თ ე რ ს ი ტ ე

მირტყი, მირტყი.

ა ი ა ქ ს ი

ალქაჯის კუნძო!

თ ე რ ს ი ტ ე

ჰო, კიდეც, კიდეც, გამოტვინებულ ბატონო! მაგ თავში იმაზე მეტი ტვინი არა  
 გაქვს, რაც მე ჩემს იდაყვში. ვირიც კი გასწავლიდა ჭკუას, შე ატროკებულ ვირო.  
 აქ იმისთვის მოგიყვანეს, რომ ტროკლებს ტლინკები აყარო. ვისაც კი ცოტა ჭკუა უყ-  
 რია თავში, ბურბურიელ მონასავეთ გყიდის და გყიდულობს. თუ ჩემს ცემას თავი არ  
 დაანებებ, ფეხდაფეხ მოგდეც და ყველას წყრილად მოვუყვები, რა შვილიც ბრძანდები,  
 შე გამოტვინებულ, შენა!

ა ი ა ქ ს ი

ძაღლო!

თ ე რ ს ი ტ ე

ჭეცვიანო მუტრუკო!



ქოფაკო! (ხეშხ)

ა ი ა ქ ს ი

თ ე რ ს ი ტ ე

მარსის გიჟო! მირტყი, ვირო, მირტყი, აქლემო, მირტყი!

(შემოდინ აქილევსი და პატროკლე)

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

რაო, აიაქს, რატომ ურტყამ, რა ამბავია?

რაო, თერსიტე? გესმის, კაცო! რა დაგემართა?

თ ე რ ს ი ტ ე

ხედავ, რას შერება, ხედავ?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ჰოდა, რა ამბავია?

თ ე რ ს ი ტ ე

არა, ჯერ შეხედე, შეხედე მაგას.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

აკი ვუყურებ, რა ამბავია-მეოქი?

თ ე რ ს ი ტ ე

არა, კარგად დაათვალიერე.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ჰოდა, აგრეც ვშერები.

თ ე რ ს ი ტ ე

არა, მაინც კარგად ვერ ხედავ.

ვინც არ უნდა გვეგონოს, იცოდე, ეს აიაქსია.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ვიცი, სულელი!

თ ე რ ს ი ტ ე

მაჲ სულელმა კი არ იცის, რომ სულელია

ა ი ა ქ ს ი

აი, ანტომაც გცემ.

თ ე რ ს ი ტ ე

აი, აი, აი, აი, რა ჭკუის მარგალიტებს აფრქვევს! სულ დიდყურას საქციელი აქვს. მაგის თავს ჩემგან მეტი მოხვდა, ვიდრე მაგისგან ჩემს ძვლებს! ერთ კაპიკად ცხრა ბელურას იყიდი, მაგის ტყინი კი ბელურის მეცხრედად არ ღირს. ამ ვაჭბატონ აიაქსს, აქილევს, ჭკუა მუცელში წაუვიდა და ნაწლავები თავში ამოუვიდა. შენც გეტყვი, რასაც მაგაზე ვამბობ.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

რას ამბობ?

თ ე რ ს ი ტ ე

მე ვამბობ, ამ აიაქსს...

(აიაქსი დახარტყმელად ხელს მოუქნევს)

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

გეყოფა, აიაქს, ჩემო კარგო!

თ ე რ ს ი ტ ე

...იმდენი ტყინიც არა აქვს...

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ნუ ამბობ, უნდა გაგაჩერო.

თ ე რ ს ი ტ ე

...ვითომც ელენეს ნემსის ყუნწი ამოვესოს, ვისი გულისთვისაც მოვიდა საბრძოლველად.



აქილევსი

გაჩერდი, სულელი!

თერსიტე

მე კი გაჩერდები, მაგრამ ვე სულელი არ ჩერდება. აი, აქ არის, ვე არის, ურთი ნახეთ.

აიაქსი

ჰაი, შე წყველო ძაღლო! მე შენ...

აქილევსი

ამ სულელს თავს უყადრებ?

თერსიტე

ნუ, თავს ნუ გაუყადრებ, თორემ თავი მოგვჭრება.

პატროკლე

ვე კი კარგად თქვი, თერსიტე.

აქილევსი

რა იყო, რა განხუბუბთ?

აიაქსი

ამ გაიძვერა უტვინოს ვუბრძანე, ერთი მიაშხე, რა გამოაცხადეს-მეთქი და ამან კი მასხრად აგდება დამიპირა.

თერსიტე

შენი მსახური კი არა ვარ!

აიაქსი

მამ, გაეთრიე, გაუთრიე აქედან!

თერსიტე

მე აქ ჩემი ნებით ვმსახურობ.

აქილევსი

ამ უკანასკნელ სამსახურში კარგა ბლომად მოგხვდა. არა მგონია ეს შენი ნებით იყო, თავის ნებით არაფინ თავს არ გაალახვიანებს. აიაქსი კი აქ მართლაც თავის ნებით მოვიდა, შენ კი — იძულებით.

თერსიტე

მამ ვერე, არა? შენი ტვინის დიდი ნაწილიც შენს კუნთებშია მოთავსებული, თუ არა ვცდები. ჰექტორი კარგად გამოგატვინებს. ერთი გარტყმით ვე თავი ფუყე კაკალივით გაგისკდება.

აქილევსი

რა, ახლა მე მეჭიდავები, თერსიტე?

თერსიტე

აი, ულისეს და მოსუცი ნესტორის ჭკუა მართლაც რომ ჭკუაა. ვიდრე შენს წინაპრებს ფეხზე ფრჩხილები ამოუვიდოდა, ნესტორის ჭკუას ობიც მოგვიდა. ხარებივით შებმული ჰყავზართ უღელში და ამ ბრძოლის ველს გახუნევენებენ.

აქილევსი

რაო, რაო?

თერსიტე

დიახ, ასე გახლავთ, დიახ, აქილევს, დიახ, აიაქს, დიახ!

აიაქსი

ახლავე ენას ამოგაძრობ!

თერსიტე

რა უშავს. შენდენს მაინც ვილაპარაკებ.

პატროკლე

ალარაფერი თქვა, თერსიტე, გეყოფა, გაჩუმიდი!

თ ე რ ს ი ტ ე

მეტრი რა ჩარაა, უნდა გაეჩუმდე, თუ აქილევსის ძუენა მიბრძანებს.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ეგეც შენ, პატროკლე!

თ ე რ ს ი ტ ე

ვიდრე კვლავ ამ კარავში მოვიდოდე, უკვე ჩამომხრჩვალე გნახავთ. ახლა კი ვინმე ჭკვიან ხალხს მოვნახავ, სულელებთან ყოფნა მეყოფა. (გადის)

პ ა ტ რ ო კ ლ ე

ძლივს არ დაგვეხსნა.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

მთელ ჩვენს მხედრობას ეს-ეს არის გამოუცხადეს, რომ გარიჟრაჟის ხუთ საათზე, მზე რომ ამოვა, პექტორი ამცნობს ჩვენს ბანაკს და ტროას საყვირით, რომ ის მზად არის მარტოდმარტო შეებას აქვე ჩვენს გმირთა შორის უმამაცესს. მე კი არ ვიცი, მისი მეტოქე ვინ იქნება... მივალ, მშვიდობით.

ა ი ა ქ ს ი

მშვიდობით, მაგრამ ვინ იქნება მისი მეტოქე?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

რა მოგახსენო, კენჭსა ჰყრიან და გაირკვევა. თუ არა ისეც ცნობილია.

ა ი ა ქ ს ი

შენ გგულისხმობენ. მეც წამოვალ, ამბავს გაეიგებ.

(გადიან)

## ს უ რ ა თ ი II

ტროა. ოთახი პრიამეს სასახლეში

(შემოდინ პრიამე, პექტორი, ტროილოსი, პარიხი და ელენე)

პ რ ი ა მ ე

ამდენი სიტყვის, დროჟამის და საქმეთა შემდგომ ნესტორი კვალად მოგვიწოდებს ბერძენთა მზრიდან:

„დასთმეთ ელენე, დაგვიბრუნეთ და ყოველივე დანაკლისია ღირსების, თუ ამაო გარჯა,

ხარჯი, ჭრილობა, მგობართა ჩვენთა სიცოცხლე ან სხვა რამ, რაიც ამ სისხლისმღვრელ ომში დაგვარგეთ, ძვირად დამჟღარი, — ყოველივე დაგვაფიწყდება“.

ამას ნესტორი გვითვლის, პექტორ, შენ რაღას იტყვი?

პ ე კ ტ ო რ ი

თუმც არავინ ძრწის ჩემზე ნაკლებ ბერძენთ წინაშე, რამეთუ საფრთხე უშუალოდ მე შემუქრება,

მკაცრო პრიამე, მაინც გეტყვი: უფრო შემკრთალმა, ვით ნაზმა ქალმა, შემკრთალმა და შეძრწუნებულმა, გაურკვეველი მომავლის წინ მოცახცახემ,

მზად ვარ შეესძახო: „რა მოჰყვება ვინ იცის ამას?“

მშვიდობის მტერი ისღე ჩვენი დიდგულობაა.

და ამიტომაც თავმდაბალ ეჭვს უნდა მივმართოთ, — ის მოგვეცემს სიბრძნეს უარესი დღის მოლოდინში



და ხაიმიდოდ გამოიკვლევს უარესის ფსკერს.  
 ელენე უნდა დაფუბრუნოთ მისსავე პატრონს.  
 მას შემდეგ, რაც ჩვენ გავაშიშვლეთ პირველი ხმალი,  
 მის დასაცავად რაოდენი მეომრის სული  
 გაფრინდა ჩვენგან, ელენეზე ძვირფასი ჩვენთვის.  
 თუკი ამდენი რამ დავკარგეთ ჩვენი კუთვნილი  
 იმისთვის, რაც ჩვენ არც გვეკუთვნის და არცა გვიღირს,  
 ამ დანაკარგის მეთადად რაღა გვაჩერებს,  
 რა მიზეზია, რომ ხელს გვიშლის მტერს დაფუბრუნოთ  
 მისი კუთვნილი?

### ტ რ თ ი ლ თ ს ი

სირცხვილია, სირცხვილი, ძმაო,  
 ეგ შენი სიტყვა. აბა, ერთი კარგად ასწონე  
 ჩვენი მეუფის სახელი და მისი ღირსება!  
 განა იქნება ყოვლისმპყრობელ და განუსაზღვრელ  
 მის ძლიერებას მოუძებნო რამე სასწორი,  
 ან გოჯა-გოჯა გამოზომო ძლევაშოსილი  
 ხელმწიფის ძალა შიშითა და მიზეზთა მოთვლით?  
 უნდა გრცხვენოდეს, ჭეშმარიტად, შენი სიტყვისა!

### ქ ე ლ ე ნ თ ს ი

არ მიკვირს, რომ შენ მოგვიწოდებ ვიხმართო ჭკუა,  
 რადგან თავი გაქვს ცარიელი. იქნებ გგონია,  
 რომ მამაჩვენი მის საქმეებს ვერ გაუძღვება  
 გონიერებით, თუკი ჭკუას შენ არ ასწავლი?

### ტ რ თ ი ლ თ ს ი

ძმაო ქურუმო, სიზმართათვის ხარ შენ შექმნილი,  
 გონებას ეძებ ყველაფერში და გავიწყდება,  
 რომ მტერი აქ ჩვენს შესამუსრად არის მოსული,  
 რომ მახვილია აღმართული ჩვენს წინააღმდეგ  
 და ქალაქუნა გონება კი გაეცევა ლამობს.  
 ვის გააკვირვებ, თუკი ყველგან ბერძენი გაფრთხობს  
 და მის ხნალს ხედავ ზეაღმართულს შენს შესამუსრად,  
 რომ ფეხზე ფრთები შემოგასხას შენმა გონებამ  
 და გაგაფრინოს ისე, როგორც მერკურიუსი  
 იუპიტერის დავალებით მიფრინავს ხოლმე,  
 ანდა ვარსკვლავი ორბიტიდან ამოვარდნილი.  
 არა! თუ ჭკუას და გონებას ვერ დავეთმობით,  
 ჩავვეცოთ ჩვენი კარიბჭე და ტყბილად ვიძინოთ.  
 ვაქკაკობახა და ღირსებას ვერავინ მოგვთხოვს,  
 რადგან მათ კურდღლის მხდალი გული აღმოაჩნდებათ,  
 თუკი გონების მტეს არაღერს მიენდობიან.  
 ფიქრი და განსჯა ღუძღოსა ახმობს და უკარგავს ფერს,  
 ხოლო შამაცთა შემართებას ჩავგრავს და ახშობს.

### ქ ე ქ ტ ო რ ი

ძმაო, ეგ ქალი დანაკარგის ფასად არ გვიღირს.

### ტ რ თ ი ლ თ ს ი

მაგ ქალის ფასი, რაც დაგვიჯდა, მაინც ის არის.





### პ ე ტ რ ი

ჩვენს კერძო სურვილს მაინც ის არ ემორჩილება, საგნის ღირსება, გინდა ფასი თვით საგანშია, აგრეთვე მისი დამფასებლის გონების შიგნით. უგნურება: დაისახი საგანი ღმერთად და სამსახური მისი ღმერთზე დიდი გახადო. თანაც სურვილია თვით ისეთი თვისებისაა, რომ სათაყვანო საგანს ისეთ რასმე მიაწერს, რაიც ამ საგანს სრულეებითაც არ გააჩნია.

### ტ რ თ ი ლ ო ს ი

ვთქვათ, დღეს საცოლედ ავირჩიე მე ერთი ქალი და ჩემს არჩევანს მიუძღოდა ნება-სურვილი, ნება-სურვილს კი წარმართავდა თვალი და ყური, ორი მენავე, ვისაც გაჰყავს ნაფი საშიშარ ნაპირთა შორის, რასაც ნებას და გონს ვუწოდებთ. ვით განვერიდო ჩემს არჩევანს, თუნდაც გონებამ ის უკუგადოს? მე ვერ ვხედავ საშუალებას უარყო იგი და ღირსება ჩემი შევებლო. ვინ დაუბრუნებს უკან ვაჭარს ნაყიდ აბრეშუმს ხმარების შემდეგ, ან ნასუფრალს ვინ გადააგდებს ნაგვის ორმოში, თუნდაც კარგად დანაყრებული? შურისძიება ჰქონდა პარისის დავალებული ბერძენთა მიმართ. თქვენმა სუნთქვამ გაშალა მისი ზომალდის აფრა, დაუბერა ქარმა კეთილად და მან მშვიდობით მიადწია ბერძენთა ნავსადგურს. ბერძენთა მიერ ტყვედქმნილ მოხუც მამიდის ნაცვლად მან წოცყანა დედოფალი ულამაზესი, ვისი სინორჩე აპოლოსაც ფერს დაუკარგავს და დილის რიგრაეს დააბნელებს თვით ბრწყინვალეებით. რად ვაჩერებთო? ბერძენებს ჩვენი მამიდა თუ ჰყავთ ისევ ტყვედქმნილი, განა ეს კი მოსათმენია? ელენე მართლაც რომ ისეთი მარგალიტია, რომელიც ათას ზომალდს მაინც აჭარბებს ფასით და გერიგვინოსან ხელმწიფეებს ვაჭრებად აქცევს. თუ პარისის მაშინ აქუნებდით გასამგზავრებლად და შესძახოდით: „წადი, თავი გამოიჩინე“; თუ მის მოტანილ ძვირფას ნადაკლს გახარებული ტაშით დახვდით და აღიარეთ ფასდაუდებლად, ასეღა რატომ სცვლით აზრს და ნათქვამს სადავოდ იხდით? რატომ იქმით, რაც ჯერ ფორტუნასაც კი არ უქმნია? აღარაფრად თვლით, რასაც ზღვა და ხმელზე უმეტეს ფასად გიღირდათ? ოპ, მდაბალო და მსდალო ქურდო, ვისაც გაძრწუნებს მოპარული ნივთის დაფარვა. თავს მოპარულის ღირსად არ ვთვლით მისი ქურდები, არა გვეგონია ამ მშვენების ღირსებად ვიშვით და მისი ფასის გადახდისთვის ვკანკალებთ შიშით.

კ ა ს ა ნ დ რ ა

(სცენის უკან)



სტიროდეთ, ვაგლახ, ტროელეზო!

კ რ ი ა მ ე

ეს ვინ ღრიალებს?

ტ რ თ ი ლ ო ს ი

ჩვენი შეშლილი დაა ევა, ხმაზე მეცნობა.

კ ა ს ა ნ დ რ ა

(სცენის უკან)

სტიროდეთ, ვაგლახ, ტროელეზო!

ჰ ე ქ ტ ო რ ი

ეს კასანდრაა.

(შემოდის კასანდრა აგზნებული)

კ ა ს ა ნ დ რ ა

სტიროდეთ, ვაგლახ, ტროელეზო! ათი ათას თვალს  
მოჰგვრიდნენ ცრემლებს ჩემი მწარე წინასწარ თქმანი.

ჰ ე ქ ტ ო რ ი

იყურე, დაო, მშვიდად იყავ!

კ ა ს ა ნ დ რ ა

ქალწულო, ბავშვო, ვაჟაკო თუ მოხუცო კაცო,  
ჩჩვილო, რომელმაც ტირილის გარდა არა იცი რა,  
შემოუერთეთ თქვენი მოთქმა ამ ჩემს გოდებას!  
გამოვიტირით მომავალი უბედურება.

სტიროდეთ, ვაგლახ, ტროელეზო! ცრემლად იქეციეთ!  
ალარ იქნება ილიონის მტკიცე ზღუდენი.

პარისი დაგვწევავს ჩირაღდანით ჩვენ და ჩვენს ქალაქს,  
მე ვხედავ, როგორ უკიდია ცეცხლი მის კედლებს.

უნდა სტიროდეთ, ტროელეზო, გოდებდეთ მრავალს,  
თუკი ელენე სამშობლოში ჩვენგან არ წავა.

(გადის)

ჰ ე ქ ტ ო რ ი

აბა, ტროილოს, რას გვიბრძანებ ამ მოთქმის შემდეგ,  
ნუთუ სულაც არ გაშფოთებენ ეს საშინელი  
წინასწარ — თქმანი? იქნებ სისხლი გიჟურად გიდულს  
და არ გაფიქრებს არც გონების ხალი მსჯელობა,  
არც იმის შიში, რომ მოგველის უბედურება  
და ბოროტ საქმეს დასასრულიც ბოროტი ელის?  
არაფერსა გრძნობ?

ტ რ თ ი ლ ო ს ი

ჰექტორ, ძნაო ჩემო, მისმინე:

ყოველი ჩვენი მოქმედების ამგვარი განსჯა,  
მისა სისწორის და სიმართლის აწონ-დაწონვა  
ჩვენ არა გვმართებს დასასრულის მისის მისედვით:

არც უნდა ჩვენი სიმხნე დიდი, სწორუბოვარი  
შეშლილ კასანდრას ერთმა სიტყვამ დააძაბუნოს.

სულით სნეულის შეძახილმა ვერ შეაასტოს  
რწმენა საქმისა, რამაც ჩვენი გამხედრობა  
საჩუღლია და ღირსეული ქებით შეამკო.

პრიაამეს ძეთა შორის არც მე ვარ მეტად  
შეძრული ამით, მაგრამ გვისხნას იუპიტერი

დამცირებისგან, რაც ყველაზე უდიდს მხდალსაც კი  
შეარცხენდა და თავს მოსჭრიდა.

### პ ა რ ი ს ი

ჭკუის სიმჩატედ ჩაგვითვლიდა მაშინ ორთავეს,  
ჩემს საჭციელს და თქვენს რჩევასაც მთელი ქვეყანა.  
მაგრამ ღმერთები მიმოწმებენ, რომ თქვენს თანხმობას  
ჩემს განზრახვათა სრულყოფისთვის შეუსხამს ფრთები  
და მოსლოდნელ განსაცდელთა დიდთა მიზეზით  
გამოწვეული შიში სრულად გაუფანტია.  
ვგლახ, რას ეიშმდი უამისოდ ცარიელ მკლავით?  
ვათ: ძალუძს ერთ კაცს, სიმაძაცით თუნდაც აღჭურვილს,  
წინ გადაუდგეს მოზღვავებულ შუღლსა და მტრობას,  
რაც ამ ომში დანთებულმა ცეცხლმა ალაგუნო?  
მაინც ერთს ვიტყვი: მარტოდმარტო რომც ვყოფილიყავ  
ამ განსაცდელში დარჩენილი მტრის წინ პირისპირ,  
და მომცემოდა ნებისყოფის ოდენი ძალაც,  
პარისი უკან თავის სიტყვას არ წაიღებდა,  
არ დაიხვედა მის წინაშე, რაც განიზრახა,  
და მისას იქმდა.

### პ რ ი ა მ ე

პარის, ისეთ რაღაცას ჩმახავ,  
რომ აშკარად ჩანს, განცხრომით სარ გაბრუებული.  
შენ — თაღლით თურები, ჩვენ — გამწარებს ჩვენი ნადველი.  
მაგ სიმშაგეში არ გეკუთვნის დიდი სახელი.

### პ ა რ ი ს ი

მეფეო, მარტო ჩემთვის არ ვთხოვ ამგვარ სიამეს,  
რაც ახლავს ენით გამოუთქმელ მშვენიერებას.  
მე მსურს ელენეს მოტაცების დანაშაული  
გამოვიწყიდო საპატიო მისი ტყვეობით.  
დიდო ღალატიც იქნებოდა დედოფლის მიმართ,  
თქვენი ღირსების დამცირებაც, ჩემი სირცხვილიც,  
ის რომ დაგვეთმო ჩვენთვის მეტად დამამცირებელ  
ძალდატანების გამო მტრისთვის. განა ეს აზრი  
ესოდენ მამაც, დიდებულ და სულგრძელთა შორის  
მოუვა ვინმეს თავში ანდა გულში ედება?  
იხე სულმოკლე ჩვენს ბანაკში არ მეგულება,  
რომ გულს არ მიჰყვებს, არ იშიშვლოს ბასრი მახვილი,  
როცა ელენეს დაცვას მოსთხოვს მოვალეობა.  
ყოველი ჩვენი მეომარი კეთილშობილი  
არ დაიშურებს არც ძალღონეს და არც სიცოცხლეს,  
როცა ელენეს დასჭირდება გამოსარჩლება.  
ამიტომ ვაპბობ, ამ ბრძოლაში ჩვენ ვართ მართალი;  
მთელ ქვეყანაზე ჩვენს დედოფალს არ ჰყავს ბადალი.

### ქ ე ქ ტ ო რ ი

პარისიცა და ტროილოსიც მართალს ამბობენ.  
მჭევრმეტყველურად, მაგრამ მაინც ზედაპირულად  
განსჯიან ჩვენი ომის საგანს. რა გაეწუბა,  
არისტოტელეც ამტკიცებდა, რომ ყმაწვილკაცებს

არ შეუძლიათ ზნეობრივი სწავლის აზრს ჩასწვდნენ.  
 ვე საბუთები, რაც თქვენ ბრძანეთ, მსურვალე სისხლის  
 და ცხელი გრძნობის მორჩილებას მიეწერება  
 და ამიტომაც მართალი და ტყუილი მათში  
 არეულია. განცხრომაც და შურისძიებაც  
 ორივე ყრუა და გონების ხმას ვერ შეისმენს.  
 თვითონ ბუნება ითხოვს ჩვენგან — მისი კანონი  
 დაიცვათ მტკიცედ და მიუზღაოთ კუთვნილი პატრონს.  
 იმაზე მეტად ბუნებრივი რა უნდა იყოს,  
 როდესაც ცოლი ქმარს ეკუთვნის. და თუ ეს წესი,  
 ბუნების მიერ ბოძებული, ვნებათა ღელვამ  
 დაარღვევინა ამ დიდებულ გონების პატრონთ,  
 თვითონ ბუნება აღუდგება წინ იმათ სურვილს.  
 ყოველ წესიერ ერს თავისი გარდაუვალი  
 კანონი მართავს და უბრძანებს დროზე ალაგმოს  
 მადა და ვნების ამბოხება თუ მღელვარება.  
 თუკი ელენე სპარტის მეფის მეუღლე არის,  
 და როჲ ასეა, ყველამ იცის, მაშინ ბუნების  
 კანონი ბრძანებს, თავის ცოლი ქმარს დაეუბრუნოთ.  
 გაჯიუტება არა მარტო ცოდვას ამრავლებს,  
 არამედ უფრო დაამძიმებს ჩვენს დანაშაულს.  
 ასეთი გახლავთ ჩემი აზრი, მაგრამ თუ ჩემს ძმებს  
 გადაწყვეტილი აქვთ ელენე არ დააბრუნონ  
 რა გაეწყობა, მეც მათ მხარში ამოვუდგები.  
 სხვა გზა არ არის: უკვე ბევრი საგმირო საქმეც  
 ჩაგვიდგინა ამ საერთო ბრძოლის ეამს ყველას.

#### ტ რ ი ლ ო ს ი

ჰოდა, ეს არის ჩვენი საქმის თავი და თავი:  
 ეს რომ არ იყოს პართლაც ჩვენი ღირსების საქმე,  
 ან იყოს მხოლოდ ცარიული თინის მიზეზი,  
 მაშინ ტროელის ერთ წვეთ სისხლსაც არ გავიღებდი  
 მარტო ელენეს დასაცავად. მაშაცო ჰექტორ,  
 ჩვენი ღირსების და სახელის დაცვის საბაბი  
 არის ელენე; ეს გვაქვს ახალ დიდებულ  
 და სახელოვან საქმეთათვის, რომელთაც ძალუძ  
 ჩვენ განგვადიდონ და მტერი კი უკუაქციონ  
 და დაგვიმკვიდრონ ჩვენ სახელი სამარადეთამოდ.  
 ვიცი, ჰექტორი, უშიშარი, უარს არ იტყვის  
 სახელი კიდევ მოიხვეჭოს, მისწვდეს დიდებას,  
 უცხო ღიმილით რომ კიაფობს ამ ომის შუბლზე  
 და ქვეყანაზე განდიდებას ყველას გვპირდება.

#### ჰ ე კ ტ ო რ ი

მე შენთანა ვარ, დიდებული პრიამეს შვილო.  
 ვაცნობე კიდევ გამოწვევა ჩემი ბრძენ ბერძენებს,  
 მათ დიდებულებს, მთელუმარეთა და გონებაჩლუნგთ,  
 რომელთაც უნდა ამის შემდეგ გამოიღვიძონ.  
 მათ ბელადს სძინავს, ასე მოთხრეს და მის ლაშქარში  
 თურმე ფარულად შეპარულა განხეთქილება.  
 ასე მეონია, ეს ამბავი გამოაფხიზლებს.

(გადიან)

ს უ რ ა თ ი III

ბერძენთა ბანაკი. აქილევის კარგი წინ.

(შემოდის თურსიტე)

## თერსიტე

რაო, თერსიტე, რაო, გზა დაგებნა საკუთარი ბრახის ლაბირინთში? ნუთუ ამ სპილომ, ამ აიასმა უნდა მივიყვანოს აქამდე? ის მირტყამს, მე კი დავეცინი და ამით ვკმაყოფილდები. აჰოებდა კი პირიქით ყოფილიყო. მე მერტყა და იმას კი მასხარად ავევდე. უნდა ჯადოქრობა ვისწავლო და ეშმაკები გამოვიწვიო, ეგებ ამ სასიზღარო დამციროებიდან დავისხნა ვაჟი. ახლა კიდევ ეს აქილევეს გამოტყვრა! თუ ტორის აღება ამ ორის მეტს არავის შეუძლია, მაშინ მისი კედლები იქამდე იდგება, ვიდრე თავისით არ დანიგრება. პოი, შენ, ოლიმპოს დიადო მესთამეტყო, დაივიწყე, რომ შენ იუპიტერი ხარ, ღმერთების მეფე! შენცა, მერკური, შენი გველური ძალაც არაფრის მაქნისი იქნება, თუკი მათ იმ მცირეზე უმცრეს ჭკუასაც არ წაართმევთ, რაც აბადიათ. მაგათი ჭკუამოკლე უმეცრება ისე ლატაკია, რმო ბუზსაც კი ვერ გამოუსტებს ობობას ხელიდან, თუ შიშიმე საჭურველი არ მოიხმარა და ხმლით არ გაჩება ობობას ქსელი. მაშ, შურისძიებაც დასცემია თავს მთელ მაგათ ბანაკს, ან ნეაპოლური სენიმე შეპყრია. იმას, ვინც ქალის კაბის ნახვევისათვის ომობს. აი, ჩემი ლოცვა-კურთხევაც დავამთავრე და შურის ეშმაკმა მითხრა „ამინ“. აი, აქილევესიც, ჩემი მზრდანებელი!

(შემოდის პატროკლე)

რომელი ხარ? თერსიტე? შემოდი, ჩემო თერსიტე, ერთი გაგვაცინე.

## თერსიტე

ყალბ ფულს რომ ვეხარებებოდე, მაშინ ვერხად გამეცეოდი, მაგრამ სჭქმე ეს არ არის. შენ თავს თვითონვე გაუსწორდები. კაცობრიობის წყველა მოგელის, უჭკუობა და უმეცრება. დაგიფაროს ზეციერმა ჭკუის მასწავლებლისაგან და რჩევა-დარიგება ახლოს არ გაგეკაროს! დაე, შენმა ზნემ გმართოს სიკვდილამდე! მაგრამ თუ ის ქალი, ვისაც შენი გვამის მოვლა მოუხდება, იტყვის, ლამაზი გვამიაო, ვფიცავ, იმას კურთხვანთა გარდა არავინ ეყოლება ნახული. ამინ. აქილევესი სადღაა?

## პატროკლე

ერთი ამას დამიხედეთ! მორწმუნეც რომ ყოფილა! ლოცულობ კიდევ?

(შემოდის აქილევესი)

## აქილევესი

ვინ არის მანდ?

## პატროკლე

თერსიტე, ჩემო ბატონო.

## აქილევესი

სად არის, სადა? მაშ, მოხვედი? სად იყავი აქამდე, რატომ არ შემსახურებოდი პურის ქამის დროს, რამდენ ხუფრას დააკელი ლაზათი? ერთი ეს მითხარი, ავამეწონი ვინაა?

## თერსიტე

შენი სარდალია, აქილევესო. პატროკლე, შენ ის მითხარი აქილევესი ვინაა?

## პატროკლე

შენი ბატონი, თერსიტე ახლა შენ მითხარი, შენ ვილა ხარ?

## თერსიტე

შენი მცნობელი, პატროკლე. ახლა კი შენ თვითონ სთქვი, ვინა ხარ?

## პატროკლე

შენ თქვი, შენი ხომ მიცნობ?

## აქილევესი

თქვი, თქვი!

## თერსიტე

მაგ საკითხს მოფიქრება უნდა. ავამეწონი აქილევესის სარდალია, აქილევესი ჩემი ბატონია, მე პატროკლეს მცნობელი ვარ, პატროკლე კი სულელია.

## პატროკლე

პეი, არამზადად!



**თერსიტე**

წყნარად, სულელი! ჯერ არ დამიმთავრებია.

**აქილევესი**

მაგას ყველაფერი ეპატიება. განაგრძე, თერსიტე.

**თერსიტე**

აგამემნონი სულელია, აქილევესი სულელია, თერსიტე სულელია და, როგორც მოგახსენეთ, პატროკლე სულელია.

**აქილევესი**

მერე, მერე? დასკვნა?

**თერსიტე**

აგამემნონი სულელია იმიტომ, რომ აქილევესის სარდლობას ფიჭობს; აქილევესი სულელია იმიტომ, რომ აგამემნონი სარდლობს; თერსიტე სულელია იმიტომ, რომ ასეთ სულელს ემსახურება; და პატროკლე სულელია თავისთავად.

**პატროკლე**

რატომ ვარ სულელი?

**თერსიტე**

ეგ შემოქმედს უნდა ჰკითხო. მე ისიც მეყოფა, რომ შენ სულელი ხარ. აბა, გაიხედე, ვინ მოდის?

**აქილევესი**

პატროკლე, არავეისთან არ მინდა ლაპარაკი. წამომყვიე, თერსიტე!

**(გადის)**

**თერსიტე**

რა უმსგავსობაა, რა მაიმუნობაა, რა არამზადობა! ყველაფრის მიზეზი კი ერთი რქოსანი კაცი და ერთი გავარდნილი დედაკაცია. კარგი მიზეზია, შენ არ მომიკვდე, ჩხუბის დასაწყებად და სისხლის დასალერელად! ჭირსაც წაუღია ყველანი, ეს ომიც და ეს გარყვნილებაც! (გადის).

(შემოდინან აგამემნონი, ულისე, ნესტორი, დიომედე და აიაქსი)

**აგამემნონი**

სად არის აქილევესი?

**პატროკლე**

მის კარავშია; უქეიფოდ გაბლავთ, ბატონო.

**აგამემნონი**

უთხარი, თავად გეახლა-თქო აგამემნონი. ჩვენი შიკრიკნი მან გარეკა, მაგრამ ჩვენ მაინც არად ჩავაგდეთ ეს მალალი მდგომარეობა და თვით მოვედით. ეს უთხარი! ნუ ეგონება, რომ დაგვაიწყდა ღირსეული წოდება ჩვენი და აღარ ვიცით ვინ ვართ.

**პატროკლე**

დიახ, ყველაფერს ვეტყვი.

**(გადის)**

**ულისე**

ჩვენ დაეინახეთ იგი კარვის გაღებულ კარში: ავად არ იყო.

**აიაქსი**

ავად კი გაბლავთ, მაგრამ ეს ღომის ავადწყობობაა, ამაყი გულის ავადწყობობა. თუ გნებავთ ასიაშინოთ, ამას ნადველი შეგიძლიათ უწოდოთ, თუმცა, ჩემს თავს გეფიცებით, ეს გულზეაიდობაა. მაგრამ რატომ, რისი ბრალია, ამის მიზეზი თვითონ უნდა თქვას. ერთი სიტყვა მინდა გითხრა, ჩემო ბატონო (განზე გაჰყავს აგამემნონი).

**ნესტორი**

რა აიძულებს აიაქსს, ნეტავ, ასე რომ კიცხავს აქილევესს?



ულისე  
აქილევსმა მაგის ხუმარა გადაიბირა.  
ნესტორი

რომელი, თერსიტე?  
ულისე

სწორედ ის.  
ნესტორი

მამ, აიაქსს მასალა შემოლევია თავისი ყბედობისათვის და ეგ არის  
ულისე

არა უშავს რა, ახლა ამაზე იყბედებს, ჩემი ყბედი აქილევსმა წაიყვანაო.  
ნესტორი

უფრო უკეთესი, მაგათი დავა ჩვენ უფრო ხელს გვაძლევს, ვიდრე მათი კავშირი.  
მაგრამ კაი კავშირი კი აქონიათ, თუ ერთმა მასხარამ დაურღვიათ.

ულისე  
თუ მეგობრობას სიბრძნე არ აკავშირებს, სისულელეს ადვილად შეუძლია დაარღვიოს. აი, პატროკლე მოდის.

(შემოდის პატროკლე)

ნესტორი

აქილევსი არ ახლავს!

ულისე

სპილოს სახსრები აქვს, მაგრამ ზრდილობისთვის კი არა: მუხლები სჭირდება,  
მაგრამ მოდრეკას ვერ ახერხებს.

პატროკლე

ეს მოვახსენათ აქილევსმა: ვწუხვარო ფრიად,  
თუკი გართობის მძლე სურვილმა არ მოგიყვანათ  
თქვენ და ამაღა თქვენი ესე, დიდად ბრწყინვალე,  
აქ, მის კარავში; იმედოვნებს, რომ სხვა მიზეზი  
არ გმქნებოდათ, გარდა თქვენი, ჯანმრთელობისა  
და სადილს შემდეგ სასარგებლო გასეირნების  
სურვილის გარდა.

აგამემნონი

ვეტყვი, პატროკლე.

ჩვენ მეტისმეტად კარგად ვიცით ეგ პასუხები.  
ცოტა არ იყოს თავს გვარიღებს, აბურად გვიგდებს  
და ეგებ ფიქრობს ვერ ვახერხებთ ამის გაგებას.  
ბევრი ღირსება გააჩნია, ამგვარი ქცევის  
ბევრი მიზეზიც გვესმის კარგად, მაგრამ ღირსება  
შესაფერისად თუ კაცმა ვერ გამოიყვანა.  
დაეკარგება ბრწყინვალეობა მას ყველას თვალში.  
დიად, ვითარცა მშვენიერ ხილს ბინძურ ლანგარზე  
მორთმეულს, ეტოვებთ, ხელუხლებლად, არ ვეკარებთ.  
წადი და უთხარ, მოვიდნენ-თქო აქ სასაუბროდ  
და არ შესცოდავ, თუკი ვეტყვი, რომ ამპარტავნად  
ეთვლით მას დიახაც და გვეგონია თავი ამაოდ  
მოაქვს დიდაცად. მასზე მეტად ღირსეულები  
თვალყურს ვადევნებთ მის გუნება-უგუნებობას  
სრული სიმშვიდით; დიად. მისი განწყობილების  
მიქცევი-მოქცევის თითქოს მართლაც დიდ რამედ ვთვლიდეთ.  
წადი, ეს უთხარ და დასძინე კიდევ ერთი რამ:  
თუკი თავის თავს მეტისმეტად ფასი დაადო,  
ჩვენც აღარ გვინდა, თავს განებებთ ხვეწნა-მუდარას,  
გდღოს თავისთვის, როგორც ომის რაღაც მანქანა,





მეტად ტლანჭი და უვარგისი შოშმართავეის.  
მოსურსებული ქონდრისკაცი გვიჯობს ბრძოლაში  
დეკაკას, ომის ქაშს ჩაძინებულს, ეს მოახსენე.

პ ა ტ რ ო კ ლ ე

ვეტყვი და პასუსს მოგახსენებთ დაუყოვნებლივ  
(გადის)

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მეორე პირის მეოხებით მიღებულ პასუსს  
ვერ დაგჯერდებით. უშუალოდ უნდა შევხვედეთ მას.  
წაფი, ულისე და პირისპირ ელაპარაკე.

(ულისე გადის)

ა ი ა ქ ს ი

მართლაც, სხვაზე მეტი რითია?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მარტო იმითი, რომ თავის თავი სხვაზე მეტი ჰგონია.

ა ი ა ქ ს ი

ვითომ აგრე ღიღია? როგორ გგონიათ, ჩემზე უკეთესიც ხომ არ ჰგონია თავი?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

რა საკითხავია.

ა ი ა ქ ს ი

თქვენც მაგას უდასტურებთ და აგრე გგონიათ?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

არა, კეთილშობილ აიაქს! შენ იმის ტოლი ხარ ძალღონით, სინამაციტ, ჭკუა-  
გონებით და კეთილშობილებით, ოღონდ უფრო კეთილი ხარ, თავმდაბალი და თავა-  
ზიანი.

ა ი ა ქ ს ი

რად უნდა იყოს კაცი ამპარტავეანი? საიდან უჩნდება ეგ ამპარტავენება? მე არც კი  
ვიცი ამპარტავენება რა არის.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

შენი სული და გული უფრო წმინდაა, აიაქს, და ღირსება უფრო ღიღი. ამპარ-  
ტავეანი კაცი თავის თავს ნთქავს. ამპარტავენება მისი სარკვეა, მისი საყვირი, მისი სა-  
კუთარი მატიაზე, და თუ კაცი საქმით კი არ განადიდებს თავის თავს, არამედ ცარიელი  
თავის ქებით, მის საქმეს ეს თავის ქება შთანთქავს

ა ი ა ქ ს ი

ამპარტავენი კაცი მეჯავრება, როგორც განურილი ბყაყის მოდგმა.

ნ ე ს ტ ო რ ი (განზე)

თავის თავი კი უყვარს! საკვირველი არ არის?

(შემოდის ულისე)

უ ლ ი ს ე

ხვალ არ აპირებს აჭილევის საბრძოლოდ გასულას.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მაინც რათაო?

უ ლ ი ს ე

არაერთარ მიხვებს არ ამბობს,  
აყოლილია მის გუნება-განწყობილებას,  
არავის უწევს არც ანგარიშს, არც რამედ ადგებს  
ვისიმე სურვილს საკუთარი აზრის პატრონი.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მაშ ამ ჩვენს თხოვნას-თავაზიანს არად მიიჩნევს,



არ გვეახლება და საუბარს არც კი ინებებს?

უ ლ ი ს ე

არაფრის მაქნის მიზეზს იღებს, ხაბაბს დაეძებს, ვითომ შარზეა, შეუპყრია ამპარტაუნებას, თავის თავსაც კი ეჩხუბება ლამპარაკის ეამს, ისეთი დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე, რომ მის გაბლენძილ გვამშიც კია დაეა ამტყდარი მის სულიერსა და ნიეთიერ ნაწილებს შორის. მეფურებ დიადს წართმევია ძალი სრულიად და რაღა მეტქმის? სიამაყე, ვითარცა ჭირი შეყრია ისე, რომ მგონია ვერ გადარჩება.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მაშინ მივიდეს აიაქსი და ბედი სცადოს: ჩემო აიაქს, მიდი შენ და მოინახულე! ამბობენ, რომ ის სხვებზე მეტად გიწვევს ანგარიშს და იქნებ შენი თხოვნით დათმოს ეს ახარება.

უ ლ ი ს ე

ო, აგამემნონ! ნუ ინებებ მავნაირ საქმეს, უნდა ვილოცოთ, რომ არ შეხვდეს მას აიაქსი! ნუთუ იმ ამაცხს, ვინც საკუთარ ამპარტაუნებას მისივე ქონის წვეწმში ხრაკავს როგორც შემწვარ სორცს, და მთელი ქვეყნის სადარდელი არ ენადლეუბა, უნდა პატივი მიაგოს და თავი უზაროს მან, ვისაც ამაყ აქილეუსზე მეტ პატიუსა ვცემთ? როგორ იქნება, რომ ეს სამგზის მამაცი გმირი ისე დამცირდეს, რომ ეახლოს ნაკლებ ღირსეულს! არა, ბატონო, ვინც არ არის მასზე ნაკლები, არ უნდა ენახოთ აქილეუსის წინაშე მდგარი ჩვენი სურვილით.

ეს ხომ გაბლენძილს კიდევ უფრო მეტად გაბერავს და შეუმატებს კიბორჩხალის თანაგარსკვალაუდს ახალ ნაკვერჩხალს, ჰიპერიონს რათა ეამოს. რაო, რას ბრძანებთ? აიაქსი ეახლოს იმ ბლენძს? იუპიტერმა დაგვიფაროს ჭექა-ქუხილით და ეს გვიბრძანოს, აქილეუსი თვითონ მობრძანდეს და თვით ეახლოს ჩვენს აიაქსს!

ნ ე ს ტ ო რ ი (განზე)

მართლაც კარგად თქვა:

ეს პირფერობა აიაქსის გულს ეფონება.

დ ი ო მ ე დ ე (განზე)

ხედავთ, როგორ სდუმს ამ უზომო ხოტბით დამტკბარი!

ა ი ა ქ ს ი

თუკი წავედი, მართო მისთვის წავალ, რომ მუსტიტ ჩამოფუწმინდო ამპარტაუნს მისი ცხვირ-პირი.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ოჰ, არა, არა, არ წაბვიდე!

ა ი ა ქ ს ი

თუ ჩემს წინაშეც მოინდომა თავის გაბერვა, ხელად დაფუშავ. მე ვუჩვენებ, ერთი გამივით!



უღისე

არა, არაფრის გულისათვის არ შეიძლება!

აიაქსი

ნუ თავზედი უქნარა, ვეა!

ნესტორი (განზე)

აჟის თავზე აბობს!

აიაქსი

ზრდილობაც კი დაივიწყა!

უღისე

ძალა ძალის ტყვესა ზევს!

აიაქსი

ნუ მაგახ ხის ზღას გაროშვებ და ისე მოფარეკ!

აგამემნონი

თვითონ მოსარჩენია და გქიმობას კი აპირობს!

აიაქსი

ყველა რომ ჩემი ჭკუისა იყოს...

უღისე (განზე)

მაშინ ჭკვიანები გადაჰმენდებოდნენ!

აიაქსი

განა ამის მოთენია შეიძლება? მე მაგას შევაკმევ, რაც ეკადრება.

ნესტორი (განზე)

ნახევარს შენ შეჭამ.

უღისე (განზე)

ათჟერ შეტს შენ შევაკმევს.

აიაქსი

მე მაგას ნოვზულავ, კარგად დავარბილებ.

ნესტორი

ცოტა კიდევ შეუცხეთო, რომ კარგად მოეკიდოს ცეცხლი, შეაქეთ, შეაქეთ, ცეცხლ-  
ში წავთი დაუსხით.

უღისე (აგამემნონს)

ნუ დაღონდებით, ჩემო შეუფევე.

ნესტორი

ნუ, კეთილშობილო სარდალო, ნუ იზამ ამას.

დიომიდე

აქილევსა რად გვინდა! უმისოდაც კარგად ვიომებთ.

უღისე

განა არა გვეყავს ჩვენ ვაგაკაცი მისი ბადალი?

აი, აქ არის, მაგრამ პირში არ მინდა ვაქო.

და დუმილს ვარჩევ.

ნესტორი

მერე რატომ? განა არ ვიცოი,

ანპარტაენი რომ არ არის აქილევსივით?

უღისე

მთელმა ჭვეყანამ იცის, რომ ის მისებრ შემძლეა.

აიაქსი

ჰაი, ის ძალღიშვილი, ყველას რომ მასხარად გვიგდებს! ტროელი რაინც ყოფი-  
ლიყო!..

ნესტორი

აბა, თქვით, რა ნაკლი მოეძებნება აიაქსს!



უღისე  
ამპარტავანია განა?

დიოხედე  
ან ხოტბის მოტრფილაღ?...

უღისე  
ან თავპირი ჩამოსტირინა?...

დიოხედე  
ან ახირებულა, ან თავისი თავის მოყვარული?

უღისე  
მართლაც, აიაქს, შენ ხარ ყოვლად კეთილზნაინი,  
დიდება უფალს და მას, ვინც შენ მუცლად ჩაგსახა,  
დიდება მშობელს, ვინც გაწოვა ძუძუ უტკბესი,  
დიდება იმას, ვინც აღგზარდა და სამგზის კიდევ  
დიდება თვითონ შენ, ვაჟკაცო სწორუპოვარო.  
ის კი, ვინც ომის ხელოვნება შენ შეგასწავლა,  
მართლაც ღირსია, რომ გაიყოს მარსის სახელი  
და უკვდავება მარადისი. მხოლოდ მილონი,  
რომელმაც ხარი დასძლია და ქვე დაანარცხა,  
მხოლოდ იგი თუ შეგედრება კუნთების ძალით.  
მე არ შევაქებ შენს სიბრძნეს და გამჭირაბობას,  
რაც ზღუდესა... შემორტყმია გონებას შენსას:  
თვითონ ნესტორი აქ ბრძანდება, ეს გამოცდილი,  
მრავლის მნახველი ბერიკაცი, სიბრძნის სალარო.  
მას ახლა მართლაც სიბრძნის მეტი სხვა რაღა მართებს,  
მაგრამ შენც უნდა მომიტყეო, მამაო ნესტორ;  
რომც ყოფილიყავ ახალგაზრდა აიაქსივით,  
აიაქს სიბრძნით მაშინაც კი ვერ აჯობებდი  
და იქნებოდი მისი მსგავსი.

აიაქსი

ნება მიბოძე  
მამა გიწოდო.

უღისე  
რა თქმა უნდა, შეილო კეთილო.  
დიოხედე

აიაქს, უნდა მას მიუხდო ამიერიდან.

უღისე  
უნდა ვიჩქაროთ. აქილევსმა, როგორც ირემმა,  
ტყეს მიაშურა. ახლა უნდა ჩვენმა სარდალმა  
სამხედრო საბჭო მოიწვიოს საქმეთა განსჯად.  
ტროას მოსულა შემწედ ბევრი ახალი მეფე,  
ფიცხელი, ომი მოგველის ხეალ, მტკიცედ ჰხამს დგომა.  
აჰ, აქ არის ჩვენი გმირი და ჩვენი ბურჯი,  
ძალუძს დასძლიოს ყველა ქვეყნის რაინდი ურჩი.

აგამემნონი

წავიდეთ ბჭობად, აქილევსმა ძილს მისცა თავი,  
მძიმე ხომალდი იძირება, წინ მიჰქრის ნავი.

(გადიან)

ინგლისურიდან თარგმნა ვივი ბანდინილიაძე

□ ბაზრძეშვილი იმნაბა □

შალვა გოზალიშვილი

# „დედა ენა“ და მისი ავტორი

ილია ქავთავაძისა და აკაკი წერეთლის ხატვლებთან და დიდ ღვაწლთან ერთად, იაკობ გოგებაშვილის წმინდა საქმე და სახელი უოველთვის შარავანდელით მოხილი იქნება ქართველი ხალხის ისტორიაში. ნახევარი საუკუნის მანძილზე იგი დაუღალავი სიმტკიცითა და გამბედაობით ეწეოდა შეუწყვეტელ ბრძოლას ქართული კულტურის დასაცავად და ახალორბინებლად. იაკობი თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდა თვითმპყრობელური რევოლუციის ბიუროკრატ-შავრაზმულ მოხელეებს — იანოვსკის, კუვინსკის, კერსკის, ვოსტოროვს, ევსეევ-ვალენტის და სხვა მათ მსგავსთ, რომლებაც აუქმებდნენ ქართულ სკოლებს, ღვენიდნენ ქართული ენის სწავლებას და სოციალური თაობის სულსა და გულში შხამსა და წაღველს ანთხევდნენ.

და ასეთ შავრანულ ეპოქაში, დიდ ილიასა და აკაკისთან ერთად, იაკობ გოგებაშვილი ქომბაგად ედგა ქართველი ხალხის სწავლა-განათლებლის საქმეს, იცავდა ქართული ენის სწავლებას, ენის საწმინდეს. იგი მრავალჯერ აწუხდრებულა თავისი მებრძოლი პუბლიცისტურ-პედაგოგიური წერილებით და სამკვიდრო-სახიფათო ბრძოლია გაუმართავს მეფის ხელისუფლების ჩინოვიტ-სახელმძღვანელებისათვის.

დიდი ქართველი განმანათლებელი, პედაგოგ მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკობ გოგებაშვილი — სული საუკუნის 80-იანი წლებიდან, ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ვატაცხობი ენახატვებოდა ქართველი ხალხის გათვითცნობიერების, საქართველოს განთავისუფლებისა და აღორბინების საქმეს.

„ვაცავდით და ვახოფლობდით ხალხის განათლებას დედა-ენაზე ყველა სახალხო სკო-

ლებში, — წერდა ი. გოგებაშვილი, — ქართული ენის აღდგენას ყველა საშუალო სახ. წავლებულში... ფართო თვითმპყრობლობის ჩვენის ქვეყნისათვის და სრულს ავტონომიას ერთი სიტყვით ყველაფერს, რაც კი საქირია ჩვენის ერის არსებობის დასაცავად, მისი თავისებურების გასაფურჩქნავად, მისი კულტურის განსავითარებლად, ახალორბინებლად“.

ამის ნათესაყოფად, იაკობ გოგებაშვილის დიდ ლიტერატურულ-პედაგოგიურ მემკვიდრეობასთან ერთად, საქირია ძველი გადავადლო მის პირად წერილებს ქართველი საზოგადო მოღვაწეებისადმი, იმ ადამიანებისადმი, რომლებმაც იაკობთან ერთად, ნათელი თავისი ნათელი სიცოცხლე მშობელი ხალხის უკეთესი მერმისისათვის ბრძოლას შეაღიეს. ამ წერილებში მოცემულია უტყუარი ანარკელი მათი განვლილი ცხოვრებისა, ნაჩვენებია შინაგანი ბრძოლის ყველა ის მტკივნეული მხარე, რაც კი მათ იმ დროს აწუხებდათ და თხულობდა გადაჭრასა და მოგვარებას.

70-იანი წლების დასაწყისიდან მეფის განათლების სისტემაში მოკალაბებულ მოხელეებს არ ასვენებდათ იაკობის თავგანწირული მუშაობა ქართველი ხალხისა და ახალი თაობის კეთილდღეობისათვის, ისინი უოველი გზით ცდილობდნენ იაკობის თავიდან მოცილებას, ერთი მხრით მათმა იერიშებმა, ზოლო მეორე მხრივ დედმა შრომამ ვატცხება იაკობის ისედაც სუსტი ჭანმრთელობა, ის ლოკინად ჩავარდა ბნელი ძალების მიერ შექმნილმა პირობებმა იაკობი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, სულღარი სიმშვიდე და წონასწორობა დეკარგა, მამ მტკვარში თავის დაბრბობა განიზრბა, მაგრამ სრულიად მოულოდნელი ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადაარჩა.

1878 წელს ნ. ნიკოლაძე ერთ პირად წერილში, იმ დროს საზღვარგარეთ მყოფ სერგო მესხს ატყობინებდა: „გოგაშვილია თავი მოკლა, ესე იგი გაქრა ხალხს, წიგნი კი ღატოა თავს ვიკლავო“, სწერდა ნ. ნიკოლაძე მესხს. ამ მოულოდნელ ამბით შეწუხებული სერგო მესხი ეკატერინე მედიკიშვილს 1874 წლის 16 დეკემბერს პარიზიდან სწერდა: „მე ძალიან მეწყინა, შორსალი გოხარა, ამისი სკუდილი რომ შევტყუე. კარგი და ჩვენთვის გამოსადეგი უმაწვილი იყო და ამისთანა კაცის დაკარგვა, ამ კვირის კაცის სიძვირეში, ყოველთვის საწყენად უნდა მიგაჩნდეს. გამართლებით, არასაკუთრადელი, არც მე ვამართლებ იმას და არც საზოგადოდ არავის, ვინც თავის თავს იკლავს. თავის მოკლა ამის ნიშნია, რომ კაცს მომავალში არაფრის იმედი არა აქვს, აქვეა ცუდიაო, და იკლავს თავს, რადგან ცხოვრება ამისთანა გარემოებაში არა ღირსო, ჩემის აზრით, რაც უნდა დიდი უბედურება დავმართოს კაცს, რაც უნდა იმედი დაკარგოს, თავის მოკლამდე მაინც არ უნდა მივიდეს. ვინც თავს იკლავს, ამით ამტკიცებს, რომ იმას სუსტი ხასიათი ჰქონია. ცხოვრებასთან იმა ცუდ გარემოებებთან ბრძოლა ვერ შეუძლია, ბედები ჩაბოჭულია და შორდება ბრძოლას. თუშუა, ვამბობ, თავის მოკლა დასაძრახისი საქმეა, თუშუა გოგებაშვილის მოქმედებას ვერაზაჲ მჯერად ვეწუხვარ მაინც, რომ ეს კაცი ავაღმყოფობას და, ვინ იცის, რა დევ სხვა რამდენ გარემოებს ექამედი მიუყვანია, რომ თავის მოკლა გააღწევიდეთა“.<sup>2</sup>

ესაღმა, მეგობრებმა დიდად გაახარეს, როცა ჰქვია გოგებაშვილის სიყვალზე არ გამართლდა. ეს კი იყო, რომ ამ მძიმე სულიერი მღვდლარებისა და განსაცდელის შემდეგ რ. გოგებაშვილი ნერვიულად დაავადდა და დიდხანს ავადმყოფობდა. ამის გამო იგი, ვარაუდით, სანამ დამოუკანმრთელდებოდა, თავის მეგობრებსა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ცხვედაძის ოჯახში ცხოვრობდა. სწორედ იმ პერიოდში, იაკობმა ანთებულ ბუხარში შეეპარა თავისი განათლებისა და ნამსახურების ოფიციალური საბუთები. მას აღარ ჰქონდა სურვილი, რომ მათი წყალობით საშუალება მისცემოდა სახელმწიფო სამსახურში შესვლისა. ნიკო ცხვედაძის შეთხოვაზე — რა ქალაქებში დასწროა—აკობმა უპასუხა: „დავწვი ჩემი გემები, რომ უყან დაბრუნება აღარ შემიძლიოს: — ატესტატი სენინარისა, მოწმობა აკადემიისა, სამსახურის სია და სხვა საბუთების ქალაქებში ყველანა ცეცხლს მივართვი ძღვნათა. ვაი თუ მავათი წყალობით შემდეგ როდესმე გამოვიძებოდა სურვილი სამსახურში შევადგინა. ამერიიდან მთელი ჩემი სიცოცხლე ძალია და ღონე ჩემს ქვეყანას უნდა მოვახმარო“.<sup>3</sup>

შარტოთა. ამ დღიდან ეს დღებულა ავა-

მიანი არასოდეს არ დაბრუნებია სახელმწიფო სამსახურს. სამაგიეროდ მან მთელი თავისი ცხოვრება და სიცოცხლე შეაღწა საზოგადოებრივ მოღვაწეობაში: — ქართველი ხალხის სამსახურს, შრომაღიური ენის, კულტურისა და სწავლა-აღზრდის დაცვასა და აღორძინებას.

რ. გოგებაშვილი 1874 წლის ზაფხულშია და შეიმდგომავსე სამკურანლოდ აბასთუმანში იმ-ყოფებოდა. მიუხედავად ამისა, მუშაობას თავს მაინც არ ანებებდა, წერდა ავაგეთოთ წერილებს აბასთუმნიდან, არჩევდა ლიტერატურულ მასალებს „დედა ენისა და „ბუნების კარის“ ახალი გამოცემისათვის; ამისათვის თადარიგ იქნება, რომ ქართული ხალხის სახელოვან პოეტებს ღიასა და აკაკის რუსულიდან თარგმნათ საბავშვო ლექსები, ბეჭდავდა საბავშვო წიგნს „კონას“, ამავე პერიოდს ეყუდუნის მისი წერილი რუსულ ენაზე: „ქ. აბასთუმანი, 8 სექტემბერი, 1874 წელს“. ამავე პერიოდში „დროებაში“ დაიბეჭდა კორესპონდენცია „აბასთუმანი 24 აგვისტოს, 1874 წ.“. ფსევდონიმით — „დროებითი აბასთუმნიელი“, რაც შემოდინიწული რუსული წერილის უფრო მეტად აღებულ ქართულ ვარიანტს წარმოადგენს.

ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის ნათელ ისტორიულ დოკუმენტებს წარმოადგენენ იაკობ გოგებაშვილის — „ბურჯი ეროვნებისა“, „რანი ვიყავი გერმანია“ და სხვა მუხლავისტური ხასიათის წერილები, რომლებიც იბეჭდებოდა იმ დროს ქართულსა და რუსულ პრესაში.

სახელმძღვანელოების შედგენას სახელოვანი პედაგოგ უდაბესი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. მას ღრმად სწამდა, რომ „სახელმძღვანელოთა რი-პირი ბასრი ხაწალია. რომელსაც შეუძლიან დიდი სიკეთე დათვისოს და დიდი სიბოროტე ჩანერგოს სკოლას და ხალხის ცხოვრებაში. თუ მასში იხატება სალი, გონიერი მიმართულება, დამკვიდრებელი პედაგოგობის და ეროვნულს პრინციპზე, სახელმძღვანელო აყენებს სწავლას სწორ და მტკიცე გზაზე, აწარმოებს მას ნაყოფიერად და უწევს დად ანსახურს სკოლასავე და საზოგადოებასაც. მაგრამ თუ იგი ასცდენია პედაგოგობის დედაარსსა, მოსწვევტია ეროვნულ ნიადაგს და ემსახურება რომელსავე უკუღმართს მიმართულებასა, ხალხის განათლების მაგიერ, მაშინ სახელმძღვანელო შედგენს სკოლისათვის და ხალხისათვის ნაშვილ ხაწამლავსა“.<sup>4</sup>

იაკობ გოგებაშვილს თავისი სიცოცხლის განმავლობაში არ შეუწყვეტია მუშაობა „დედა ენის“, „ბუნების კარის“ და „რუსიკო სლოვოს“ შემდეგი გამოცემების ხისტემატური გაუმჯობესებისათვის. იგი განსაკუთრებულად სიყვარულით, პოეტური გაქანებით, პედაგოგიური ხელოვნებითა და ოსტატობით არჩევდა ლიტერატურულ მასალას: მოთარბობებს, ლექ-

სებს, იგავარაყებს და ხალხური შემოქმედებით ნიმუშებს თავისი სახელმძღვანელოებისათვის.

1865 წელს იაკობმა შეადგინა და გამოცა — „ქართული ენის ანბანი და პირველი საერთავე წიგნი“ სახალხო სკოლის პირველი ორი განყოფილებისათვის. ეს წიგნი 1870 წლამდე გამოდიოდა.

გრიგოლ ჩიქოვანის წიგნს რომ ვკითხულობდი, ასეთი განსაკუთრებული ქართული სათაურით — „ოდიშური მოთხრობები“ — ვფიქრობდი, რომ მწერლის კავშიარი ოდიშთან სავსეა საურადადღებო, აქტუალური, მნიშვნელოვანი აზრებით, რომ მწერალს მშობლიური მზარე გამოქუავს თანამედროვეობის ავანსცენაზე. საკულისხმომო, რომ თვით ავტორი კულისებს იქით თავშეაბლად იმალდა: მის პოეტურ პროზაში მთავარია არა ინდივიდუალური თავისებების „შე“, არამედ ოდიშელთა თვითმყოფადობა, მათი ხასიათის დიალექტთა, მათი ბედის დრამა თუ პოეზია, ამდაგვარი, თითქოსდა თვითვაცლა ავტორისა, განსაკუთრებულ შედეგს აღწევს: მასალის დრამატიკაცია ზოგჯერ წმინდა დიალოგამდე დადის. ამის ერთი ნათელი მაგალითია ისტორიული მოთხრობა-დიალოგი „ერთი ღამის სიხარული“.

ამ დიალოგის თავისებურებაა — დაძაბული რიტმი და დავინებული ფრაზეოლოგიური გამეორება. ეს დიალოგი შელოცვის ჰგავს და მე გრიგოლ ჩიქოვანის ამდაგვარ დიალოგებს „მაგიურს“ ვუწოდებ, ამასთან ერთად დიალოგ არ იზღუდება მარტოოდენ ვნებთა დღევით, მხოლოდ სიუარულის პოეზიით. არამედ მერწახა და ტანის საუბარს მსუბუქად ექსოვება მათი დროისა და ყოფის შრავლფეროვანი რეალუბი და, მიკერის, რაოდენ ხისხლავსედ ისახება ქალ-ვათის რეპლიკებში უყოფადლური საროვადოების იმდროინდელი ცხოვრება და ყოფა. და მაინც „მაგიური“ დიალოგი თავის ადგილზეა, მხოლოდ რომანტიკულ ტრუიალების კონტექსტში, როცა ვპირთა ახსენებ გამოყვა-

ზარებულთა თვით ისტორიული დისტანციით ჩვენგან დაშორებული დროით.

მწერალს თავისი მშობლიური ოდიშის ყოველი ისტორიული პერიოდი აინტერესებს, „თებერდის“ ეპოქა იქნება, ჩვენი დღეების თუ ამორძალთა დროების — ნახევრად დღე-გენდარული დროების. „ამორძალი“ იწყება იტალიელი მისიონერის არქანჯელო ლამბერტის ნაწარმოებთან ამოღებული ეპიგრაფით. ესე იგი, თითქოს იმის დამამტიკაცელი დოკუმენტით, რომ ამბავი, რომელშიაც მოთხრობის გმირები მონაწილეობენ, ნამდვილად მოხდა.

მაგრამ ეს ისტორიული ცნობა თურმე მხოლოდ ტრამპლინია, საიდანაც ნაწარმოების გმირები „ხტებიან“, თავთავის მხრიდან, ტოვებენ ბრძოლის ველს და პირადი ვნებების ხილრეში ეშვებიან. აქა ისტორიის საშუაროც და აღმართა გრძნობათა სამყაროც, მშობლიური მიწის დამკველი ქართველი მეომრის „ნახტომიც“ და მეომარი ამორძალის ნახტომიც. „ნახტომი“ აუცილებლობის სამეფოდან პირადი თავისუფლების სამეფოში — ეს „ნახტომი“ მოულოდნელად ზდება, ერთი დარტყმით: ორივე მეომარი ბრძოლის ველზე ეკვეთნენ ერთმანეთს, ცხენიდან გადავარდნენ და მიწაზე მკედრების გვერდით დაეცნენ. როცა გამოფხიზლდნენ, აღარსად იყო არც ქართველთა ლაშქარი და არც მტრის ურდო. ორი მტერი კი გვერდივევრდ იწვა: კაცი და ქალი.

ესე იქონა გიორგიმ თავისი ამორძალი. ახლად ანთებული სიუარული ამორძალისა და უწინდელი სიუარული მშობლიურის სოფლის მკედრი ქალისა — ეს არის ორი პოდუსი,

რომელთა შუა ბორჯავად გვირის სული.

და ცხენის ფლოკების პირველსავე თქარუნ-  
ზე, ელას რომ შიქროლებდა, ზდება გრიგოლ  
ჩიქოვანის გვირების დაბრუნება პირადი თავი-  
სუფლების სამეფოდან ისტორიული აუცა-  
ლებლობის სამეფოში. ზღვაში ჩავარდნილი  
წვეთავით ითქიფება ქალი თავის ურდოში,  
ვთუ კი ერწყმას, ენიეთება თავის ზალხს.

ახვ დაწვრილებით იმითმ შეეჭრადი ამ მო-  
თხრობაზე, რომ მასში ძალიან ადვილია გრი-  
გოლ ჩიქოვანის კადევი ერთი ზურვის დანახვა:  
ჩიქოვანისა და რომანტიზმის შეთავსება, გვი-  
რების ნახტომი ერთი მდგომარეობიდან მეო-  
რეში.

ანალოგიურაა სტრუქტურა მისი მოთხ-  
რობისა „ერთი დამის სიხარული“, სადაჲ  
მიჯნობა დამის შეხვედრა, განთიადისას შეწ-  
ვერებს ქალწულთა გამტაცებლებმა (მათ თურ-  
ქეთში ყოფილენ). შეხვედრის თავისუფლებას  
დამაშაულას თავისუფლება მოაქვება; არა-  
ვის შეძლო დაცვა, არავის შეძლო დასჯა.  
სულთა ადამიანურ გრძნობათა სფეროს ურთი-  
ერთობა იმ სფეროსთან, სადაჲ ეს ოქროს ღე-  
ბულობენ თურქი მონათმეცაქრებისაგან ქარ-  
ველ ქალში, ანდა ქართველი თავადიშვილისა-  
გან ამორბადში... განა ეს კონფლიქტი არ  
არის?

სწორედ აქ ვხვდები, რომ შწერლის პრინცი-  
პულობა, რისი მეოხებითაც იგი არსებულ კონ-  
ფლიქტურ სიტუაციებს სხვადასხვა ვარიაციე-  
ბით ამოშავებს, თუ შეტად არა, ნაკლებ სინ-  
ტერესოა როდია ჩვენთვის, ადგილობრივ კოლო-  
რიტთან შედარებით. გრიგოლ ჩიქოვანის გვი-  
რების ცხოვრებაში ჩვენ ვპოულობთ თანამედ-  
როვე ცხოვრების თვისებებს, ჩვენსავე თვისე-  
ბებს. მაშინაც კი, როცა შწერალი გვიამბობს  
არა დღევანდელ დღეზე, არამედ ისტორიულ  
წარსულზე.

გრიგოლ ჩიქოვანი თავის ნოველებში ხან  
ლირიკოსად ვგველინება, ხან თავის ქვეყნის მე-  
შატანედ, შეუძლია შწარე დაცინვა, მაგრამ უო-  
ველთვის, უოველნაირ სტილისტურ ტრანს-  
ფორმაციებში იგი ერთგულია არა შარტო  
ოდიშის, თავის თავისაც, სერაიოზულად დაფიქ-  
რებულა ადამიანის სიცოცხლეზე, წინობრივ  
პრობლემებზე.

განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ შთავარი  
საქოთი, ეს არის საქოთი პირად და საზოგა-  
დობრივ ინტერესთა თანაფარდობაზე? სწორედ  
ამ თანაფარდობას იკვლევს გრიგოლ ჩიქოვანი  
და სწორედ ინტერესთა არათანაფარდობა მისი  
ბევრი მოთხრობის კონფლიქტის არის.

ეს „არათანაფარდობა“ ცოცხლად, გამოშახ-  
ველად არის ხორცშესხმული იმავე „ამოქ-  
ლის“ სიუჟეტში: კაცისა და ქალის სიყვარული  
ღალატის ტალღარდია, როცა მათი ხალხები

სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში არიან ჩა-  
მული.

ისმის კითხვა: განა სიყვარული დამაშავე  
იმაში, რომ ბრძოლის ველზე იშვას? და მაინც  
დამაშაულის, შიშის გრძნობა თრგუნავს გულად  
შეოშარს, იმითმ, რომ პირადი ინტერესები  
ვაითმა ხალხის, ერის ინტერესს. თუმცა ამ  
კონფლიქტის მიზანი ქვეშარბატად კეთილშობი-  
ლურია, მაგრამ ვიგრძნობ მაინც არ შეუძლია გა-  
თიშოს თავის ზალხს.

აქ ეგებ მიიხრან, რომ ვიორგი და ელა კი არ  
დაშორდნენ, დაშორდა ორი ზალხი, რომ უნდა  
ჩავუფიქრდეთ არა პირადულ დრამას, უნდა ჩა-  
ვუფიქრდეთ ხალხების დრამას, იმ ხალხებისა,  
ერთმანეთს რომ ვერ ეკუთვნიან, რომ შედეგონ,  
ამისათვის დაცონადური განკერძობება უნდა და-  
ძლიონ. იქნებ გრიგოლ ჩიქოვანის მოთხრობა  
და თვით ვიორთა პირადი მიწინააღმდეგე, ესე  
იგი, ვიორგისა და ამორბადის სიყვარული ში-  
მართულია სწორედ ნაციონალური განკერძო-  
ების წინააღმდეგ, მაგრამ ამ შემთხვევაში შე-  
საძლოა მთელი დრამა ის იყოს, რომ პიროვნე-  
ბას არსებენა საკუთარი თავის, შიშის, როდე-  
საც დროა მის წინაშე დამაშავე.

შე მხედველობაში მამქვს გრიგოლ ჩიქოვანის  
მეორე მოთხრობაც — „ტუაში შთაჲ“. ამ დრა-  
მატულ ნოველაში უშაწილ ქალს, ნათის უცებ  
აფილება თვლი და დინანავს „კეთილშობილი  
აზრავის“ მთელ სიმდაბლეს და სისახლეს. ნა-  
თი მკერდში ჰქრავს თავის სუსტ შვილს ჯონდის  
და უფსკრულში გადაჩეხავს. ვითომ სუსტ  
შვილს? ის ზომ ზალხის სახელით მოქმედებს,  
მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ რეალისტურ  
მოთხრობა დრამატულად მთავრდება. რას იხამ,  
ოპტიმიზმი რომანტიკას თხოულობს! „ბორო-  
ტება“ უმალ უნდა დამარცხდეს, ამ წუთას, აქ-  
ვე, დამაშაულის ადგილზე.

ახლა კი მე-19 საუკუნეიდან მეოცეში გადავი-  
ნაცვლოთ, ჩვენი დღეების საქართველოში: აი,  
გადვილებით მოთხრობა „კიბეს“. რას დავინა-  
ხავთ აქ? ბუნებრივია ის, რომ განსხვავება პი-  
რადულსა და საერთო შეგნებას შორის შემონა-  
ხულია. ეს ალბათ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ წი-  
ნაშეა ერთ-ერთი ეთნოგრაფიული „შარადი-  
ული“ პრობლემა? ფილოსოფიების ამტკიცებენ,  
რომ მომავალში ეს პრობლემა მოიხსნება. მაგ-  
რამ რეალისტურ მწერლები წერენ არა შორეულ  
მომავალზე, წერენ დღევანდელ დღეზე. დავუთ-  
შოთ პროვოზები, წინასწარმეტყველება, მომავ-  
ლის განჭვრეტა — ფუტუროლოგებს, თანტა-  
ტებს, ჩვენ კი ვნახოთ, როგორ გამოიყურება  
რეალისტის კლშით დახატულ პირად და სა-  
ზოგადობრივ ინტერესთა არათანაფარდობა,  
როგორ შეცვალა ჩვენმა კოვლისშემქმელ  
დროებამ ეს კონფლიქტი. ვიგრძნობ, როგორ  
ამარცხებს ჩვენი ეპოქა ბოროტებას კონდრატე  
პარტახიას სახით.



საინტერესოა: როგორც კი გრიგოლ ჩიქოვანი თანამედროვეობას შეეხება, ეოვედროვის შეკლის მხატვრული ტაქტის გრძნობა, იცავს მას რომანტიკულ სიუჟეტურ გუნებზე გადახდისაკენ. მართლაც, კოლმეურნიების თავმჯდომარე კონდრატი პირტახიას ვერც ერთი ქალაქილი ვერ გადააყდენს გზიდან, და თუ წინადადებს უფსრულში გადაიხება, კონდრატი მოსხრობის ფინანსი თავის ფეხით წაღის ჩვეულებრივ კიბეზე — ზემო სართულიდან ქვევით. მაგრამ ეს ჩვეულებრივი კიბე და ჩვეულებრივი ჩასვლა ამ კიბეზე აშკარა სიმპლურ მნიშვნელობას აღემატება. დიდ ხანს, წლებსა მანძილზე კონდრატი პირტახია ამ კიბით ჩიქოვან ადოლიდა მალდა და არ ენსოდა, რომ კიბეს ძირს მიმყავდა, მხოლოდ ძირს მიმყავდა, რა ჰქვია ამ ვერაჯულ „კიბეს“? კარგია — კონდრატი პირტახიას იდეალო. ეს არის ეგოიზმი, უფროაზე უბრალო, პირადი ფორმის ეგოიზმი.

გრიგოლ ჩიქოვანი კიდევ უფრო თამამად ამბავრებს პრაბლემებს თავის ნარკვევებში „სოფლის დედა“- აქ საქმის არხი შემდეგვითა. ბრავადირ თამარ უფუფიას ფთანშილება მოყუა თავისი საბუნდავანი ბრავადირს ვერგოვითა. რა მიზეზში? შამბოების გვარის თხოთმეტი ოჯახის ვამო. შამბოები წარსტება და ლოთები არიან. თამარის კატეგორიული მოთხოვნით ამ წარსტების ბრავადა მას ბრავადის შეუერთეს.

აღწიწიწით მთავარი: თამარმა გათმარება მწვავე კონფლიქტში, „ბრავადელი“ ეგოიზმი კი დამარცხდა.

გრიგოლ ჩიქოვანის პიროვნის მხატვრული სამუშაო „ფორმითა მოცულობით“ დიდი არ არის, სამავიეროდ გახალციხად პრინციპულია, ღრმა აზრისა და ოსტატურადაა დამუშავებული. ამ სამუშაოს შინაგანი მრავალფეროვნება საშუალებას გვაძლევს სხვადასხვანაირად აღვიქვათ იგი, მიუხედავად ავტორის შტიციე ერთგულებისა ერთი თანრიბს—მოთხრობისაკენი. ჭერჭერობით გამოწაკლიბა, რომანი „ოტებრვალში“, მაგრამ მე აქ ვხედავ არა მარტო თანრის შეცვლას, მწერლის თვალსაზრისის შეცვლასაც. გრიგოლ ჩიქოვანი უკვე სხვა კუთხით უფურებს ცხოვრებას — მოვლენებს და აზრებს, „ლაზერას ვერაილი“ სხვი, რითაც გრიგოლ ჩიქოვანი მუშაობს, უცებ ვაფართოვდა, არა იმიტომ, რომ მოიკცა მოქმედების უფრო ვრცელი პლატარმი, არამედ იმიხათება, რომ ერთი აღმთაობს ცხოვრებას ნაცულად ავანსცენაზე გამოიყვანოს მთელი ხალხის ისტორიული უფა. ეს როული „როქი“, შინაგანი და გარეგანი, ერთეული და მრავლობითა მწერალს ოსტატურად აქვს აღწეული.

„ოტებრვალში“, მოქმედების დრო 1921 წელს, საქართველოში საქმითა ბელისუფლების დამ-

ყარების პერიოდი, ისტორიული ამბების მოსამხადებელი პერიოდი, ამიტომ გვირავდურად და მიადროდ უყავიარდებია ჩვენს დროს. გარდა ამისა, ჩვენს წინ მოთხრობა კი არა, რომანია, განსხვავება არსებობია თუ ვათავალისწინებთ იმას, რომ გრიგოლ ჩიქოვანს მოთხრობის თანრიბს თავისებური ინტერპრეტაცია ახასიათებს. მითთვის ხომ მოთხრობა პრაზის ენით დაწერილი პატარა დრამაა. „ოტებრვალში“ კი რეალიზმის კანონით დაწერილი ნაწარმოებია. ამ ქსოვილში „მადიურა“ დილოგი ხიშტივით იჭრება, ფლეთს ქსოვილს და „ნამატებულ ნომერს“ ჰგავს. ასეთია „ოტებრვალში“ ორივე დილოგი: ახალგაზრდა მიწურების — იხდაბსა და ჭვებების და მათგან ცხოვრებით ათი წლით დაშორებული ცვაბა და ვარდენის.

„ოტებრვალში“ გადმოყვავართ ლეგენდარული ღრობიდან ჩვენს დროში, რომანტიკის საშუაროდან რეალიზმის სამუაროში. აქ უფოლფერი სხვაგვარია. ხალხის ბედის თვით ხალხი ვანავებს, ამშაა ამ ნაწარმოების დიდი პათოსი. ცალკე აღმთინის ბედს რაღა მოვლის?

ცალკე აღმთინები ამ რეალუციურ ეპოქაში თავისუფალი როდი არიან თავის არჩევანზე პასუხისმეებლობისაგან და არც თავის ბედისაგან. მათ პასუხი უნდა აგონ თავის მოქმედებაზე, თავის ბედზე.

ჩვენ წინაა ახალგაზრდა, უფოლეგვარი ღირსებით შემუული გლვისის ბივი ჭვებე. მაგრამ რას უშვება მას ბედისწერა, რა სასტყავდ ათამაშებს! ჭვებეს უნდოდა ხალხის სამსაფურში ჩადეგაროუო და „სახალხო გვარდის“ რიგებში შევიდა, იმ გვარდისა, რომელმაც მის შობილოურ სოფელს ქვემეხი დაუშინა. წინასწარ ხარობდა ჯედ-შამასთან შეხვედრას, მაგრამ ამ შეხვედრისას, „სახალხო გვარდელში“ ჭვებემ ცხენით გადათელა დედა. მშასთან შეხვედრასაც ოცნებობდა. იგი ათი წელიწადი არ უნახავს და სწორედ მან, ჭვებემ შეიბურო ბოლშევიკი მშა და ხელში ჩაუვდო გვარდელეებს. დაბოლობს, მისი რუსი მეგობარი ჭარისკაცი იური, მისი — ჭვებეს გულისხათვის იღუბება.

ხალხი კი თავისი გზით მიდის — მშამეა მისა გზა, მაგრამ ბედნიერებისაკენ პარდაპირ მიეშურება. ხალხი სამირკვედს უყრის ახალ ყოფას, ახალ ცხოვრებას.

ეს ისტორიული დრო, როდესაც ხალხმა დიდი ხნით ადრე ვანქვრიტა თავისი ახალი ბედობლი, რეალისტურად დაჯიხიბატა გრიგოლ ჩიქოვანმა „ოტებრვალში“. გრიგოლ ჩიქოვანი წერს, როგორ ენშვიდობება ხალხი წარსულს, მაგრამ მწერლის ნაწარმოების უფრცლებს, თითქოს მომავლის ჭარი აწრიალებს.

## კაცი და „სისხლის წვიმა“

ვფიქრობ, ჩემი წერილის სახელწოდება დღეა არ განსხვავდება გიორგი ციციშვილის წიგნის სათაურისაგან, რადგან სიუჟარული და კაცი, ადამიანი განუყოფელი ცნებებია. მე მისაც ვფიქრობ, რომ თავისი წიგნის სათაურში ავტორი სწორედ ამას გულისხმობდა: სიუჟარული მხოლოდ კაცთა ნიჭია, რადგან შეგნებულნი, გააზრებული დამოკიდებულება (და არა ინსტიქტი, არა მიჩვევა) მხოლოდ ამ მაღალი განვითარების არსების უნარია, და კიდევ მისაც ვფიქრობ, რომ გ. ციციშვილმა შესანიშნავი კუთხე მოუძებნა ადამიანის კაცური კაცობის გამოვლენების უნარს — ჩაუენა იგი უმძიმეს პირობებში, სადაც სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე თითქოს აღარ უნდა დარჩენილყო რაიმე სწრაფვა, გარდა სიცოცხლის შენარჩუნებისა. და აი, აქ ჩნდება სწორედ ადამიანი. იგი იმითაა დიდი, იმით ატარებს ამ მაღალ სახელს, რომ სიცოცხლის შენარჩუნება მასში ინსტიქტი კი არაა, არამედ სიკვდილის დათრგუნვისათვის შეგნებული მოქმედება. და ამ შეგნებულ მოქმედებას აცოცხლებს, ასულდგმულებს დიდი სიუჟარული და დიდი სიძულვილი. რაიმე ერთნაირად შეგნებული და გააზრებული.

და მით უფრო ფასეულია ეს წიგნი, რომ იგი ომის უშუალო მონაწილის, ამ საზარელი ომის წილის ქარცეცხლში გამოვლილი კაცის დაწერა. ეს არაა სამხედრო კორესპონდენტის ჩანაწერები, რომელიც დროაღან დრომდე ეწევა ფრონტის ხას და არცა აქვს საშუალება სრულად შეერწყას ფრონტულ ცხოვრებას.

მე მამაკაციმ მათ, ვისაც კორესპონდენტობის მიმღე ვალი წილად ზედმოია და ჭირდასი მაასადაც მოუწოდებია ჩვენთვის, თუ ვიტყვი, რომ მათ ზშირად შეძობუვეთი ვაჭტი თუ ებიზოდი დაუქრიათ და ბუერი რამის საყ-

თარი ფანტაზიით დასრულებაც დასქარვებიათ.

გ. ციციშვილის წიგნი პროფესიონალს ოზრულება: პროფესიონალი-არტილერიისტი და პროფესიონალი მწერლის. ზუსტი ცოდნა არტილერიის როლის, ქმედების, განლაგებისა, შემადგენელი ნაწილებისა და ცოცხალი შემადგენლობის იგარძნობა უკველ ეპიზოდში, სადაც კი ჭარის ეს სახეობა ჩნდება. ეს სიზუსტე (რომელიც არტილერიის საკითხში ჩაუხედავი ადამიანისთვისაც კი ნათელია) ქმნის წიგნის საერთო დამაჭრებლობას, მის თითქმის დოკუმენტურ ხასათს და, უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი ოზრულების ფაბულა მხოლოდ მაშინ იქნება რეალიზტურ სიმართლეს, თუ ფონის შემქმნელი რეალება მართალი. გ. ციციშვილის მიერ მოხსრობილი ამებეი ჩვენ ნამდვილად გვჭერა სწორედ იმტომ, რომ ასეთი სიზუსტით აღვიქვამთ სიტუაციას, რომელშიაც ისინი ვითარდებიან.

მე არ შეგხედრია ქართულ ლიტერატურაში არც ერთი ნაწარმოები, რომელშიც სამხედრო მოქმედება ასეთი ვიზუალური ხატებით და, თითქმის დოკუმენტური სიზუსტით, ანე ფართო პლანში იყოს წარმოდგენილი — სტრატეგიული გეგმიდან მოყოლებული, დამთავრებული მისი რეალიზაციით ქვედასაოფებში, ფრონტის ხარჯლობის თათბირით დაწეებულ და დამთავრებული მეტევიამტრქვევის საქმიანობის ჩვენებით — როგორც ეს გ. ციციშვილის წიგნშია, ამ მზრავ განსაკუთრებით მდიდარია ნოველა „ფერისცვალება“, სადაც (218-265 გვერდებზე) უდადესი დინამიკობით ვითარდება მოვლენები, რომლებიც თვალნათლად გვიჩვენებს სამამულლო ომის პარკული ხანების უყარდაბვისა თუ დამარცხების მიღელ რთულ, ვადაუღაბავ, მაგრამ ლოგიკურ მიზეზებს: შეიარაღების სიმცირესა და პრიმიტიულობას, სუსტ სამხედრო ორ-

განზაცისა, მეთაურთა კადრების (ჭირითა-დად — სამოქალაქო ომის მეთაურებოა, რომელთაც იმ დროს მაღალი ჩინები და თანამდებობები ეცავათ) დახალ სამხედრო კვალიფიკაციას თანამედროვე ომის პირობებში და სხვ. და სხვ... და ეს ყველაფერი მოხსრობილი კი არაა, არამედ ნაჩვენებია ფაქტობრივ.

და მაინც, რასაკვირველია, ეს არც წიგნის მიზანია და არც მისი უპირველესი დარსება. ესაა წიგნის, სიმართლის კონკრეტული საფუძველივე შემთხვევით არ ფუსვამ ხაზს სიტყვას კონკრეტულად, რადგან წიგნის საშობლის მხატვრობად განზოგადებული საფუძველი არის... „სიყვარული სისხლის წვიმების დროს“, ანუ, როგორც ეს თვით ავტორმა შესანიშნავად თქვა წინასიტყვაობაში:

„... ადრე თუ გვიან ამ ომსაც და ყოველ მის ბრძოლასაც სამხედრო ობტორიციონება ისე ზუსტად აღწერენ, რომ ქვეყნის არც ერთი გასროლა არ გამოჩნდება. მეომარი ხალხის საბრძოლო სულს, მის, როგორც ახლა ვუწოდებთ, მორალურ-პოლიტიკურ სახესაც არა ერთი ეპოქააღმწერელი გამოჩნდება.“

მაგრამ რა ვუყოთ იმ ყოველდღიურ განცდებსა და გრძობებს, იმ შესაძლოა, წერაღმანსა და უმნიშვნელო სურვილებს, „ბატარა ამბები“, მისწრაფებებს, ფიქრებსა და საქციელს, ურომლისოდაც ვერცერთი ომის მონაწილე სწორად ვერ წარმოადგინება და რომელთა გადმოცემაც მხოლოდ თვითმხილველს ძალუძს...“<sup>1</sup>

სწორად ამ „ომის მონაწილეთა“ პიროვნულ, წმინდა ადამიანურ ურთიერთობაზეა გადატანილი წიგნის აქცენტი. „სისხლის წვიმების დროსაც“ სიყვარულით და სიძულვილითაც (რადგან ეს ორი ცნება არ არსებობს ერთმანეთის გარეშე) ცხოვრობენ წიგნის გმირები. ეს სიყვარული წარმოჩნდება მის მრავალმხრივ გამოვლიანებაში; სიყვარული სამშობლოსადმი, მეგობრისადმი, შეილისადმი, ქალიწადმი, სიღალმისადმიც კი... და რაც განსაკუთრებით ხაზგასმულია გ. ციციშვილის წიგნში, ეს სიყვარული ყველგან საოცრად ფაქიზია, ომის მძიმე დღეებში გაუხეშებული ადამიანები ისე მჭიდრად და ბავშვური უშუალობით აღაქავენ ამ დუფორ ნიქს სიყვარულისას, რომ გწამს: ესაა ქვეშაირი ადამიანობა!

მიუხედავად იმისა, რომ წიგნში წარმოდგენილი თვითრეალი ნოველა დამოუკიდებელ, სიუჟეტურად შევრულ თხზულებას წარმოადგენს, ესაა ფაქტობრივად ნოველების ციკლი, შევრთბული ერთი ლოკალის (ლიენინგრადის ურონტა) და ერთი გმირის თავგადასავლის (გიორგი ზევედრელი) საფუძველზე.

ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევებისათვის

<sup>1</sup> გ. ციციშვილი, სიყვარული სისხლის წვიმების დროს, თბ. 1975, გვ. 15.

ისიც, რომ ზშირად ნაწარმოების მოთავსი გმირი მწერლისეული პიროვნული ნიშნებით ხასიათდება და ისიც, რომ არცერთი გმირი მწერლის ადეკვატური სახე არაა. გიორგი ზევედრელიც, გარდა სახელისა და ლენინგრადის ურონტაზე მონაწილეობისა, გიორგი ციციშვილთან ზევი საერთო ნიშანი აქვს ბიოგრაფიულიცა და ხასიათის თვალსაზრისითაც: უბანი სადაც გაზრდილია, სკოლა, რომელიც დაუბათვარბია, ადამიანები, რომლებიც ახსოვს, ადგილები, სადაც ყოფილიან, ჩიქმა-დახურვა თუქქვის ციხე-ციხელებით გატაცება დამახასიათებელი მშინი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისის თბილისელი ახლადწამოჩენილი გოგონებისა და ბიჭებისათვის და მრავალი სხვა ძალიან ინტიმური, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალი ისე ცოცხალსა და დამაქრებელად ხდის ზევედრელს, ისე „სვამს“ დროის უაღბოში იშთაყოფე, ნაწარმოების პირველი გვერდებიდანვე, რომ ბოლომდე აღიქვამ მას არა როგორც თხზულების პერსონაჟს, არამედ როგორც თანამოსაუბრეს, ცოცხალ ადამიანს, თავის თაუგადსავალს რომ მოგვითხრობს და თავისთან ერთად განგვაუდვიენებს ვანელილი საწინდებების გრძელ წლებსა და ვანდელილი სხარტულის მოკლე წუთებს. ეს თითქმის მკაცრი, თითქმის სიმტკიცითა და მინიანობით ურთიერთობაში, შესანიშნავ ადლოს მათი ხასიათების წვდომაში, უდიდეს ტაქტს მათთან მიმართებით დამარბაში.

ხასიათები კი მრავალნაირი ხდება მას თავის გარშემო და ჩვენც ვეცნობით მათ. განსაცდელისა და სიკვდილის წინაშე უფრო მშველდება ადამიანის ბუნება და უფრო იკვეთება ის, რის დაფრავაც, შეიძლება, კიდევ ეწავა ადამიანს. ამიტომ ვლინდება წიგნში წარმოდგენილი პერსონაჟები შურაწილად, მთიქველდობად, სალდათრომობად, ხეპრობად, ფილისტერობად, მაგრამ არსად და არასოდეს — სომხდალედ და დალატი. ამიტომ ამ ციკლისმფრქვეველი ვეშაის — ომის წინაშე მდგომ ადამიანებს, რომელთაც, მიუხედავად მათი ხასიათის უბერო მხარეებისა, ერთი სერთო საქმე და მინაი გულწრფელად აკავშირებთ, ჩვენ მაინც დადებითად აღიქვამთ, რადგანაც ეს ასე სურს მწერალს, და სურს ამიტომ, რომ კონკრეტულ ეთარბებაში, მიუხედავად თავისი სიმართა-ანტისათვისა და მის მიერვე დახატული უარყოფითი ხასიათებისა, მისთვის მოთარბია ადამიანის ფაზი — თანამებრძოლის ფაზი. ამ კუთხით კი ყველაში თანამებრძოლები არიან.

ვიკვარდებს თანამებრძოლი და უფრად მას — რანგისა და ჩინის მიუხედავად — ეს, აღბათ, მარისკეული ცხოვრების აღფრავა და ომეცაც სხვაგვარად შეუძლებელია არსებო

მა ამ ადამიანებს შორის, რომლებსაც გარემო-  
ბამ უმტკიცესი ქვეითი მიგება და ვერსად გა-  
მსყვეთი. ადამიანთა შორის ადამიანური ურთი-  
ერთობის საფუძველი ხდება უმძიმესი განსა-  
ცდების წუთების გაძლევის, რადგან „ადამი-  
ანს ყველაზე ხანგრძლივსა და ძლიერ სითბოს  
ისევ ადამიანს ანიჭებს და ვერარა ნივთი, ვე-  
რარა ხაგანი ვერ შეენაცვლება მის გრძნეულ  
ქალას“.<sup>1</sup>

ასეთია ავტორის ზოგადუმაწერი პოზიცია  
და აქედან გამომდინარეობს მის შიერ გამოსა-  
ტული საკუთარი ბედნიერების შეგრძნება:  
„ვის იყის, რამდენი მწერალი თუ მოაზროვნე  
დაშვრალა ბედნიერების განსაზღვრაში. შე  
ე... იმ აზრისა ვარ, რომ ნამდვილი ბედნიერე-  
ბა ის არის, როცა ადამიანთა თვალში... პატი-  
ვისცემით, სიყვარულით, რწმენით, იმედით შე-  
მოკუთრებენ და მათ გულში შენდები ალალ  
გრძნობაა ხედავ“.<sup>2</sup>

ადამიანის უსაზღვრო სიყვარულითაა გამთ-  
ხარი ნოტილი წიგნი და ამიტომ მასზე ჩნდება  
შესანიშნვე ადამიანთა მთელი წყება. აგრამ  
სწორად ამიტომ, რომ მწერლის მიზანს წარ-  
მოადგენს ომის მოწინააღმდეგე არა ოფიციალური,  
არამოთ რეტიურის სახე, მისი საუკეთესო გმი-  
რები სწორედ ძირითადად ამ კლასით ხასიათ-  
დებიან.

ჩვენ არა გვაქვს საშუალება (და ეს არც სა-  
ქიროსა) მოვიხსენიოთ ყველა ეს გმირი, სა-  
მართისა ვიღოთ ორი: სამედიცინო სამსახუ-  
რის მათორი ბალაშოვი და ჭარისკაცი სელივა-  
ნოვი.

პირველთან შეხვედრა უხდება ზვედურელს  
მეტად ორჭოფულ პარობებში: იგი (ზედურე-  
ლი) ეძებს ლიდას, ქალს, რომელიც ვაგიფებით  
უყვარდა ომის დაწყებამდე და რომლის კვალს  
შემთხვევით მიაკვლია ომის ქარცეცხლში. მან  
ისიც ვაგიო, რომ ლიდა გათხოვილიყო და  
რაც მთავარია, ის, რომ მისი ქმარი მახლობე-  
დი მოსპირატის მთავარი ქირურგი იყო. და  
აი, შეყვარებულ ახალგაზრდას დაებადა ხა-  
დაულახავი სურვილი, ცოლის ამბავი ქმრისა-  
გან ვაგეო. მამივე ოპერაციიდან გამოსულ ბა-  
ლაშოვი წინ ზვედურელი დახვდა. ხიტუაცია,  
მართლაც, მეტად ორჭოფულია და ყველაზე-  
რად დაშოკებულია იმზე, თუ რა პირსვენება  
აღმოჩნდება ბალაშოვი.

„გარეგნულად ეს იყო, ბრვე, ლამაზი მამა-  
კაცი, კვიანური გამოვებულებით და ინტი-  
მიგენტური სახით. მისი დიდრონი ქროლა  
თვალში რაღაც ჩამქრალი, სედაიანი და მოდ-  
ლილი ჩანდა. უმძიმესიანგან შემუტებული  
ქუთუთობი, უბებთან ჩაღერებული რკაღე-

ბი აშკარად შეტყულებდნენ მის უღმერთო  
გადაღლილობაზე“...!

ზედურელი შეეცადა ტყუილით დაეხარა  
თავისი ვინაობა, მაგრამ კვიანი კაცი, რომ-  
მელშიც იცოდა მისი არსებობა, შეინიწვე შეხვ-  
და ვინ იღდა მის წინ:

— პატივცემულო ზვედურელო, თქვენ მარ-  
თალი კაცი უნდა იყოთ, რაში დაგვირდათ ეს  
ტყუილი?“

ხასიათს, რომელიც კოლეგების მისდამი  
უწოშო პატივისცემის საფუძველზე უკვე მეტ-  
ნაკლებად ცნობილი იყო, კიდევ ორი შტრი-  
ხი მიემატა: თავდაქერილობა და პირდაპირობა.

საუბრის დასასრულს ბალაშოვი საბოლოოდ  
ქალბებდა: დიაღ, იყო დრო, როდესაც მას  
სძულდა ზვედურელი, რადგან უწოშოდ უყვ-  
არდა ლიდა. ახლა ანგარიშსწორების დრო  
არაა: ლიდას უბიარს და ზვედურელს საშუა-  
ლება აქვს დაეპიაროს: „ჩაიწერეთ მისპირათა“.  
ბალაშოვი ეპიროდურ გმირთა კატეგორიის  
მიეუთვნება ნაწარმოებში, მაგრამ, მიუხედა-  
ვად ამისა, იგი სახესხაო გამოყვეთილი სახეა  
თავისი გარეგნული იერიითაც და მდიდარი ში-  
ნაგანი საშუაროთიც.

ასევე სანტირესო სახეა ჭარისკაცი სელივა-  
ნოვი. ეს ასაკოვანი, მაგრამ ბრვე კაცი, რომე-  
ლიც გულზე ჭვარს ატარებს, შესანიშნავი მე-  
პირობაა დასელოვნებულ ზარბაზნის დამ-  
ტინი, წითელი ვარსკვლავის კავალერი, მე-  
ორედ მიღებული ჭრილობის შემდეგ ზვედუ-  
რელს „ორდინაცია“ ვადაყვანილი.

ეს უბრალო გულბი, რომლისთვისაც ესთე-  
ტიკისა და პუშანისის პარობებში არასოდეს  
უქადაგებიათ, თავის თავში ატარებს ამ ორი  
მალალი ადამიანური გრძნობის შუარ საწყისს.

ვისაც გ. ციციშვილის წიგნი წაუეთხავს, არ  
შეიძლება არ ახსოვდეს ბუტაფორიული მამლის  
ანბავი, რომელიც შემთხვევით დახვდათ პეტრ-  
ძოლეს ვიბორგის მხარეში დროებითო შესე-  
ნების დროს. კარგა ხნის მანძილზე ეს „პალ-  
მა“, რომელიც ინტენდანტ ბუშნევისა და სე-  
ლივანოვის შებეს ყველას ცოცხალი ვგონა,  
საერთო სიყვარულის საგანი იყო. სამხრეთელი  
ზედურელისათვის ზომ ცოცხალ, ახლობელ  
ადამიანს წარმოადგენდა. შემთხვევით ვაირცვა  
სამართლედ, ზვედურელმა ტყულისათვის საუ-  
ვედური უთხრა სელვანოვის: „— რატომ მა-  
ლავედი, რომ მალმა ნამდვილი არ იყო?...“

— რა სპირობა, სიხარული ისევ ხანმოკლეა,  
თავისით ჩაქრება.

— ტყუილს რომ მოკლე ფეხები ახია, ის  
კი აღარ იცი?

— მოკლე ფეხი სულელურ ტყუილს ახია,  
კვიანური ათას თაობას დაამნიწებს...“

<sup>1</sup> „პალმა ჩრდილოეთში“, გვ. 144.  
<sup>2</sup> „ამბავი ფერიცვალბისა“, გვ. 306.

<sup>1</sup> „ყველაზე დიდხანს ცოცხლობს იმედი“,  
გვ. 50

— ჩვენებურად ამახ ახდა-უბდა ჰქვია, სელი-  
ვანოვ!

— რაც გინდათ, ის დარჩეთ. მე იმის თქმა  
მინდა, რომ კაცის სიყვითისათვის ტყუილიც  
გვეპატოება“.

გაგონა როდისმე სელივანოვის პუსკინი? —  
შეიძლება გაგონა, მაგრამ ნამდვილად არ იცო-  
და მისი სიტყვები: «Тымы низких истин мне  
дороже нас возвышающий осман...».

ეს დეკანი არც ხვედრეულს ახზავდა, ხანა  
ხუშნევის ოთახში პუსკინისა დაფლეთიდა,  
ტომში ხაზგასმულ ამ სიტყვებს არ წააწუდა.

თურმე სადღაც ხვედებოდა ერთმანეთს ორი  
ადამიანის სიყვარულით სავსე ვულე — გული  
პოეტისა და ვული უბრალო ქაჩისკაცი სელი-  
ვანოვისა.

ესეც მწერლის მიგნება და არც შემთხვევი-  
თი, რადგან მთელ მას წიგნს ასეთივე ვული  
წერს: ადამიანისადმი სიყვარულით, მასზე  
ფიქროთა და ზრუნვით აღსავსე. და ეს სიყვარ-  
ული, ეს ფიქრი და ზრუნვა იბადება ჩვენს  
თავაღწი, „სისხლის წვიმების დროს“.

ეს სიყვარული სწავდება ადამიანების ფიქ-  
რებისა და ბედის იმ თავისებურ განვითარებას,  
რომელიც მოაქვს ომს.

ომა რომ ადამიანს ნაადრევად ამწიფებს, ეს  
არა ერთბელ უჩვენებიათ ჩვენს მწერლებს.

ახლა კუთხით გამოჩნდა ეს საკითხი ნოვე-  
ლში „მეფისრის ცოლი — რიტა“.

მოვითქვ ერთ ეპიზოდს: სულ ოცდამორი  
წლისაა ლეიტენანტი სენატოროვი და თავის  
ასაკის მოხუცდავად უდადებს ტყვილი განი-  
ცადა. მისმა დიდმა სიყვარულმა ერთი საწყა-  
ლი, შრომაში გატეხილი, დღე-ნიადაგ ოქაზს  
მონყვეტილი კაცის ახალგაზრდა ცოლისადმი  
მხოლოდ სინდისის ქნადა და დიდი ადამიანური  
დარდი მოუტანა. იყო კი დამნაშავე? შეიძლე-  
ბოდა 22 წლის ახალგაზრდას, მონყვეტილს  
ნორმალურ ადამიანურ პირობებს, ომის ქარ-  
ციხელში დროებითი სიმუდროვის დროს არ  
შეგვეყარებოდა ის ერთადერთი ქალი (თანაც  
ღამისა და ახალგაზრდა), რომელსაც უცვლელ-  
დღე ძალაუნებურად ხვედებოდა?

ან იყო დამნაშავე თვით რიტა, რომელსაც  
ბედი ისე აეწყო, რომ სიყვარული არ ენახა:  
ქარ „საბოროთის“ გაქცევა ცოლად თავის მას-  
წავლებლებს, რომელსაც პატავს სცემდა. „იგი  
ომის პირველ დღეებშივე დაიღუპა“. ორი პა-  
ტარა ბევრით დარჩენილ, უსახსრო, შიშ-  
შოლის პირად მდგომ ქალს „შხსენილად“  
ქვრივი, პატარა ბავშვიანი სეპონი გამოუჩნდა  
და ამახ გაეწეა. „შენ ჩემი დიდი უბედურებაც  
ხარ და ჩემი დიდი სიყვარულიც“ — ეუბნება  
რიტა სენატოროვს. ეს, ასე შეუთავსებელი

ორი ცნება მხოლოდ ომის უმძიმეს პირობებში  
შეიძლება დაიბადოს. მოპარული სიყვარუ-  
ლი — რადგან აშკარა და თავისუფალია დრო  
და საშუალება არ არსებობს — შედრეცხუროფი-  
ლი ღირსების, საკუთარი თავის ქურდად შე-  
გრძნობის განცდას ხადებს და არადილივიო  
თან ხდევს ასე უიღბლოდ გაჩენილ გრძნო-  
ბას..

ქენება ვინმე თქვას, რომ ასეთი სიტუაციე-  
ბი ომის გარეშეც შეიძლება შეგვხვდეს და  
მასში არაფერია გასაცარი — მართალია. მაგ-  
რამ ისიც მართალია (და ეს გმირის პირით ვა-  
ნოთქმული, წიგნის ავტორის დიდი სიმატო-  
ლუა), რომ „არაფერ თქვას, ნაქურდალი სიყვარ-  
ული უფრო გეზრდილიაო. იგი მხოლოდ  
უწნაო და უთავმოყვარო ხალხს ეგებრდილე-  
ლებში! კაცს უწვლავფერი ცალური უნდა ჰქონ-  
დეს, სიყვარულიც და სიძულელიც“.

და თუ ვინმეს მორალი არ იზიარებს ამ  
პრინციპს, მის ამგვარ სიყვარულს, ნებისმიერ-  
სა და თავისუფალი, ალბათ, სიხარული მოაქვს  
და არა ტრაგედია. ნოველის გმირებისათვის კი  
ეს დიდი გრძნობა დიდი ტრაგედიის სათა-  
ვედ იქცა და აქა მათი მალალი ადამიანური  
წნეობის გამოვლინების ძალაც. აქ მუდგანდება  
მათი პატაროსანი, საღი ბუნება, ვაგისხნოთ ის  
ეპიზოდი, როდესაც რიტა, რომელსაც მტრის  
უშმატარამ სახლი დაუნგრია და პატარა საული-  
კა აქვანშივე მოუკლა, შეძრწუნებული ეუბნე-  
ბა სენატოროვს: „... სწორედ ცოლვისათვის და-  
ვისაქე და ასეც უნდა იყოს, — უცვლელმა დამ-  
ნაშავემ აუცილებლად უნდა ზღოს თავისი  
ცოლდა“.

და უფრო ქვევით: „— ადარასოდეს აღარ  
მოხვიდე! ადარასოდეს, თუ ჩემი ოდნავი სი-  
ყვარული ოდენმე მაინც გქონდა — მტკიცედ  
მიხარა და ფიცრულისაქვენ გაიქცა“.

ასევე ტრაგიკულად განიცდის თავის ურთი-  
ერთობას პატარასთან — თავის უდადეს სიყვარ-  
ულს სენატოროვიც.

...თუ სირცხვილი ჰქამე, შენცეც თავის წი-  
ნაზე ხდები დამნაშავე, ხოლო საკუთარ თავს  
სად გაქციევი? მე ვერასდ წაუვად ამ ღორწო-  
იან, შხამიან ქვეწარმავალს, ჩემს გულში რომ  
დაიბოლდა.

სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, იმ უბნმა-  
მოკცენილ, გახუნებულმაპირიან, თმაგებურ-  
ძნულ მამაკაცს ხუდავდი (ლაპარაკია რიტას  
ქმარზე, რომელიც შემთხვევით ერთბელ ხანდ-  
ში დახვდა რიტასთან მისულ სენატოროვს —  
ვ. ც.), კარტოვლის რომ ფეკცნიდა და ჩამქ-  
რალი თვალებით შემომცქეროდა. მასუთითა და  
მქვარტლით გაშავებულ მის ხედლებში კარტო-  
ფილი უფრო თეთრი ჩანდა. მამაკაცი სულ ასე  
შემომცქეროდა და მე მრცხვენოდა მისი ჩა-

<sup>1</sup> „პალმა ჩრდილოეთში“, გვ. 147.

<sup>1</sup> გვ. 443.

ვარდსილი მყვრდის, სუსტი მკლავებისა, ვიწრო, აწურული მხრების.

იგი რომ ღამაში უოფილიყო, ბედნიერი, მხიარული, მამლარ-დაღინებული, გოლიათური აგებულებისა, ეგებ არც შემცოდნებდა; მაგრამ როცა წარმოვადგენდი, რომ სწორედ ამ საცოდავმა კაცმა თავისი დაბერებული, მანუთისა და მწვერტლისაგან გაშავებული ხელებით იხსნა, შიშნობს ვადარჩინა უმწირო რიტუტ, მისი ორი ვოგონაც და ახლა წარმოუდგენელი დამაბვით აკეთებს საქვეურო საქმეს, — ქარსკაცივით იბრძვის და წელავაშარათავად შრომობს, — ხოლო მე მას დრო მოვუნახე და სიყვარულს ვმარაგე — მერჩივნა მიწა გამსკლო-მოლო და შიგ ჩაუტანე...!

ეს თავისთავად შესანიშნავი ეპიზოდი, რომელშიაც მწერალმა გვიჩვენა გაუფუძვართებული ბედნიერება, უღანასაულო ბოროტმოქმედება და კაცობრიობის დიდი ტრაგედიის მასშტაბებში ნაშტევა ტრაგედია ორი ადამიანისა, — „სისხლის წვეთების დროს“ ადამიანთა: ადამიანად დარჩენის ჩვენებასაც ემსახურება და მათი ზედმდის ხანგასმასაც.

„... ომი სწორედ ეს არის, ჩემო კარგო, — ჩაურთოს საბრძოლო აბლოჩკისმა: ბავშვს დააკაბულებს, კაბუტს დაჰპარჩაგებს, კარმავს — დააბერებს...“

... ომი მარტო ეს არ არის, — ჩაილაპარაკა დოკუნაევმა, — ომი დიდი ფიჭვი და სევდაა, დიდი სიხარული და აღტაცება, დიდი ტკივილი და სიმძიმე, ერთი სიტყვით, ყველაფერი დიდა...“

და მართლაც, ყველა ადამიანური გრძნობა, დახატული ვ. ციციშვილის წიგნში, საოცრად დიდა.

მარტო იმ დიდა სიყვარულის (და ცოტათი იქნებ კავასიური ბუნების) საღუსტველზე შექმნილი ეგვიანობის ძალა რად ღირს, რომელმაც ვიორგი ზვედურელი ლენინგრადადული ძველი ხაზლის მეთხებ სართულზე საწიფარა მითით აიყვანა... ომი რომ არა, გამოთვლილ წუთები რომ არა, ეტვით ასე არ ვაგეღურებოდა და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ოფიცერის მძღოლის თვალწინ ამ გაუგონარ უფურცურებას არ ჩაადენინებდა; უფურცურებას, რომელიც ისე აღიქმევა ნოველაში, როგორც თავდადება... ალბათ, ეს ერთი იმ უფურცურებათაგანია, რომელზედაც ვორკამ თქვა: „თვალწინრულთა უფურცურებას ჩვენ ვუგალობებთ ქებათა ქებას...“

საოცრად ძლიერი და პოეტური ზვედურელია და ლიდას სიყვარულის ისტორიაც ნოველაში „ყველაზე დიდხანს ცოცხლობს იმედო“. ეს ისტორია, რომლის ტრავმებს ქმნის ლენინგრადის ბლოკადის შეზარავი პერიოდი,

კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ყოველივე მარადულის, ყოველივე ღამაშის გათიქვას ომის ქარცეცხლის საშიშროებაში, რაც კიდევ მეტად ვაკარწობინებს ომის ხანარელ ხანს.

ეს სიყვარვა არა მარტო თქვისი მოლიანი ფაბულითაა ძლიერი, არამედ ქალის ფსიქიკის მწერლისეული ცოდნითაც. და სწორედ ამ ცოდნამ შექმნა ლიდას სახე ასე რეალური და ხელშეახები. ზვედურელმა მაშინ მიაგნო თავისი დიდი სიყვარულის ობიექტს, როდესაც ეს ოდესდაც უღამაშესი ქალი შიმშილობას ებღლებნაცვენილ, წელში მოხრილი, ჩონჩხად-ქცეულ დედაბრად ექცოა. და ქალმა არ მოინდომა თავის გაიმედვნება. ქალურმა თავისი სიყვარობამ არ მასცა ნება, ასე დამაინტებული სწევრებოდა იმას, ვინც მის მწვენიერებად იხსახვდა. და, მეორე მხრივ, მამ ვერც სურვილი დასძლია, ერთხელ კიდევ ენახა, ვინც ასეთი ძალით უყვარდა მშვიდობის დროს... ამიტომ დიდხანს არ აღებუდა კარს ღიდა, როდესაც ვაგო, რომ მანთან ზვედურელი მოსულყყო: ომი ძალა ებრძოდა ერთმანეთს და ქალი კომპრომისზე წაიდა: ზვედურელი შემოაღწეა, მაგრამ თავი ლიდას მამიდად გამოაცხადა.

ალბათ ქალის ბუნების კარგი ცოდნა ქმნის იმას, რომ წიგნში ამდენი შესანიშნავი ქალის სახე ჩნდება. ცოდნა და პატივისცემა. ეს ქალისეული მიძღვნაშივე გამოიხატა. ან კი განა შეიძლება ცხოვრების გზაზე შეგხვდეს ისეთი (ან მისი მსგავსი) ქალი, როგორც მარინა ნელიდოვა („შენც ვაწევა ეთი სინანულითა“), შედეგობა წერა და არ დაწერა მის შესახებ? მამაკაცის ტოლფარდი მამაკობა და ქვემარტად ქალური ღრწა, უთქმელი სიყვარული ისე მარშოთულს ზდიან ამ გარეგნულად ღამაში ქალშვილის სულიერ სიუაროს, რომ სხვა ქალიც რომ არ დახატულიყო ამ წიგნშიც საქმარისა იქნებოდა საშაეული ომის მოწარული ქალების შესამკობად.

მარინას პირველი გამოჩენიდან, როდესაც მან ღირსეულად მოიგერია ქვემარტის მეთაურთა სექტეტორი განწყობილება (ქალი და ჯავშანო?), და დამთარებელი მისი გმირული სიკვდილით ქვემარტის გადარჩენისათვის. — წარმოგვიდგენს ამ ქალის დიდ შინაგან ძალას, მამაკობას, მოვალეობის საოცარ გრძნობას, თავდადების უნარს. ამ ძირითად ხაზს მარადულურად ვასდევს წიგნის სიყვარული, ლიტერატურით ვატყუება, მაგრამ მოლიანი სახე იხსენება მხოლოდ უყანასიქელ ეპიზოდში, უკვე მისი სიყვადლის შემდეგ. ეს მაშინ, როდესაც მისი მეგობარი და თანამებრძოლი ერთმეცვა კაბატანს თავისი აწ დაღუბული მეგობრის დაფარულ ტკივილს უშვებ: „ამხანაგო კაბიტანო... ალბათ, ჩემს თავს ვერასოდეს ვაპატიებ, თუ ეს არ გითხარათ.“

1 გვ. 447.



— თქვენ მას უყვარდითო! —  
 ასეთიც იყო ხშირად სიყვარული „სისხლის  
 წვიმების დროს“: დაღარული, თავის თავში ჩა-  
 გუბებულა, უველაფრის მიმცემი და არაფრის  
 მომთხოვნი, ასეთი იყო იმიტომ, რომ ზვალენ-  
 დელი დღე ძალიან სათუო იყო, რაი მზარდაჲ  
 ერთერთისთვის მიიწევ.

ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ გ. ციციშვილის  
 წიგნში შესანიშნავ ქალთა შთელი გაღვრება  
 მოცემული. ისინი სხვადასხვა ბედისა და სუ-  
 ლიერი წყობისა არიან, სხვადასხვა წარსულაჲ  
 და სხვადასხვა აწმყოს მქონენი. სხვა არის ლი-  
 და — უოფილი მხაბობა და დღეს ლენინ-  
 გრადის ბლოკადაში ჩონჩხადქცეული მშვენი-  
 ერება; სხვა არის მფარის ცოლი რიტა, სხვა  
 არის უმცროსი სერგანტი მარინა ნელიდოვა,  
 მწვერავი მარია დონცოვა, ფაბრიკის დირექ-  
 ტორი ირინა დროზდოვა, ნატა დერაუშინა —  
 „ლესკოვის მეურნეობიდან“, მაგრამ უვე-  
 ლა მათგანს აერთიანებს ერთი ძირეული ნიშა-  
 ნი: უდიდესი კეთილშობილება, გრძნობათა სი-  
 ფაქიზე და ერთგულების უნარი.

კითხულობ ამ წიგნს და ფიქრობ: ვითომ  
 მხოლოდ ასეთი სახეები შეხვდა თავისი ოთხი  
 წლის საბარძლო გზაზე მწერალს? ვანა ცოტა  
 იყო ქარაფშუტაც, თავგადასავლების მძიებუ-  
 ლიც, მსუბუქ გრძნობას აუკლიც... რა თქმა  
 უნდა, იყო, მაგრამ ავტორმა გვერდი უქცია  
 მათ.

მაშკაცთა მრავალფეროვან გაღვრებაში  
 ჩნდებიან უოველგვარი ხასიათები, დაწებუ-  
 ლი მაღალი კეთილშობილებიდან და დაბრუ-  
 ლებულნი წვრილმანი სულმდაბლობით. ქალთა  
 გაღვრებაში ამ უქანასენელი სახის მქონენი გა-  
 მონაკლისად ჩნდებიან და ისევ სულმდაბლო  
 მაშკაცთა ხასიათის სრულყოფან ემსახურე-

ბიან. ისინი თხზულების პერსონაჟები კი არ  
 არიან, არამედ სხვისი ბუნების შტრიხები.  
 რატომ?

ეს კითხვა, ვფიქრობ, ადვილი ახასნელია,  
 იმიტომ, რომ ავტორი ინახავს უდიდეს მაღ-  
 ლობასა და პატივისცემას ქალებისადმი, რომ-  
 მელთაც კაცობრიობის განსაცდელის ამ უმძი-  
 მეს წუთებში იტვირთეს, რაც არსად და არა-  
 სოდეს არ უტვირთათ ქალებს. აქ კიდევ ერთ-  
 თი კუთხით გაიხსნა ქალის ბუნების სიმდიდრე  
 და ამ სიმდიდრეს თავყანი სცა უველა კეთილ-  
 შობილმა ადამიანმა, მათ შორის — გ. ციცი-  
 შვილმაც. ამ თვალსაზრისით გ. ციციშვილის  
 წიგნს ქვეშარითად რაინდული წიგნი შეიძლება  
 ეწოდოს. უდადესა სიბო და თანაგრძნობა ქა-  
 ლისადმი, უაღრესად ფაქიზე და მოკიდებულება  
 მისი პიროვნებასადმი და ბოლომდე გაოცება  
 მისი სულიერი ძალებით.

და კიდევ ერთი: ნაწარმოების უველა გმირი  
 ქალი უჩვეულოდ ლამაზია. ვითომ შარტო ლა-  
 მაზება ეხვია ვარს ავტორს? ვითომ შარტო  
 ლამაზების ზეედრი იყო კეთილშობილება და  
 გმირობა? — უზრადოდ, ისინი უველანი, ვინც  
 გზად შეხვედრია ავტორს ან მის გვერდით უბრ-  
 ძლოათ, ის ათეულები, რომელთა კრებითი  
 სახეები წიგნში წარმოდგენილ ერთეულებში  
 გამოიხატა. — მშვენიერ არსებებად დარჩნენ  
 მის შემცენებაში. ისინი შინაგანად ანათებენ  
 თავიანთ გარეგნობას და ანარჩუნებენ უფლე-  
 ბას, ფილეურადაც ისეთივე უზადონი დარჩ-  
 ნენ, როგორც სულიერად.

ეს ის ქალები იყვნენ, „ვისი მაღალი სული  
 და მამულიშვილური გზნება ჩაუქრობ კაცო-  
 ნად ენთება კაცობრიობის მესხიერებაში, რომ-  
 გორც უკვდავი მაგალითი ზღაპრული თავდა-  
 დებისა და საოცარი ერთგულებისა“! და... ვი-  
 ხაც ეძღვნება ეს წიგნი. ■

! „შესც გვეწვევა ემი სინანულისა“, გვ. 131.

! ნაწვეტი წიგნის მიძღვნიდან.





# მოაზროვნე, პუბლიცისტი, რედაქტორი

2. ბახტაძის დაბადებიდან 80 წლისთავის ბაშო

ქართული საბჭოთა კულტურის წინსვლისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ვალა (ვალერიან) ბახტაძემ. მუშათა კლასის ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლი, გამოჩენილი რევოლუციონერი ბოლშევიკი ვალა ბახტაძე ერთი იმთავანია, ვინც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, წიკი და უნარი მოახმარა ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლას.

ვალერიან სამსონის-ძე ბახტაძე იყო მეტაო მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე. ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში, დიდ პარტიულ და სახელმწიფოებრივ მუშაობასთან ერთად, იგი ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა ქართული საბჭოთა პრესისა და ლიტერატურის სარბიელზე, რედაქტორობდა ეურნალ-გაზეთებს, სისტემატურად თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ პრესაში, როგორც გულისხმიერი პარტიული ხელმძღვანელი, ლიტერატორი, მებრძოლი პუბლიცისტი და კრიტიკოსი ვ. ბახტაძე დღეაღწეულად ზედს ქართული მწერლობის განვითარებას, ზრუნავდა ახალგაზრდა შემოქმედებითა ძალების ზრდასა და დაწინაურებაზე. ახალგაზრდა კრიტიკოსს აღფრთოვანებდა უფელავე ახალი, პროგრესული: 20-იანი წლებიდანვე იგი იმდროინდელი მძაფრი ლიტერატურული ბრძოლების შუაგულში მოექცა და იმთავითვე გამოამდევნა ამ საქმეში იწვითი წიკი, გემოვნება და ღრმა ანალიზის უნარი, დაგვიტოვა მნიშვნელოვანი შემეჯიბრება ლიტერატურისა და ეურნალისტიკის დარგში.

ლი ადგილი უჭირავს ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს, რომლებიც ეხებიან აქტუალურ და ჩვენს მწერლობასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს. ვ. ბახტაძის პირველივე წერალებმა ქართული და რუსული კლასიკური ლიტერატურის საკითხებზე მკითხველთა ფართო წრეების ყურადღება და მოწონება დაიმსახურა. ახალგაზრდა კრიტიკოსი მხატვრულ ნაწარმოებთა ანალიზისას მარქსისტულ-ლენინური პრინციპების სწორად მომარჩევის განსაკუთრებულ უნარს იჩენდა. ვ. ბახტაძემ პირნათლად გააერთილა ქართული მარქსისტული კრიტიკის ძვირფასი ტრადიციები, რომელთაც საფუძველი ჩაუდარა მისმა თანამემამულემ ალექსანდრე წულუკაძემ.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია გვერდს ვერ აუღლის იმ შემოქმედებით საქმიანობას, რასაც ოციანი წლების მანძილზე ეურნალ "მნათობის" რედაქცია ეწეოდა ვ. ბახტაძის ხელმძღვანელობით. "მნათობმა" გამოსვლა დაიწყო ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების რთულ ვითარებაში, იმ დროს საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება მრავალფეროვანი და, ამავე დროს, რთული, წინააღმდეგობრივი ხასიათისა იყო. სხვადასხვა ფილოსოფიური, ესთეტიურ-ლიტერატურული მრწამსის მატარებელი დაჭვუფებანი მძაფრად უპირისპირდებოდნენ ერთი-მეორეს. ვალა ბახტაძემ, როგორც ლიტერატურულ კრიტიკოსს და საქართველოს კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური ფრონტის პასუხისმგებელ მუშაკს, მართებდა ეს მრავალფეროვანი ნაკადები და შენაკადები გაეერთიანებინა და ხალხის სამსახურში ჩაეყენებინა.

ვ. ბახტაძის შემეჯიბრებაში განსაკუთრებულ-

სწორედ ეს ისტორიული მისია იყისრა ეურ-  
ნაღმა „მნათობის“, რომელიც 1921 წლის თე-  
ბერვლადან მოკიდებული დღემდე ასრულებს  
დარსებულ და მარგანზებულ რაულს ქარ-  
თული საბჭოთა მწერლობის განვითარების საქ-  
მეში. ამ ეურნალის პროგრამის, მისი ქანსალი  
შეოქმედებით-იღუერა გეზის, მისი საუკეთუ-  
სო ტრადიციების საფუძვლებს ჩამურდოთა პირ-  
ვან, როგორც უნდა მოეხსენიოთ ვალია ბახტაძე,  
მან, როგორც ეურნალის რედაქტორმა, დარს-  
მა მწერალთა საუკეთესო ძალები ეურნალის  
გარშემო, შემოიკრიბა ქართული მწერლობის  
თვალსაჩინო ოსტატები, ავტორნიდელი ყველა  
პროგრესული სამწერლო ძალა და ჩანა ისინი  
გაცხოველებულ შემოქმედებით საქმიანობაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კო-  
მიტეტი იმთავითვე დიდ მზრუნველობასა და  
გულსხმობას იჩენდა ეურნალ „მნათობისად-  
მი“. პარტია და მოავრობა, რომელმაც რევო-  
ლუციის პირველი დღეებიდანვე ფართო ასა-  
რეში გადაუშალა ქართულ მწერლობას, ყველ-  
ნაირად ხელს უწყობდა ქართული ლიტერატუ-  
რის აუვადებას და აღორძინებას. ეურნალ „მნა-  
თობის“ ნახევარი საუკუნის იუბილესთან დაკავ-  
შირებით ვაერთი „კომუნისტი“ აღნიშნავდა:  
თუ რაოდენ დიდ რაულს აკისრებდა, რაოდენ  
„დიდ მწიფელობას ანიჭებდა და პირველხარ-  
ისოვან სახელმწიფოებრივ საქმედ მიიჩნდა პარ-  
ტიას ამ ეურნალის გამოცემა — ეს თუნდაც იქი-  
დან ჩანს, რომ „მნათობის“ პირველი რედაქტო-  
რები და ხარედაქციო კოლეგიის წევრები იუ-  
ნენ საქართველოს კომუნისტური პარტიას  
ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნე-  
ბი, აგრეთვე მდივნები და აპარატის პასუხის-  
მგებელი მუშაეები, თვალსაჩინო პარტიული და  
სახელმწიფო მოღვაწეები: ლ. ქართველიშვილი,  
ეურნალის პირველ ნომერს რომ აწერდა ხელს,  
როგორც რედაქტორი, შემდეგ ვ. ბახტაძე, ვ.  
კახიანი, ს. მამულიანი, გ. ეურულაშვილი, გ. დევი-  
დარიანი, ა. თათარაშვილი, დ. დემეტრეიძე და  
სხვები“...

ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც მაშინ  
გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე, დიდად არი-  
ან დაეუბნებოდნენ ეურნალ „მნათობისა“ და ვ.  
ბახტაძისაგან. საყურადღებოა კრიტიკოს ბე-  
სარიონ ედენტიის სიტყვა, წარმოთქმული ეურ-  
ნალ „მნათობის“ 40 წლისთავზე: „შეიძლება  
გადაუქარბებლად ითქვას, რომ ყველა ქართ-  
ვლმა მწერალმა, რომელმაც ოციან წლებში  
დაიწყო შემოქმედებითი მოღვაწეობა, ეურნალ  
„მნათობის“ ფურცლებზე მიიღო პირველი  
წართობა და ამ ეურნალის მეშვეობით მოიხვეჭა  
სასაზღო აღიარება... პირადად ჩემთვის, ჩემი

ლიტერატურული ბიოგრაფიის ყველაზე მნიშ-  
ნელოვანი და ბედნიერი დღე იყო ის დღე, რო-  
დესაც „მნათობის“ რედაქტორმა, შესანიშნავმა  
ბოლშევიკმა, ლიტერატორმა ვალა ბახტაძემ  
დამიბარა თავის ბინაზე და 21 წლის ახალგაზ-  
დას, უნივერსიტეტის შესაშე კურსის სტუდენტს  
შემომთავაზა დამეწერა „მნათობისათვის“ 1921  
წლის ქართული ლიტერატურის კრიტიკული  
მიმოხილვა... ეს იყო ჩემი ლიტერატურული  
ცხოვრების ნამდვილი დასაწყისი“...

მაღალა სახელმწიფოებრივი და პარტაუ-  
ლი ინტერესების პოლიტიკური უდგებოდა  
და განიხილავდა ვ. ბახტაძე ლიტერატურის სა-  
კითხებს, მისი კრიტიკული წერილების უპირვე-  
ლეს ღირსებას სწორად ეს ნებრძოლი, ქანსალი  
პრინციპები შეადგენს.

როგორც ცნობილია, 1926 წლის 21 თებერ-  
ვალს გაიხსნა სრულიად საქართველოს მწერალ-  
თა პირველი კრილობა, რომელიც მიედგინა სა-  
ქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამუ-  
რების ხუთი წლისთავს. ამ კრილობაზე წარმო-  
დგნილი იყო ყველა მიმდინარეობა, რომლებიც  
კი მაშინ არსებობდა ქართულ მწერლობაში.  
კრილობამ განსაზღვრა მწერლობის დამოკიდე-  
ბულება სოციალისტურ სინამდვილესთან და  
ლიტერატურას ამოყანად დაუსახა სოციალის-  
ტური მშენებლობის მხატვრული ასახვა. კრი-  
ლობაზე გამოვიდნენ ძველი და ახალი თაობის  
ოსტატები, მოესალმნენ ახალი საქართველოს  
მშენებლობას და მწერლობის ამოყანად საბჭო-  
თა ხალხის სამსახური დასახეს. კრილობაზე სიტ-  
ყუთ გამოვიდა ვ. ბახტაძე, რომელიც ვრცლად  
შეებო მაშინდელ მდგომარეობას ლიტერატურის  
სფეროში და მწერლობას მიმართა: „ჩვენი მო-  
თხოვნილებაა წერთ იმ ხალხის ენით, რომ-  
ლისთვისაც იწერება თქვენი ნაწარმოებები. წი-  
ნააღმდეგ შემთხვევაში ისინი მოუღებელი იქნე-  
ბა ჩვენთვის. ასეთივე მოთხოვნილებას ვუდებთ  
ჩვენ ყველა არსებულ ლიტერატურულ მიმარ-  
თულებას... საკითხს რევოლუციის მიღების  
შესახებ აქვს მეორე მხარე. იგი გულისხმობს  
თანამშრომლობას არსებულ ხელისუფლებასთან.  
არ ემარა მარტო რევოლუციის მიღება, საქიროთა  
ფართო თანამშრომლობა, ხელხელნაკიდებული  
მუშაობა ხელისუფლებასთან“... და ბოლოს  
ვალა ბახტაძე დასძინდა: „საქართველოში არ  
არის ისეთი მწერალი, რომელიც პოლიტიკას  
გარეშე დგას, ამიტომ ჩვენ შორის სრული ნდო-  
ბის ჩამოსაგდებად საქიროთა რევოლუციის მიღე-  
ბა არა განუწინებულად, არამედ არსებითად“.

პირველი კრიტიკული წერილი ხელოვნების საკითხებზე ვ. ზახტაძემ გამოაქვეყნა 1925 წელს ეურნალ "მნათობის" ფურცლებზე. ამ წერილში ავტორი ამხილებს უნიადგო თეორიას "ხელოვნება ხელოვნებისათვის" და დიდი პრინციპულითა ახალუთებს ხელოვნების კლასობრიობისა და პარტიულობის ლენინურ მოძღვრებას.

ვ. ზახტაძე აქვე დაბეჭდებით იშვრებს: "ხელოვნებამ უნდა ახახოს სინამდვილე, ჩადგეს ხალხის სამსახურში". იცავს რა ხელოვნების რკანულ კავშირს ცხოვრებასთან, ავტორი აპტიკებს, რომ ლიტერატურა უნდა იყოს თანამედროვეობის ცოცხალი გამოძახილი, და მხარს უჭერდეს ეპოქის პროგრესულ მოთხოვნებზე.

წერილების იმავე სერიაში — "ცხოვრება და ხელოვნება", ვ. ზახტაძეს მოყავს შავალითები რუსული დეკადენტური პოეზიის ისტორიიდან. იგი აღნიშნავს, რომ ხელოვნება არაბოდეს არ უყოფილა და არც შეიძლება იყოს თავისუფალი საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, რომ ხელოვნების უყოელი ქმნილება გარკვეულ აზრს, დამოკიდებულებას, სულიცვეთებასა და მისწრაფებას გამოხატავს. ავტორი უურადლებას ახბვალებს დეკადენტი პოეტიკალის წინაიდა გაიოუსის შემოქმედებაზე. სწორედ გაიოუსი ამტიკებდა, რომ ლექსს არაფერი სავითო არა აქვს პოლიტიკასთან. პოეზიის დანიშნულებაა — ლოცვა. აი მისი სიტყვები: „მე ადამიანის ბუნების აუცილებელ და ბუნებრივ მოთხოვნებზედ მიმართა ლოცვა. უყოელი ადამიანი ან ლოცვულობს აუცილებლად, ან და მიისწრაფვის ლოცვისაკენ... პოეზია, სავითოდ, კერძოდ ლექსი, ეს მხოლოდ ერთი ფორმათაგანია, რომელსაც დებულობს ჩვენს სულში ლოცვა“.

ახე წერდა პოეტიკალი რეაქციის წლებში, როცა ქვეყნად მშენებარება შეფას სისხლიანი რეჟიმი. იგი თავდავინებებსა და ხსნას ლოცვავედრებაში ეძებდა. ზ. გაიოუსი მაშინ მარტო არ იყო, მასთან იყო მთელი მრავალრიცხოვანი წრე რუსი ინტელიგენტებისა, რომელთაც არც სურვილი და არც უნარი გააჩნდათ უსამართლობასთან ბრძოლისა, ისინი შეურიგებულნი იყვნენ მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან.

და, აი, გაიმარჯვა რევოლუციამ. როგორ ვამოცხმართა ამ ახბავს ეს ნაწი, მწუხარე პოეტი? თურმე პოეზიას ბევრი რამ ჰქონია სავითო პოლიტიკასთან. და გაიოუსიც აშკარად გამოდის მუშებისა და გლეხების საწინააღმდეგოდ.

„ხელოვნება ხელოვნებისათვის“ — ეს არის ფიქცია, რომელსაც ლიტერატურის ისტო-

რია არც ერთ ეპოქაში არ ადასტურებს და არ ამართლებს. წერილების სერიაში „ხელოვნება და ხელოვნება“ ვ. ზახტაძე უყოფილად ილაშქრებს სეთ დეკადარიანის წინააღმდეგ, რომელსაც სულ სხვაგვარად ესმოდა ხელოვნების დანიშნულება. სეთ დეკადარიანმა წამოაყენა უნიადგო თეორია პოლიტიკისაგან ხელოვნების დამოკიდებლობას შესახებ. აი, როგორა მისი მოსაზრება: „მარქსს შესაძლებლადაც და აუცილებლადაც მიჩნდა დამოკიდებული ესთეტიკური მიდგომა ხელოვნების საკითხებთან, დამოკიდებულე იმ მხრივ, რომ პოლიტიკური პარტიული მოსაზრება არ უნდა ახდენდეს გავლენას ამ მიდგომაზე. ეს კარგად უნდა დაისომონ იმ მარქსისტებმა, რომლებიც პოლიტიკურ ბეებს იქეთ ვერ ხედავენ ესთეტიკური ღირებულების ტყვეს“...

ვ. ზახტაძე, უდგება რა ხელოვნების საკითხს მარქსისტული გაგებით, აღნიშნავს: „დეკადარიანის პოლიტიკა არის ჩუმადა, ფრახილად, უმტიკვენულოდ განთავისუფლება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგებისა დღეს გაბატონებულე კომუნისტური პოლიტიკის გავლენისაგან — კერძოდ ხელოვნებისაც... დეკადარიანის მიერ ხელოვნების განთავისუფლება თანამედროვე რევოლუციურ პოლიტიკის გავლენისაგან არის რეაქციული პოლიტიკა, რომელშიც ძალიან ადვილად გასაჭერებ ტანსაცმლით იფარება „ხელოვნება ხელოვნებისათვის“.

ურაუთეს რა სეთ დეკადარიანის მცდარ შეხედულებებს ხელოვნების საკითხში, მის მოსაზრებებს, რომ თითქოს საზოგადოებრივ იდეოლოგიას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს მხატვრულ შემოქმედებისათვის, ვ. ზახტაძე ახკვის: „მხოლოდ სწორი და ისტორიულად პროგრესული საზოგადოებრივი იდეოლოგიის მქონე ხელოვანს შეუძლია ს-პოლოდ ამოწროს თავისი ნიჭის უყოლა შესაძლებლობაში და ნამდვილი განწი შეიტანოს კაცობრიობის ხელოვნების საუწესში. ამის წინააღმდეგ გამოსხლა იქნებოდა სავითოდ კულტურის წინააღმდეგ გამოსხლა“.

ამრავად, კრიტიკოსი, მარქსისტული პრინციპებიდან გამომდინარე, თავგამოდებით იცავდა ლიტერატურის და ხელოვნების კავშირის აუცილებლობას საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, პოლიტიკასთან, ისრძოდა ლიტერატურის იდეურრობისათვის და როგორც კრიტიკოსი და იდეოლოგიური ფრონტის ხელმძღვანელი, პარტიული მუშაი, დიდი ტაქტით, სწორად და შორსმჭერეტმელურად წარმართავდა მთელ თავის მო-

ღვაწეობას. იგი ემყარებოდა ქართული კლასიკური ლიტერატურის ძვირფასა და მდიდარ ტრადიციებს.

ცნობილი კრიტიკოსი ბეს. უდენტი ვ. ბახტაძის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების შესახებ ამბობდა: „თუ ამ წერილებს ჩვენი დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრების საზომებით შევაფასებდით, ცხადია, მათში ბევრი რამ გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდებოდა. მაგრამ როგორც უკველი ცხოვრებისეული მოვლენა, ისე ვ. ბახტაძის ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებიც, მათი აღმოცენების კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში უნდა განვიხილოთ, მაშინდელი ლიტერატურული ცხოვრების კრიტიკურობებით უნდა შევფასოთ. მხოლოდ ამ ერთადერთი სწორი მიდგომის შედეგად გახდება ჩვენთვის გასაგები ამ წერილებს დადებითი მნიშვნელობა ჩვენი დღეებისათვის“.

რევოლუციური სინამდვილესთან ძველი თაობის წერტლებს დახლოების თან სდევდა სიძნეულებები, ეს პროცესი ერთბაშად და უმტკივნეულოდ არ მოხდებოდა. საჭირო იყო მზრუნველად, ამხანაგური კრიტიკა, ხელის შეწყობა და დახმარება რევოლუციის იდეების შესათვისებლად. მწერლებთან შეხებას ამ სიძნელეს ითვალისწინებდა თავის წერილში ვ. ბახტაძე. გულწრფელმა, შეგობრულმა კრიტიკამ ი. გრიშაშვილზე უადრესად დადებითი გაცენა მოახდინა. პოეტს თანდათანობით დაედაგ რეალისტურ გზას. ი. გრიშაშვილი ძველს, რომელიც მას ესოდენ მახლობლად მიანიჭდა, გამოთხოვად უკისი — „დუღუკის საარი ქარა აღარ მოაქვს“. პოეტმა აღდო აუღო ეპოქის სუნთქვას და ჩაღდა მოწინავე ქართველ პოეტურ არაკებში. ვ. ბახტაძის წერილში ჩანს დიდი პატავისებმა ნიჭიერი პოეტისადმი, გულწრფელი სურვილი, რომ ი. გრიშაშვილი დაუკავშირდეს საბჭოთა სინამდვილეს. კრიტიკოსი წერდა, მოხარული ვიქნები თუ ი. გრიშაშვილი გახდება რევოლუციის ნამდვილი თანამგზავრი. მართლაც, შემდგომში პოეტის შემოქმედება გარდაიქმნა და განახლდა, იგი გახდა ქართული სიტყვის გამოჩენილი და ბრწყინვალე ოსტატი, თავისი ძარღვიანი ლექსებით გააგრძელა ქართული კლასიკური ლირიკის ტრადიციები და სათანადო ადგილად დაიმკვიდრა საბჭოთა პოეტებს შორის.

ექსპონატების ან კოლექციის გადაცემის შესახებ, იმ მოტივით, რომ ეს ექსპონატები აღმოჩენილია მათ მიწა-წყალზე, არსებითად განუკუთვნებიათ მათ მხარისა და შეუძლებელია მოსხვედრილი კავკასიის ერთადერთ მუზეუმში, რომელიც თბილისში იმყოფებოდეთ. ბ-ნი ივანემ მკაცრად ვაილაშტრა ზოგიერთი სამეცნიერო დაწესებულების ამგვარი პრეტენზიების წინააღმდეგ. მან თავისი სიტყვითა და ზედმიწევნით დასაბუთებულ სიტყვაში ამ საკითხთან დაკავშირებით სხვათაშორის თქვა: „საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული და სამუზეუმო პრაქტიკაში საყოველთაოდ შეწინააღმდეგებული წესისა და კანონის თანახმად სამუზეუმო ექსპონატის (კოლექციის) გადაცემა სხვისთვის (თუნდაც მუზეუმისათვის) გამორიცხულია, რომელიც მხარის ახალი ადმინისტრაციული დიქციონარი, თუ გნებავთ ეროვნული ხასიათის ახალი პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბება არ იძლევა არავითარ საფუძველს იდრე არსებული რომელიც მუზეუმის ექსპონატების გადაწარმოებისათვის. აღნიშნული კანონის თანახმად ყოველი სამუზეუმო ექსპონატი (კოლექცია) უნდა ინახებოდეს იქ, იმ მუზეუმში, რომელშიც ის ისტორიულად შემოსულია. სხვა ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, არ არსებობს თანამდებობის პირი, რომელსაც ჰქონდეს უფლება მოსილდება ხელი მოაწეროს ბრძანებას მუზეუმიდან რომელიც ექსპონატის ვაცივოს, შესახებ. უცხოეთის პრაქტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ასეთი უფლება იქ მხოლოდ მთავრობის მეთაურს (პრემიერს) გააჩნია და არავის სხვას.“

იგი, გაეხიშვილი სასტაკად წინააღმდეგე იყო არა მარტო სამუზეუმო ექსპონატების არქივ-სადაცებიდან (ცხადია, ხელნაწერთა განყოფილებიდანაც) ხელნაწერი წიგნის, თუ საბუთის სახლში სამუშაოდ გატანებისა, ვინც არ უნდა კოფილიყო ამის მოთხენელი. ვერ ერთი, არა-ღის უფლება არ აქვს ასეთი რამ მოითხოვოს, მით უფრო ვასცეს, გაატანოს რაიმე წერილობითი ძეგლი, თუნდაც ერთი ფურცელი. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ არავის, არც ერთ თანამდებობის პირს, რატოვც ითქვამს, ვარა (პრემიერ-მინისტრისა) არ აქვს უფლება ვასცეს განკარგულება არქივ-სადაციდან წერილობითი ძეგლის სამუშაოდ სახლში გატანებთან შესახებ. ვასული საუკუნის ბოლოსათვის ევროპაში კიდევ იყო აქა-იქ გამონაკლისის წესით შემონახული პრაქტიკა ზოგიერთი დიდი მკვლევარისათვის მისთვის საჭირო ნუსხის ან საბუთის სახლში სამუშაოდ გატანებისა. მაგრამ მის შემდეგ, რაც ძველი რომის ისტორიის სახელკანთმულ მკვლევარს მომზენს დემიარტის, ესეც მოვლ მსოფლიოში უმკაცრესად იყარბა-ლაო. ჩვენ ვთხოვთ ბ-ნი ივანეს ეამბნა უფრო დაწვრილებით მომზენის ამბავი. მან შევეს-

რულა თხოვნა და ამის თაობაზე ვკითხობა: ერთ სახლს მომხდენია სიძველესაცავეიდან წაიღო დასწრით ერთი ძვირფასი ზღანაწერი რომის ისტორიისა. მაგრამ იმ დღემდე მიხდა უმეტესად: ცეცხლი ვაიდა მის სახლში. ხანძარმა შეაწოთა ყველაფერი, რაც კი მის ბინაზე იყო და, ცხადია, მანვე იმსხვერპლა ეს ძვირფასი ზღანაწერიცა”.

ერთ დღეს, დილათ, საქმეზე ენივერსიტეტში გამოვიარე და ბუნებრივია, სამსახურში დავგვიანებით გამოცხადდი. კოლეგებმა კი ამბავი დამახვედრეს, „სწორედ დღეს დილით ბ-ნი ივანე შემოვიდა და გაციხა, შენი ნახვა უნდაღო“. დაუყოვნებლივ ვეახლე მას თავის კაბინეტში: ბლომში მოვეხადე, რომ ვერ დავხვდი, მიზხეცი მოვახსენე. მის კი არაფერი უთქვამს, სკამი გამომიწოდა და მითხრა: „დაბრძანდით“. ცხადია, მეც ჩამოვყექი. ბ-ნი ივანე რაღაცას წერდა. ეტყობოდა ახალი მოთხოვნა წერა მატრია, მერე მომიბრუნდა და მკითხა: „თქვენში (სამეგრელო) ღვინოს რას ეძახიან, როგორ იტყვიან ხოლმე? — ღვინოს ჩვენში, ბ-ნი ივანე, ღვინოს ეძახიან მეთქი. შევატყვე, ჩემი პასუხი არ მოეწონა და თავის მხრივ, მითხრა: ღვინო კი, მაგრამ ეს ხომ ქართულია, მეგრულში მას თავისი საყუთარი სახელი უნდა ჰქონოდა. სხვა ხომ არაფერი გაგვიგონია ღვინოს სახელად? არა, ბ-ნი ივანე, სხვა არაფერი გამიგონია მეთქი. ვერ ვეძიებდები. მართლაც, მე სამეგრელოში დავიბადე და გაიზარდე, მაგრამ სხვა სახელი ღვინოსთვის არაფერი გამეგონა. მდგომარეობიდან იმავე ბატონმა ივანემ გამომიყვანა. მცირე ხნის შემდეგ მანვე მკითხა: „აბა იმ ცაქზე რას იტყვიან, რომელსაც ღვინოს ბლომად დაღვეა უყვარ: და ყოველდღე ნასვამი, მთვრალი დადიხი?“ ასეთ ცაქს ბ-ნი ივანე, შეშინდითა და ეტყვიან მეთქი. შევატყვე სახე ვაენთაღა მომიბრუნდა და მითხრა: „აი, სწორედ შეშინდითა უნდა ჰქმეოდა ღვინოს ძველად მეგრულში“. მაღლობა ვაღმობადა და გამომიშვა უკან. ასე ვისწავლე მე იმ დღეს ივანე ჯავახიშვილისაგან ძველი მეგრული სახელი ღვინოსა — შეშინა.

1938 წლის მაისი იდგა ერთ დღეს გამაფრთხილეს, თუ ძალიან არ მექარებოდა, სამუშაოდის დამთავრების შემდეგ ცოტა ხნით ღირეციაში ჩავსულიყავი შერევაზე. ასეც მოვიქციე. იქ შევიკრიბეთ მეხუთემის თანამშრომელთა ერთი ნაწილი, ასე 30-40 კაცი. შევარებოდა წირის იყო ბ-ნი ივანეც, იქ იყო აგრეთვე პროფ. ს. ყუბინიშვილი და ზოგიერთი სხვა ვარემე პირიც. ვანზრახული იყო კერძო წესით აღგვენიშნა ივ. ჯავახიშვილის დაბადების სამოცი და სამეცნიეროსაზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცი წლისთავი! სპეციალ მჭიდროდ შემოვესხვდით ერთ

გაქველ მაგიდას, რომლის თავში ბ-ნი ივანე იქდა, ხოლო მის გვერდით ყველაფერი უნდახდნენ: მომხსენებელი, პროფ. შალვა ჩხეტიკაძე, მედიკოსი ბიბლიოთეკის გამგის თანამდებობაზე მუშაობდა მაშინ მეხუთემში და პროფ. ს. ყუბინიშვილი. მომხსენებელმა შეიტყობა კაელად, მაგრამ ძალიან შინაარსიანად დახატა ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა განვლილი ორმოცი წლის განმავლობაში. მან საფუძვლიანად გააშუქა ბ-ნი ივანეს დამახტრება ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეზე საერთოდ. აგრეთვე მისი ღვაწლი ქართული ენივერსიტეტის დაარსება-განმტკიცების საქმეში და სხვა მრავალი. დასასრულ სიტყვა წარმოთქვა თითონ ბ-ნი ივანემ. მან მაღლობა ვაღაგვიხადა შერევაზე. ხოლო თავისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ სხვათაშორის თქვა: „ჩემი ღვაწლი, აქ როგორც მოვისმინე, ძალიან ვაღაგვიხადა იქნა წარმოდგენილი და შეფასებული. ასეთი მე არაფერი გამიკეთებია. მე, დაწმენებულმა იმამი, რომ უყვლი მოქალაქე ვაღაგვიხადა მონდოვებით ემსახურის თავის ქვეყანას, ხალხს და თითოეული მოქალაქის სულ მცირედი საქმისაგან, ქვეყანა მაინც დიდ სარგებელს ნახავს, მეც მაქაწა რაღაც ვაგაიყუთე ჩემი მშობელი ერისათვის და თუ ეს ვინმეს ოდნავ მაინც გამოადგება მე უზომოდ კმაყოფილი ვიქნებო“.

1939 წელს, როგორც ცნობილია, ვერნალ „მთაბის“ ფურცლებზე დიბუქდა ცნობილი მკვლევარის პავლე ინგოროვას ნაშრომი: „ქართული მეგრელობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“. ერთხელ, ზღანაწერთა განყოფილებაში მინებებთან თანამშრომელი მივედი ბ-ნი ივანესთან. მისი კაბინეტი მაშინ მოთავსებული იყო ღირეციის კორპუსში (ყუბინის ქ. № 10) მეორე სართულზე. მოვიანხლეთ, მასაც ვაუხარდა. ჩვეულებრივ კარგად მიგვილო, მბხსოვს, ჩამოვედგეთ სუფარის პავლე ინგოროვას აღნიშნული ნაშრომის გამოსვლის თაობაზე და სხვათაშორის ვეთხარით: კარგი ნაშრომია, მაგრამ უკეთესი იქნებოდა ბ-ნი პავლე თავის დებულებათა წყაროების მითითებას ყოველთვის ცალმობდეს. „ეს, რასაკვირველია (ვკითხბა ბ-მა ივანემ), მაგრამ საკვირის ყოველთვის ვეპასოვდეს, რომ პავლე ინგოროვაც ძალიან ნიჭიერი მკვლევარია, ძალიან ნიჭიერი“ გამოიჩინა, რომ ბ-ნი ივანეს სხენებული ნაშრომი ჩვენზე აღდრე მქონდა წყაითხელი და შეფასებული. ვისაუბრეთ, ერთხანს, სხვა საკითხებზედაც, მერე გამოვეშვილობეთ და წამოვედი უკან.

ამვე წელს, დამთავრდა თბილისში ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის სასახლის მშენებლობა. ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, დაი-

ცალა ის შენობა, სადაც სახალხო კომისარ-  
თა საბჭო მანამდე იყო მოთავსებული (კავკა-  
სის უფილი ნამესტნიკის სასახლე). საქარ-  
თელოს მუზეუმს, რომელიც ვანიცლიდა სი-  
ვამთფინე დარბაზის დიდ სინაყლელს, ჰქო-  
ნდა სურვილი მიეღო ეს შენობა, მით უფრო,  
ასეთ სიახლოვეზე. ამ გზინით, მუზეუმის დი-  
რექციამ სთხოვა ბ-ნ ივანეს წასულყოფა მოთ-  
რობაში. იგი დაეყოვნებლივ წავიდა კიდევ  
ჩვენ ყველანი მუზეუმში, დირექცია და მისი  
თანამშრომლები დარწმუნებული ვიყავით, რომ  
ბ-ნი ივანე თავისი ავტორიტეტით უაქველად  
მიადრედა აღნიშნული შენობის მიღებას მუ-  
ზეუმისათვის.

გავიდა დრო. ბ-ნი ივანე აღფრთოვანებული  
დაბრუნდა მუზეუმში. შორიდან, მის დანახვაზე  
ჩვენ ვიჭქრეთ, მოუკიათ შენობა და ყვე-  
ლანი სამხარელოდ განვეწყვეთ. მაგრამ სულ  
მალე გამოირკვა, რომ ჩვენი სიახრული ნაად-  
რგვი იყო. მთავრობიდან დაბრუნებულს ბ-ნ  
ივანეს შემოგვხვებით გარშემო ყველანი. მან  
ცოტა შეისვენა და თქვა: „ბატონებო, პიონერებს  
მოეწყობათ ჩვენთვის, პიონერებს. მთავრო-  
ბის თავმჯდომარემ ვივითბა: — სწორედ გუ-  
შინ იყო ჩვენთან პიონერთა დელეგაცია ამის  
თაობაზე, იმათ მივეცით ეს შენობა, თორემ  
თქვენ აბა უარს როგორ გეტყობითო!“ მახ-  
სოვს, ამ შეხვედრაზე ვილაქ დირექციიდან  
ბ-ნ ივანეს შეკითხვა: „თქვენ ხომ აუხსენით,  
ბ-ნი ივანე, მთავრობის თავმჯდომარეს ჩვენი  
გაპირვებაო?“ ბ-მა ივანემ ცოტა გაკვირვებით  
გასცა პასუხი: „აბა, პიონერების წინააღმდეგ  
რას ვიტყობილიო?!“ მერე მოვიკბრუნდა ყვე-  
ლს და ვივითბა: „დასანანი ამ შეხვედრაში  
სრულიად არაფერია. პიონერები მაც შენობა-  
ში მონდომებული ჰვდაგოვიერი კოლექტივის  
ზელმძღვანელობით ისეთ მრავალფეროვანსა  
და ნაყოფიერ საქმიანობას გააჩღდენ, რომე-  
ლიც თავისი სამეცნიერო-საზოგადოებრივი  
მნიშვნელობით, ჩვენივე ოღნავადაც კი უფ-  
რო მეორე არ იქნებაო“.

მატლაც, ბორის ძნელაძის სახელობის პიო-  
ნერთა სასახლემ თავისი ნაყოფიერი მოღვაწე-  
ობით სულ მალე დაუმტკიცა ქვეყანას, რომ  
ივ. ჭავჭავაძის შემადგენელი სიტყვები  
წინასწარმეტყველურად ნათქვამი იყო.

1939 წლისთვის ჩვენი პლანეტის პაერში  
თოფის წაპლის სენი დატრიალდა. ომის საფრ-  
თზე თანდათან ახლოვდებოდა. ზოლო იმავე  
წლის 1 სექტემბერს, როგორც ცნობილია, მე-  
ორე მსოფლიო ომი დაიწყო კიდევ. მახსოვს,  
თუ როგორ სწულდა ბ-ნი ივანე მუზეუმის დი-  
რექციასა, სამეცნიერო საბჭოში თუ სხვაგან  
სამუზეუმო ძვირფასეულობისა და, პირველ  
რაცში, ზელნაწერებისათვის თავშესაფარის  
უქონლობის გამო. მისი აზრით, თავშესაფარი  
უნდა იგებულიყო იქვე მუზეუმის ეზოში. ეს

უქანსენელი მას წარმოადგენილ მქმნებელ-  
გორც ორი სართელის სიღრმის შემქმნისადა  
მული რკინა-ბეტონის სპეციალური ნაგებობა.

იმავე 1939 წელს შესრულდა ხეთი წელი  
ნიყო მარის ვარდაცელებიდან. საქართველოს  
მუზეუმში შედგა მისი მისაგონარი სხდომა.  
ბუნებრივია, მას ვესწრებოდი უმთავრესად  
მუზეუმის თანამშრომლები, რასაკვირველია,  
იყო გარემე საზოგადოებაც. ამ სხდომაზე სი-  
ტყით გამოვიდა ივანე ჭავჭავაძისილიც. მან,  
უპირველესად ყოვლისა, ილასაკია ნ. მარზე,  
როგორც დიდ მეცნიერზე. ამ საკითზე მან  
სხვათშორის თქვა: „ნიყო მარს, გრიგოლ ხან-  
ციოელის ცხოვრების გამოცემა-გამოკლევის  
გარდა სხვა რომ არაფერი ვაეცებომა, ესეც  
კი საყმარისი იქნებოდა მისი სახელის უცედავ-  
საყოფად. მაგრამ, რამდენი რამ აქვს მას ამის  
გარდა ასევე დიდი და მნიშვნელოვანი გაე-  
თებულიო?“ ამის შემდეგ ის გაკვირით შეეხო  
თავის პირად დამოკლებულუბას ნიყო მართან  
და, სხვათაშორის, თქვა: „ნიყო მარი მე მიე-  
ვარდა და პატრეს ვცემლი მას ყოველთვის, რო-  
გორც ჩემს ძვირფას სამეცნიერულზე, მაგრამ  
1917 წელს ჩვენი გზები გაყოფილ-ო. დასასრულ,  
ბ-ნი ივანე შეეხო ნიყო მარის დამახასიათებელ  
ზოგიერთ ნიშან-თვისებას. ამ მხრივ მან აღ-  
ნიშნა, რომ ნიყო მარი იყო უღრესად შრო-  
მისმოყვარე ცხოვრებაში დიდ სიზრტეს ჩვე-  
ული და თავისი საქმის არაჩვეულებრივი ენ-  
თუზიასტით, სწორედ ამ გარემოებათთან დაეკ-  
შირებით ბ-მა ივანემ ნიყო მარის მოღვაწეო-  
ბიდან ერთი ასეთი ეპიზოდიც გაიხსენა: „ცნო-  
ბილია, რომ ნიყო მარმა პეტერბურგის უნივერ-  
სიტეტში, როდესაც ლექციები მიიღო და მის  
წასათხადებ ცხრილის მიხედვით პირველად  
გავმართა აუდიტორიისაკენ, შეალო კარი თუ  
არა, ეს უქანსენელი ცარიელი დახვდა, არა-  
ვინ არ იყო. მაშინ ბ-ნი ნიყო წავიდა სახლში,  
მოიყვანა თავისი მეუღლე, დასვა ის ამ ცარი-  
ელ აუდიტორიაში და ორი საათის განმავლო-  
ბაში ისე რიზიანად წაუკითხა მას ლექცია, თი-  
შქოს, ორასკაციანი აუდიტორიის წინაშე მდგა-  
რიყოს კათედრაზე“.

1940 წლის აგვისოში შედგა საქართველოს  
მუზეუმის შენობაში ივ. ჭავჭავაძისის მონა-  
წილეობით ავტორთა კოლექტივის მიერ სი-  
შუალო სკოლისათვის შედგენილი საქართვე-  
ლის ისტორიის სახელმძღვანელოს მაკეტის  
განხილა. სხდომაში ავტორებიდან დაესწრო  
სამი: ივ. ჭავჭავაძისილი, სვ. ჭანშია, ნ. ბერძე-  
ნიშვილი, ზოლო მეოთხე — გ. ზაქაპურიძე ამ  
სხდომას ვერ დაესწრო თბილისში არ ყოფნის  
გამო. ცხადია, სხდომას ესწრებოდა აგრეთვე  
გარემე საზოგადოებაც მცირე რაოდენობით.  
სხდომამდე, გამოითქვა შენიშვნები, აღნიშნულ  
სახელმძღვანელო წიგნთან დაკავშირებით. მახ-

სოვს, მე მივაქცევი შეკრებილთა უტრადღე-  
ბას წიგნის მოცულობას; რომ ის სქელტანიანა  
ნია (500 გვერდამდე), რომ ასეთი წიგნის გა-  
მოყენება საშუალო სკოლაში, სახელმძღვანე-  
ლოდ, მით უფრო VII-VIII კლასის მოწაფეთა  
შიერ, ძნელი იქნებოდა და მოეთხოვდი მის  
რაც შეიძლება, შეკვეცას. ივ. ჭავჭავიძელი ამ  
სხლომაზე ბევრს არაფერს ლაპარაკობდა. შე-  
ნიშვნებზე პასუხებს უმთავრესად სვ. ჭანაშია  
აძლედა. ბ-ნი ივანემ, მახსოვს, მხოლოდ სუ-  
რული გამოთქვა ამ წიგნის უფრო ფართოდ  
განხილვისა და მასზე უმთავრესად საშუალო  
სკოლაში მომუშავე ისტორიკოსთა მოწვევის  
საჭიროების შესახებ.

1938 წლიდან მთავრობის გადაწყვეტილებით  
შეიქმნა ივ. ჭავჭავიძელის ხელმძღვანელობით  
„მცხეთა-სამთავროს ექსპედიცია“, რომელმაც  
გააჩაღა არქეოლოგიური კვლევა-ძიება დიდ-  
მცხეთის ყველა უბანზე. სწორედ ამ ექსპედი-  
ციამ არმაზის ზედა მანამდე უცნობ პიტიაბ-  
შთა სამაროვანი აღმოაჩინა, რომლის პირველი  
ორი სამარხი (ასპარუგ პიტიაბში და უცნობი  
ქალი) გახსნილ იქმნა 1940 წლის 26 ოქტომ-  
ბერს. ჩვენ ვეყავით მოწმე, როდესაც არქე-

ოლოგებმა: ალ. კალანდიაძემ, ან. აფაქიძემ,  
გ. ლომთათიძემ და გ. ვოხტიშვილმა ივ. ჭავ-  
ხიშვილთან ერთად, იმავე დღეს ბოლოსათვის  
მოიტანეს საქართველოს მუზეუმში სიღში  
შესანახად ამ ორ სამარხში აღმოჩენილი ოქ-  
როსა და ვერცხლის ძვირფასეულობა: სარეც-  
ლის ფეხები (გარსაქრავი), დიადემა, სამაფურა,  
ბეჭდები და სხვ. ბ-ნი ივანე აღფრთოვანებული  
იყო. როდესაც ჩვენ ვკითხეთ მას: თუ რამდენად  
დიდა აღმოჩენილი ნივთების სამეცნიერ-  
ო მნიშვნელობა, მან უზომოდ გაბარებულმა  
გვიპასუხა: „ხელახლა დასაწერია, საქართვე-  
ლოს ისტორიის დასაწყისი ნაკვეთები, ხელახ-  
ლა“!

ეს იყო ივ. ჭავჭავიძელის უკანასკნელი სო-  
ხარული. ოცდასამი დღის შემდეგ, 1940 წლის  
18 ნოემბერს საქარო ლექციაზე, ხელოვნების  
მუშაეთა სახლში, ის მოულოდნელად გარდა-  
იცვალა. ბ-ნი ივანე ვერ მოესწრო მცხეთა-  
არმაზის სხვა, კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი  
სამარხების აღმოჩენა-გახსნას და ვერც მის  
შიერ განზრახული საქართველოს ისტორიის  
დასაწყისი ნაკვეთის ახლებურად დაწერას.

## წიგნი დიდ მესნიერზე

ამ წიგნის წაკითხვისას, ისევე, როგორც დიდი ადამიანის ცხოვრებაზე დაწერილი ყველა კარგი წიგნის წაკითხვისას, სიამაყისა და სიხანძლის გრძობა შეგვიპრობს ერთად. სიამაყისა იმის გამო, რომ სულ ახლახანს, შენს თვალწინ ჩაიბარა მშვენიერმა ცხოვრებამ, შთაგონებულმა თავისი საქმის დიდი სიუვარდით: რასინანდლისა იმის გამო, რომ ასეთი ცხოვრება შეწყდა, ასეთი ადამიანი აღარ არის.

ივანე ბერიტაშვილმა 90 წელს მიადწია, ჩვეულებრივად, ადამიანისათვის სანატრელ ასაკს. რა თქმა უნდა, მის ზანგრძლივ სიცოცხლეს მისმა ბობოქარმა, ათასი განსაუდრელი აღსაყვებ ცხოვრებამ როდი შეუწუხო ხელი. და აი, აქ უნდა გავიხსენოთ ერთ ქუჩაში გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები სიცოცხლის ზანგრძლივობაზე: ეს მონაცემები გვეუბნება, რომ ადამიანის სიცოცხლის ზანგრძლივობას ძირითადად ორი რამ განაპირობებს: ხეკუთარი საქმიანობით კმაყოფილება და ზნეობრივი ცხოვრება. ივ. ბერიტაშვილის ზანგრძლივი ცხოვრება ამ მხრივაც სამაგალითო იყო, სამაგალითო არა უბრალოდ გერონტოლოგიური თვალსაზრისით, არამედ ფილოსოფიური და ეთიკური თვალსაზრისით.

ქართული მკითხველი დიდი ხანია დანატრებულია წიგნებს, რომლებშიაც ჩვენი დიდი ადამიანების ცხოვრების ამბავს წაკითხავდა. ივ. ბერიტაშვილი ასეთ მოღვაწეთა რიცხვს განეკუთვნება. ივ. ბერიტაშვილის სახელი, მისი ხატი ქართველ საზოგადოებრიობას, ქართველ ხალხს ყოველთვის ზნეობრიობის, მოქალაქეობრივი სიწმინდის მთავალითად ჰყავდა წარმოადგენილი. ქუჩაში თუ ტრიბუნაზე, სადაც კი შემთხვევით ეხილავდით მას, გული სიამაყით გვეცხებოდა მის შემყურეს. რატომ? გონა ამდენი ვიცოდით მის შეცნიერულ მოღვაწეობაზე? ან ხომ ცნობილია, რომ სულ თითზე ჩამოსათვლელ კაცს ესმის აინშტაინის ფარობითობის თეორია, მამ რატომღა კითხულობდა?

ზენ მის ცხოვრებაზე დაწერილ წიგნებს შთაქლ მსოფლიოში? ამ ეფექტის მიზნზე ალბათ ზნეობრივი იდეალის წუქრეილია. ვინ მოსთვლის რამდენ ლეგენდას ჰყვებოდნენ ჩვენში ივ. ბერიტაშვილის მოქალაქეობრივ სიწმინდეზე. ივანე ბერიტაშვილი წმინდა სახელია დღევანდელი ქართველი კაცისათვის, ისეთი პიროვნებაა, რომელმაც თავისი ზანგრძლივი ცხოვრების მანძილზე არავითარი მწიკელი არ მიიყარა, ამიტომ ჩვენი ვალა მისი სახე ზნეობრიობის მაგალითად ვაქციოთ ქართველი ახალგაზრდობისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი ხალხისთვის არანაყლებს სინტერესოა ივ. ბერიტაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეთიკური და ფილოსოფიური მხარე.

ჭკრ კიდევ ივანე ბერიტაშვილის სიცოცხლეში დაწერია მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე წიგნი ჰროფ. ქუჩი ძიძიშვილს. წიგნში არავითარ დრამატული ადგილია და დიდი მღელვარებით იკითხება. ამ გრძობას ალბათ ისიც აძლიერებს, რომ დიდი მეცნიერი თავისი დამადების 90 წლისთავამდე სულ 12 დღით ადრე გარდაიცვალა. მერე რა საზეიმო განწყობილებით ელოდა ქართველი ხალხი ამ თარიღს!

ივ. ბერიტაშვილი დაბადებულა სოფ. ვეჭინში 1834 წელს. იგი მეთერთმეტე შვილი უოფილა ნღვდლის ოჯახში. „ბავშვობისას და ჰბავშვობისას გამომშვეებული ზოგი რამ ჩვევა ივ. ბერიტაშვილს ხნიერებაშიც გამოჰყოლია. ბავშვობისდროინდელი მოსაგონარი მას ახლაც, ესოდენ ჰარმავს, ხშირად ებმანება... სიზმრად ვნახე, ბავშვი ვიყავით, ნაწიშიარ წყალში ფხშიშველა ვიდგებ, წყალს რუს ვეკეთებდი და მით ევნახს ვრწყავდიო... სიზმრად ხშირად ვხედავ, თითქოს ბავშვი ვარ და ვკლულის გუნდში ვგალობო“. პატარა ივანეს სამი წელი ვეჭინში უსწავლია, შემდეგ კი თელავის სასულიერო სასწავლებელში. აქ მას ვასილ ბარნოვი და ნიკო სულხანიშვილი ასწავლიდნენ. ახლა მოვეხსინით, თუ როგორ მშვენიერად აქვს დახატული სასულიერო სკოლის მოსწავლეს თავისი მასწავლებლის, ვასილ ბარნოვის, პორტრეტი: „გეოგრაფიის და მათემატიკის მასწავლებელი ვასილ ბარნოვი კარგი მცოდნე,

\* ქუჩი ძიძიშვილი, ქართული ფიზიოლოგიას დედამოცი, „მეცნიერება“, 1973.

განვითარებული კაცია და დამსახურებულიც. ნამდვილი მასწავლებელია. მართალი, ნამდვილი ნიშნების დამსმელი, ყველა გარემოების მუდგელობაში მიმღები, ქვეყანაში დამოუკიდებელი, მოწვევების მოხიყვარული, დაბაისელი, ახმაბი, მაგრამ კარგად მოყვანილი ტანით, კარგი, მოშავო წვერებით, სათვალეებით და ბრტყელი, დიდი შუბლით თან შიშის და თან სიმპატიურ გრძობას მოკვერის ადამიანს. დიდის დინჯად, წელი, როცა კლასში ზის, არაეის შეფხვად დაიხმუროს, ამ მოძრაობა დაიწყოს — მაშინვე მიიხედვს იქით შხარტს, საიდანაც ხმა ესმის და იტყვის: „Тыше, из окна слышны!“ ამას იმასთანა რბილი, მხვილი ხმით უცვოდა, თითქოს მოაღერებდა უნდოდა მოწაფისა, რომელიც ეშმაკობდა და, თუ გაკვეთილს მოწაფე ვერ იტყოდა, ის ბოხი ხმით და თითქოს სერიოზულად კითხვავდა: „რა, გაკვეთილი არ იცი, თავი ვტყვი ხომ!“ როცა მოწაფე, დაფსთან გაყვანილი, ამოცანას აკეთებდა, ის კლასის ბოლოს წაივდიოდა, იქიდან დაუწყებდა მზერას და თან რომელიმე მოწაფეს თავზე ხელს მოაღებდა, რომელიც მის ახლოს იჯდა და უწყებდა თმაზე ხელის ვადანია“.

თელავში უკიდურესად გაჭირებული მოსწავლის კვალობაზე უცხოვრია ივ. ბერიტაშვილს. იმდენად გაჭირებული ყოფილა, რომ ფესაკპლისათვის ფულს მასწავლებლები სწავლობდნენ. „აი, ზომ ზედადუნენ ჩემს სიღარიბეს, სახელმწიფო ხარკზე მაინც არ მიღებდნენ, თუმცა მუდამ წელიწადს თხოვნა შეგქონდა, მამა გყავს და მეტი რა ვინდაი“. მაგრამ უკიდურესმა გაჭირებამ, როგორც სამართლიანად ფაქრობს მონოგრაფიის ავტორი, შეიძლება კიდევ უფრო გააყვრა ეპიწეული ბერიტაშვილის სული, რომელიც სახებრიოდ და სასხვათაშორისოდ არ ეკიდებოდა სწავლის საქმეს.

თელავის სასულიერო სასწავლებლიდან ივ. ბერიტაშვილი თბილისის სასულიერო სასწავლებელში გადადის. თბილისში თავდაპირველად გაუჭირდა სწავლა. ამხანაგებიც და მასწავლებლებიც ამრეხით უუერებდნენ, მაგრამ ვანოს საეროდა თავისი თავის და წელ-წელა წვეთ-წვეთობით საბეჭთებ თავისი ვაიტანა. სასულიერო სასწავლებლიდან ივ. ბერიტაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიისში შედის, სოლო 1906 წელს პეტერბურგის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე ჩაირიცხა სტუდენტად.

ბუნებისმეტყველებას დიდად გაუტაცნია ივ. ბერიტაშვილი და მთლიანად ჩაუნთქავს მეცნიერულ საქმიანობაში. 1909 წელს, მესამე კურსის სტუდენტს, მუშაობა დაუწყია ნიკოლა ევდენსის ლაბორატორიაში. აი, რას წერს ნ. ევდენსისთან ივ. ბერიტაშვილის მუშაობის თაობაზე მონოგრაფიის ავტორი: „ნ. ევდენსის-

თან იმეამად ნამუშეგარი პირებისაგან გამოვინია, მასწავლებელი განცვიფრებული ყოფილა შეგირდის უჩვეულ გარჩილობაში და დასახული მიზნისაგან სწრაფებით; [და] მარტო ნ. ევდენსიც იყო გაკვირებული: ყველას თვალში ეცემოდა ამ ტანშორილი ქართველის საქმით ვაკეობა: ირგვლივ თითქოს არავის არ აზრებდა ამნევედა, მხად იყო დაღლიაზგავთენებინა ლაბორატორიაში და თავის სამუშაო მავიდას არ მოშორებოდა. ხასიათიც თავისებური და თითქოს უცნაურიც კქონდა: უცარებული იყო და თან შორცხვი, შეგობარი არ ჰყავდა და წინებისა და თავისი ექსპერიმენტების ვარდა არც რა ინტერესებდა“. ქართული კაცი ოდითგანვე შრომისმოყვარე, გამაჩრე იყო. არ ყოფილა შეშთხვევა, რომ მის საქმე ოდესმე სხვას ეკეთებინოს. იგი თავად-ღებლოვ მუშაობდა და ასე ვაკქონდა თავისი ცხოვრების უფლია...

ივანე ბერიტაშვილის ცხოვრების გზა იაკარდით მოფენილი როდი იყო. ცნობილია, თუ როგორ დევნას ვანიციდდა იგი 50-იან წლებში „პავლოვური კომიტეტის“ შიგრ, როდესაც დიდი მეცნიერის, პავლოვის სახელს ამოფარებული დემაგოგების ლაშქარი ვადფთრებული ებრძოდა ყოველივე ახალს და პრთგრესულს ფიზიოლოგიაში. „სამწუხარო ის იყო, რომ ამ „კრიტიკის“ აურხაურს ი. ბერიტაშვილის მოწაფეებიც მიეტმანენ, და სწორედ ისეთნი, რომელთაც მანამდე არც პავლოვის მოძღვრება ინტერესებდათ და ხეირიანად არც ის იციოდნენ, როგორი იყო მათი მასწავლებლის ახლებური შეხედულებანი“. მაგრამ ივ. ბერიტაშვილისთვის უცნობი არ იყო არც ერთი სიკვდილი. იგი სტოიკურად იტანდა ყოველ ახალ თედვასმას და ზმირად ღმილსაც კი სვერიდა განსწიქებულთა საქციელი. „შზოლოდ ერთ ხანს, როცა მდგომარეობა მეტისმეტად გამწვევდა და შეიქმნა მითქმა-მოთქმა: „ბერიტაშვილი ჯეტოტმს და ვანჯარობის მცდარი გზით მუშაობას“ და, როცა ამანოფიკალიდურად მას თითქმის აუტრძალეს მუშაობა, მან დროებით თავი ანება ექსპერიმენტულ მუშაობას... ზოგი ჰირი მარგებლიაო, ამ პერიოდში მან ხელი მიხყო სრულიად უჩვეულო, ახალ და სასარგებლო საქმეს — ჩაუქდა ძველ ქართულად ხელნაწერებს და გამოჩენულ ენათმეცნიერთა და ისტორიკოსთა დახმარებით შეისწავლა და ხანჯარძლივი მუშაობის შემდეგ ჰერ ქართულად, მერე რუსულადაც გამოაქვეყნა ნაშრომი სათაურით: „მოძღვრება ადამიანის ბუნების შესახებ საქართველოში ძველი დროიდან მე-14 საუკუნემდე“.

არც ერთ დღეს და არც ერთ საათს უქმად არ ჩაუვლია ივანე ბერიტაშვილისთვის და ასეთი თავადღებული შრომით მიიღწია მან მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერის სახელს. არც ერთი



რანგის პატივი არ დაკლებია, მაგრამ არაფერს არ შეუძლია მისი ბუნება. კარგა მყოფი იყო თუ სარეცელს მიჯაჭვული, იგი ყოველთვის თავის საშვეს ემსახურებოდა და არც ეცალა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ცხოვრებისეულ ალიკოთისა და ამოცანისათვის. ქ. ძიძი-შვილი აღნიშნავს, რომ ივ. ბერიტაშვილს მისთვის გადაუცია „იმ პერიოდის დღიურები, როცა იგი 17-19 წლის უკანადაა, სასტუმარო სემინარიაში სწავლობდა“. წიგნში მოყვანილი არამდენიმე ნაწივეტი ამ დღიურებიდან. ამ ამონაწერებში ნათლად ჩანს, თუ საიდან და როგორ იწყებოდა ივ. ბერიტაშვილის ხასიათის ისეთი თვისებები, როგორცაა პრინციპულობა და შრომისმოყვარეობა. საინტერესოა, რა მოცულობისაა ეს მოგონებები. ძალზე საინტერესოა ისიც, რომ როგორც მონოგრაფიის ავტორის სიტყვებიდან ჩანს, ივ. ბერიტაშვილს მისთვის მხოლოდ ერთი პერიოდის დღიურები გადაუცია. თუ ეს ასეა და თუ ივ. ბერიტაშვილი საერთოდ ყოველთვის აწარმოებდა დღიურებს, მაშინ ჩვენის აზრით, მათი შესწავლის დაყოვნება აღარ ღირს. ძნელი არ არის იმის მიხედვრა, თუ რა დიდი რეზონანსი ექნება ამ დღიურებს, რომ ეს ჩანაწერები უბრალო ქრონიკები კი არა, დიდი პიროვნების განსა და ფიქრი იქნება.

რეცენზიის დასაწყისში მივითითებ ქუჩი ძიძიშვილის მონოგრაფიის ემოციურ მხარეზე. უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ განსაკუთრებით აუარეთ წიგნის იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია

ივანე ბერიტაშვილის როლზე ფიზიოლოგიის განვითარებაში. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს საინტერესოა ცხადი საკითხია, და მეორე იმიტომ, ახლა, როდესაც ივანე ბერიტაშვილი გარდაიცვალა, ახლებური ძალით წამოიწიქვა წინ მისი მოღვაწეობის ზნეობრივ-ეთიკური მხარე, რათა დაიკავოს პოზიციები ხალხის სულიერი აღზრდის საქმეში. ქ. ძიძიშვილის წიგნი მთავრდება „მინაწერით“. იმის აღნიშვნის შემდეგ, რომ ივ. ბერიტაშვილი ვერ მოესწრო მის სოციალურად მომზადებულ წიგნის გამოცემას, ავტორი წიგნის ბოლო აბზაცში ამბობს: „და ახლა, ჩემო მკითხველო, მე მინდა ვარამი და მწუხარება თქვენთან ერთად ოდნავ მაინც შევიკისებუქო იმის რწმენით, რომ არ გადაშენდება ჩვენი ერი, ჩვენი ქვეყანა, თუ კვლავ გვეყოლებიან ივანე ბერიტაშვილის დარჩენილი ალაღი და გულმართალი, პირდაპირი და უშუალონი, უმწიკლონი და პრინციპულნი, ეველა მათი შემოსახვენი, ვინც მეცნიერებას პირადი ბედნიერებისა და ფუფუნების საწყაულად მიიჩნევს. არ გადაშენდება ჩვენი შთამომავლობა, თუ კვლავ დაიზრდებიან მისებრ ვამრკელნი და ნიადაგ მშრომელნი, მისებრ ქედუტკელნი და უდრეკო ნების ადამიანები, რომლებიც თაობიდან თაობას გადასცემენ აზრს, რომ იყო ამ სოფლად კაცი, ვისაც მეცნიერებები ედგა სული, ვინც ერისა და კაცობრიობის საყიდილდეოდ იღვწოდა და რომ ეს კაცი ივანე ბერიტაშვილი იყო“.

მადლიანი სიტყვები!

ბ. ჩიბუაძე

# გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ

უკანასკნელ ხანებში, როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებს არაერთი გამოცემა ეძღვნა მივსდნა. სამეცნიერო კრებულებსა და ლიტერატურულ ჟურნალებში გამოქვეყნდა მეცნიერების სულ სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა მრავალი წერილი, დაიბეჭდა აგრეთვე რამდენიმე მონოგრაფია, რომელთაც საგრძნობლად წინ წააწიეს კვლევა-ძიება რუსთველოლოგიის დარგში. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ პოემის ტექსტისა და ენის საკითხების შესწავლა ჯერ კიდევ ჩამორჩება

რუსთველის უცვლადი ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“ არაერთხელა გამოცემული. 1966 წელს, რუსთველის საუბილეო დღეებში, მიიმ ამოკანება, რომლებიც რუსთველოლოგიის წინაშე დგას.

სი სამი გამოცემა გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ სამსავე გამოცემაში ვათვალისწინებულა ბოლო ხანს ჩატარებული სერაიოზული ტექსტოლოგიური შედეგები, მაინც ბევრი საკითხი, როგორც ენობრივი ხასიათისა, ისე ტექსტის დადგენის მხრივ, ჯერ კიდევ გაურკვეველი და დაუდგენელია. დაბეჭდილი ტექსტების სტრუქტურა შედგენილობა არაა ერთგვარი, განსხვავებულია სხვადასხვა სტრუქტურის წიკითხვები და, რაც მთავარია, ტექსტში შეტარ-

ივ. გვიგინიშვილი, „გამოკვლევები ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ“, მეცნიერება, 1976.



ნილ ცვლილებათა დასაბუთება არც ერთ გამოცემაში არაა წარმოდგენილი.

ასეთ პირობებში, როცა „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული ტექსტის დადგენა კვლავ რჩება რუსთველოლოგიის ძირითად პრობლემად, ხოლო პოემის ენის საკითხების კვლევა აქტიური ამოცანად ისახება, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ივ. გიგინეიშვილის ნაშრომს „გამოკვლევები ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის ძირითადი საკითხების შესახებ“, რომელიც „მეცნიერებაში“ გამოსცა.

ქართული ენისა და ქართული სიტყვის ევოლუციის საკითხების ცნობილმა მკვლევარმა ივ. გიგინეიშვილმა უკანასკნელ წლების განმავლობაში სამეცნიერო გამოკვლევებსა და კრებულებში გამოაქვეყნა ცალკეულ გამოკვლევებათა მთელი სერია „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის ძირითადი საკითხების გარშემო. ავტორის აქედან შეურჩევია ვარკვეული მასალა, ზოგიც ახალი დაუმატებია, დაუზუსტებია, დაუტყუწია და გამოუცია მთლიანი მონოგრაფიის სახით.

წიგნში შეტანილ ყველა ნაკვლევში ერთი თვალსაზრისითაა გატარებული პოემის ტექსტის დადგენის საკითხებზე. ეს თვალსაზრისი ჩამოყალიბებული და დასაბუთებულია შესავალი ერთი სტროფის სათანადო ანალიზის საფუძველზე. ავტორის აზრით, პოემის ტექსტისა და ენობრივი საკითხების შესწავლა წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას პოემის სხვა თვალსაზრისის, თუ თვალსაზრისების მიხედვით კვლევისს. იმისათვის, რომ პოემის ტექსტის მეცნიერულად დადგენა მოხერხდეს, სრულიად აუცილებელია „ვეფხისტყაოსნის“ ენის ყველა ნიუანსის გათვალისწინება. ცალკეულ სტროფათა თუ ტაბუთა ან ცალკეულ სიტყვაფორმათა შესწავლა და შესაბამისი ფრაზების გამართვა უნდა ხდებოდეს სხვა ანალოგიური შემთხვევების გათვალისწინებით, მათი ერთმანეთთან დაყვებით და, ერთ მთლიანობაში განხილვით. ამოდის რა ამ სწორი ზოგადი თვალსაზრისიდან, ავტორი თავის შრომაში კულტურულ-ისტორიული რეალებს გათვალისწინებით პოემის ენის ფილოლოგიურ ანალიზთან ერთად პირველ რიგში ყურადღების აქცენტს ენობრივი საკითხების კვლევას, რომლის უშუალო მიზანს შეადგენს თითოეული სტროფის გაგება სხვა სტროფთან ერთობაშია.

ძველი ქართული ტექსტების სათანადო მონაცემებისა და შუა საუკუნეების სალიტერატურო ენის ვითარების გათვალისწინებით ნაშრომში დასმული და გადაწყვეტილია საკითხები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ პოემის ენისა და პოემის კრიტიკული ტექსტის დადგენისათვის.

ენობრივ თავისებურებათა ვრცელი და საფუძვლიანი ანალიზის შედეგად, შემატრია თანამედროვეობით ვარკვეული ლექსიკის საკითხები, დადგენილია სამოხელეო ტერმინები დასასათბებელია ხარისხის ფორმათა წარმოება, შრელობითი რიცხვი, სიტყვაწარმოება, რთული წინადადების თავისებურება, სიტყვათა წყობის საკითხები და სხვ.

ნაშრომის მეორე თავში ავტორი განიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის ყველაზე რთულ და სადავო საკითხებს, კერძოდ, ამ თავში განიხილებულია პოემაში ნახშიარი სიტყვები წვე რ გ ა მ ი, უ ა უ გ ო, ხ ე ზ ი, ვ უ ა ლ ნ ე თ, ჩ ზ ნ დ ე და დადგენილია მათი სემანტიკა ქართული სალიტერატურო ენის სხვადასხვა პერიოდის ძველების სათანადო მონაცემთა გათვალისწინებით. ჩვენ სანიშნოდ მხოლოდ პირველ მათგანზე შევხებრდებით, რომელიც 277-ე სტროფში გვხვდება:

ავთანდილ ახლოს კვლა ნახა სახე  
მისივე კაცისა,  
უღვაშ-აშლილი, წვე რ გ ა მ ი, „ნუთუ მზეო, — თქვა, — ცისა?“  
ყუნოსა სული აღვისა,

ქართვან მონტაცისა,  
ასრე უჩნს მოკლეს ლომისა,

მართ ვითა ლომსა ვაიცისა.  
ავტორის ცნობით, ვახტანგ VI-სა და თეიმურაზ ბაგრატიონს წვე რ გ ა მ ი განმარტებული არა აქვთ, რაც მთავარია, ეს სიტყვა არ მოიპოვება არც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში; იგი არ მოუპოვება არც ნ. რუპინაშვილს, მაგრამ შეტანილი აქვს დ. ჩუბინაშვილს თავის რუსულ-ქართულ ლექსიკონში („წვე რ გ ა მ ი“, „Без сомнения“) „ვეფხისტყაოსნის“ გამოკვლევითავეან ზოგს ეს სიტყვა არ განუმარტავს, ზოგს კი იგი ახსნილი აქვს, როგორც უ წვე რ ო, უ წვე რ ო ლ ი პ ი რ ტ ი ტ ე ე ლ ა. ავტორი სათანადო მასალის ანალიზის შედეგად მიადის იმ დასკვნამდე, რომ პოემაში ნახშიარი წვე რ გ ა მ ი უწვერულს კი არ ნიშნავს, არამედ მას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ამავე პოემაში ნახშიარ სიტყვას „უღვაშ-აშლილი“, რომელიც დღესაც ცოცხალია ქართულში. წვე რ გ ა მ ი იმაზე ითქმის, — დაძმანს ავტორი, — ისიც ეს-ეს არის ახლა ამოდის წვერი. ეს სიტყვა რომ სწორედ ასე უნდა იქნეს გაგებული, ავტორი იმომეებს სხვა საბუთებსაც. ამ სიტყვას აგვარი მნიშვნელობით იგი, ადასტურებს „ქილილი და დამანს“ როგორც პროზაულ, ისე გალექსილ ტექსტში. ნაშრომიდან ირკვევა, რომ წვე რ გ ა მ ი ქართულში უფრო ადრეც უნდა არსებებოდა, რისთვისაც ავტორი იმომეებს ძველ ქართულში მისი ხშირების რამდენიმე შემთხვევას ისეთ ძველებში როგორცაა „ზღაპრობანი ელიანთანი“ და „დავითისა და კონსტანტინეს მარტვილობა“. ამ კონტექსტში

საყურადღებოდ ჩანს ის გარემოებაც, რომ იგი ძველი ქართული სალიტერატურო ენის ძველზე ადასტურებს აგრეთვე წვეგრგამო ფუნქსიან ნაწარმოებებს ანტიკატელ სახელს წვეგრგამოთასს და ადგენს მის მნიშვნელობას XVI-XVIII საუკუნეების ძეგლებიდან (რუსლანინი, თიშარიაძე, ქილია და დანა, ვისარიაძე) ავტორი წვეგრგამოს გარდა, ამავე მნიშვნელობით იმორჩებს სიტყვებს წვეგრგამომთავალი და წვეგრგამოთაველი, რომელთაგან წვეგრგამომთავალს წვეგრგამოს სრულ სახეობად მიიჩნევს. შესადაურებლად იყენებს აგრეთვე ქართული ენის თანამედროვე კლასიკურ ფორმას და ხევეტრულის სათანადო მასალებს.

ამგვარად, ავტორი საყვებით სამართლიანად დასკვნის, რომ წვეგრგამო რთული ფუნქციონირებს შედგება წვეგრგამოთასი და წვეგრგამო პრევერბისაგან. მისი სრული სახეობა წვეგრგამოთავალი პრევერბის დამოუკიდებლად ხმარება „ვეფხისტყაოსანში“ სხვა შემთხვევაშიც გვხვდება, რაც წიგნურ მოვლენად არ შეიძლება ჩაითვალოს. ასე მრავალხრივ, საფუძვლიანად და ფაქტობრივად მასალის დამკვირვებელი ვინაა იმის დასაბუთებელი აგრეთვე მასალის ამ თავში წარმოდგენილი აგრეთვე მასალის ამ თავში წარმოდგენილი სხვა სიტყვები, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში არასწორად იყო კვალიფიცირებული.

ნაშრომის მესამე თავში ავტორის კვლევების საგანს წარმოადგენს სამოხელეო ტერმინები და მათი დაწერის საშუალებების დადგენათან დაკავშირებით. ამ შემთხვევაშიც ჩვენ მხოლოდ ერთ ასეთ ტერმინს მივუძღვით უფრადღებებს, ესაა წინამდგომელი, რომელიც პოემის 337-ე სტროფში გვხვდება:

ავენთი; დამწვეს მამისა  
სამილთა დაუშრტაბელთა,  
უფნით გამოიყვანეს ხასთა  
მათ წინამდგომელთა  
გამოსლვისათვის ზეიმი შექმნეს  
ინდოეთს მფლობელთა,  
შორს მომეგბნეს, მაკოცეს  
პატრიით ვათა შშობელთა.

დასაწყისში მკვლევარი ვაუწყებს, რომ ეს სიტყვა სხვადასხვა გამოცემაში სხვადასხვა დაწერის სახით არის გადმოცემული. ვახტანგის გამოცემაში ორად გაყოფილად დაიბეჭდა (წინამდგომელთა); შემდგომ სხვა გამოცემებში იგი ან ერთად იბეჭდებოდა (წინამდგომელთა), ან კიდევ დუბლით (წინამდგომელთა). სპეციალურ ლიტერატურაში ეს სიტყვა სხვადასხვაგვარად იყო გაგებელი. ზოგი მკვლევრის დაკვირვებით, წინა და მდგომელითა ცალ-ცალკე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სიტყვებია. წინა, რომელიც თანდებულად ფუნქციონირებს გამოყენებული მშინსართი, დაკავ-

შირებულია „მათ“ სიტყვასთან მათ წინამდგომელთა, ზოგის განმარტებით წინამდგომელითა ნიშნის „წინამდგომელთა“, ძველი ქართული ენისა და ზოგის „დამწერის“ დრინდელი მრავალი ძეგლის ჩვენებათა საფუძველზე ავტორი ასაბუთებს, რომ წინამდგომელი სამოხელეო ტერმინია, რომელიც გვხვდება ასეთი სახითაც: წინამდგომელი, წინამდგომელითა, ძირითადი, ყველაზე გავრცელებული სახეობა წინამდგომელი. წინამდგომელი, წინამდგომელი და „ვეფხისტყაოსანის“ სათანადო სტროფის წინამდგომელი ერთისა და იმავე ტერმინის ვარიანტებია. ეს ტერმინები, როგორც ეს იკვანავიშვილის აქვს გარკვეული, მაღალი რანგის მსახურთა ჯგუფის აღსანიშნავად იყო გამოყენებული. ამის მიხედვით, — დასძენს ავტორი, — სათანადო სტროფის წინამდგომელითა სიტყვის ორად გაყოფა, ორ სიტყვად მიჩნევა არ შეიძლება. იგი ერთი, რთული ფუნქციონირებული სიტყვაა, კომპოზიტია.

ზედსართავ სახელთა შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმათა განვითარების მთელი ისტორიისა და ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტების მონაცემთა სრული გათვალისწინება ავტორს საშუალებას აძლევს მართებულად გამოიყენოს „ვეფხისტყაოსანის“ ხელნაწერთა ჩვენებები და აღადგინოს პოემის სწორი წყობილება 706-ე და 523-ე სტროფების მესამე და მეოთხე ტაქსისა: ძებნა წამლისა მისისა,

კოდნა ხამს მართ უიცისა (706,3).

ვქადრე: „რა გადროს პასუხი  
მის ჩემგან მე უიცისა?“ (523,4).

როგორც ცნობილია, სპეციალურ ლიტერატურაში იყო ცდა თავისებურად აეხსნათ პოემის სხვადასხვა გამოცემაში წყობილება „უიცისა“ და „უიცისა“. ზოგი მას მიიჩნევდა ორ სიტყვად: უიცისა-ო, ზოგის აზრით კი, უიცის განმარტებული იყო როგორც უცოდნარი „არამცოდნე, ზოლო უიცისა — როგორც მცოდნე, ბრძენი“.

სარკვევითი ნაშრომის ავტორმა დაასაბუთა, რომ ამ ფორმის არც ერთი და არც მეორე გაგება სწორი არ არის, რომ უ — პრეფიქსის ის ფუნქცია, რომელიც ზემოაღნიშნულ განმარტებაშია მოცემული, ხელოვნურადა შეთხზულია. ფაქტობრივად უიცისა ნათესაობითი ბრუნვის ფორმად უიცისა ზედსართავი სახელისა. ეს უცინასელი კი უიცის-ზედსართავის ფუნქსიან უ-პრეფიქსით და -ე სუფიქსით ნაწარმოები შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმაა. მნიშვნელობა მას აღმატებითი ხარისხისა აქვს: უიცისა სახეობით უცინოს,

არცოდნის ნიშნავს. სრულიად ბუნებრივია, რომ ნათესაობით ბრუნვაში ბოლოკიდური უ მოკვეცილია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ზედსართავი სახელების შედარებით-აღმატებით ხარისხის ფორმათა წარმოებასთან დაკავშირებით სარეცენზიო ნაშრომში წამოყენებულია აგრეთვე სხვა საყურადღებო დებულებები. მაგალითად, ნაშრომის 152-153 გვ. ავტორს გამოთქმული აქვს მასწავლება, რომ ნათესაობითი ბრუნვის ფორმატურათვალ უ დიდ ტიპის წარმოება დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი კილოსათვის, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა როგორც ძველი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში XII საუკუნემდე, ანალი სალიტერატურო ქართულის წამოყალიბება-განვითარებაში ამ საუკუნის შემდეგ; ეს კილო ორივე ამ სალიტერატურო ენის ერთ-ერთ მკვებავ დიალექტოვანს წარმოადგენდა. ამასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნულია ის მნიშვნელოვანი როლი, რომელიც მწერლობის გაკვეთილ დარგებს ენაში დავისრა ზედსართავ სახელებს XI საუკუნის მეორე ნახევრიდან. ფილოსოფიური მწერლობის განვითარებამ, რაც უშთაერესად იოანე პეტრიწის სახელთანაა დაკავშირებული, ფართო მთარგმნელობითი მუშაობის გაჩაღებამ მწვევედ დასვა საკითო ტერმინოლოგიის შექმნის საკითხი და ამ ასპექტში ზედსართავი სახელებისა და მათი შედარებით-აღმატებითი ხარისხის ფორმათა ხშირი გამოყენების აუცილებლობა ცხადი ვახდა.

„ვეფხისტყაოსნის“ ენის საფუძვლიანი შესწავლას შედეგად სარეცენზიო ნაშრომში გარკვეულია, რომ პოემაში უკვე დარღვეულია ის შეფარდება, რომელიც ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში არსებობდა გავრცელების თვალსაზრისით, ერთი მხრივ, -6 და -თ(ა) სუფიქსიანი და, მეორე მხრივ, -ებ სუფიქსიანი მრავლობითის ფორმათა შორის; -ებ სუფიქსიანი მრავლობითის ფორმები პოემის ენაში ძველ ქართულთან შედარებით გაცილებით ხშირად გვხვდება და მისი გამოყენების ხასიათიც თავისებურია. მიუხედავად იმისა, შენიშნულია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მიიწინა-6 და -თ(ა) სუფიქსიანი მრავლობითის ფორმებია გაბატონებული. ამ მრავლობითს პოემაში ისეთივე სინტაქსური თვისებები აქვს, როგორიც ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ჰქონდა. მაგრამ ძველი ქართულის ნორმების უყოყმანოდ გაურკვევია „ვეფხისტყაოსანში“ ტექსტზე არ შეიძლება. რომ პოემის ენაში უკვე დაწყებულია ამ ნორმების რღვევა ობიექტის (და სუბიექტის) მრავლობითის ზმნაში აღნიშვნის მხრივ. ამ თვალსაზრისით ანალიზი პოემის ენისა გარათუებულია იმის გამო, რომ პოემის ძველ რატექტორ-გადამწერთ და ტექსტის ვა-

მოძველები არაერთი ადგილი-პოემათა გადაუსწორ-გადაუტყობიან და ამით საკმაოდ გაძნელებულია იმის გარკვევა, თუ რა შემოღწერათს ავტორისაგან და რა აბის უკადამწერთა და გამოცემულთა შერტანილი პოემაში.

ავტორი პირველ რიგში ყურადღებას მიჰყევს -6 და -თ (ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმულ ისეთ ლექსიურ ერთეულებს, რომელთაც მოკვეთულ კონტექსტში არ შეიძლება რეალური მრავლობითის შინაარსი პქონდეთ. შემდეგ იძლევა წარიან მრავლობითში დასმულ - სუფიქსიანი ენობით სახეობა ანალიზს. მხედველობაშია ისეთი ფორმები, როგორცაა: ხანანი, ვლანი, სწორანი, ორანი, თმენანი, შევლანი, და სხვ. ამ მეორე რიგის ფაქტებს, როგორც ენობილი, პირველად ნ. შარვაშია მიჰყავს ყურადღება და ისინი ხელოვნურ ფორმებად მიიჩნია. ეს აზრი შემდგომ სხვებზე უფრო გ ავითარეს და დაასკვნეს, რომ -ა-დართული ფორმები ენობითის ბუნებრივი ფორმები კი არაა, პოეტის მიერ რითმის მოთხოვნების შესაბამისად გამოყენებული, არამედ ხელოვნურად ნაყვებნი რითმის საჭიროების გამო (გ. იმანიველი).

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი არ იზიარებს ამ დებულებას და უხვი საილუსტრაციო მასალის დამოწმებით ადასტურებს, რომ ხელოვნურად გამოქცადებული ზემოაღნიშნული ფორმები ნამდვილად ხელოვნური კი არ არის, არამედ ამ ტიპის წარმოება დღემდე დაცულია ქართული ენის კილოებში — ფშაურში, ზევისურელში, მოხეტურში და სხვაგანაც. აქედან გამომდინარე იგი დაასკვნის, რომ შართალია, ნეოლოგიზმები და პოეტური ლექსიციები შოთა რუსთაველსა მიეკუთვნება, მაგრამ პოეტური ლექსიცა არ უნდა იქნეს გაგებელი ისე, თითქოს პოეტი ქმნიდეს, თხზავდეს ენისათვის შეუფერებელ ფორმებს ან წებსმიერად ეპურობოდეს არსებულ ფორმებს. რუსთაველი თავისი ენის საშუალებებს, თავისი ენის სიმდიერესს, — დასტინს ავტორია, — იყენებს თავისებურად, შემოქმედებითად, აქ იჩენს იგი პოეტურ თავისუფლებას. რუსთაველი ბრწყინვალედ ფლობს როგორც წინა ეპოქების ქართული სალიტერატურო ენის სავანძერს, ისე მისდროინდელი სალიტერატურო ენის ფართო შესაძლებლობებს, რომელთაც ის იხე იყენებს, როგორც ამა პოეტურ სიტყვის საჭიროება მოითხოვს — დიდი მხატვრული ვემოცენტია და ტაქტია.

სარეცენზიო ნაშრომის მეექვსე თავში განხილულია ზმნის პირის ფორმათა აღრვევის შენთხვევა „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში. აქ მრავალი საინტერესო საკითხია აღძრული და ერთნაირად სწორად გადაწყვეტილი. ჩვენ მხოლოდ ერთ-ერთ მათგანზე შევიჩრდებით.

ამ თავის დასაწყისში შენიშნულია, რომ საუკუნეთა განმავლობაში „ვეფხისტყაოსნის“ გა-

დამწერით თუ რედაქტორებს არაერთ შემთხვევაში აღრევიით პოემის ტექსტში პირის ფორმები ზმნისა; მესამე პირის ზმნით გამოხატული ფრაზა პირველი ან მეორე პირის ფორმით გამოჰართათ და, პირველ; ერთბაიანი ზმნა ოპიბირიანით შეცვლილა, სამპირიანი ოპირიანიად გაგებულა და ა. შ. ყველაფერ ამას თავისი შედეგები მოჰყოლია: სასულიერო კტევის ფორმები საობიექტოთი შეცვლილა და საობიექტოსა — სასულიეროთი. არცელა გვარის ფორმები ზმნისა და ზოგიერთი სხვა ხასიათის ცვლილებაც მოჰმზღარა. ამის გამოა, რომ ზმირად ხელნაწერებში დაცული სრულიად ნათელი წაკითხვები შიბრწედობდა და სათანადო სტროფები ბუნდოვანი და გაუგებარი ხდებოდა შეთხებებ და დუსაბუთებელ შესწორებათა მერანის შედეგად. ამის ნიმუშენი სარეცენზიო ნაშრომში სავსაო რაოდენობითაა წარმოდგენილი. სპეციალურად არის განხილული ერთი ტიპობრივი შემთხვევა: „ნუცა შირა და ნუცა შიგლოვ, ჩემო, შენთვის დაჯარგულსა“ ეს წაკითხვა ამ ტაბისა, ავტორის ცნობით, დ. კაროშვილის მეორე გამოცემაში მომდინარეობს, რომელიც გაიზიარა 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტის დამდგენმა კომისიამ. ეველა სხვა გამოცემაში იგი ასე იკითხება: „ნუცა შირა და ნუცა შიგლოვ, ჩემო, ჩემსა სიუყარულსა“ პ. ინგოროყვამ ამ მეორე წაკითხვას დოქტორი მზარი და თავის გამოცემაში მიგლოვ ფორმა იგლოვ ფორმით შეცვალა იმიტომ, რომ იგი შევხამებინა ბრუნვაცვალებადი ობიექტისათვის „სიუყარულსა“, ე. ი. „იგლოვ ჩემს სიუყარულსა“. საქმეში კარგად ჩახედულსა სპეციალისტის თვლი იყო სავირო, რომ ამ კონიექტურაში დაენახა მცდარად გაგებული ტექსტის შესწორების უსაფუძვლობა. სარეცენზიო ნაშრომის ავტორმა, გათვალისწინა რა ხელნაწერების სათანადო ჩვენებები, ამოსივალ ვარიანტად მიიჩნია მეორე წაკითხვა და მოგვეცა სათანადო ტაბის სრულიად ნათელი ანალიზი. კერძოდ, დაადგინა, რომ გამოთქმა „ჩემსა სიუყარულსა“ არაა სინტაქსურად დაკავშირებული ზმნასთან მიგლოვ, იგი ჩართული გამოთქმა, რომელიც ფივის, დოქტორის ერთერთ ფორმულას წარმოადგენს. ავტორი ამასთან დაკავშირებით ქართულ ენაში და, კერძოდ, თეთი „ვეფხისტყაოსანშიც“ ფივის არაერთ ამგვარ ფორმულას ადასტურებს; შენსა სქულსა, მისსა ძალსა, თქვენსა და ჩემსა მშობასა და სხვ. შრავალი ანალიგორი ფაქტების განხილვის შემდეგ სარეცენზიო ნაშრომის ამ თავის დასასრულს ურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ მსგავსი მოვლენების ანალიზისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პოემაში სიუყეტის გამოლის ამბავთა განვითარების ხასიათის ზუსტად გაგების და ერთი ამბადან მეორე ამბავ-

ზე გადასვლის თავისებურებათა გათვალისწინებას.

სარეცენზიო ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი სინტაქსის, საკითხების ელევას, კერძოდ, მეშვიდე თავში ვრცლად დახასიათებულია რთული წინადადებების თავისებური სახეობა „ვეფხისტყაოსანს“ ენაში. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ საუკეთესო ზომა გარკვეულად ზღუდავს სხვადასხვა ენობრივ საშუალებათა ფართო და სრულ გამოყენებას, ავტორის დაკვირვებით, თექვსმეტმარცულიანი მაღალი თუ დაბალი შიარია მაქსიმალურ საშუალებას იძლევა, რომ მასში თავისუფლად, დაუბრკოლებლად იქნეს წარმოდგენილი სხვადასხვაგვარი ენობრივი ერთეულები, ნიარგვარი ფრაზეოლოგიური კონსტრუქციები, ნიარგვარი ტიპის ტიპის წინადადებები. მაგრამ უვალფერი ეს არ სცოდნება ჩვეულებრივის ფარგლებს და განსაკუთრებულს არაფერს შეიცავს. ამ საერთო ფონზე ნაშრომის ავტორი გამოყოფს და სათანადო კვალიფიკაციას აძლევს რთულ დაქვემდებარებულ წინადადებათა სფეროში „ვეფხისტყაოსანში“ შემწნეულ ზოგიერთ თავისებურებას, რომელსაც ერთი მხრით, დამოუკიდებელი ინტერესი ახლავს, ხოლო, მეორე მხრით, არსებითი მნიშვნელობა აქვს პოემის ტექსტის ჭეოროვნად გაგებისა და, მასმსადამე, დადგენის თვალსაზრისით.

სარეცენზიოდ წარმოდგენილ გამოყვლევაში საგანგებო ურადღებით არის განხილული სიტყვათა წყობის თავისებურებანი „ვეფხისტყაოსანში“ და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩვენმა ავტორმა კარგად იცის, რომ რუსთაველის ლექსს ამ თვალსაზრისით შრავალი თავისებურება ახასიათებს და ამ თავისებურებათა გამოვლენას და გათვალისწინებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ტექსტის კრიტიკული შესწავლისათვის. მას სწორად აქვს შენიშნული, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის დადგენისას ზოგიერთ მხედველობაში არ იყო მიღებული რუსთაველის ლექსის სიტყვაწყობის არაკრთი თავისებურება. ამიტომ ჭეოროვნად ვერ ფასდებოდა ხელნაწერთა მონაცემები, ხელნაწერებში კი სიტყვაწყობასთან დაკავშირებით შრავალი ცვლილება და გაუგებრობა ეკვებდება: გადამწერით არ ესმოდათ ზოგი ადგილი პოემისა, თავიანთი შეხედულებისამებრ ასწორებდნენ, გაუგებარს თავიანთი თვალსაზრისით გასაგებად ხდიდნენ. ბევრი ამგვარად შესწორებული ადგილი შემდგომ ერთადერთ შართებულ წაკითხვად იქნა მიჩნეული და დამკვიდრდა პოემის ტექსტში. ამიტომია, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის მთელი რიგი ადგილი არა შრატო დადგენას საჭიროებს, არამედ აღდგენის მოითხოვს. ამის დასამტკიცებლად ნაშრომში შრავალი ფაქტია დამოწმებული და ახლებურად ახსნილი. ურადღება გამახვილებულია პირ-

ველ რიგში მსაზღვრელი სახელის ადგილთან დაკავშირებული საკითხებისადმი და დადგენილია, რომ „ვეფხისტყაოსანში“, მართალია, მოიპოვება მსაზღვრელ-საზღვრელის ორივე — როგორც პოსპოზიციური, ისე პრეპოზიციური — წყობა, მაგრამ მაინც ნათელია, რომ პოემის ენა ამ თვალსაზრისით აღარ წარმოგვადგენს ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, იგი პრინციპულად ახალ ქართულს გუბნდება. გარკვეულია, რომ მსაზღვრელ-საზღვრელის ხმარების მხრივ პოემის ავტორი ძალიან დიდ თავისუფლებას იჩენს, თავისებურად ეპყრობა სიტყვის ადგილს ფრაზაში. ეს თავისუფალი მოპყრობა განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება ნათესაობით ბრუნვაში დასმული (მართული) მსაზღვრელი სახელის ადგილს. ასეთი მსაზღვრელი ხშირად ნებისმიერადაა გადაად-

ვილებული ფრაზაში ლექსის მოთხოვნების შესაბამისად.

არქიველი

ამგეარად, უნდა დავასკვნად, რომ ვეფხისტყაოსნის ნაშრომი „გამოკვლევები ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ“ მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი მონოგრაფიაა არა მარტო კვლევა-ძიების შედეგად მიღებული საყურადღებო დასკვნებითა და შედეგებით, იგი ამავე დროს ახალი სიტყვა, მეცნიერულად დასაბუთებული თვალსაზრისია, რომელსაც არსებითი წვლილი შეაქვს შოთა რუსთაველის გენიალური ნაწარმოების ენის შესწავლისა და პოემის ტექსტის კრიტიკულად დადგენის საქმეში.

ბრ. მარბიროსოვი



№ 10 80 333.

ИНДЕКС  
76128  
0000000000  
0000000000

## **„МНАТБИ“**

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ**